# ჩვენი მწერლობა

გამოდის თვეში ორჯერ პარასკეობით ფასი 1,50 ლარი 14 ოქტომბერი 2011 №21(151)

1516
2011



„ინტელექტი“ გთავაზობთ




მისამართი: ილია ჭავჭავაძის 17ზ ტელეფონი: 25 05 22, 91 22 83, 899 55 66 54

## შინაარსი


| | | |
|---|---|---|
| ახალი რომანი | 2 | მაია ჯალიაშვილი **უმანკოების დაღუპვა** (იული ცეს „თამაში“) |
| ექსპრეს-ინტერვიუ | 5 | ნანა დემეტრაშვილი **„ბედნიერება წამიერია“** |
| ესეისტიკა | 6 | როსტომ ჩხეიძე **ცეცხლი და თივა და ათასი წელი** |
| პროზა | 8 | ნიკოლოზ ჩუბინიძე **ხორცის ფასი** |
| | 10 | იოსებ იარლანაშვილი **ცრემლის ნამცხვარი** |
| პოეზია | 13 | ჯარჯი ფხოველი **მარადისობის ნაპირი და სხვა ლექსები** |
| უცხოეთის ცხოვრებიდან | 16 | ხორხე ლუის ბორხესი **შვიდი საღამო** (მეშვიდე საღამო, სიბრმავე) |
| დიალოგი | 21 | **კონსერვატიზმის გაუხუნარი ხიბლი** (ქეთევან შენგელიას ესაუბრება პაატა ჩხეიძე) |
| მოგონებათა სკივრი | 25 | ოლლა გაბესკირია **ვიქტორი შინ და გარეთ** |
| რეპორტაჟი | 30 | ეკა ბუჯიაშვილი **მისი სოფლის ეტიუდებიდან** (ზურაბ ცინცქილაძის მიერ წაკითხული ოთარ ჩხეიძის „შავი თუთა“) |
| გამოხმაურება | 32 | თამარ ყალიჩავა **თოვლი მზის გულში** (ნინო ნაჭყებიას მინიატურები) |
| პოეტის ერთი ლექსი | 33 | ნინო დარბაისელი **ბრმის აპოკრიფი** |
| ჩვენი ყოფა. წუთისოფელი | 34 | იკა ქადაგიძე **სწორედით პოეტებო: პოეტი პოეტების წინააღმდეგ პოლიციას იძახებს!** |
| ჩანახატი | 39 | ნინო დეკანოიძე **ფიქრი და მთების სიყვარული** (საუბარი ჯუმბერ ხანთაძესთან) |
| კრიტიკა | 41 | სოფიო ჯაფარიძე **სულის პური** (ფიქრები ნინო სადღობელაშვილის რომანზე „ორსული“) |
| | 43 | ზაზა გოგია **წარსულში არეკლილი აწმყო** |
| ჩემი პატარა ქალაქი | 48 | ანასტასია ლაკადელი **„დროზე მაშინ ითქმის, როცა გიკრძალავენ“** (შეხვედრა ზუგდიდის სასწავლო უნივერსიტეტში) |
| ახალგაზრდებო. ან კი თქვენ | 52 | **„მთავარია, ჩემი სათქმელი მეთქვა“...** (მარინე რევიშვილს ესაუბრება გიორგი სავანელი) |
| პოეზიის მერიდიანები | 54 | უოლტ უიტმენი **კაპიტანო, ჩემო კაპიტანო** |
| | 55 | უილიამ ბატლერ იეიტსი **მხოლოდ ორი ლექსი** |
| | 56 | იოსიფ ბროდსკი **სიყვარული და სხვა ლექსები** |
| უცხოური ნოველა | 58 | რიუნიოსკე აკუტაგავა **მაგიის სასწაულები** |
| ახალი წიგნები | 61 | ვაჟა ოთარაშვილი **„ნეტარ არიან მორწმუნენი“** (მეუფე თადეოზის პოეტური კრებული „აღთქმული გაზაფხული“) |
| მოზაიკა | 63 | **დარდობს, დაეძებს გაბურებს** |



**ორკვირეული ჟურნალი**

დამფუძნებელი **„ილიონი“**

მისამართი: თბილისი,
ჩუბინაშვილის №41

რედაქცია – (995 32) 96_20_62
რეკლამა – (995 93) 65_93_68
გავრცელება – (995 77) 11_24_30
ფაქსი: (995 32) 96_20_62
E_mail: info@mtserloba.ge

მთავარი რედაქტორი – **როსტომ ჩხეიძე**
პროზის რედაქტორი – **ივანე ამირხანაშვილი**
პოეზიის რედაქტორი – **მაკა ჯოხაძე**
კრიტიკისა და თარგმანის რედაქტორი – **თამაზ ნატროშვილი**
მხატვრული რედაქტორი – **კარლო ფაჩულია** დიზაინერი – **მალხაზ იაშვილი**
სტილისტ-კორექტორი – **ნინო დეკანოიძე** დაკაბადონება – **თენგიზ რობიტაშვილი**
ოპერატორი – **თამარ ჩიხლაძე** სარეკლამო მენეჯერი – **ეკა ბუჯიაშვილი**
გავრცელების სამსახური – **ლევან კიკნაძე**

გარეკანზე: **კაცხის სვეტი**
**ბაბუა ალუდაურის ფოტოეტიუდი**

PRINTED BY "OMEGA TECH" PRINT HOUSE
TBILISI, GEORGIA, 17 SARAJISHVILI STREET
TELEPHONE +995 32 53 03 62

„ჩვენი მწერლობის“ მომდევნო ნომერი გამოვა 28 ოქტომბერს

მაია ჯალიაშვილი

# უმანკოების დაღუპვა

რა მოხდება, თუ ადამიანები ზნეობას უსარგებლო ნივთივით სანაგვეზე მოისვრიან?

რა მოხდება, თუ ადამიანები რწმენას დაკარგავენ?

რა მოხდება, თუ ადამიანები ცხოვრებას გასართობად, თამაშად აქცევენ, ყოველივეს — სულიერად ღირებულსა და ფასეულს — აბუჩად აიგდებენ, დაამცირებენ, შეურაცხყოფენ?

ამ კითხვებზე პასუხი დღეს ყველა გონიერს შეუძლია, მაგრამ მაინც არავის სურს დაიჯეროს კაცობრიობის იმგვარი მომავალი, როდესაც სიყვარულის უნარს დაკარგავს ადამიანი, ადამიანობის განმსაზღვრელ იდეალებს ფეხქვეშ გათელავს და დაივიწყებს. ნამდვილი მწერალი კი ყოველ დროში წინასწარმეტყველივით მოთქვამს და აფრთხილებს ადამიანებს გარდაუვალი კატასტროფის მოახლოებაზე. სწორედ ამგვარი ტკივილიანი კითხვებითაა სავსე თანამედროვე გერმანელი ახალგაზრდა მწერლის, იული ცეს რომანი „თამაში".

მწერალი ცდილობს თანამედროვე ცხოვრების ლაბირინთში გზის გაკვლევას და ამ კითხვებზე პასუხის გაცემას. ის წარმოაჩენს ახალგაზრდა თაობას, რომელიც მემკვიდრეობით მიღებული გაუფასურებული იდეალების ამარაა. რას იზამს ეს თაობა? შეეჭიდება განსაცდელს და შეეცდება შეაჩეროს კაცობრიობის დაცემის პროცესი თუ გააგრძელებს სახიფათო დალმასვლას უფსკრულისკენ, რომელსაც თავს ველარ დააღწევს. ამიტომაც რომანში უპირველესად თანამედროვეობის ერთი ყველაზე გამოკვეთილი სატკივარი, ახალგაზრდობის ბედია წარმოჩენილი, განსაკუთრებით ყმაწვილებისა, რომელთაც წინა თაობებისაგან გადმოეცათ ათასგვარი შიში დედამიწის აპოკალიფსური განადგურებისა თუ ზნეობრივი გადაგვარებისა.

ადამიანს ღვთისგან მიეცა უნარი გადარჩენისა. ეს უნარი განსაკუთრებით მძლავრობს მოზარდებში, რომლებიც გამოდიან ბავშვობის სამოთხიდან და პირდაპირ ცხოვრების ჯოჯოხეთის ხახაში ცვივიან, საიდანაც გამოსავალი არ არსებობს. ასე რომ, სიცოცხლე ემსგავსება „გამოცხადებული სიკვდილის ქრონიკას". ყველა გონიერმა იცის, რომ მადლისაგან დაცლილ დედამიწას მხოლოდ სიყვარული თუ გადაარჩენს, მაგრამ არსად ჩანს სიყვარულისთვის თავგანწირვა, ან ისე ცოტაა მისი მაგალითი, რომ ალარავის სჯერა.

უმანკოების დაღუპვა – ასე შეიძლება ვუწოდოთ იული ცეს რომანის მთავარ პრობლემას. იული ცე 10-მდე რომანის ავტორია. მისი პირველი რომანი „არწივი და ანგელოზი"" (2001 წელი) მაია მირიანაშვილმა თარგმნა (2006) და ჩვენ გამოვეხმაურეთ ლიტერატურულ გაზეთში „კალმასობა". იმ რომანში ჩანდა მწერლის თვალთახედვის ფართო დიაპაზონი. ნაწარმოებში ნარკომანიის პრობლემა ისე გახლდათ გაანალიზებული, როგორც საერთაშორისო მასშტაბის „შეთქმულება" კაცობრიობის წინააღმდეგ.

იული ცე გერმანიაში დღეს თანამედროვე მწერალთა შორის ყველაზე პოპულარულია, მიღებული აქვს სხვადასხვა ლიტერატურული პრემია, მათ შორის: ჰუმბოლდტის, შლეგელის, კარლ ამერის სახელობისა.

„თამაში" 2004 წელს დაიწერა და უკვე 16 ენაზე ითარგმნა. ამ ნაწარმოებმა გამოსვლისთანავე მკითხველთა და კრიტიკოსთა დიდი ინტერესი გამოიწვია.

ახლა კი ხელთ გვაქვს ამ რომანის ქართული თარგმანიც, რომელიც საქართველოში გერმანული ლიტერატურის ახალგაზრდა, მაგრამ უკვე გამოცდილმა პოპულარიზატორმა შესანიშნავად თარგმნა.

პერსონაჟები 15 წლის გოგონა, ადა, და მისი მეგობრები არიან, რომლებიც ერნსტ-ბლოხის გიმნაზიაში სწავლობენ. ასე რომ, მკითხველის თვალწინ იხატება თანამედროვე აღზრდის სისტემაც და მისი ნაყოფიც — თაობა, რომელსაც, მიუხედავად წიგნიერებისა, არავითარი ღირებული ინტერესი არ გააჩნია.

საკმაოდ სქელტანიანი რომანი ზედმიწევნით აღწერს თინეიჯერთა ყოფას, მშობლებისა და შვილების, მასწავლებელთა და მოსწავლეთა ურთიერთობას. მწერალი საოცრად სიღრმისეულად წარმოაჩენს თანამედროვეობას, რომელიც ადამიანს წირავს გაუცხოებისა და მარტოსულობისთვის.

მწერალი შესანიშნავად იცნობს მოზარდთა ფსიქოლოგიას, ამიტომაც დამაჯერებლად ხატავს მათი ფიქრის, განსჯისა და ქცევის მოტივაციებს. თანვე, არსობრივად ერკვევა პოლიტიკური, სოციალური, ეკონომიკური, კულტურული ცხოვრების გლობალურ პროცესებში. ეს მას საშუალებას აძლევს მასშტაბურად წარმოაჩინოს დღევანდელობის პრობლემები.

დანგრეული ოჯახის შვილია ადა, რომლის ფსიქიკაზეც სარკესავით აირეკლება არა მხოლოდ მის ოჯახსა და ქვეყანაში, არამედ მსოფლიოში მომდინარე მოვლენები, სავსე ტერორისტული თავდასხმებითა და ეკოლოგიური კატასტროფებით.

ადას სულიერ-ზნეობრივ სახეს აყალიბებენ, ერთი მხრივ, წიგნები, განსაკუთრებით ისეთნი, რომლებიც მსოფლიო ნგრევასა და საყოველთაო გაუცხოებას წინასწარმეტყველებდნენ, უპირველესად ნიცშე, თავისი ნიჰილიზმითა და ზეადამიანზე ქადაგებით, მეორე მხრივ, საზოგადოება, ტექნიკურ პროგრესსა და მატერიალურ კეთილდღეობას გამოკიდებული, სხეულისა და ხორციელ ლტოლვათა მაღმერთებელი და სულიერ მისწრაფებათა დამვიწყებელი.

საგულისხმოა, რომ გიმნაზიაში ადას მასწავლებელი, კომუნისტური პოლონეთიდან დევნილი სმუტეკი, მოსწავლეებს მუზილის „უთვისებო კაცს" ასწავლის, რომელიც საუკეთესოდ გამოხატავს თანამედროვე ადამიანის შინაგან სიცარიელეს. ადასთვის სწორედ ეს უთვისებობა იქცევა ერთგვარ იდეალად. უთვისებობა მას წარმოუდგება, როგორც გადარჩენის გზა. უთვისებობა, რომელიც შეაძლებინებს ნაშალოს ზღვარი ტანჯვასა და ბედნიერების განცდას შორის, ყველაფერი სულერთი იყოს. „ადა უთვისებოა და ამგვარად უდანაშაულო".

ადა არ არის ჩვეულებრივი გოგონა, ის სულით მაძიებელია, ცდილობს ცხოვრებისეულ წინააღმდეგობათა ანალიზს, საკუთარი სივრცის პოვნას, სადაც იქნება თავისუფალი, მაგრამ ყველგან სიცარიელეს, უმიზნობას, უფუნქციობას აწყდება.

რომანში არის შეხმიანება არა მხოლოდ ნიცშესა და ეგზისტენციალისტებთან, აგრეთვე კაფკასთანაც, რომელმაც

ადამიანური გაუცხოება და უფუნქციობა მთელი თავისი ტრაგიზმით გამოხატა.

ადას თაობა (განსაკუთრებით, ადა და მისი მეგობარი ალეფი, ნახევრად ეგვიპტური წარმოშობის ყმაწვილი) უფროსებს დაკარგულებად მიიჩნევენ, რომელთაც ილუზიური შეგრძნება აქვთ, რომ აქ, ამ დროში, არსებობენ, საკუთარი ადგილიც მოუპოვებიათ.




ეს თაობა არ არის რომანტიკულობას მოკლებული. მაგალითად, ადა ეუბნება მეგობარს, მინდოდა შენთვის და გაზაფხულისთვის მეყურებინაო. გაზაფხულის ყურება — მისი სულის ჯერ კიდევ ჩაუმქრალი ნაწილის წყურვილია, მატერიალურ სამყაროში რაღაც სილამაზეს ჩაეჭიდოს თვალი, რომელიც გაანონასწორებს და სიცოცხლის მშვენიერებას შეაგრძნობინებს, მაგრამ ეს მხოლოდ ნამიერი გამონათებაა იმ სიბნელეში, რომელშიც ამ ყმაწვილი თაობის გონებაა ჩაძირული.

ადას სჯერა, რომ სამყაროდან დაიკარგა სიწმინდე, შესაბამისად, აღარც უმანკო გოგოებისთვისაა ადგილი. თუ გინდა გადარჩე, უმანკოება აბუჩად უნდა აიგდო, მოიშორო უსარგებლო ნივთივით. მისი დაკვირვებით, ადამიანები მხოლოდ იმას აფასებენ, რაც გამორჩენას ჰპირდებათ. ამიტომაც ცდილობს თვითონაც ასე მოიქცეს. სამყაროში, სადაც ატომური ბომბები ცვივა, ადასთვის ზნეობა ზედმეტი ბარგია.

მისთვის ადამიანები ასე ხარისხდებიან: ისინი, რომლებიც ამ სამყაროს ეკუთვნიან, ე.ი. ცხოვრობენ თანამედროვეობის ღირებულებებით და გადარჩებიან, და ისინი, რომლებიც ამ სამყაროს არ ეკუთვნიან, რადგან ვერ აღიარებენ ამ ღირებულებებს. ისინი პირველთა სათამაშოების როლებისთვის არიან განწირულნი. თავიანთ „ფუნქციას" მხოლოდ პირველთა ხელში იძენენ, რომლებიც მათ ბედს განაგებენ. ეს არის ადას აღმოჩენილი კანონზომიერება.

ადას სჭირდება საყრდენი და პოულობს თავისზე რამდენიმე წლით უფროს მოსწავლეში, ალეფის სახით, რომელსაც ადასავით სჯერა, რომ ცხოვრება თამაშია, რომლის კანონებს ადგენს ვილაც, არა უზენაესი, არამედ ადამიანი, ვინც ყოველგვარ კანონზე მაღლა დგას, რადგან მისთვის ყველაფერი ნებადართულია. ამ შემთხვევაში, ამგვარ მბრძანებლად ადასთვის ალეფი იქცევა. იგი ნებით ემორჩილება მას, რათა გათავისუფლდეს არჩევანზე ფიქრისაგან: „ჩვენ უკვე აღარაფერი დაგვრჩა, რისიც შეიძლება გვნამდეს, გვჯეროდეს. ყველაფერი სულერთია".

მათი აზრით, მხოლოდ თამაშშია შესაძლებელი იგრძნონ ადამიანებმა ჭეშმარიტი თავისუფლება. თამაში თანასწორუფლებიანობას ჰპირდება ყველა თანამონაწილეს და ასევე სამართლიანობას, რადგან თამაში საკუთარი წესებით ტარდება: „თავისუფლება, თანასწორუფლებიანობა, სამართლიანობა, — ბლუკუნებდა ალეფი, თამაში დემოკრატიული ცხოვრების წესია. ესაა ყოფიერების უკანასკნელი დარჩენილი ფორმა. თამაში ცვლის რელიგიურობას, ფლობს დიდ არეალს, ბირჟას, პოლიტიკას, სასამართლო დარბაზებს, ესაა ის, რაც ჩვენ ღმერთის სიკვდილის შემდეგ მენტალურად გვაცოცხლებს".

ალეფისა და ადას წამოწყებული თამაში სახიფათოა არა მხოლოდ ორივესთვის, არამედ საზოგადოებისთვისაც, მაგრამ მათ ეს არ აღელვებთ.

მამა — მამინაცვალი — სმუტეკი: ადასთვის ამგვარად ჩანაცვლდა მფარველისა თუ პატრონის სიმბოლო. მამა ღმერთი შობიდანვე არ ჰყავდა, დაიბადა უღმერთო სამყაროში, მამამ მიატოვა, მამინაცვალი სუროგატია. სმუტეკი — მასწავლებელია, აღმზრდელი, სწორედ მასზე იძიებს შურს. მისთვის ის საერთოდ ძველი, მის შობამდე არსებული სამყაროს სიმბოლოა, რომელიც მისთვის არარაობაა, რადგანაც იმისი ცხოვრების მიზანი სრულიად მიუღებელია ადასთვის.

საგულისხმოა ადას და მამინაცვლის ერთი დიალოგი, რომელშიც ჩანს ორმხრივი ცინიზმი. მამინაცვალი ეუბნება: „მე შენ არასოდეს მიგატოვებ გასაჭირში. მე კედელი ვარ, რომელსაც შეგიძლია მთელი ძალით მიეყრდნო". ადა კი პასუხობს: „დახვრეტის ბრძანების გაცემის წინ?"

ამგვარად, აღარანაირი მისაყრდნობი კედელი აღარ არსებობს მშობელთა სახით. „ადას გაუმყარდა ეჭვი, რომ მშობლებს შენს ასაკთან ერთად თან ვერ გაიყოლებ. ისინი ისევ იმ სიტუაციაში რჩებიან, საიდანაც მან მათი შეცნობა, აღქმა დაიწყო. ისინი სულ უფრო და უფრო პატარავდებიან, გეგონება დაძრულ მატარებელს გაჰყურებენ ხელებჩამოყრილნი, და ამ ცქერაში საკუთარი სიხარული, ტკივილი ტვირთად დასწოლიათ".

ადას თავისუფლება სწყურია, გათავისუფლება ყველაფრისგან, მათ შორის, მშობელთა სიყვარულის თუ სხვა მორალურ ვალდებულებათაგან. ცხოვრება თამაშია, მხოლოდ გარკვეულ ეპიზოდებში წარმოიქმნება მოჩვენებითი მოვალეობანი და თამაშის დამთავრებისთანავე ქრება.

ცხოვრების, როგორც თამაშის აღქმაზე არაერთი ლიტერატურული ნაწარმოებია შექმნილი, როდესაც ზღვარი რეალობასა და წარმოსახვას შორის ირღვევა. თამაში წარმოსახვაა, ცხოვრებაც წარმოსახვაა.

ეს არის ადასა და ალეფის (მათი თაობის) გამოცხადებული ბრძოლა სმუტეკის, იგივე მშობლების თაობის წინააღმდეგ. ბრძოლა — თამაში, ოღონდ სასტიკი და დაუნდობელი, უშეღავათო. ბრძოლა ადამიანში პიროვნულობის განადგურების მიზნით. ეს არის თაობა, რომელსაც არ სურს პიროვნულობა, არჩევნის უფლება. მას სურს ღვთის ნაცვალი, ვისაც დაემორჩილება, ვისაც აღიარებს, ერთგვარ ზეადამიანად. ამ შემთხვევაში, ადასა და მისი თანატოლებისთვის ეს ალეფია, მათივე თანატოლი, აღმოსავლური ირაციონალური „ძალის" გამომხატველი, ძალისა, რომელიც, მათი აზრით, იდევნება ამერიკული და დასავლური რაციონალიზმის მიერ და რასაც შედეგად ტერორიზმი მოაქვს.

რომანში არის ეპიზოდები, რომლებიც პერსონაჟთა ეგზისტენციალურ შიშს წარმოაჩენენ. მაგალითად, სმუტეკს, „ძველმოდურ იდეალისტს", ველარ გაურჩევია ძველი და ახალი, ადრინდელი მიზნები გაუფასურებული ეჩვენება. რა სურდა, რისკენ მიისწრაფოდა: ოჯახური ბედნიერებისა და ღვთის რწმენისკენ? იყო კი ეს ჭეშმარიტი იდეალები? სჯეროდა კი ღვთი-

სა? ჰქონდა კი მიზანი: „ვიყურები მაღლა, მაგრამ იქ ვარსკვლავებიც გამქრალა, მათი დიდი ნაწილი უკვე მოკვდა, ხოლო გადარჩენილის შუქი სივრცეში უაზრო მგზავრობას ჰგავს“.

ადას მორალით, ადამიანს თანამედროვე სამყაროში გაძლებისათვის სპეციფიკური იმუნური სისტემა სჭირდება და აცრები, რაც გულისხმობს სწორედ ცინიზმს, შეურაცხყოფას, მორალის გაუქმებას.

სმუტეკს ჰყოფნის ვაჟკაცობა, ადას პიროვნული სიცარიელე ამხილოს, მაგრამ ეს გოგონასთვის მხოლოდ მსხვერპლის ფართხალია და სიცილის მიზეზი.

როგორი შეიძლება იყოს მამის თაობის დამოკიდებულება ამ უადამიანო პატარა ადამიანების, დედამიწის მომავალი მცხოვრებლებისადმი? ზიზღი თუ სიბრალული? თუ ორივე ერთად? სად აღიზარდნენ ამგვარნი? თითქოს რაღაც ვირუსი შემოიჭრა დედამიწაზე „თანამედროვეობის“ სახელით და დაიწყო ადამიანური გენეტიკური კოდების დაშლა. იმ მატრიცის შეცვლა, რომელიც ღვთისგან შექმნილ საიდუმლოდ ინოდებოდა. თაობა — „უგრძნობი“, დაღლილი სულით — თითქოს მამათა ცოდვების გამო დასჯილი, სხვათა უმადლობის გამომსყიდველი, თვით სიცოცხლის წინააღმდეგ ამხედრებული: „სმუტეკი ხედავდა პატარა, ცხოვრებისაგან სასიკვდილო განაჩენგამოტანილ 15 წლის გოგონას მოხუცის, უკვე დაბერებული სულით“. მათ მიწასთან აღარანაირი ფესვი აღარ აკავშირებთ — ისინი მხოლოდ „მფრინავ მასალად“ (ხანმოკლე საჭიროებისთვის რომ აწყობ და შლი) ქცეულან და თუ გინდა გაუგო მათ, ან თანამედროვე ლიტერატურას, შენც ამგვარ „მასალად“ უნდა იქცე.

რომანში კარგად არის გამოკვეთილი, რომ ამ თაობას მშობლებისგან, რომელთაც ჯერ კიდევ სჯერათ მაღალი იდეალებისა, აინტერესებთ პასუხები კითხვებზე: „სად იყო სულიერება, როცა გერმანელები სამყაროს ყველა მიმართულებით მარშირებდნენ, რომ ნახევარი დედამიწა სიკვდილითა და განადგურებით მოერწყათ? სად იყო სულიერება, როცა ბავშვები სხვების მოჭრილი თავებით ფეხბურთს თამაშობდნენ?“ ამაზე პასუხს არავინ სცემს და გამოიკვეთება მხოლოდ ეს მიზნები: საკუთარი თავის სიყვარული, ჟინი, ძალაუფლება და ფული. ამიტომაც დასკვნასაც ამგვარს აკეთებენ: „ვინ ვართ ჩვენ? ბავშვები არარაობის“.

ერთ ეპიზოდში ალეფი უზიარებს ადას თავის გამოცდილებას: „შენთვის ნაცნობია ეს გრძნობა? როცა უცბად ადამიანი დაასკვნის, რომ სრულიად უაზრობაა, რომელიმე ადამიანისთვის რაღაც აკეთო, რადგან თავად ადამიანი ხარ და იცი, რომ ნაკლებ იმსახურებს ამას? ამას რომ შეიცნობ ადამიანი, ყოველდღიურობის აზრიც იკარგება და ყველაფერი, რაც მანამ უკეთებია, მხოლოდ თამაშის ნაწილად იქცევა. ქრისტიანები, უბრალოდ, პრაგმატიკოსები იყვნენ თავიანთი მტკიცებით: გიყვარდეს მოყვასი შენი. მარტო ეს უნდა გამოეტოვებინათ: ისევე როგორც თავი შენი“.

ამგვარ საზოგადოებაში სულიერი სამყაროსთვის ადგილი აღარაა. ფიქრს ზნეობრიობად აღარც მიიჩნევენ, არამედ დროის დაკარგვად.

ეს არის თაობა მამების გარეშე, მისაბაძი იდეალის გარეშე, მეფეების და ღმერთების გარეშე, ყოველგვარ სურვილთა და მომავლისადმი რწმენის გარეშე, ყოველგვარი სამაგალითო წარსულისა და მოგონებათა გარეშე.

„ადა თავის მისიაზე დაფიქრდა, შემდეგ თავისი დედისა და უცბად შეშფოთდა. არც არანაირი მისია არ ჰქონდათ. ისინი თითქოს გასროლილ ისრებს ჰგავდნენ, რომლებიც თავიანთ სამიზნეს ასცდნენ და დაბლა დაცვენილნი დარჩნენ. იქნებ ვინმემ ჩაიარა და ადა შემთხვევით აღმოაჩინა, ხელახლა აიღო და კაპარჭში შეაცურა. ის ესწრაფოდა, რომ სამშვილდე დაეჭიმათ და გაესროლათ მიზნისკენ, გაფრენილიყო მიზნისკენ“.

ამ თაობამ შეწყვიტა ინტერესი გმირთა ცხოვრების მიმართ, მათ აღარც მტერი აინტერესებდათ. შეიძლება ითქვას, როგორც ასეთი, მათ არანაირი თაობა არ ეთქმოდა. უბრალოდ იყვნენ აქ, მხოლოდ როგორც რომელიღაც თაობის შვილები. ეს თაობა ველარ ასხვავებს ღვთისა და ეშმაკის ხმებს, მისთვის ყველაფერი სულერთია. თუმცა იციან, რომ სული გამუდმებით ისწრაფის ღვთის რწმენისაკენ.

რა არის კეთილი და ბოროტი? ამაზე ყველას თავისი პასუხი აქვს: მსგავსი თუ განსხვავებული. „შეგიძლია წაიკითხო ბიბლია, გრიმის ზღაპრები, ზიგმუნდ ფროიდი, ნაციონალ-სოციალიზმი, ადორნო, პოსტმოდერნიზმი... და ბოლოს იმის გააზრებამდე მიხვალ, რომ ყველაფერი იცვლება, მაგრამ ადამიანი აწმყოს ვერ შეიცნობს“, აწმყოს, რომელიც გამუდმებული არჩევნის წინაშე გაყენებს. კაცობრიობა კი თითქოს გაშმაგებული არის მზად დედამიწაზე არსებული დედა ბუნების უკანასკნელი წესრიგიც დაარღვიოს.

მათი აზრით, ერთადერთი, რაც ადამიანს გააჩნია და რაც მუდამ აკლია, ესაა დრო: „არაფერი აკეთო და არაფერი ისურვო, ერთადერთი ღირსეული საქმეა. დროის ღმერთს უნდა სცე პატივი“.

ეს თაობა საინტერესოდ განსჯის თანამედროვე პოლიტიკურ პროცესებსაც: „ნერვიულობა ამერიკის შეერთებული შტატებისა და მთელ მსოფლიოში ხმამაღალი ყვირილი გამოწვეულია იმით, რომ თავდამსხმელ უძლეველ ძალას შიში აქვს, თანაც, მალულად სჯერა, რომ არაა მართალი. ჰოლივუდი და ბიბლია განასახიერებენ ამერიკის კულტურას, ეს ორივე წყარო კი გვეუბნება, რომ დავითმა უნდა გაიმარჯვოს და ყაჩაღი კი დამარცხდეს. ვინც თავს მართლად არ გრძნობს, ის საფრთხეშია, მიუხედავად იმისა, რომ საპირისპიროს ამტკიცებს, მაინც საფრთხეშია“.

ადა ფიქრობს, რომ ცხოვრება განუწყვეტელი მოძრაობაა უფსკრულის თავზე გამავალ ვიწრო ზოლზე. ვიდრე ადამიანს სჯერა, რომ ესაა ორ გზას შორის ფერადი ზოლი, მშვიდად და თავდაჯერებულად მიაბიჯებს, მაგრამ როგორც კი მიხვდება, რომ მის ქვეშ ხრამია, მაშინვე ეჭვი ეუფლება და სასიცოცხლო ძალებს კარგავს.

მიუხედავად იმისა, რომ მწერალი ახალი თაობის შემაშფოთებელ უზნეობას ზედმიწევნით წარმოაჩენს, მას მაინც სჯერა, რომ ხსნა არსებობს. ძველსა და ახალ თაობას შორის მრავალგზის ნატანჯმა სიყვარულმა უნდა გადოს ხიდი. ამიტომაც არის, რომ რომანში ადასა და სმუტეკის გზები ერთმანეთს უერთდება და პერსპექტივაში ჩანს მათი თანხმიერება.

„ღმერთო ჩემო, დამაყენე ხსნის გზაზე“, — სიმღერის ეს ფრაზა რომანში პერსონაჟთა მიერ რამდენჯერმე თითქოს უფუნქციოდ მეორდება, მაგრამ მთელი რომანის მთავარ სათქმელს გამოხატავს.

თამაში კი დაე წიგნებში დარჩეს, მაგრამ ყოველდღიურობა ამტკიცებს, რომ ათასი ჯურის იდეოლოგიით შეპყრობილი ფანატიკოსები, რომანის უთვისებო გმირები წიგნიდან რეალობაში გადმოდიან და სიცოცხლის წინააღმდეგ სახიფათო თამაშს აგრძელებენ.

ნანა დემეტრაშვილი

# „ბედნიერება წამიერია“



— **თქვენი აზრით, რა არის უკიდურესი გაჭირვებული მდგომარეობა?**

— როდესაც იმედი გეწურება.

— **სად ისურვებდით ცხოვრებას?**

— მხოლოდ საქართველოში.

— **რა არის უმაღლესი ბედნიერება?**

— ვილაცას რომ ჭირდები და შეგიძლია თანადგომა.

— **თქვენი საყვარელი ლიტერატურული პერსონაჟები?**

— დროსთან ერთად ეს პერსონაჟები იცვლებიან...

— **თქვენი საყვარელი ისტორიული პერსონაჟები?**

— სულხან-საბა ორბელიანი, ექვთიმე თაყაიშვილი.

— **თქვენი საყვარელი მხატვარი?**

— ფიროსმანი, ბოსხი.

— **თქვენი საყვარელი კომპოზიტორი?**

— ჩაიკოვსკი, თაქთაქიშვილი.

— **რომელ თვისებებს აფასებთ ყველაზე მეტად მამაკაცში?**

— ერთგულებასა და მზრუნველობას.

— **რომელ თვისებებს აფასებთ ყველაზე მეტად ქალში?**

— მოთმინებას...

— **რომელი ადამიანური სათნოებაა თქვენთვის უფრო მომხიბლავი?**

— თანალმობა.

— **თქვენი საყვარელი საქმიანობა?**

— თანამზრახველთა პოვნა და მათ შორის ჰარმონიული ურთიერთობების დამყარება.

— **თქვენთვის ნაცნობი რომელი ადამიანი გინდოდათ ყოფილიყავით?**

— რაკი უფალმა ასეთი შემქმნა, ალბათ, ჩემი ხვედრი ასეთი უნდა ყოფილიყო.

— **თქვენი ხასიათის მთავარი თვისება?**

— სხვებზე ზრუნვა.

— **რას აფასებთ ყველაზე მეტად მეგობრებში?**

— ყურადღებას.

— **თქვენი მთავარი ნაკლი?**

— ფიცხი ვარ.

— **თქვენი წარმოდგენა ბედნიერებაზე?**

— ბედნიერება წამიერია.

— **რა იქნებოდა თქვენთვის ყველაზე დიდი უბედურება?**

— მომავლის რწმენის დაკარგვა.

— **როგორი გინდოდათ ყოფილიყავით?**

— უფრო პრაგმატული.

— **თქვენი საყვარელი ფერი?**

— შავი და თეთრი.

— **ყვავილი, რომელიც ყველაზე მეტად გიყვართ?**

— იასამანი, გვირილა, ზამბახი.

— **თქვენი საყვარელი ფრინველი?**

— არწივი.

— **თქვენი საყვარელი მწერალი?**

— მიხეილ ჯავახიშვილი, ოთარ ჩხეიძე, ნოდარ დუმბაძე, ბალზაკი.

— **თქვენი საყვარელი პოეტები?**

— დავით გურამიშვილი, მურმან ლებანიძე, მუხრან მაჭავარიანი, მორის ფოცხიშვილი.

— **საყვარელი ლიტერატურული გმირი ქალები?**

— ქეთევან წამებული, ოთარაანთ ქვრივი, მზალო.

— **საყვარელი გმირები რეალურ ცხოვრებაში?**

— თედორე მღვდელი, დავით აღმაშენებელი, ჩვენი პატრიარქი — ილია მეორე.

— **საყვარელი გმირი ქალი ისტორიაში?**

— ყველა ის ქალი, ვინც შეეწირა ოჯახს და სამშობლოს...

— **საყვარელი სახელები?**

— გიორგი, მამუკა, პაპუნა, ბაჩანა, ანა, ბარბარე.

— **რას ვერ იტანთ ყველაზე მეტად?**

— ტყუილს.

— **ისტორიული პიროვნება, რომელმაც თქვენი ზიზღი დაიმსახურა?**

— ჰერცოგი ალბა, რიშელიე, შადიმან ბარათაშვილი.

— **საომარი მოქმედება, თქვენი აზრით, ღირსი მეტნაკლები აღტაცებისა?**

— დიდგორი, მარაბდა, ასპინძის ბრძოლა.

— **რეფორმა, რომელსაც თქვენ განსაკუთრებით უმაღლეს შეფასებას აძლევთ?**

— ბატონყმობის გადავარდნა.

— **ნიჭი, რომელსაც გინდათ ფლობდეთ?**

— ცეკვის.

— **თქვენი სულიერი მდგომარეობა ამჟამად?**

— მერყევი...

— **ქმედებანი, რომლებიც თქვენს შემწყნარებლობას იმსახურებენ?**

— უნებლიე შეცდომები.

— **თქვენი დევიზი?**

— რწმენა უპირველეს ყოვლისა!

— **თუკი ოდესმე შეხვდებოდით ღმერთს, რას ისურვებდით, რომ მას თქვენთვის ეთქვა?**

— კვლავ მოთმინება და მოთმინება!..

როსტომ ჩხეიძე

# ცეცხლი და თივა და ათასი წელი

**სად მიდის ცეცხლი,**
**თივის ზვინების დაწვის შემდეგ**
**სად მიდის ცეცხლი?**

ნეტა მართლა სად მიდის ცეცხლი, როდესაც ისე ჩაინაცრება თივის ზვინები, ნატისუსალიც აღარ დარჩება?

ცეცხლი არა ყოველი მისი გაბრიალებისას, არამედ მაინცდამაინც თივის ზვინების დაწვის შემდეგ?

ღრმა ლირიზმი უჩვეულო არ არის მამუკა წიკლაურისათვის, ფაქიზი ნახევარტონები, შეფარული მინიშნებანი. ეგებ ეს თავისებურებანი არსებითად სულაც არ განსაზღვრავდეს მის პოეტურ ფიქრებს, მაგრამ დროდადრო რომ შემოგვანათებენ ექსპრესიული ძალით, ესეც თვალნათლივია.

თეიმურაზ დოიაშვილის ის მართებული დაკვირვება — ამ ლექსებში გარესამყარო შინაგანი ხილვის პრიზმაში რომ არის გარდატეხილი და პოეტის პეიზაჟებიც იმდენად ობიექტური სინამდვილის სურათებს არ წარმოგვიდგენენ, რამდენადაც ლირიკოსის სულის ვითარებას — ამ რკალის ნიმუშებში ყველაზე ხელშესახებია, „სად მიდის ცეცხლი..." რომლის ერთი საუკეთესო გამოხატულებაცაა; და ამიტომაა, რომ ეს პაწია ლექსი ბევრგვარ საფიქრალს გვიჩენს, და თუნდ იმ მხრივაც მეტად საგულისხმოა, ის ზოლი რომ გაიელვებს, ულრმესი სიფაქიზისა და ეროტიკის გადაკვეთაზე რომ იქმნება.

როგორ გინდა ეს ზოლი შეინარჩუნო?

მაგრამ თუ ძალიან, ძალიან გნადია მისი მიგნებაც და მხატვრული ხელოვნებით ამეტყველებაც?

მაშინ კიდეც უნდა გაჰყვე იმ კვალს, თუ სად მიდის ცეცხლი თივის ზვინების დაწვის შემდეგ.

არა, მაინც სად მიდის ცეცხლი?!.

მძაფრი ტრაგიზმი მსჭვალავს პირველივე სტრიქონებს, საბედისწერო ჟამის ჩამოდგომის წუთებს ჩვენს ისტორიაში: გადაშალეს ფრესკები კირით!..

ოლონდ ამ ტრაგიზმს სულ სხვა სუნთქვით ალავსებს მიმართვა: ჩემო ლამაზო.

ეს დაზუსტება ტრაგიკულ სურათს ერთბაშად იმ განზომილებას ანიჭებს, რომელ ფონზეც არა მოულოდნელ, არამედ ყველაზე ლოგიკურ ფიქრად ჩნდება ეს ნაკადი, რომ:

— სად წავიდა ალუბლების ტანის ზრიალი?

— ირმების თეთრი მყვირალობა სად გადავარდა?

და დაგვირგვინება ამ იდუმალებაში ხელისცეცებით ბორიალისა:

— სად მიდის ცეცხლი, თივის ზვინების დაწვის შემდეგ სად მიდის ცეცხლი?

ცეცხლი და თივა გრიგოლ აბაშიძის პოემაში „გიორგი მეექვსე" უკვე მინიშნებულიყო დიდი, ამაღლებული სიყვარულის მეტაფორულ სავანედ, გვარამ მარგველისა და ნათიას უზენაესი შერწყმის სიმბოლურ ხატად, ეროტიკისა და ულრმესი სიფაქიზის გადაკვეთის ზოლად, იდეალური თანხმობით რომ გადაჭდობოდნენ ერთიმეორეს:

**ალარ ვამბობდი ბედის საჩივარს,**
**არ ვიყავ ღვთისთვის მეტის მთხოვნელი.**
**ერთად ვიყავით ცეცხლი და თივა, —**
**და თავისთავად მოხდა ყოველი.**

ცეცხლი და თივა არ არის რალაც უჩვეულო მხატვრული მონაპოვარი, მოულოდნელად მიგნებული მეტაფორები სიყვარულით ალვსილი ორი ადამიანის განცდათა გადმოსაცემად. და მაშ რა იწვევს ორი საპირისპირო პოლუსის ასეთ მოხდენილსა და მართლაც იდეალურ შერწყმას? სტრიქონებს შორის დარჩენილი მხატვრული სიცარიელე, რომელსაც ძალდაუტანებლად ალავსებს მკითხველის წარმოსახვა, რაკილა მისთვის საცნაურია ამ ორი პერსონაჟის ვნება-განცდათა სიწმინდეც და ექსტაზური ალზევებაც.

გვარამ მარგველი ხომ ის პიროვნებაა, ვისაც შეუძლია თამამად გაუსწოროს თვალი თვით თემურ-ლენგის მრისხანე მზერას და წამიერადაც ვერ შეაკრთოს მოსალოდნელმა სიკვდილმა. იგი ხომ ისაა, ვისაც — გრიგოლ აბაშიძის ნებით — უნდა მიეწეროს იმ ისტორიული წერილის შედგენა, გიორგი მეექვსე ბრძოლას — და არა მორჩილებას — რომ უცხადებდა ამხელა იმპერიის მბრძანებელს, და ამ სიმართლის გამჟღავნებამ კი გვარამის მარჯვენა უნდა იმსხვერპლოს, რაკილა თემურ-ლენგი არ აპატიებდა ასეთი „თავხედური" წერილის შედგენას.

ამ ბუნებისა და ექსტაზის კაცისაგან სიყვარულის სწორედ იმგვარი გზნებაა მოსალოდნელი, ცეცხლისა და თივის მეტაფორულ გააზრებაში რომ უნდა განივთდეს, და თანაც ისეთ დროს, როდესაც ეს მხოლოდ მეტაფორები კი ალარ იქნებოდა, არამედ პეიზაჟური ფონიც — ნათიასთან ერთად იგი მღვიმეშია თავშეფარებული და ის გარემო ისედაც გაიჟღინთებოდა თივის სურნელით.

სად მიდის ცეცხლი, თივის ზვინების დაწვის შემდეგ სად მიდის ცეცხლი?

თივის ხატი კიდევ სხვაგანაც ჩნდება ულრმესი სიფაქიზისა და ეროტიკის გადაკვეთის ზოლზე, ორი პოლუსი უცნაურად რომ ერთიანდება და გარწმუნებს, რომ მოჩვენებითი ყოფილა მათი დაპირისპირება თუ შეურიგებლობა, რადგანაც პოეტურ გუმანს შეუძლია მიაგნოს იმ ზოლს, სიყვარულის დითირამბი ყველაზე გრძნეულად საიდანაც შეიძლება ამოიზარდოს.

რენე კალანდიას „თივისა და გოგოს ბალადა" სწორედ ამ უჩვეულობით სუნთქავს და ცდილობს კიდევ ერთხელ შეგვაგონოს, რომ ყველაზე დიდ სიმბოლიკასა და განზოგადებას ყოფითობა იმარხავს, მისი განუმეორებელი ხიბლი.

**ყველაფერში დამნაშავე იყო თივა**
**(თითქოს ყვება ისტორიულ ამბავს)...**
**ყველაფერში დამნაშავე იყო თივა,**
**ზაფხული და ჩემი მოკლე კაბა.**

ეროტიკაა? ვითომდა შეფარული, არადა, უკიდურესად გაშიშვლებული? და სიფაქიზე სადღაა, თანაც ულრმესი?

სტრიქონსა და სტრიქონს შუა მოჟონავს, პოეტისათვის ჩვეული მინიშნებანი და განწყობილებანი ასულდგმულებენ და სხვაგვარ განზომილებაში გადააქვთ „ვარსკვლავები უპირველეს ღამისაც“ და „უცნაურად მოცახცახე წამიც“, „თივის სუნი და ნაცნობი სუნთქვაც“ და ის უჩუმარი გაქრობაც („წავიდა და არაფერი უთქვამს“), უნებურად ანტიკურ და ბიბლიურ ჟამს რომ მოგალანდებს, და იმ მითოსის კვალს დაგადასტურებინებს ყოფით რეალობაში, ღმერთები ადამიანთა ასულებს რომ ეულლებოდნენ და ამ მოცახცახე წამთა არსებობა მანამდე სჯეროდა და დაბეჯითებითაც სჯეროდა კაცობრიობას, ვიდრე ამ ციკლს ქრისტიანული მითოსი დაადგებოდა გვირგვინად და ახალ საფეხურზე აზიდავდა წარმართულ მითოლოგიასა თუ ძველი აღთქმისეულ სახისმეტყველებას.

— ყველაფერში დამნაშავე იყო თივა... ყველაფერში დამნაშავე იყო თივა, — ორ-ორჯერ უნდა განმეორდეს ყოველ სტროფში და რეფრენად კი აღარ წარმოგვიდგებოდეს, არამედ ლექსის უმთავრეს საყრდენად, ლექსისა, რომლის ულრმეს ინტიმსაც ოდნავ აზიანებს მინანერი: ლატვიური ბოსლიდან.



მხატვარი ბადრი გაგნიძე

თითქოს დიდი ვნებანი და განცდები ერთბამად დამინებულიყოს.

არა, აუცილებელი სულაც არ არის, რომ ბოსელი ნატურალისტური გარემოს ანარეკლად მივიჩნიოთ, და სავსებით შესაძლოა ასოციაციურად გაჩნდეს შუამდინარული მითოსის ხატ-სიმბოლოები, სადაც ბოსელს ამაღლებული, ღვთიური გარემოს მნიშვნელობა და შინაარსი ენიჭება, მაგრამ ზედმეტი გადატვირთვა არა ღირს, არც ამგვარი დაზუსტებანი, და თუ წაიშლება ეს მინანერი, ეგებ სჯობდეს, ანდა „ბოსლის“ ნაცვლად „მოტივი“ ან „ციკლი“ ითქვას და... ოდნავადაც აღარაფერი მოგვჭრის ყურს.

აქ კი თივა აღარსად კრთის — არც ხელშესახებ ხატად და არც ფარულ მინიშნებად... და მაინც, რატომ ვგრძნობთ მის სურნელს დავით წერედიანის ერთ უსათაურო ლექსში, რომელშიც:

**...გაივლის წელი ათასი**
**და, გზად, მაისის დილით,**
**შევხვდებით როგორც სწორები,**
**როგორც ჩათქმული წყვილი.**

ორი უკიდურესი, ერთმანეთის საპირისპირო განცდის თითქოსდა უცნაური შეხვედრა.

ულრმესი სიფაქიზე.

და, იმავდროულად, ეროტიკის მოტივი, რომელიც კიდევ უფრო უნდა გაღრმავდეს და დიდ ვნებათაღელვასაც მიაღწიოს, მაგრამ სიფაქიზეც თან უნდა გაჰყვეს, როგორც მისი გადამკვეთი ზოლი; და ის განზომილება გაგვიცხადოს ამაღლებული და წამლეკავი გზნებით, რომელიც ერთიანად გვშთანთქავს მითოსური პერსონაჟებივით, რათა ფერნაცვალნი მოვევლინოთ კვლავაც სამზეოს:

**კარგია ღამე, სასთუმალს**
**შენი ჩურჩული თბილავს.**
**სად გადის ჩემი სარკმელი.**
**არ გაუმხილო დილას.**

„ჩურჩულის თბილვა“ ის ბედნიერად მიგნებული განცდა და სიტყვათშეთანხმებაა, ლექსის შინაგანი სტრუქტურა რასაც უნდა დაყრდნობოდა და სიფაქიზით გაეჟღინთა მაისის დილისა და ჩათქმული წყვილის უცნაური ნეტარება, ათასი წელი რომ უნდა გაძლოს ისე ამ წუთებმა, საიდუმლო სამარადჟამოდ შენახული დარჩეს.

ბოლოსდაბოლოს, სხვა რა არის ათასი წელი ჟამთასვლისათვის, თუ არა ერთი დღე?

არა ყოველი ერთი დღე, ცხადია.

არამედ დიდ სივრცეებს შეტოლებული — უჩვეულო აღზევებისას.

ამას შეგვაგონებს დავით წინასწარმეტყველი.

ვაჟა-ფშაველაც ამასვე მიგვანიშნებს.

და რა გასაკვირია, ათასი წლის გადაკვეცვას კიდეც რომ დაველოდოთ მოცახცახე დღითაც შთაგონებულნი.

აკი ერთი ამდენი უკვე გამოვიარეთ გიორგი ლეონიძის „ყივჩაღის პაემანით“ გულშეძრულებმა, ყოველგვარი ზღუდე და ჯებირი ერთბაშად რომ ჩაიმსხვრეოდა ჩვენს წინაშე, აღარც ეროვნულის, აღარც რელიგიური სიწმინდეების ნასახიც აღარ დარჩებოდა გახელებული მიჯნურის მიერ შემომტვრეულ გზებზე, განცდათა უკიდურესობისათვის რომ მიეღწია და, თავზეხელაღებულად შეგებებული სიკვდილს, კვლავაც ნანდაურს გამოიხმობდა ათასწლოვანი გადასახედიდან:

**მოდი!**
**გეძახი ათას წლის მერე,**
**დამნაცროს ელვამ შენი ტანისა,**
**ვარდის ფურცლობის ნიშანი არი**
**და დრო ახალი პაემანისა!..**

ეროვნული ბიბლიოთეკა

„დამნაცროს" სწორედ ის ზმნაა, ექსტაზური გახელება რომ უნდა ჩაიხვიოს თავის გარსში და ამ დიდი, დაუოკებელი ვნებათაღელვის ფონზე კი... უეცრად იდილიური სიმშვიდე შემოიჭრას, ვარდის ფურცლობის ნიშნით აღვსილი და იმ ახალი პაემანის მომლოდინე, ყივჩაღს რუსთველური ასოციაციებით რომ გათანგავდა და მის ეროტიკულ სწრაფვაში ჩააფენდა იმ ულრმეს სიფაქიზეს, ერთბაშად რომ ვერც იჯერებ, უკანასკნელი ორი სტრიქონი თუ აგვირგვინებს სიშმაგის იმ აპოთეოზს, ყივჩაღურ სიყვარულში გამოხვეულ განცდებს რომ მოუტანია ჩვენამდე უჩვეულო მხატვრული აღმაფრენით.

ინტერპოლატორის ნახელავი ხომ არ არის?!.

მაგრამ გიორგი ლეონიძეს სწორედაც მარჯვედ უნდა გამოეყენებინა კონტრასტის ძალა და ორი უკიდურესობის გადამკვეთი ზოლი პოეზიის სავანეში დაებინადრებინა.

ათასი წელი რომ უნდა გაძლოს ისე ამ ნუთებმა, საიდუმლო სამარადჟამოდ შენახული დარჩესო...

დილამაც ვერ უნდა ამოხსნას, ვერ გაშიფროს სიფაქიზისა და ეროტიკის ზოლზე გასრიალებული ჩურჩული და მასში ჩაძირული სასთუმალი, თივისა არ იყოს, ყოფითი საგანიც რომ არის და ამაღლებული სიმბოლოც ერთსა და იმავე დროს, თორემ წამიერ განწყობილებას გადაჰყვებოდა და თავის წიაღში ვერ დაიუნჯებდა იმ სიბობოქრესა და მღელვარებას, ცეცხლად რომ იცის მოსკდომა და ყველაფრის ჩაბუგვა და ჩაფერფვლა, გარდა იმ ერთის, ერთადერთის, იმ უზენაესის...

* * *

მაინც სად მიდის...

ვინ აგვიხსნის, ვინ მიგვახვედრებს, სად გადის ჩვენ-ჩვენი სარკმელი, რას ინახავს უცნაურად მოცახცახე წამი და სად მიდის ცეცხლი, თივის ზვინების დაწვის შემდეგ სად მიდის ცეცხლი?..



ნიკოლოზ ჩუბინიძე

# ხორცის ფასი

## (მხოლოდ გურმანებისთვის)

როგორა ხარ?! მომინდა შენთვის მომეწერა... — იცი, ახლა ძალიან ცუდადა ვარ, ყველა და ყველაფერი მეზიზღება...

შენ გესმის რომ მე აქ, ამ დამპალ გერმანიაში, ამ მიყრუებულ სოფელში მარტოდმარტო ვარ გაჩხერილი და ისტერიკაშიც ხშირად ვვარდები — შეშინებული და დაბნეული. თითქმის ყოველდღე ვსვამ — ხან ვისკის, ხან ტრანკვილიზატორს, ხან ტყეში დავბორიალობ, ძალიან ლამაზი ტყეა — ნაძვნარი...

იცი რა? გაურკვევლობამ შემჭამა, მეგონა, აქ წამოსვლა და მარტო ყოფნა მიშველიდა, ესეც სისულელე აღმოჩნდა. გამიჭირდა, ძალიან გამიჭირდა, მაგრამ რა ვქნა, ვუვლი ამ მოხუცებულ ცოლ-ქმარს და ვარ. კარგად მიხდიან. წინასწარ ვიცი შენ რასაც გაიფიქრებ და მიპასუხებ, თუ მიპასუხებ საერთოდ: აქედან როგორ გიშველოო. ისიც კარგად ვიცი, რომ ეს სიტყვები იქაური დევიზია და არამარტო იქაური — მთელმა ქვეყნიერებამ შეიძლება მოირგოს.

როგორც ჩანს, ყველამ თვითონ უნდა უშველოს საკუთარ თავს, ვერავინ ვერავის ვერ უშველის. ამას რომ ვხვდები, ამიტომაც ვგიჟდები...

ზუსტად ვიცი, რომ გიკვირს ჩემი, მაგრამ ასეა, შენი პატარაც ფიქრობს ხოლმე ასეთ რალაცეებზე, თუმცა უნდა გითხრა, რომ სულ ტყუილად, მაინც ვერაფერი გავიგე და ამოვხსენი... ახლა, ამ წუთს გამახსენდა ყველაფერი და გული მერევა შენზეც, ჩემზეც, სექსზეც და ჩვენს უტვინო ქვეყანაზეც. აი ასე, ამის თქმა მინდოდა! ისე, შენ რას გერჩი, არა?.. არაფერს, ჩემო კარგო, უბრალოდ, რალაცნაირად ისე ვიყავი, ვინმეს რომ არ დაველაპარაკებოდი, გავგიჟდებოდი...

ხანდახან, იცი, რა მემართება? ვიცი, რომ აქ ვარ, მაგრამ თითქოს მაინც მანდ ვარ თქვენთან. ძალიან დაბნეული ვარ.

გახსოვს, შენ რო მეუბნებოდი: ასე ამბობდა ერთი კაცი: — „ოჰ, მარტოობავ, სამშობლოვ ჩემოო", აი ასე ვარ და ამიტომაც მოგწერე. ამ მარტოობის განცდამ გამაგიჟა...

შენ ხო იცი, მე ერთი უბრალო ქალი ვარ და ასევე უბრალოდ მოვკვდები, არავის შეგაწუხებთ!

მომიკითხე შენი რესპექტაბელური მეუღლე! აბა, რატო თუ მიხვდები? კარგი, ჰო, არ გაბრაზდე! მოკლედ, შენ იცი... თავს მიხედე!

### პასუხი

რამდენი ხანი გავიდა. რა გითხრა, აღარ ვიცი. არც შეცვლილხარ, ისევ ისეთი ხარ. სულ იმას გთხოვდი, ნუ ხარ ასე იმპულსური, შენთვისაა ცუდიმეთქი.

ეს უცხოეთში გაქცევაც რას აიჩემე, მართლა მომვლელი ქალი ხო არა ხარ?! არ ვიცი, რა გითხრა, როდის იყო შენ მე მიჯერებდი...

მე ვარ ძველებურად, ვპატრონობ ამ ჩემს შვილებს. უფროსი ახლა ინგლისში მიდის სასწავლებლად, პატარები ბაღში დადიან, სამსახური, სახლი. მოკლედ, ვარ განამანიაში.

აქ ბევრი რამ შეიცვალა, ვერ იცნობ აქაურობას. ფინანსურად მეც არა მიშავს. ახლა ღამის სამი საათია და მაინც საშინლად ცხელა. მერე მოგწერ კიდევ. აბა შენ იცი, როგორ იქნები. გაუძელი! ტელეფონის ნომერს რატომ არ მწერ? დაგირეკავდი!

### პასუხის პასუხი

მომისმინე, არ შემეძლო რომ არ მომეწერა. ვერ წარმოიდგენ, რა მოხდა, მეც არ ველოდი, მართლა, მართლა გეუბნები. მოკლედ, სერბია ერთი, რაღაც მინის საკითხებით იყო დაინტერესებული, აქ იყო ჩამოსული. ...მოკლედ, გავთხოვდი... არ მითხრა ახლა, უცხოელს როგორ მიეციო... ისე, რომ იცოდე, ჩემი ქმარი შენზე მაგარი კაცია. მართლა კი არა, გეხუმრები, რა დებილი ვარ! არ გაბრაზდე!

პატარა გოგუცა მყავს, ქერათმიანი. ჩემი ქმარი გოცას ეძახის, მე მგავს. არ შემეძლო შენთვის არ მეთქვა ეს ამბავი... ისე მშვიდადა ვარ. მთელი ევროპა მოვიარე, ვტკბები საკუთარი სიამოვნებებით.

მინდა გითხრა, რომ არაფერი არ მაკლია, ქმარი ყველა კაპრიზს მისრულებს. მთავარია, რომ შვილი მყავს და დავწყნარდი. ვმუშაობ. მოკლედ კარგად ვარ. გახსოვს, მაშინ რო მოგწერე? მაპატიე მაგ წერილისთვის, გალიზიანებული ვიყავი, თავს ვერ მოვერიე. გკოცნი, თავს მიხედე! მეტს აღარ მოგწერ ალბათ. არ გეწყინოს!

### პასუხის პასუხის პასუხი

ძალიან ცუდ დღეში ვარ. ნანა სამსახურიდან გაუშვეს, პრობლემები ჰქონდა, მეც ზედ მიმაყოლეს. ეს ჩემი უფროსი შვილი ნარკოტიკებზე დაიჭირეს. შენ გესმის, რა მჭირს? შეგიძლია წარმოიდგინო, რა დღეში ვარ?! ნანამ ყველაფერი გაყიდა და მეუბნება, რომ არც არასოდეს ვყვარებივარ, რადგან სულ მაგის სათრევი ვყოფილვარ თურმე და ახლა კიდევ მეუბნება, დედაშენთან წადიო. იქნებ სთხოვო შენს ქმარს და ცოტა ფული მასესხო და გამომიგზავნო, ვალები დამედო, მაგრად გავიჭედე.

ყველამ მიმატოვა. შენ რომ გერმანიაში იყავი, იმაზე ცუდად ვარ. სმა დავიწყე, მევალეები დამდევენ. იქნებ დატოვო ყველაფერი და ჩამოხვიდე ჩემთან, თორემ შეიძლება ცოცხალიც აღარ დაგხვდე... მაპატიე, თუ რაიმე დამიშავებია შენთვის, შენს იქით გზა არა მაქვს. ვიცი, რომ ჩემი არ გჯერა, მაგრამ შენ გარდა ვის რა ვუთხრა?! ახლა ვსვამ. მენატრები ძალიან. გელოდები! პასუხი გამაგებინე! ტელეფონი მითხარი და დაგირეკავ.



მხატვარი ირაკლი ჩიქოვანი

### პასუხთა პასუხი

როგორც ჩვენს მწერლობაში დამკვიდრებულა, ჩვენც ისე უნდა დავამთავროთ!

მიმოწერა აღარ გაგრძელებულა. დღემდე არც ერთის ბედის შესახებ უწყის ვინმემ რაიმე და არც მეორის. ამ ორგე-მაგე წუთისოფელში ხომ ისედაც ყველაფერი არეულ-დარეულა და გადასხვაფერებულა. აბა ვის უნდა გაუკვირდეს მსგავსი ეპიზოდები ცხოვრებისა, ჩვენც ხომ ჩვენი სატკივარით პირთამდე აღვსილვართ, ჩვენც ხომ ჩვენი ადგილისთვის ვიბრძვით ამ უგზოუკვლო ქვეყანაში.

ეს წერილებიც ჩვენი დროის სიმძაფრეა, ტკივილიც ადამ-ევურია და მწერლობაც სწორედ მათი მოდგმისთვის თავგანწირვაა — ამისთვისაა — ამის მიგნებაა. სხვანაირად, ცხოვრებაც ამ მოთხრობის გმირებივით შორიდან მიმოწერას დაემსგავსება.

ერთად ყოფნა, თანაგრძნობა და შველაა ცხოვრება, სხვა ყველაფერი თვალის გასახარელი თამაშია მხოლოდ და არა გულის. თუმცა თუ ამ თვალის გასახარებელ მორევში თავიდანვე არ შეტოპავ, მარტოობისთვის ხარ განწირული და მერე, ნაპირზე გარიყულს, გაგიძნელდება მდინარეში ხელმეორედ შეცურვა. მორევში დაბრუნებაზე აღარაფერს ვიტყვით. ნაპირზე ყოფნა კი, მოგეხსენებათ, რჩეულთა ხვედრი და მეტად მტკივნეული არჩევანია...

მეტაფორების ხანაც გასრულებულა, როგორც სიზმარი ერთი ღამისა, ხისტი სოფელიც ჩვენს თვალწინ ლივლივებს და ამ მოთხრობის გმირებივით ციბრუტივით თავის ნებაზე გვატრიალებს...

ახლა კი დროა მწარე რეალობას დავუბრუნდეთ და ერთი წუთითაც არ დავივიწყოთ, რომ ხორცის ფასი სუპერმარკეტებში კატასტროფული სისწრაფით იზრდება!

ეროვნული ბიბლიოთეკა

იოსებ იარლანაშვილი

# ცრემლის ნამცხვარი

## (კულინარიული ნოველა)

მოსამზადებლად საჭიროა:
პერსონაჟები: ბიჭი – 15 წლის;
გოგონა – 16 წლის;
მემანქანე – 51 წლის;
დეიდა – 56 წლის;
მეზობელი ქალი – 48 წლის;
სადგურის პოლიციელი – 47 წლის;
წარმოსახვა;
სასვენი ნიშნები – საჭიროებისამებრ;
ეპითეტები – სურვილისამებრ;
შედარებები – გემოვნებით.

მომზადება:

დასანყისის დროდ ავირჩიოთ ზაფხულის ჩახუთული მთვარიანი ღამე, ადგილად – მატარებელი, რომელიც პროვინციიდან ქალაქში ბრუნდება. ვაგონები უნდა იყოს ძალიან ძველი, ჩამსხვრეული მინებით, ალაგ-ალაგ მბჟუტავი ჭუჭყიანი ნათურებითა და ხის სავარძლებით (ზედ რომ ავტოკალმებითა და წვეტიანი, ბასრი საგნებით ამოჭრილი წარწერები ექნებათ ამოკაწრული), იატაკზე ეყაროს სიგარეტის ნამწვავები, ტკბილეულობის ქაღალდები და საკვების ნარჩენები.

ვაგონში, აუცილებელია, იყოს ხალვათობა, აქა-იქ, ჩამსხვრეულმინიან სარკმელთან ცარიელი მერხები...

ბიჭი დავსვათ ქალის გვერდით. სასურველია, ქალი ბრუნდებოდეს სოფლიდან – ფეხებთან ედგას სავსე ჩანთა, რომლის სახელურები გამუდმებით ხელში ექნება ჩაბღუჯული...

მატარებელმა იაროს მდორედ და ხმაურით – ასაკსა და სიღარიბეს ყოველთვის ბევრი აქვთ სათქმელი, აუგი – მით უფრო. ვაგონები ისე იხრიგინებენ, თითქოს ერთმანეთი მობეზრდათ და გაქცევ-გამოქცევა გადაწყვიტეს... მგზავრებს ექნებათ დაღლილი სახეები და მობეზრებული მზერა, რომელსაც დროდადრო უცნობ სარკმელში გამკრთალ შუქს გაუტოლებენ... დრო – უხილავი გზა და გზა – ხილული დრო ერთმანეთს უნდა სჯაბნიდნენ სიზანტეში...

ბიჭსაც მოვაბეზროთ მგზავრობა და შავი პეიზაჟების ცქერა და ტამბურში გამოვიყვანოთ...

ტამბურსა და საპირფარეშოში ნათურები უთუოდ ჩამსხვრეული უნდა იყოს. ამიტომ აქ იქნება სიბნელე, რომელსაც ეპიზოდურად მთვარის შუქი მიითვისებს. სიბნელეს მყრალი სუნიც ეხლება, რადგან დაუსუფთავებელი საპირფარეშოს კარს მუდამ ღიად ტოვებენ...

ბიჭი ჯერ საპირფარეშოში შევუშვათ. აქ სიმყრალე უფრო აგრესიული იქნება, მიუხედავად იმისა, რომ სარკმელი ჩამსხვრეულია... აქაც სიბნელე და მთვარის შუქი უარყოფენ ერთმანეთს...



ბიჭი ისევ ტამბურში – ჩამოღებულ სარკმელთან დავაბრუნოთ. მან სიბნელეში უნდა იცქიროს და საკუთარ ცნობიერებაში უნდა იხეტიალოს, იფიქროს ერთდროულად ყველაფერზე და არაფერზე...

აუცილებელია ასე გაგრძელდეს რამდენიმე წუთი, რათა ბიჭმა სიბნელეს თვალი შეაჩვიოს და ტამბურის კუთხეში მიყუჟული ადამიანი შეამჩნიოს...

ადამიანი, გარდაუვალად, უნდა იყოს გოგონა. ბიჭი მოკრძალებული მზერით მხოლოდ ერთხელ შეხედავს მას. ქალი მისთვის როგორც გალაქტიკა – უცნობი და უცხო სამყაროა...

გოგოს კი მამრი სწყურია. ამიტომ იგი მივიყვანოთ ბიჭთან. რამდენიმე წუთი მათ ერთმანეთს მდუმარედ უნდა უცქირონ. უსიტყვოდ მოხვდება ბიჭის ხელიც გოგოს ხელში...

ბიჭი არანაირ წინააღმდეგობას არ გამოხატავს. დუმილი ისევ აუცილებელია, რადგან სიტყვები სურვილსა და შიშს გააშიშვლებენ...

გოგო ურყევ თანხმობას იგრძნობს და ბიჭს საპირფარეშოსკენ წაათრევს. ბიჭიც მორჩილად (ამასთან, დაბნეულიც) გაჰყვება მდედრს...

საპირფარეშოში ისევ მყრალი სუნი და სიბნელე იქნება მასპინძელი. მთვარის შუქიც ისტუმრებს... რადგან მატარებელი მოხვევის მხარეს შეიცვლის...

...გოგოცა და ბიჭიც საამო თნების წინათგრძნობით იქნებიან აღგზნებული. ბიჭს დაბნეულობა გაახევებს, რადგან უცხო ხელები მის სხეულზე ქსოვილის უარყოფას დაიწყებენ... სახეზე თბილ სუნთქვასთან ერთად ნოტიო შეხებასაც იგრძნობს... მდედრის ვნება ორივეს აალებს... ბიჭის სხეული წყურვილით გაყრუვდება, მისი ხელები ჯერ გრძელ თმებს დაჭმუჭნიან, მერე მდედრის მითვისებას დაიწყებენ და... ამ წუთიდან ბიჭი გახდება მამრი...

შემდეგ ძველი ვაგონის ამყრალებულ საპირფარეშოში, სადაც ერთდროულად ახმაურდება სამყაროს ყველა მატარებელი, სიბნელეს კი ტოტებიდან დამძვრალი მთვარის შუქი ისეთი გაავებითა და თავგამეტებით დასჩხვლეტს, როგორც საკერავი მანქანის ნემსი მოტნეულ ქსოვილს, განქარდება ის, რაც ბიჭისთვის (და არა მამრისთვის) ამიერიდან იქნება განუცდელი – მდედრის სხეულთან პირველი აღრევის გემო...

...გოგო ისევე უნდა გაუჩინარდეს, როგორც დამცხრალი ვნება... თნებით გახევებული ბიჭი, ვიდრე საკუთარ სხეულზე ანგარიშმიუცემლად ქსოვილის წესრიგის აღდგენას დაიწყებს, სიბნელის ხანმოკლე უძრავი ნაწილი იქნება... ხმაური დაცხრება... პასიური გახდება მთვარეც...

ანაზდად ბიჭი აღმოჩენას გააკეთებს – მომუჭულ ხელს სახესთან მიიტანს... მთვარის შუქი ახლა მას როგორც

არასდროს, ისე დასჭირდება... მთვარეც არ უღალატებს – ბიჭი ხელის გულზე საყურეს დაინახავს – ბრჭყვიალათვლიან პატარა ლითონის რკალს...

...ბიჭი ხელს უმალ მომუჭავს, რადგან ვაგონი ტორტმანებს და საყურის დაკარგვის შიში იქვე, გვერდით დგას...

ბიჭი ტამბურში გამოვიყვანოთ, ჩამოღებულ სარკმელთან. მისი ერთადერთი ჭირისუფალი ახლა ცივი მონაბერი ჰაერი იქნება. ნელ-ნელა ყველაფერი პირვანდელ იერსა და მნიშვნელობას დაიბრუნებს – ღამე დაემსგავსება ღამეს, მთვარე – მთვარეს, შორს სახლები – ღამეულ საცხოვრისებს... ბიჭი ჩამქრალი ვულკანი გახდება... დრო და გზა ისევ შეებმებიან სიზანტის მარხილში...

ბიჭი აღარ დავაბრუნოთ ვაგონში, ქალაქში ჩასვლამდე იგი აქ უნდა დარჩეს... მარტო საკუთარ თავთან... ფიქრის დულაბთან...

ბიჭისთვის დრო აღარ იარსებებს... უცხო ბნელ ოთახში შეგდებულივით იფათურებს გონებით რამდენიმე წუთისწინანდელ წარსულში...

განათებული ფანჯრები კი იმრავლებენ და უფრო ახლოს მოვლენ რკინიგზასთან. მატარებელი ქალაქს მიაკივლებს. ელმავლის საყვირი ულმობლად გაფატრავს სახურავებზე დამყაყებულ სიჩუმეს...

ბიჭი გამოერკვევა... მზერას ქალაქს მიაპყრობს და ჩასასვლელად მოემზადება... ვიდრე კარისკენ მივაბრუნებთ, რამდენიმე წამით ხელისგულზე საყურეზე გავუშტეროთ მზერა...



*მხატვარი ცირა პაპინაშვილი*

მატარებელი ისევ შეჰკივლებს... ერთხელ... ორჯერ... და სვლას შეანელებს... ბიჭი საყურეს კვლავ ხელში მომუჭავს... იგი სადგურზე შესვლამდე უნდა ჩამოვიყვანოთ, რადგან სახლი, სადაც ის მიდის, აქვე, სულ ახლოსაა...

მატარებელი ღრჭიალითა და ზრიალით გავაჩეროთ. ელმავალი იჩქარებს და რამდენჯერმე საყვირის მისცემს, თითქოს ბოლო ვაგონზე ვილაც მტკივნეულად აჭერს ფეხს...

უნდა ვიჩქაროთ და ბიჭი ბაქანზე უცებ ჩამოვსვათ, რადგან ვაგონთმდინარე წუთით ჩერდება მხოლოდ...

მატარებელი ისევ აღრჭიალდება, აზრიალდება, გუგუნით ნელ-ნელა დაიძრება და მძიმედ წაათრევს ფოლადის სუნთქვას.... ხმაური თანდათან მიწყდება, მიილევა, მიყუჩდება და ბაქანზე დატოვებს სიჩუმეს – ნებისმიერი ხმაურის წარსულსა და მომავალს...

ბიჭი უკვე ღამეული ქალაქის ნახევრად ჩაბნელებული (ლამპიონები აქა-იქ ანთია და მათაც ხეები ჩრდილავენ) მშვიდი მყუდრო ქუჩის მგზავრი იქნება. სიჩუმეს მხოლოდ ჩახუთული ღამის გამო ღალებული ფანჯრებიდან დამსხლტარი ადამიანთა საუბრები, სიცილი, ყვირილი და ტელევიზორის ხმები აამღვრევენ ხოლმე...

ბიჭი ჩქარი ნაბიჯით ივლის. დროდადრო, ანთებულ ლამპიონთან მიახლოებისას, მუჭს გაშლის და ხელისგულზე საყურეს დააჩერდება...

...ვიდრე ნაცნობ ჭიშკარს შეაღებდეს, ბიჭი შევაყოვნოთ და სამკაული საგულდაგულოდ ჯიბეში შევანახვინოთ, რათა მისი სადაურობა დეიდას კითხვების ოლიმპიადაზე ჩაძიების ერთ-ერთ მთავარ სახეობად არ მოხვდეს...

ეზოში ჩასვლისას მის სმენას ელმავლის გაბმული კივილი მოსწვდება – მატარებელი უკვე სადგურში შევა – აქედან არცთუ ისე შორს...

შინ მისული, ბიჭი უსათუოდ უმალ დასაძინებლად გავუშვათ, მარტოხელა დეიდას ოჯახი მისი მეორე სახლია – წამიერი უცერემონიო სალამი და ვახშამზე უარი ჩვეულებრივ მოვლენად მიიჩნევა. არც დეიდას კითხვების ასხლეტა აღიქმება ცუდ ტონად...

ბიჭს ახლა მარტოობა ესურვება... ამიტომ დაუყოვნებლივ საძინებელს მიაშურებს...

ძილი დიდხანს არ მოვა, ძალიან დიდხანს. სანაცვლოდ, იქნება ფიქრი... ფიქრი და სინანული – წამოსვლის სინანული – ბიჭი რომ სადგურამდე არ გაჰყვა მატარებელს და არ მოიძია ის, ვისაც მისი გული მიეხიწვა... დამნაშავე მხოლოდ გამოუცდელობა იქნება...

დილით ბიჭი გვიან გავაღვიძოთ, რადგან ძილი მხოლოდ გამთენიისას მოვიდა. უთუოდ სიზმარსაც ნახავდა – ერთობ ფერადსა და აბურდულს,.. ეცდება, მაგრამ ვერაფრით გაიხსენებს...

სამზარეულოში ონკანისკენ შებრუნებულ დეიდას წაადგება თავს.

–ადექი?! – ჰკითხავს დეიდა. – არ გშია?! კვერცხი შეგიწვი არაჟანით... შენ რომ გიყვარს... ხომ გინდა?!

ბიჭი მხოლოდ ახლა იგრძნობს შიმშილს. ამიტომ უხმოდ მივუჯინოთ მაგიდას. დეიდა ონკანს ჩაკეტავს და საუზმის გაწყობას დაიწყებს.

– ხომ ხარ კარგად?! – იკითხავს თან, – რაღაც წუხელ არ მომეწონე! – სახეში ჩააცქერდება დისშვილს.

ბიჭი თავს გადააქნევს მხოლოდ.

– დედაშენი როდის მოდის ქალაქში?! – გააგრძელებს კითხვარს ისევ.

ბიჭი მხრებს აიჩეჩავს და ტაფიდან შემწვარი კვერცხის ყვითელ სიმრგვალეს თეფშზე გადაიტანს.

– ვიოლეტა!.. ვიოლეტა! – ხმა მოვაწვდინოთ დეიდადისშვილს.

სამზარეულოში მეზობელი ქალი შემოვიყვანოთ – ისიც ასაკზე ხელებჩაფრენილი მარტოხელა ქალბატონი, ამ სახლში რომ უფრო მეტ დროს ატარებს, ვიდრე საკუთარ ოჯახში, და რომლის ერთადერთი გაუნელებელი ჰობი ინფორმაციის მოპოვება-გავრცელებაა.

– შემოდი, როზა! – შეაგებებს დეიდა.

როზა უკვე შემოსული იქნება – დახვეული გაზეთით ხელში ბიჭს ჩაუვლის და თავზე ხელს გადაუსვამს – წუხელ ჩამოდი?! – ჰკითხავს და ფანჯარასთან სკამზე ჩამოჯდება.

ბიჭი ყურადღებას არ მიაქცევს – ერთმანეთისთვის ისინიც შინაურები არიან.

– ნახეთ, ხალხო, რა ხდება?! – ტონს დაიმძიმებს როზა და დახვეულ გაზეთს ვიოლეტას მისამართით დაშნასავით გაიშვერს.

ბიჭი ისევ გულგრილი იქნება, მხოლოდ დეიდა უპასუხებს, არ ვიციო.

– წუხელ ჩვენს სადგურზე მკვლელობა მომხდარა! – გაზეთს გაშლის როზა. – მემანქანეს ქალიშვილი მოუკლავს!.. ჯერ მეც არ წამიკითხავს, ახლა გამოვართვი გაზეთი!

როზა გაშლილ ფურცელზე საჭირო წერილს მოძებნის და სტრიქონებში ჩარგავს მზერას:

„წუხელ გვიან სალამოს ელმავლის მემანქანემ საკუთარი ქალიშვილი სიცოცხლეს გამოასალმა. გოგონა 16 წლის იყო. დედა ბავშვობაში გარდაცვლილა და მემანქანე მარტო ზრდიდა. ამიტომ ქალიშვილი ხშირად თან ახლდა მამას სამსახურში. სავარაუდოდ, მამა-შვილს შორის შელაპარაკება მოხდა, რომლის დროსაც მამას ქალიშვილი შემოაკვდა. უბედური შემთხვევა მატარებლის სადგურზე შესვლის შემდეგ მოხდა. როგორც ირკვევა, შელაპარაკებისას მამამ ქალიშვილს ხელი გაარტყა, მან კი თავი ვერ შეიკავა და თავი რკინის კუთხეს ჩამოარტყა. გოგონა იქვე გარდაიცვალა. მემანქანე ადგილზევე იქნა დაპატიმრებული. ამჟამად გადაყვანილია საპყრობილეში..."

როზას კითხვა არ ექნება დამთავრებული, რომ ბიჭი საუზმეს მიატოვებს, ადგილიდან წამოხტება და კარს მიაშურებს. დეიდა ფეხდაფეხ აედევნება, მეზობელი ქალი კი კარის ცარიელ ღიობს შეატოვებს გაკვირვებულ მზერას.

დეიდა ბიჭს გარეთ გასულს წამოეწევა:

– სად მირბიხარ?! რა მოხდა?!

– არაფერი, რაღაც დამავიწყდა! – ბიჭი არც მოიხედავს, პარმაღს ჩაირბენს და რამდენიმე ნაბიჯში ჭიშკარს გამოაღებს...

...იგი ჩქარი ნაბიჯით ივლის, ლამის სირბილს დაირქმევს. უკვე შუადღე იქნება და მცხუნვარე მზისგან სახე დაეცვრება... სიარულს სულ უფრო აუჩქარებს, დროდადრო სირბილსაც გამოურევს... თან მომუჭულ ხელს გაშლილს და მბრწყინავ საყურეს დახედავს ხოლმე. თვალები უფრო და უფრო აევსება შიშით...

...სადგური ჩვეულებრივად დაუხვდება....

...მოსაცდელ დარბაზში ნაბიჯს შეაყოვნებს, მაგრამ რაკილა იქ ვერაფერს უჩვეულოს ვერ აღმოაჩენს, ბაქნისკენ აიღებს გეზს...

...ბაქნის ერთ მხარეს შექუჩებულ ადამიანებს დაინახავს თუ არა, ნაბიჯს შეანელებს. ახლა მისი გულის ძგერა ელმავლის კივილსაც გადაფარავს... გაოფლილ შუბლს თავისუფალი ხელისგულით მოიწმენდს...

ბიჭი ადამიანთა ზურგებს მიადგება.

– ...მატარებელი რომ ჩამოდგა, მერე! – კედელთან შუაში მდგომი სადგურის ღიპიანი პოლიციელი ისეთი მონდომებითა და დამაჯერებლობით უამბობს გარშემოკრებილთ, თითქოს მისი დადგმულია ყოველივე.

ბიჭი მსმენელთა შორის ჩადგება. ახლა მის მზერასაც სმენის ორგანოები მიითვისებენ...

– ყვირილი და ჩხუბი არავის გაგვიგია! – მეტი დამაჯერებლობისთვის პოლიციელი გრიმასას მოიშველიებს. – უკვე, როცა ყველაფერი მოხდა, მემანქანის ბლავილზე ავიდნენ ელმავლის კაბინაში. ქალიშვილი გულში ჰყავდა ჩახუტებული და ბლაოდა... მერე სულ რკინის იატაკზე ურტყა შუბლი... ჩვენ არ დავაცალეთ, თორემ თავს მოიკლავდა, ალბათ...

პოლიციელი წამით თხრობას შეწყვეტს, მზერას გარშემო მოატარებს და მსმენელთა რეაქციას დააკვირდება. რაკილა ინფორმაციულ წყურვილს აღმოაჩენს, დასძენს :

– ისე, როგორც ჩანს, ძალიან ძლიერ გაარტყა. იმდენად ძლიერ, რომ საწყალ გოგოს საყურეც წასძრობია. ალბათ, ძლიერი დარტყმისაგან სადღაც შორს გადავარდა,.. კაბინაში ეძებეს და ვერ იპოვეს...

...პოლიციელი ინსტინქტურად იგრძნობს მომენტს – საკუთარი თავისადმი ამდენი ადამიანის ცხოველი ყურადღება ჯერ არ უგრძვნია, და ალბათ, ველარც მომავალში ეღირსება... დიდების განცდა კარგა ხანს გაუხანგრძლივდება – ბრბო გამუდმებით ხალასდება: ინფორმირებულები მიდიან, ახალი ცნობისმოყვარენი მოდიან...

– რა მოხდა?!.. როდის?!.. – იკითხავს ვილაც ზურგიდან.

– გუშინ, წუხელ!.. – უცებ მოძებნის მზერით „ახალს" პოლიციელი, – ...მემანქანემ ქალიშვილი მოჰკლა!...

...და თხრობას თავიდან დაიწყებს...

...ბიჭისთვის ეს ყველაფერი აუტანელი გახდება.... ამიტომ რამდენიმე უკუნაბიჯი გადავადგმევინოთ და ბრბოდან გამოვიყვანოთ (მის ადგილს უმალ დაიკავებენ). ანგარიშმიუცემლად იგი მცხუნვარე მზის ქვეშ რკინიგზას გაყვება გასწვრივ – ბაქანზე ისე გააბიჯებს, როგორც სულგამოცლილი სხეული, როგორც მისივე საკუთარი ჩრდილი მხურვალე ფილაქანზე...

მოულოდნელად გამღლევალი ჰაერი გაბმული ხმაურით გავაყრუოთ – ელმავალი ქალაქს მიაკივლებს. ბიჭი წამით შედგება, სადგურს ერთს მოუხედავს უკან და ნაბიჯს გააცოცხლებს. თვალები სიმხურვალისგან აეწვება, ქუთუთოები შვებისმომგვრელ სიმძიმეს იგრძნობენ და... სათქმელს ისევ გული იტყვის...

...ცრემლი იქნება მოკრძალებული, ჩუმი და მდუმარე... ეგზომ განსხვავებული სადღაც შორიახლოს საპყრობილეში საკნის იატაკზე დამხობილი მემანქანის თავსხმა, ღვარცოფივით ხმაურიანი და გულღრმა მოთქმა-გოდებისაგან...

ანაზდად ბიჭს ზურგიდან ფოლადის ნაცნობი ხმაური აედევნება. ბიჭი არ მობრუნდება, ხმა კი მოახლოვდება... მოახლოვდება და... მხოლოდ ელმავალს მოიყვანს... ბიჭი უშინაარსო ცრემლიან მზერას გააყოლებს თან...

ელმავალი გუგუნითა და ზრიალით ჩაივლის... ვიდრე თვალს მიეფარება, ერთსაც მიაკივლებს თაკარა მზის ქვეშ შემცხვარ ქალაქს... ადამიანთა ათასგემოვან ნაღვანს,... არომატს რომ უცუდებს ორი ჩანახშირებული ბედისწერა – ბიჭი და მემანქანე – ერთი უბედურების ორი ინგრედიენტი, ერთი ტკივილის ორი გემო...



ჯარჯი ფხოველი

## ედგარ პოს ტომი ჩემს მაგიდაზე

ეს ცა, ვარსკვლავთა სახარბაკე, დიდი ხნის არი:
შეგროვებულა: ღამეს ათევს მისი ნახირი...
საუკუნეებს გარჭობია, როგორც ისარი,აქ სინათლის გა-
დაძახილი!

ნინ აიმართა პოეტის ჩრდილი:
ჩემს მაგიდაზე მწარედ კვნესის ედგარის ტომი...
მესაუბრება შორეული ვარსკვლავის კრთომით.
თვალში უელავს მზე ნახტომივით!

ესეც ანაბელ და ულალუმი,
ესეც ყორანი, რომ გადიფრენს ფრთების სავსავით:
მისი ყრანტალის ექო ძალუმი...
ედგარის გულის სიღრმე: ცასავით...

რომ არ ვთქვა: გულმა არ მაპატიოს!
გეტყვი: აქ არის პოეტი და მისი ლანდიო...
გეტყვი: ბევრი რამ ისმის ჭორადო...
აჰა: ცრემლები და ელდორადო!

აჰა: ანაბელ და ულალუმი;
არ დაახანა აქ ყორანმა; ჩამომყრანტალებს!
მეხვევა მისი ჯავრი ძალუმი,
მეხვევა დარდიც, მე რომ ვატარე!

ნიგნში ჯანღია. გულში — ლახვარი:
ჩვენს შორის რომ დგას, სიკვდილია ვინმე მესამე...
აჰა: სიკვდილის გარდასახვანი:
ის ძვირფასი საფლავები
ჩვენ ორივეს გვანათესავებს!

## შავი მდინარე

ღმუოდა დროის შავი მდინარე,
ხოლო შენ ეგდე ფსკერზე თევზივით...
და წყალი, ჯავრის შეუსმინარი,
გადადიოდა მაღლა, თავზევით...

წლების ჟირითი და სიჩაუქე:
შავმა დღეებმაც სული დალიეს!

წარსულის ღამეს შუქი ჩაუქრა:
ხმლით მოგდევს დარდი, მედლეხვალიე!..

ჩამოგყურებენ მთების წვერები,
ხელს გინვდის ჭალა, მდინარე, ხიდი...
შენ გზა ხარ: მალე აგამტვერებენ
სხვები, ვისთვისაც არაფრად ღირდი!

ხელს მოგხვევს სიტყვა, დარდის დამტევი,
შავეთის ქარი ღრუბლებს გადარეკს...
შენ ცაში აკრეფ სარკის ნამტვრევებს
და დედამიწის დაშლილ ანარეკლს...

გადაიყოლებს შავი მდინარე
ტანაყრილ ღრუბლებს ლეთეს ხიდამდე...
დაფარავს, ჯავრის შეუსმინარი,
იმ დღეებს, მაშინ შენ რომ იდარდე!

* * *

ვერა, აქ შიშმა ვერ შემიბუდა:
ვერ დამაფარა მოკანკალე ხელისგულები!

რა გინდა, მტერო, მიწა რომ მიგაქვს,
ეს ხომ მიწა აღარაა:
სისხლშემხმარი კომიჭაა გარდასულისა!
საფლავების ბალახია
და მტვერია, გზებზე დაყრილი...
სიზმარია,
გრძელ ძილში რომ ველოლიავე!..

გუშინ ისე ამოვიგმინე,
რომ ეკლები დააყარა თეთრი მთვარის მოსახლეობას!

* * *

ჰო, ასე იყო: აქ შენ იყავი თავისთავის მასპინძელი
და სტუმარი თავისთავისა...

აქ ტანზე ღამემ დაგაბიჯგა და:
თვალებიდან გადმოცვივდა შენი სიზმრები...

თვალებიდან გადმოცვივდა ჩავლილი დრო და:
დრო,
შიგდაშიგ რომ ერეოდა ცრემლის წვიმები...
დრო, შიგდაშიგ რომ ერეოდა მზე და მთვარე და ვარსკვ-
ლავები...
და ერეოდა ხსოვნის ღრუბლები,
პირმწარე ქარით დაფლეთილები...

აქ შენ იყავი თავისთავის მასპინძელი და სტუმარი
თავისთავისა...

შენს დროს, შიგდაშიგ, ერეოდა
შორეული ამოკვნესანი:
მწარე სიტყვები, რომ ამოთქვეს ისტორიის
შავმა ფოთლებმა.

აქ შეხვდნენ შენი ტკივილები იმ პირშავ დროში,
სახელად რომ ცხოვრება ერქვა!

აქ, შიგდაშიგ, კიდეც იცხოვრე და, შიგდაშიგ, ითავცემე
და, შიგდაშიგ, დავიწყების ცრემლები თვალე!

## ლექსები თოვლზე

აქ შენი სიტყვა ქარში იწივლებს:
ჩამორჩენილი წეროებს წერო...
რად გამირბიან წიწილებივით
ლექსები, თოვლზე რომ უნდა ვწერო!

აქ ვიწროდა ვარ. მაღლა ცა მელის...
ჩემს შავ მოლოდინს ხანჯრით კაფავს დრო!
მოდის სიკვდილი: სხვავარსკვლაველი,
თვალებნათელი და უსკაფანდრო.

შენ ხელებს უნვდი ველურ ხმაურში,
გულს მიაყოლებ დროის მორჩილი.
საპანაშვიდო სუფრას გაუშლი
მას: ილლიაში კუბოამოჩრილს!

ცა იყალყება. ჯავრობს ბუნება:
შენი დღე მოდგა საბედისწერო.
მორჩა, მტოვებენ დაუბრუნებლად
ლექსები, თოვლზე რომ უნდა ვწერო!

## მარადისობის ნაპირი

რატომ არ გაცვდნენ ვარსკვლავები,
ყოველლამე თავისთავს რომ ანამცეცებენ,
რომ ხერხავენ თავის ცხოვრებას:
სხივებად რომ გვიგზავნიან
ღამის ქერქვეშ შებუდებულებს...

რატომ არ გაცვდა კაცის გული, გაუხარელი,
სხივ-ლექსებად რომ ნამცეცდება...
სხივ-სიმღერებად რომ მაღლდება,
მერმე ისევ ძირს ეშვება,
მერმე ისევ მაღლა ადის და ა.შ.

* * *

საით გაფრინდა ჩიტების ბენდი
განთიადის კონცერტის შემდეგ?
ცის რომელ მხარეს გაალვიძებს
მათი ქვითინი?
რომელ ვარსკვლავის გულს აავსებს
ზღვა სიხარულით,
ვის მიუტანს იმ სიყვარულს,
მე რომ მიყვარდა
ჩემს უილბლო სიჭაბუკეში?
ვის შესტირებს ჩემი ცრემლებით?

საით გაფრინდა ჩიტების ბენდი?

* * *

მთამ მოიჩრდილა ღრუბლები და
მთა შევიდა გრილ მდინარეში,
დასიცხულ ციდან გამოქცეული,
ფეხშიშველი
ისტორიის ბოგანოსავით...

დააბიჯა მდინარეში ჩაძირულ ღრუბლებს,
დააბიჯა ცის თვალებს და
ვარსკვლავების ახეულ წარბებს...

გატეხა მთვარის იატაგანი,
ფსკერის ქვებზე ჩამოვარდნილი...

ეხლა ივიწყებს
ცაში თავის მწარე ცხოვრებას
და წყალდაწყალ,
და ხევდახევ მოიცრემლება,
როგორც ვინმე პატიმარი, გამოპარული.

## მოდი, დავმალოთ!..

აბა, ერთი საიდუმლოც დავმალოთ ისე,
რომ იმის ღია ნაპრალებში
ველარავინ
შემოიხედოს!..

დავმალოთ ხმებში,
დავმალოთ დუმილში,
ვანდოთ სიტყვის ერთგულებას,
ვანდოთ სიტყვის მეხსიერებას!

დავმალოთ სიყვარული:
დაუმალოთ ავთვალს, ავსიტყვას,
ავი კაცის ავენას, ავგულს!..
...
დავმალოთ ხმებში,
დავმალოთ დუმილში;
ვანდოთ სიტყვის ერთგულებას,
ვანდოთ სიტყვის მეხსიერებას!..

## მათ დაინახეს

მათ წარსულის ბურუსიდან გადმოუხვიეს
და დაინახეს ცისარტყელა:
შავ ღრუბლებში მიმალული,
დამავალი მზის მაკიაჟი...

და დაინახეს
დედამიწა, ნასამოთხარი...

და დაინახეს კაცის გულში
შიშის ღამე, განუჭვრეტავი...

ეროვნული ბიბლიოთეკა

და დაინახეს
კაცი, კაცის ვერდამნახველი,
კაცი,
კაცისთვის გულით მგელი,
გულით კოჭლი, გულით საპყარი —
რომ ვერ ამჩნევდა, იმის თავზე ღამე რომ იდგა,
ვერც მზეს ხედავდა,
ვერც სიტყვის თვალებს:
სადაც მოსჩანდა ისტორიის შავი ღამე,
უვარსკვლავებო...

* * *

იმან:
უფლის კარნახს მიმყოლმა, სამყაროთა ხშირი სუნთქვის
მოყურიადემ, გადმოაქართულა მდინარეთა
წარმართული ლოცვები,
გადმოიღო მომთაბარე ქარის ჩურჩული უსასრულო და
გადმორგო
ველის ყვავილები პოეზიის წმინდა მიწაზე...

## ეს ნატვრა

ეს ნატვრა
ველარ შეისრულე:
ამ დილით ველარ გაანედლე
მწარე სიყვარულით
შეისრული,
დროის შენისლული:
შენი სული!

## იმ მომავლიდან

იმ შორეულ მომავლიდან
ცას გადაძოვს ჩემი ღრიალი!..

მისწვდება წარსულს,
სადაც ჩემი დარდი ცხოვრობდა...
და გაიშლება შუაღამის ყრუ ხეობებში,
ეკლებს დააყრის
გალაქტიკის მოსახლეობას!

მოძოვილ ცაზე უფრო ნათლად
გამოჩნდება მზე და მთვარე და ვარსკვლავები...
შენც დაჩნდები, თუმცა, ვინ იცის,
ეგებ, ეხლა სულაც არ გინდა,
რომ მოისმინო ჩემი გულის ბაგაბუგი,
მოისმინო,
ცაში მყოფმა, ჩემი ქვითინი!

* * *

ეს ლექსი ეხლა შემომხავის
დროის ცრემლით დამძიმებულ
ქართულ ენაზე...

ხედავ:
ქალალდის უდაბნოში
იხატება მისი პროფილი...
თანაც ძველისძველ კედლის ძირას
აგდია ობლად:
ბალახბულახში მარტოქვასავით,
მშენებლისაგან უარყოფილი!

## გაზაფხულის ღამე

აპრილის წვიმამ გზები დალამა:
ხევს მიემატა, ღვარით გალეშილს...
დღეს მთა გაიხდის თოვლის ქალამანს
და გაეხვევა დარდი მწვანეში...

შენს ცაზე შავი ჩრდილი გადივლის,
თან გადაყვება ნისლი წალიკად...
დამწყვდეულია სული: ნადირი...
მაგისმა კვნესამ ღამე წალეკა!

შავად გარტყია დროის აურა;
შორს ისტორიის ინვის ხიდები...
ცამ შენს თვალებში იმოგზაურა,
მოგაგო ცეცხლი, აურიდები!

## ნუ გვიანდები

დაიზეპირე მთების პროფილი,
ცის ფიქალებზე ცელი ალესე!
აქ ნისლის ქულა:
დილის ცაზე ამოჭორფლილი,
თმას შეიჭრის მთვარის ნალევზე.

და ქარს რაც მოაქვს, მიდის ქარითვე,
ქარს მიაქვს ქარიც, როგორც ცხოვრება...
აჰა: თიბათვის მთიბავებმა
ველი გარითმეს,
ეს ველი აღარ გეუცხოვება.

რადგან ამ მიწამ ბევრჯერ დაგთარსა,
ჭირი მოგაგო ერთი ათასად!
გიყვარს ღრუბელი ცაზე ნათრევი:
შენ ეს ღრუბელი შეგყრის ათაშანგს!

დაიზეპირე მთების პროფილი,
თვალზე წაიცხე მათი ლანდები...
გიცდის სამარე: მიწაყოფილი:
გრძელი გზა გელის, ნუ გვიანდები!

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხორხე ლუის ბორხესი

# შვიდი საღამო

*

## მეშვიდე საღამო
## სიბრმავე

ქალბატონებო და ბატონებო!

ჩემი მრავალი (მომეტებულად მრავალი) ლექციის კითხვისას შევნიშნე, რომ მსმენელები უპირატესობას ანიჭებენ პირადულს საზოგადოსთან შედარებით, კონკრეტულს — აბსტრაქტულთან შედარებით.

ამიტომ საკუთარი, მოკრძალებული სიბრმავით დავიწყებ. სწორედ რომ მოკრძალებული, რადგან ცალი თვალით სრულიად დავბრმავდი, მეორე ცოტათი ხედავს. ჯერ კიდევ შემიძლია ზოგიერთი ფერის გარჩევა, ჯერ კიდევ შემიძლია მწვანისა და ცისფერის განსხვავება. არ მიღალატა ყვითელმა ფერმა. მახსოვს, ბავშვობაში (ჩემი და აქ რომ იყოს, ისიც გაიხსენებდა ამ ამბავს), პალერმოს ზოოპარკში ვეფხვისა და ლეოპარდის გალიასთან ვჩერდებოდი. გარინდებული შევცქეროდი ვეფხვების ოქროსფერსა და შავს; ყვითელმა ფერმა დღემდე არ მიმატოვა. დავწერე ლექსი "ვეფხვების ოქრო", რომელშიც ვაღიარებ ამ მიდრეკილებას.




მინდა, გითხრათ მოვლენაზე, რომელსაც, ჩვეულებრივ, უყურადღებოდ ტოვებენ, არ ვიცი, ყველასთვის დამახასიათებელია თუ არა. მიჩნეულია, რომ უსინათლო წყვდიადშია ჩაფლული. შექსპირს აქვს ამ მოსაზრების დამადასტურებელი სტრიქონი: „Looking on darkness which the blind do see" — "შემყურე სიბნელისა, რომელსაც ხედავს ბრმა". თუკი სიბნელეს სიშავედ მივიჩნევთ, შექსპირის სტრიქონი უმართებულოა.

ერთ-ერთი ფერი, რომელსაც მოკლებულნი არიან ბრმები (ყოველ შემთხვევაში, ის ბრმა, რომელიც თქვენს წინაშეა), — არის შავი; მეორე — წითელი. "Le rouge et le noir" — ის ფერებია, რომლებიც გვაკლია. მე უშუქოდ დაძინებას ვარ მიჩვეული და დიდხანს მიჭირდა ჩაძინება ბურუსის ამ სამყაროში, სადაც ცხოვრობს ბრმა. მინდოდა სრულ სიბნელეში აღმოვჩენილიყავი. წითელს ყავისფრის მსგავსად ვხედავ. უსინათლოს სამყარო არ არის ღამე, როგორც ჩვეულებრივ ჰგონიათ. ყოველ შემთხვევაში, მე ამას ვამბობ საკუთარი სახელით, მამისა და ბებიის სახელით, რომლებმაც ბრმებმა დაასრულეს სიცოცხლე — მომღიმარე, მამაც ბრმებად; მეც ეგეთი მინდა მოვკვდე. მემკვიდრეობით ბევრი რამ გადმოგვეცემა (ვთქვათ, სიბრმავე), ოღონდ არა — სიმამაცე. ისინი მამაცები იყვნენ, ვიცი, რომ ასეა.

ბრმა საკმაოდ მოუხერხებელ სამყაროში ცხოვრობს — გაურკვეველ სამყაროში, სადაც უეცრად ჩნდება რომელიმე ფერი: ჩემთან ეს არის ყვითელი, ცისფერი (რომელიც შეიძლება მწვანე აღმოჩნდეს), მწვანე, რომელიც შეიძლება ცისფერი აღმოჩნდეს. რაც შეეხება წითელს, ის სრულიად გაპქრა, მაგრამ იმედი მაქვს, ოდესმე გამოვჯანმრთელდები (მკურნალობის კურსს ვიტარებ) და შევძლებ დავინახო ეს დიდებული ფერი, პოეზიაში რომ ელვარებს და ძალიან ლამაზი სახელი ჰქვია მრავალ ენაზე. გავიხსენოთ გერმანული schatlach, ინგლისური scarlet, ფრანგული écarlate'. ეს სახელწოდებანი დიდი ფერის ღირსია. Amarillo (ყვითელი) კი პირიქით, ესპანურ ენაში სუსტად ჟღერს; ინგლისური yellow იმდენად ჰგავს amarillo-ს, რომ, მე მგონი, ძველ ესპანურში იარსებებდა ფორმა amariello.

ვცხოვრობ სამყაროში, სადაც ფერები არსებობს, და თუკი საკუთარ სიბრმავეზე ვლაპარაკობ, ამას იმიტომ ვაკეთებ, რომ იგი არ არის აბსოლუტური, როგორც ჩვეულებრივ ფიქრობენ; და კიდევ იმიტომ, რომ ლაპარაკია ჩემზე. ჩემი შემთხვევა არც ისე ტრაგიკულია. ტრაგიკულია იმათი ხვედრი, ვინც უეცრად ჰკარგავს მხედველობას; ჩემს შემთხვევაში ეს თანდათანობით დაბინდებაა, თვალისჩინის კლება დაბადებიდანვე დამეწყო, 1899 წლიდან. ნახევარ საუკუნეზე მეტხანს ჩემთვის თანდათანობით ბინდდებოდა. განსაკუთრებული დრამატიზმის გარეშე.

ამ ლექციისთვის გულისამაჩუყებელი მომენტები უნდა მომეფიქრებინა. ვთქვათ, როცა მივხვდი, რომ თვალისჩინი დავკარგე — ადამიანმა, რომელიც წერს და კითხულობს. რატომ არ დავასახელო თარიღი, ესოდენ დასამახსოვრებელი — 1955 წელი. სექტემბრის სახელგანთქმულ წვიმებზე კი არა, ჩემს გარემოებებზე ვლაპარაკობ.

ცხოვრებაში ბევრი დაუმსახურებელი პატივი მიმიღია, მაგრამ ყველაზე მეტად ეროვნული ბიბლიოთეკის დირექტორად დანიშვნამ გამახარა. ამ პოსტზე გამათავისუფლებელმა რევოლუციამ დამნიშნა — უფრო პოლიტიკური, ვიდრე ლიტერატურული მიზეზებით.

ბიბლიოთეკის დირექტორი რომ გავხდი, ერთ სახლში დავბრუნდი, მექსიკის ქუჩაზე, მონსერას უბანში, ქალაქის

საქართველოს პარლამენტის ბიბლიოთეკა

27899

სამხრეთ ნაწილში; სახლში, სადაც უამრავ მოგონებას ვინახავდი. არასდროს არ მიოცნებია ბიბლიოთეკის დირექტორობის შესაძლებლობაზე, და ჩემი მოგონებანი სრულიად სხვა ყაიდისა იყო. საღამოობით აქ მამასთან ერთად მოვდიოდი. მამა, ფსიქოლოგიის პროფესორი, ითხოვდა თავის საყვარელ ავტორთა, ბერგსონის ან უილიამ ჯეიმსის, ან უილიამ შპილერის წიგნებს. მე ძალიან მორიდებული ვიყავი საიმისოდ, რომ წიგნები მომეთხოვა, ბრიტანული ენციკლოპედიის ან ბროკჰაუზის ან მაიერის გერმანული ენციკლოპედიების ტომებს მივადგებოდი. ალალბედზე ვიღებდი რომელიმეს, თაროზე გვერდულად ვდებდი და ვკითხულობდი.

მახსოვს საღამო, როცა ვიგრძენი, რომ საჩუქარი მივიღე — ასოები dr; შემხვდა სამი სტატია: დრუიდებზე, დრუზებსა და დრაიდენზე. იყო ნაკლებ წარმატებული საღამოებიც. გარდა ამისა, ვიცოდი, რომ ამ სახლში იყო გრუსაკი; შემეძლო მისი გაცნობა, მაგრამ უნდა ვაღიარო, რომ მაშინ მეტისმეტად მორიდებული ვიყავი — თითქმის ახლანდელივით. მაშინ მეჩვენებოდა, რომ მორიდებულობა ღირსებაა; ახლა კი ვხვდები, რომ ესაა ერთ-ერთი ბოროტება, რომელიც ადამიანმა უნდა დაძლიოს, რომ სინამდვილეში მორიდებულობის ჩალის ფასი აქვს, ისევე, როგორც ბევრ სხვა რამეს, რასაც ადამიანები ძალიან მნიშვნელოვნად მიიჩნევენ.

თანამდებობაზე 1955 წლის ბოლოს დამნიშნეს; სამსახურში მისვლისთანავე ტომების რაოდენობა ვიკითხე და მითხრეს, მილიონიაო. შემდგომში გავიგე, რომ ცხრაასი ათასი წიგნი ყოფილა, რაც საკმარისზე მეტია (შესაძლოა ცხრაასი ათასი უფრო შთამბეჭდავია, ვიდრე მილიონი; ცხრაასი ათასი; მილიონი კი მეტისმეტად მოკლედ ჟღერს).

დროთა განმავლობაში ჩემთვის ცხადი გახდა მომხდარის საკვირველი ირონია. სამოთხე ყოველთვის წარმომედგინა ბიბლიოთეკის მსგავს რაღაცად, როგორც ზოგიერთებს წარმოუდგენია ბაღად ან სასახლედ. და აი, შიგნით აღმოვჩნდი. და დავრწმუნდი, რომ ძლივძლივობით ვარჩევ წარწერებს ყდებსა და ყუებზე. მაშინ დავწერე ლექსი "საჩუქრების გამო", რომელიც ასე იწყება:

**საყვედურითა და ცრემლით არ შევბღალავ**
**იმ უმაღლეს აზრს და იმ ღრმა სარკაზმს,**
**რომლითაც შეუდარებელმა ღმერთებმა**
**მომანდეს წიგნები ღამესთან ერთად.**

ეს საჩუქრები ურთიერთგამომრიცხავია: უამრავი წიგნი და ღამე, შეუძლებლობა მათი კითხვისა.

წარმოვიდგენდი, რომ ეს ლექსი გრუსაკმა დაწერა, რადგან ისიც ბიბლიოთეკის დირექტორი იყო და ისიც ბრმა. გრუსაკი ჩემზე უფრო მედგარი აღმოჩნდა: დუმდა. მაგრამ, ჩემი აზრით, ჩვენს ხვედრში იყო მსგავსი მომენტები, რადგან ორივეს წაგვერთვა თვალისჩინი და ორივეს გვიყვარდა წიგნები. მისი ნაწერები გაცილებით უფრო მაღლა დგას ჩემსაზე. მაგრამ საბოლოოდ ორივე დაკავშირებულნი ვართ ლიტერატურასთან და ორივეს გვებარა ბიბლიოთეკა მიუწვდომელი წიგნებით. შეიძლება ითქვას, წიგნებით ასოების გარეშე, სუფთა ფურცლებით ჩვენი უსინათლო თვალებისთვის. ღმერთის ირონიაზე ვწერდი და ბოლოს საკუთარ თავს ვკითხე, რომელმა ჩვენგანმა დაწერა ლექსი, სადაც "მე" ორივეს მიესადაგება, სიბნელე კი ორივესთვის ერთია.

მაშინ ვიცოდი, რომ ბიბლიოთეკის კიდევ ერთი დირექტორი, ხოსე მარმოლიც ბრმა იყო. აქ ჩნდება რიცხვი სამი, რომელიც კითხვებს ხსნის. ორი — მხოლოდ დამთხვევაა, სამი კი — ღვთიური ან თეოლოგიური დასტური. მარმოლი გახლდათ ამ ბიბლიოთეკის დირექტორი, როცა იგი ვენესუელას ქუჩაზე მდებარეობდა.

ახლა მარმოლს ან აძაგებენ ან საერთოდ არ ახსენებენ. მაგრამ ნამდვილად ღირს ამ ადამიანის გახსენება, რადგან როცა ვამბობთ "როსასის დრო", პირველყოვლისა, ვიხსენებთ არა რამოს მეხიას შესანიშნავ წიგნს "როსასი და მისი დრო", არამედ დიდებული ირონიით ასახულ პერიოდს ხოსე მარმოლის რომანში "ამალია". მან აღწერა ეპოქა, რომელიც არ არის მოკლებული დიდებას, და გამიხარდებოდა, რამე ეგეთი რომ შემექმნა. მართლაც, როცა ვამბობთ "როსასის დრო", ვიხსენებთ მარმოლის მიერ აღწერილ ტირანებს, თავყრილობებს პალერმოში, ტირანის ერთ-ერთი მინისტრის საუბარს სოლერთან.

ასე რომ, ჩვენს წინაშეა სამი ადამიანი ერთნაირი ხვედრით. და მონსერას უბანში დაბრუნების სიხარული. ბუენოს-აირესის ყველა მცხოვრებისთვის სამხრეთი როგორღაც ქალაქის სანუკვარ ცენტრად აღიქმება და არა ტურისტთა დასათვალიერებელ-საჩვენებელ ცენტრად (იმ დროისთვის სან-ტელმოს უბანი ჯერ კიდევ არ იყო ასე პოპულარული). სამხრეთი ბუენოს-აირესის იდუმალი გული გახლდათ.

ბუენოს-აირესზე ფიქრისას უწინარეს ყოვლისა თვალწინ მიდგას ქალაქი, რომელიც ბავშვობაში ვიცოდი: მომცრო სახლები, პატარა ეზოები, თალები, წყლის ნიჟარები კუს ბაკნებისგან, გისოსებიანი ფანჯრები — ასეთი იყო ადრე მთელი ბუენოს-აირესი. ახლა ეს მხოლოდ სამხრეთ ნაწილშია შენარჩუნებული, ერთი სიტყვით, ვგრძნობდი, რომ წინაპრების საცხოვრებელში ვბრუნდებოდი. როცა მივხვდი, რომ წიგნებითა ვარ გარშემორტყმული და იძულებული ვარ მათი სათაურები მეგობრებს ვკითხო, გამახსენდა რუდოლფ შტაინერის ფრაზა წიგნიდან ანთროპოსოფიაზე (ასე ეძახდა თეოსოფიას). მან თქვა, როცა რაღაც დასასრულს უახლოვდება, უნდა გვახსოვდეს, რომ იწყება რაღაც ახალიო. სასარგებლო რჩევაა, ოღონდ ძნელად შესასრულებელი, რადგან ცნობილია, რას ვკარგავთ, და არ ვიცით, რას ვიძენთ. ჩვენ გვაქვს ჩამოყალიბებული, ხანდახან გაზვიადებული აზრი დაკარგულზე, მაგრამ არ ვიცით, რა მოხდება, რა იქნება სანაცვლოდ.

გადაწყვეტილება მივიღე. ჩემს თავს ვუთხარი: ხილულის ძვირფასი სამყარო დაკარგულია; სხვა უნდა შევქმნა სამუდამოდ დაკარგული ხილული სამყაროს სანაცვლოდ. ჩვენს უნივერსიტეტში ინგლისურ ლიტერატურას ვასწავლიდი. როგორ შემეძლო მესწავლებინა ეს ამოუწურავი ლიტერატურა — ამ საქმეს ხომ შეიძლება არაერთი თაობის სიცოცხლე დასჭირდეს?

რაც შემეძლო, ყველაფერი ვიღონე, რომ მესწავლებინა ამ ლიტერატურის სიყვარული, შეძლებისდაგვარად გავურბოდი თარიღებსა და სახელებს. ერთხელ ჩემთან რამდენიმე სტუდენტი გოგონა მოვიდა გამოცდის ჩასაბარებლად და წარმატებით ჩააბარეს (ჩემი ყველა მოსწავლე გო-

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

გონა გამოცდას წარმატებით მაბარებდა, ყოველთვის ვცდილობდი გამოცდა არ გადამეტანა: ათი წლის განმავლობაში მხოლოდ სამჯერ მომიწია გამოცდის გადავადება სტუდენტებისთვის, რომლებმაც თვითონვე აიჩემეს). ქალიშვილებს ვუთხარი (ცხრანი თუ ათნი იყვნენ): „ერთი აზრი მომივიდა — ახლა, როცა გამოცდა ჩააბარეთ, მე კი მასწავლებლის მოვალეობა მოვიხადე, ხომ არ დაგვეწყო მეცადინეობა ენასა და ლიტერატურაში, რომელიც თითქმის არ იცით?" მკითხეს, რომელ ენასა და ლიტერატურაზე ბრძანებთო. „რასაკვირველია, ინგლისურ ენასა და ლიტერატურაზე. მოდი, მეცადინეობას შევუდგეთ; რაკი საგამოცდო განმაწია თავიდან მოვიშორეთ, თავიდან დავიწყოთ".

გამახსენდა, რომ შინ შენახული მქონდა ორი წიგნი, რომლებიც გადასაადგილებელი მქონდა, ისინი ყველაზე მაღლა იდო თაროებზე — არ მეგონა, რომ ოდესმე დამჭირდებოდა. ეს იყო სუიტის "Anglo-Saxon Reader" და „ანგლოსაქსური ქრონიკა". ორივეს ერთვოდა გლოსარიუმი. ერთ დილით ბიბლიოთეკაში წასასვლელად გავემზადეთ.

იმაზე ვფიქრობდი, რომ დავკარგე ხილული სამყარო და ახლა მინდა შევიძინო სხვა — სამყარო ჩემი შორეული წინაპრებისა, იმ ტომებისა, იმ ადამიანთა, ვინც ნიჩბებით გადმოლახა ბობოქარი ჩრდილოური ზღვები, როცა დანიიდან, გერმანიიდან და ნიდერლანდებიდან გამოემგზავრნენ ინგლისის დასაპყრობად; ინგლისს ისინი ეძახდნენ, ადრე კი ინგლების მიწას (England) ეწოდებოდა მიწა ბრიტებისა, რომლებიც იყვნენ კელტები.

შაბათ დილით გრუსაკის კაბინეტში მოვიყარეთ თავი და კითხვა დავიწყეთ. ერთმა გარემოებამ გაგვახარა — აგვაღელვა და ერთგვარი სიამაყით აგვავსო. საქმე ისაა, რომ საქსები, ისევე, როგორც სკანდინაველები, ორ რუნულ ასოს იყენებდნენ ბგერა th-ს აღსანიშნავად — როგორიც სიტყვაში "thing", ასევე სიტყვაში "the". ეს ფურცელს იდუმალებას სძენდა. ორივე ასო გრიფელის დაფაზე ჩავიწერე.

აღმოვაჩინეთ, რომ ეს ენა განსხვავდება ინგლისურისგან და ჰგავს გერმანულს. მოხდა ის, რაც ხდება ენის შესწავლისას. ყოველი სიტყვა მკაფიოდ იკვეთება, ამოჩუქურთმებულივით, თითქოს თილისმა იყოს. ამიტომ ლექსები უცხო ენაზე უფრო შთამბეჭდავია, ვიდრე მშობლიურზე: ყოველ სიტყვას ვაყურადებთ, ვაკვირდებით, ვფიქრობთ მათ სილამაზეზე, მათ ძალასა ან უბრალოდ განსხვავებულობაზე. იმ დილით გაგვიმართლა. აღმოვაჩინეთ ფრაზა: "იულიუს კეისარი იყო პირველი რომაელი, რომელმაც აღმოაჩინა ინგლისი". რომაელთა ნახვამ ჩრდილოურ ტექსტში აგვაღელვა. გაიხსენეთ, ჩვენ ხომ არაფერი ვიცოდით, სიტყვას გამადიდებელი შუშით ვათვალიერებდით, ყოველი სიტყვა თილისმა იყო, რომელიც საჩუქრად გვებოძა. ვიპოვეთ ორი სიტყვა. ეს სიტყვები გვათრობდა; მე ბებერი ვიყავი, ჩემი მოსწავლეები კი ყმაწვილქალები (ორივე ასაკს სჩვევია აღტაცება). ვფიქრობდი: "ამ ენას ვუბრუნდები, კვლავ ვიძენ. პირველად არ ვიყენებ; ამ ენაზე ვლაპარაკობდი, როცა სხვა სახელები მერქვა." ეს სიტყვები იყო ლონდონის სახელწოდება — Lundenburg, Londresburgo — და რომის სახელწოდება, რომელმაც მეტადაც კი აგვაღელვა, ვიფიქრეთ რომის შუქზე, შორეულ ჩრდილოეთში ჩაკარგულ კუნძულებს რომ ეფინებოდა, — Romeburh, Romaburgo. ალბათ ცოტაც და ქუჩებს დავუყვებოდით ყვირილით: "Lundenburg, Romeburh..."

ასე დაიწყო ძველი ინგლისურის შესწავლა, რომელთანაც სიბრმავემ მიმიყვანა. და ახლა ხსოვნაში ვინახავ უამრავ ელეგიურ, ეპიკურ ანგლოსაქსურ ლექსს.

ხილული სამყარო შევცვალე ძველინგლისური ენის ჟღერადი (ყურით აღქმული) სამყაროთი. მერე მივმართე სხვა, უფრო გვიანდელ და უფრო მდიდარ სამყაროს სკანდინავიური ლიტერატურისა: ედებსა და საგებს. შემდგომ დავწერე „ძველი გერმანული ლიტერატურები", ბევრი ლექსი ამ თემაზე, მანამდე კი ვტკბებოდი ამ ლიტერატურით. ახლა ვამზადებ წიგნს სკანდინავიურ ლიტერატურაზე.

სიბრმავეს თავი არ შევაშინებინე. გარდა ამისა, ჩემმა გამომცემელმა მშვენიერი ამბავი მითხრა: ერთ წელიწადში თუ ოცდაათ ლექსს დავწერ, წიგნის გამოცემას შეძლებს. ოცდაათი ლექსი ნიშნავს დისციპლინას, განსაკუთრებით, როცა იძულებული ხარ ყოველი სტრიქონი უკარნახო; მაგრამ ამავე დროს საკმაო თავისუფლებას, რადგან საფიქრებელია, რომ ერთ წელიწადში პოეზიის ოცდაათი შემთხვევა მოგროვდება.

სიბრმავე ჩემთვის სრულ უბედურებად არ ქცეულა, არ არის საჭირო მისი ტრაგიკულად მიღება. ეს უნდა აღიქვა, როგორც ცხოვრების წესი, როგორც ადამიანის ცხოვრების ერთ-ერთი სტილი.

სიბრმავეს თავისი უპირატესობანიც აქვს. ამ წყვდიადს რამდენიმე ძღვენს ვუმადლი: ძველ ინგლისურ ენას; ზერელე ნაცნობობას ისლანდიურთან; სიხარულს, რომელიც მომანიჭა უამრავმა ლექსმა, პოემამ და სტრიქონმა; იმას, რომ დავწერე წიგნი ოდნავ ყალბი და რამდენადმე პრეტენზიული სათაურით — „სიბნელის ქება".

ახლა მინდა მოგითხროთ სხვა, ცნობილ შემთხვევებზე. დავიწყოთ პოეზიისა და სიბრმავის ყველაზე თვალსაჩინო მაგალითით, იმით, ვინც უდიდეს პოეტად ითვლება — ჰომეროსით (ჩვენთვის ცნობილია კიდევ ერთი ბერძენი პოეტი ტამირისი, რომლის ნაწარმოებები არ შემონახულა; მისი ამბავი ძირითადად მილტონის გამოთქმებით ვიცით, ეს არის ამბავი კიდევ ერთი სახელოვანი ბრმისა; ტამირისი პაექრობისას დაამარცხეს მუზებმა, რომლებმაც ლირა გაუტეხეს და დააბრმავეს).

არსებობს საინტერესო ჰიპოთეზა (არა მგონია, რომ ისტორიულად სწორი იყოს, მაგრამ ძალიან მიმზიდველია), რომელიც ოსკარ უაილდს ეკუთვნის. უმეტეს შემთხვევაში მწერლებს უნდათ ღრმააზროვნები გამოჩნდნენ. შეიძლება უაილდსაც უნდოდა, რომ მასზე ისე გვეფიქრა, როგორც პლატონი ფიქრობდა პოეზიაზე: "მსუბუქი, ფრთიანი, წმინდა". ერთი სიტყვით, წმინდა ოსკარ უაილდი ამბობდა, რომ ანტიკურობამ განზრახ წარმოადგინა ჰომეროსი ბრმად.

ჩვენთვის უცნობია, არსებობდა თუ არა ჰომეროსი. ის, რომ შვიდი ქალაქი ედავება ერთმანეთს მისი დასაკუთრებისთვის, გვაიძულებს დავეჭვდეთ მის არსებობაში. შესაძლოა სინამდვილეში იყო არა ჰომეროსი, არამედ ბევრი ბერძენი, ჰომეროსის სახელით რომ არიან ჩვენგან დაფარულნი.

ტრადიცია ბრმა პოეტის სახეს გვიხატავს; უდავოდ, ჰომეროსის პოეზია ხილულია, ხანდახან დიდებულად ხილული, როგორიცაა ოსკარ უაილდის პოეზია, თუმცა ნაკლები ხარისხით.

უაილდი საკუთარ თავს ანგარიშს აძლევდა, რომ მისი პოეზია მეტისმეტად ხილულია, და სურდა, ამის მოშორება; სურდა, პოეზია მჟღერი გაეხადა, მუსიკალური, როგო-

რიცაა, ვთქვათ, ტენისონის ან ვერლენის პოეზია; მათ წინაშე ქედს იხრიდა. უაილდი ამბობდა: „ბერძნები ჰომეროსს ბრმად წარმოიდგენდნენ, რათა ეჩვენებინათ, რომ პოეზია უნდა იყოს ყურით აღქმული და არა ხილული." აქედანაა „de la musique avant toute chose"[2], აქედანაა უაილდის თანადროული სიმბოლიზმი.

ჩვენ უნდა ვიგულისხმოთ, რომ ჰომეროსი არ არსებობდა, მაგრამ ბერძნებს მოსწონდათ მისი ბრმად წარმოსახვა, და ამით ხაზს უსვამენ, რომ პოეზია — უპირველეს ყოვლისა მუსიკაა, უპირველეს ყოვლისა ლირაა და რომ პოეტისთვის ხილული შეიძლება არსებობდეს და არ არსებობდეს. მე ვიცი დიდი პოეტები, ვისი პოეზიაც ხილულია, და დიდი პოეტები, ვისი პოეზიაც ინტელექტურია, გონებისმიერია, აზრი არა აქვს მათ ჩამოთვლას.

მივმართოთ მილტონის მაგალითს. მილტონის სიბრმავე ნებით იყო. სიჭაბუკიდან იცოდა, რომ დიდი პოეტი გახდებოდა. კოლრიჯსა და დე ქუინსის ერთი სტრიქონიც არ ჰქონდათ დაწერილი, და იცოდნენ, რომ მათი ცხოვრება ლიტერატურას ეკუთვნის; მეც ასე ვიყავი (თუკი ღირს ჩემი ხსენება), ყოველთვის ვგრძნობდი, რომ ჩემი ბედი დაკავშირებული იქნება ლიტერატურასთან; მინდა ვთქვა, რომ ბევრი ცუდი რამ მემართებოდა, ხანდახან — კარგიც. მაგრამ ყოველთვის ვიცოდი, რომ ეს ყველაფერი ადრე თუ გვიან სიტყვებად იქცეოდა, პირველყოვლისა ცუდი, რადგანაც ბედნიერებას არ სჭირდება განხორციელება: ბედნიერება თვითონ შეადგენს საკუთარ მიზანს.

დავუბრუნდეთ მილტონს. მას მხედველობა დააკარგვინა პამფლეტებმა, რომლებიც მეფის სიკვდილით დასჯისკენ მოუწოდებდნენ. მილტონი ამბობს, თვალისჩინი ჩემი ნებით დავკარგე თავისუფლების დაცვისასო; უსინათლობის გამო არ ჩივის; მიიჩნევს, რომ მხედველობა თავისი ნებით შესწირა მსხვერპლად, და ახსოვს თავისი მთავარი ამოცანა — პოეტობა. კემბრიჯის უნივერსიტეტში ნაპოვნია ხელნაწერი, სადაც ჭაბუკი მილტონი იწერდა თემებს დიდი პოემისთვის.

„მინდა მომავალ თაობებს დავუტოვო ისეთი რამ, რაც მათ დალუპვას არ დაანებებს," — აცხადებს იგი. მილტონმა ათი-თხუთმეტი თემა მოინიშნა, და თვითონ არც უეჭვია, რომ ერთ-ერთ წინასწარმეტყველური აღმოჩნდებოდა. ესაა სამსონის თემა. მაშინ არ იცოდა, რომ მისი ხვედრი ასე დაემსგავსებოდა სამსონის ხვედრს და რომ როგორც ქრისტეა ნაწინასწარმეტყველები ძველ აღთქმაში, ისე იწინასწარმეტყველებდა სამსონიც მის ხვედრს. როცა უკვე იცოდა, რომ ბრმავდებოდა, დაიწყო ორი ისტორიული ნაშრომი, რომლებიც დაუსრულებელი დარჩა: „მოსკოვის ისტორია" და „ინგლისის ისტორია." მერე დიდი პოემა „დაკარგული სამოთხე". ეძებდა თემას, რომელიც მხოლოდ ინგლისელებს კი არა, ყველა ადამიანს დააინტერესებდა. ამ თემად იქცა ადამი, ჩვენი საერთო წინაპარი.

მილტონი დიდ დროს ატარებდა მარტოობაში, წერდა ლექსებს, მეხსიერება უძლიერდებოდა. ორმოც-ორმოცდაათ თერთმეტმარცვლოვან სტრიქონს იმახსოვრებდა, მერე კი კარნახობდა მასთან მოსულ მნახველებს. ასე იწერებოდა პოემა. მასში ახსენა სამსონის ხვედრი, ესოდენ მსგავსი თავისივე ხვედრისა, რადგან კრომველი უკვე მოკვდა და დაიწყო რესტავრაციის ეპოქა. მილტონს დევნა დაუწყეს და სიკვდილი მიუსაჯეს იმისთვის, რომ მხარი დაუჭირა მეფის სიკვდილით დასჯის მომხრეებს. მაგრამ კარლ II-მ, თავმოკვეთილი კარლ I-ის ვაჟმა, სიკვდილმისჯილთა სია რომ მიართვეს, აიღო კალამი და წარმოთქვა კეთილშობილებით სავსე ფრაზა: "ხელი არ მემორჩილება, უარს ამბობს, მოაწეროს სიკვდილით დასჯას". მილტონი, და მასთან ერთად ბევრი ადამიანი, სიკვდილით დასჯას გადაურჩა.

მაშინ დაწერა „Samson Agonistes".[3] სურდა შეექმნა ტრაგედია ბერძნული სულისკვეთებით. მოქმედება მიმდინარეობს დღის განმავლობაში, ეს სამსონის ცხოვრების უკანასკნელი დღეა; მილტონი ფიქრობდა მისი და საკუთარი ხვედრის მსგავსებაზე, რადგან ისიც, სამსონის მსგავსად, ძლიერი ადამიანი იყო, რომელიც ბოლოს და ბოლოს დამარცხდა. და დაწერა სტრიქონები, რომლებიც, ლენდორის აზრით, ძნელი წასაკითხია, და მართლაც ასეა: „Eyless, in Gaza, at the mill, with the slaves" — „ბრმა, ღაზაში (ღაზა — ფილისტიმელთა ქალაქი, მტრის ქალაქი), წისქვილში, მონებს შორის". თითქოს ყველა შესაძლო უბედურება უეცრად დაატყდა თავს სამსონს.

მილტონს აქვს სონეტი, სადაც იგი თავის სიბრმავეზე ლაპარაკობს. სონეტის ერთ-ერთი სტრიქონით შეიძლება, მივხვდეთ, რომ იგი ბრმის დაწერილია. მილტონი სამყაროს აღწერისას ამბობს: "ამ ბნელ და ფართო სამყაროში". სწორედ ასეთია ბრმების სამყარო, როცა ისინი მარტო რჩებიან, რადგან ისინი სიარულისას წინ გაწვდილი ხელებით ეძებენ საყრდენს. აი, მაგალითი (ჩემსაზე გაცილებით უფრო შთამბეჭდავი) ადამიანისა, რომელმაც სიბრმავე გადალახა და თავისი შრომა დაასრულა: "დაკარგული სამოთხე", "დაბრუნებული სამოთხე", "შამსონ გონისტეს", საუკეთესო სონეტები, "ინგლისის ისტორიის ნაწილი", დაწყებული სათავეებიდან და ნორმანთა დაპყრობამდე — ყველაფერი ეს დაწერა ბრმამ — შემთხვევით ადამიანებს რომ კარნახობდა თავის ნაწარმოებებს.

ბოსტონელ არისტოკრატ პრესკოტს ცოლი ეხმარებოდა. სტუდენტობისას, ჰარვარდში, უბედურმა შემთხვევამ ცალი თვალი დააკარგვინა და მეორეთი თითქმის სრულიად დააბრმავა. პრესკოტმა გადაწყვიტა, თავი ლიტერატურისთვის მიეძღვნა. სწავლობდა ინგლისის, საფრანგეთის, იტალიის, ესპანეთის ლიტერატურას. მეფის ესპანეთმა აჩუქა თავისი სამყარო, რესპუბლიკის დროს თავის საწინააღმდეგოდ რომ შემოუბრუნდა. ერუდიტი მწერალი გახდა და ცოლს უკარნახა ესპანელთა მიერ მექსიკისა და პერუს დაპყრობის, კათოლიკე მეფეებისა და ფილიპე II-ის ისტორია. ეს იყო ბედნიერი, შეიძლება ითქვას, წმინდათაწმინდა ამოცანა და მას ოც წელზე მეტი მიუძღვნა.

მოვიყვან ჩვენთვის უფრო ახლობელ ორ მაგალითს. წელან გრუსაკი ვახსენე. გრუსაკი უსამართლოდაა მივიწყებული. ახლა ახსოვთ, რომ იგი უცხო იყო — ფრანგი. ამბობენ, მისი შრომები მოძველდაო, რომ ახლა უკეთესი ნაშრომები გვაქვს. ამასობაში ავიწყდებათ, რას წერდა, და ამას როგორ აკეთებდა. გრუსაკმა მხოლოდ ისტორიული და კრიტიკული ნაშრომები კი არ დაგვიტოვა, არამედ გარდასახა ესპანურენოვანი ლიტერატურა. ალფონსო რეიესი, ყველა დროის საუკეთესო ესპანურენოვანი პროზაიკოსი, მეუბნებოდა: "გრუსაკმა მასწავლა, როგორ არის საჭირო წერა ესპანურად." გრუსაკი გაუმკლავდა საკუთარ სიბრმავეს, და მის მიერ შექმნილი ზოგიერთი ნაწარმოები შეიძლება მივაკუთვნოთ საუკეთესო პროზაულ ფურცლებს, რაც ჩვენს ქვეყანაში დაწერილა. მსიამოვნებს ხოლმე მისი გახსენება.

ახლა მეორე მაგალითი — უფრო ცნობილი, ვიდრე გრუსაკია. ჯეიმზ ჯოისმაც ორმაგი შრომა გასწია. მან დატოვა ორი უზარმაზარი და, რატომ არ უნდა ვაღიაროთ, უხერხულად საკითხავი რომანი — "Ulises" და "Finnegan's Wake".[4] მაგრამ ეს მხოლოდ ნაწილია მის მიერ გაწეული შრომისა (აქვე შედის მშვენიერი ლექსები და საუცხოო "ხელოვანის პორტრეტი სიჭაბუკეში"). მეორე ნაწილი, შესაძლოა უფრო ფასეულიც კი, როგორც ახლა მიიჩნევენ, — ისაა, რაც დამართა თითქმის უნაპირო ინგლისურ ენას; და ეს ენა, რომელიც, სტატისტიკის მიხედვით, სჯაბნის სხვა ენებს და მწერალს უსაზღვრო შესაძლებლობას აძლევს, პირველყოვლისა კონკრეტული ზმნების სიუხვით, ჯოისისთვის საკმარისი არ აღმოჩნდა.

ჯოისს, ირლანდიელს, არ ავიწყდებოდა, რომ დუბლინი დანიელმა ვიკინგებმა დააარსეს. იგი სწავლობდა ნორვეგიულს, რომელზეც მიმოწერა ჰქონდა იბსენთან. მერე დაეუფლა ბერძნულს, ლათინურს... წერდა თავისივე გამოგონილ — გასაგებად ძნელ, მაგრამ საოცრად მუსიკალურ ენაზე. ჯოისმა ინგლისურში ახალი მუსიკა შემოიტანა. მას ეკუთვნის ვაჟკაცური (ოღონდ არა გულწრფელი) სიტყვები: „რაც კი ცხოვრებაში დამმართნია, ყველაზე ნაკლები მნიშვნელობა მხედველობის დაკარგვას ჰქონდა." თავის ნაწარმოებთა ნაწილი უსინათლომ შექმნა: მეხსიერებით ხვეწდა ფრაზებს, ხანდახან მთელ დღეს ანდომებდა ერთ ფრაზას, მერე იწერდა და ასწორებდა მათ. ეს ყველაფერი აკეთა ნახევრად ბრმამ, დროდადრო კი — ბრმამ. სწორედ ამგვარად სძენდა ნაღვლიან ელფერს ბუალოს, სვიფტის, კანტის, რესკინისა და ჯორჯ მურის ნაწარმოებებს მათი ულონობა; იგივე ითქმის ნაკლოვანებებზე, რომელთა მფლობელებმა მიაღწიეს, რომ საყოველთაოდ გაითქვეს სახელი. დემოკრიტემ აბდერიდან ბაღში თვალები დაითხარა, რომ გარე სამყაროს სახეს ხელი არ შეეშალა ყურადღების მოკრებაში; ორიგენმა თავი დაიბრმავა.

მაგალითები საკმაოდ მოვიყვანე. ზოგიერთი იმდენად ცნობილია, რომ ჩემი საკუთარი შემთხვევის ხსენებაც კი უხერხულია; მაგრამ ადამიანები ყოველთვის აღიარებას ელიან; და არც მე მქონია მიზეზი, რომ ამაზე უარი მეთქვა. თუმცა შესაძლოა უაზრობაა ჩემი მათ გვერდით დაყენება, ვისი ხსენებაც მიწევდა.

ვამბობდი, რომ სიბრმავე ცხოვრების წესია, არც ისე სავალალო. გავიხსენოთ უდიდესი ესპანელი პოეტის, ლუის დე ლეონის ლექსები:

**მინდა, საკუთარი თავის ანაბარა ვიცხოვრო,**
**მიხაროდეს სიკეთენი, რასაც ზეცა იძლევა,**
**მარტოდმარტო,**
**თავისუფალი სიყვარულისგან, ეჭვისგან,**
**სიძულვილისგან, იმედისგან, შიშისგან.**

ედგარ ალან პომ ეს სტროფი ზეპირად იცოდა. მგონია, რომ სიძულვილის გარეშე ცხოვრება არ არის ძნელი. მაგრამ უსიყვარულოდ ცხოვრება, ჩემი აზრით, შეუძლებელია, საბედნიეროდ, შეუძლებელია ნებისმიერი ჩვენგანისთვის. მაგრამ ვნახოთ დასაწყისი: "მინდა, საკუთარი თავის ანაბარა ვიცხოვრო, მიხაროდეს სიკეთენი, რასაც ზეცა იძლევა." თუ ჩავთვლით, რომ წყვდიადი შეიძლება ზეციური სიკეთე იყოს, მაშინ ვინ ცხოვრობს "საკუთარი თავის ანაბარა" ბრმაზე უფრო მეტად? სოკრატეს ფრაზას თუ გამოვიყენებთ, ვის შეუძლია უკეთ შეიცნოს საკუთარი თავი, ვიდრე ბრმამ?

მწერალი ცოცხალი ადამიანია. არ შეიძლება მწერლობა ჟანრის მიხედვით. პოეტი ყოველთვის პოეტია, მან იცის, რომ პოეზიას სამუდამოდ ჰყავს დამორჩილებული. ალბათ მხატვარი გრძნობს, რომ ხაზებისა და ფერების ალყაშია. მუსიკოსი შეიგრძნობს, რომ ბგერათა საკვირველი სამყარო — ყველაზე საკვირველი ხელოვნების ყველა სამყაროს შორის — მუდამ მის ძებნაშია, მას ელიან მელოდიები და დისონანსები. არ შეიძლება ხელოვანისთვის სიბრმავე უბედურება იყოს — იგი იარაღად იქცევა. ლუის დე ლეონმა ერთ-ერთი ოდა ბრმა კომპოზიტორს, ფრანსისკო სალინასს მიუძღვნა.

მწერალი — ან ნებისმიერი ადამიანი — იარაღად უნდა აღიქვამდეს ყველაფერს, რაც გადახდება; ყველაფერი, რაც კი დაემართება, შეიძლება მის მიზნებს ემსახურებოდეს; მხატვართან დაკავშირებით ეს უფრო საგრძნობია. ყველაფერი, რაც თავს დაატყდება: დამცირება, წყენა, წარუმატებლობანი — ყველაფერი მიეცემა, როგორც თიხა, როგორც მასალა მისი ხელოვნებისთვის. ამიტომ ერთ-ერთ ლექსში ვლაპარაკობ იმაზე, რითაც საზრდოობდნენ ანტიკური გმირები: უბედურებებზე, დამცირებებზე, განხეთქილებებზე. ეს გვეძლევა, რომ გარდავისახოთ, რომ საკუთარი ცხოვრების უბედურ გარემოებათაგან შევქმნათ რამე მარადიული, ან ის, რაც ეჭიდება მარადიულობას. თუკი ბრმა ასე ფიქრობს — გადარჩენილია. დაგქანცეთ ჩემი მიღებული საჩუქრებით: ძველინგლისური, გარკვეულწილად შვედური ენა, გაცნობა შუასაუკუნეთა ლიტერატურისა, რომელიც მანამდე ჩემთვის უცნობი იყო, დაწერა ბევრი წიგნისა — ზოგი კარგი გამოვიდა, ზოგი — ცუდი, მაგრამ გაამართლეს მათზე დახარჯული დრო. გარდა ამისა, ბრმა გრძნობს გარშემომყოფთა სიკეთეს. ადამიანები ყოველთვის კეთილები არიან ბრმების მიმართ.

მინდოდა დამესრულებინა გოეთეს სტრიქონით. გერმანულში მაინცდამაინც ძლიერი არა ვარ, მაგრამ მგონია, რომ შევძლებ უხეში შეცდომების გარეშე წარმოვთქვა სიტყვები: "Alles Nächе werde fern" — "ყველაფერი, რაც ახლოს იყო, გვშორდება." გოეთემ ეს საღამოს ბინდზე დაწერა. როცა ბინდი ეშვება, გარშემო თითქოს ყველაფერი თვალს ეფარება, ისევე, როგორც ხილული სამყარო თითქმის მთლიანად გაჰქრა ჩემი თვალსაწიერიდან.

გოეთეს მხოლოდ ბინდზე შეეძლო ამის თქმა. ყველაფერი გვშორდება. სიბერე უმაღლესი მარტოობა უნდა იყოს, თუ არ ვიგულისხმებთ სიკვდილის უმაღლეს მარტოობას. "ყველაფერი, რაც ახლოს იყოს, გვშორდება", — ეს ეხება თანდათანობით მომძლავრებულ სიბრმავეს, რომელზეც ამ საღამოს სიხარულით მოგითხრეთ და მიხარია დამტკიცება, რომ ეს სრული უბედურება არ არის. სიბრმავე უნდა გახდეს ერთ-ერთი იმ მრავალ საკვირველ იარაღთაგან, რომელიც ბედისწერამ ან შემთხვევამ გამოგვიგზავნა.

თარგმნა
**ნინო ქაჯაიამ**

1. სამივე ენაში ეს სიტყვა ითარგმნება, როგორც "მენამული" (მთარგმნელის შენიშვნა)
2. მუსიკა უპირველეს ყოვლისა (ფრანგ.)
3. "სამსონი-მებრძოლი" (ინგლ.)
4. "ულისე"; "ფინეგანის ქელეხი" (ინგლ.)

ეროვნული ბიბლიოთეკა

# კონსერვატიზმის გაუხუნარი ხიბლი

*

ქეთევან შენგელიას ესაუბრება პაატა ჩხეიძე

## ექვთიმე მთაწმინდელი როგორც ამჯობინებდა

— ბატონო პაატა, ამ წიგნის — „კონსერვატიზმის ისტორია პიტერ ვიერეკის თარგზე“ — გამოცემა მნიშვნელოვანი მოვლენაა მიმდინარე პროცესებში, რადგან კონსერვატიზმი, ვიცით ყველამ, მოედო ევროპას, ამერიკაშიც გავრცელდა და ამ ყველაფერში ქართულმა ლიტერატურულმა თუ ელიტარულმა პლასტებმაც მიიღო მონაწილეობა. სწორედ ასე ვარკვევთ ამ წიგნიდან, რომელიც თქვენი და როსტომ ჩხეიძის ავტორობით გამოიცა და სახელმძღვანელოსავით იქნება დაინტერესებული მკითხველისათვის. ეს არ არის მარტივი თემა, აღნიშნულიც არის ეპილოგში: რაც მეტად ვიკვლევთ ამ საკითხებს, მით მეტი გარემოება შესასწავლი და დასამუშავებელიო.



ჩემი მხრივ ვიტყვი, რომ წიგნი სრულ წარმოდგენას გვიქმნის კონსერვატიზმზე, და მგონია, რომ ეს თემა აქ ბოლომდე ამოწურული თუ არ არის, ძალიან სერიოზული მასალაა მოცემული.

პაატა და როსტომ ჩხეიძეებს წარდგინება არ სჭირდება. ბატონი პაატა შესანიშნავი მთარგმნელი, მკვლევარი და მეცნიერია. როსტომ ჩხეიძეს კი, ამ ყველაფერთან ერთად, ჩემი თაობა ძალიან უმადლის ლიტერატურულ მოღვაწეობას და ბევრი რამითაც არის დავალებული მისგან. სხვა რომ არაფერი ვთქვათ, მახსოვს 90-იანი წლები, უმძიმესი ხანა ჩვენი ქვეყნის ისტორიაში. ასეთ დროს იგი ახერხებდა იმას, რომ ჩვენთვის თავი მოეყარა და, ახალი წიგნი იქნებოდა თუ ნაშრომი, ყველაფერი გაეცნო. მაშინ არ არსებობდა „ჩვენი მწერლობის“ სალონი, მაგრამ ლიტერატურული პროცესები მიმდინარეობდა სწორედ ბატონი როსტომის თაოსნობით, რისთვისაც წლების შემდეგ მადლობა მინდა ვუთხრა ყველას სახელით.

ახლა კი დავუბრუნდეთ ჩვენი საუბრის თემას: „კონსერვატიზმის ისტორია პიტერ ვიერეკის თარგზე“ ბევრისთვის უკვე სამაგიდო წიგნად იქცა. იქნებ მაინც ამ წიგნის შთამაგონებლით — პიტერ ვიერეკით — დავიწყოთ საუბარი. ვინ არის იგი? ქართულმა საზოგადოებამ იცის, რომ მან ორჯერ მიიღო პულიცერის პრემია — პოეზიასა და ისტორიაში.

— პიტერ ვიერეკი გერმანული წარმოშობის მწერალი, მოაზროვნე და პოლიტიკური მეცნიერების მკვლევარია. ამბობენ, რომ მისი წინაპარი კაიზერ ვილჰელმის უკანონო შვილი ყოფილა. ცხოვრების მნიშვნელოვანი ნაწილი გაატარა ჰარვარდთან ახლოს — მუშაობდა ჰოლიოუკის კოლეჯში, აშშ-ს ერთ-ერთ გამორჩეულ სკოლაში.

იგი გახლდათ მეგობარი ტომას ელიოტისა, ასევე იოსიფ ბროდსკისა, რომელიც ამ კოლეჯში მოიწვია რუსული ლიტერატურის შესახებ ლექციების ნასაკითხად.

პულიცერის პრემია პოეზიაში 1948 წელს მიენიჭა კრებულისათვის „ტერორი და წესიერება“. ერთი წლის შემდეგ გამოიცა „დაბრუნება კონსერვატიზმთან“, 1956 წელს კი — „კონსერვატიზმი: ჯონ ადამსიდან უინსტონ ჩერჩილამდე“ და „შეუგუებელი კაცი, ახალი გმირი ამერიკელთათვის“.

ის ერთ-ერთი გამორჩეული პოეტია. მიუხედავად იმისა, რომ მის ლექსებს კარგად ვიცნობ, პოეზიას არ ვთარგმნი, როსტომს კი სხვა ინტერესები უფრო აქვს, ამიტომ, ამ თვალსაზრისით, პიტერ ვიერეკი ჯერჯერობით ნაკლებად ცნობილია ქართველი მკითხველისათვის, სამაგიეროდ, მას უკვე კარგად იცნობენ როგორც პოლიტიკურ მოაზროვნეს.

რადგან ეს წიგნი — „კონსერვატიზმის ისტორია პიტერ ვიერეკის თარგზე“ — მხოლოდ ორიგინალური ნაშრომი კი არ არის, თარგმანიცაა, კონსერვატიზმის ისტორია ქართველთა სახელებითაცაა დამშვენებული და აუცილებელი გახლდათ მათი მოღვაწეობის გააზრება და შეფასება მსოფლიო კონსერვატიზმის ფონზე.

ასეთ დროს მარჯვე საშუალება აღმოჩნდა ექვთიმე მთაწმინდელის მთარგმნელობითი მეთოდის აღდგენა-გამოყენება. ამ მეთოდმა განსაზღვრა პიტერ ვიერეკის სახელმძღვანელოს თარგმნა და საკმაო შევსება, ისე, რომ ჩვენს მკითხველს ხელთ ჰქონოდა კონსერვატიზმის სრული ისტორია ქართული სამყაროს ჩათვლით.

* დიალოგი მეორე

ეროვნული ბიბლიოთეკა

## როცა იცი საით მიდიხარ

**— ბატონო პაატა, არისტოკრატიზმისა და მისი ტერმინების შესახებ მინდა გკითხოთ და საუბარიც ამ საინტერესო თემით განვაგრძოთ.**

— ჩვენთან არისტოკრატიას უწოდებენ შთამომავლობით კეთილშობილთა წრეს. საერთოდ, ეს არის სახელმწიფო მმართველობის ერთ-ერთი ფორმა. თუკი დემოკრატია ხალხის მმართველობაა, არისტოკრატია გულისხმობს სადავეების აღებას ამ ხალხის გამორჩეული, საუკეთესო ნაწილის მიერ. თუ ჩვენ ვაღიარებთ, რომ მთელი დასავლური ფილოსოფია პლატონისა და არისტოტელესგან მოდის, უნდა გავიხსენოთ, რომ პლატონიც და არისტოტელეც საუკეთესო მმართველობის ფორმად სწორედ არისტოკრატიას მიიჩნევდნენ. ამ ტერმინზე ძალიან სერიოზულად ფიქრობდა აშშ-ს მეორე პრეზიდენტი ჯონ ადამსი, რომელსაც ხშირად საყვედურობდნენ, ეს ცნება მეფის, კეთილშობილთა გარკვეული წრის მმართველობას და სახელმწიფოს სათავეში მათ დაბრუნებას ისახავს მიზნადო. ჯონ ადამსი თვითონ დაბალი წრიდან იყო, კეთილშობილი წარმომავლობა არ ჰქონია. აქედან გამომდინარე, იცოდა ამ ტერმინის მნიშვნელობა და გამოჰკვეთდა ბუნებით არისტოკრატიას. ამბობდა, რომ ადამიანთა შორის არიან გამორჩეულები, რომლებიც დგებიან ბრბოს მდაბალ ეჭვიანობაზე მაღლა და უკეთ ახერხებენ ემსახურონ ხალხს — სწორედაც რომ ემსახურონ და არა მართონ.

**— რა კავშირი აქვს ამ ყველაფერთან ტერმინებს: აპრიორიზმი და გამოცდილება?**

— გამოცდილება ერის ტრადიციაში შენახული და იქიდან მომდინარე ნაკადია, რომელიც აუცილებლად უნდა გაითვალისწინო ქვეყნის წინამძღოლობისას. აპრიორიზმი კი ზოგადი, აბსტრაქტული ტერმინია — როცა შენ აცხადებ, რომ ადამიანს აქვს თავისუფლებანი, თავისი უფლებანი, და ამ აბსტრაქტულ თემას სავალდებულო პროგრამად სთავაზობ საზოგადოებას.

**— რამდენად სახიფათოა ეს საზოგადოებისთვის?**

— ასეთ დროს — რაკი ამ თვალსაზრისით გამოცდილება არ არსებობს — ხალხი იბნევა. დაბნეული ხალხი კი, როგორც ოთარ ჩხეიძე ამბობდა, ბრბოა, და შეიძლება სწორედ ამ ბრბოს ხელში აღმოჩნდეს სახელმწიფოს მართვის სადავეები. აპრიორული აზროვნებით — ანუ წინასწარ აღებული აბსტრაქტული მოსაზრებებით — მართვა დამღუპველია ყველა ქვეყნისთვის. სახელმწიფოს მართვაშიც, საზოგადოების მართვაშიც, ოჯახის მართვაშიც გამოცდილება აუცილებელია.

**— არისტოკრატიას უკავშირდება ისეთი ტერმინებიც, როგორიცაა თავისუფლება და თანასწორობა...**

— თანასწორობა დღეს ყველაზე სათაყვანებელ სიტყვად იქცა. ყველანი ამაზე ვლაპარაკობთ და ვერ ვითვალისწინებთ, რომ თანასწორობა, აპრიორულად აღებული, გვაბნევს. ძალიან კარგად ვიცით, რომ თანასწორობა ბუნებაში, ღვთის მიერ დაწესებულ წესრიგში, არის მხოლოდ ღვთის წინაშე. ადამიანი პირველცოდვის შემდეგ თანასწორი აღარ არის. ის იბადება სხვადასხვანაირი ნიჭით, გარეგნობით, გენეტიკით, შესაძლებლობით, ზნეობით... ამიტომ აქ თანასწორობაზე საუბარი ხალხის მოტყუებაა — დემაგოგთა მცდელობა, ხალხი გადააქციონ ბრბოდ. თავისუფლება კონსერვატიული თვალსაზრისით განსხვავდება ლიბერალური თავისუფლებისაგან. კონსერვატიზმის გაგებით ეს არის ტრადიციის, რელიგიის, ადათ-წესების ჩარჩოში ცხოვრება — როცა იცი საიდან მოდიხარ და საით მიდიხარ. ლიბერალური თავისუფლება კი არჩევანის თავისუფლებაა — შენ არ უნდა დაარღვიო კანონი, რომელიც შენს სახელმწიფოში არსებობს, სამაგიეროდ, შეგიძლია აირჩიო: როგორ იცხოვრო, რა აღმსარებლობისა იყო, თუნდაც რა ორიენტაციის — აქ მხოლოდ პოლიტიკურ ან მოქალაქეობრივ ორიენტაციას არ ვგულისხმობ. ლიბერალური თავისუფლების ნიმუშია, ახლახან ახალგაზრდები რომ გამოვიდნენ მოთხოვნით: საზოგადოებრივ ადგილებში კოცნას ნუ გვიშლითო.

ამას ეწინააღმდეგება კონსერვატიული გაგება თავისუფლებისა, როცა შენ ვალდებული ხარ იცხოვრო შენი ტრადიციის, რელიგიის ჩარჩოებში...

**— შენი ერის მიერ არჩეულ თავისუფლებაში...**

— დიახ. როცა ამ ჩარჩოს დაარღვევ, თავისუფალიც აღარ ხარ...

**— და ღმერთმა იცის, საით მიდიხარ.**

## ზომიერების მქადაგებელი

**— ბევრი საინტერესო თემაა ამ წიგნში და, ცხადია, ყველაზე საუბარს ვერ მოვახერხებთ, მაგრამ კარგი იქნება თუ გვერდს არ ავუვლით ქვეთავს — „ინტერნაციონალიზმიდან ნაციონალიზმისაკენ“...**

— საზოგადოებრივი ცხოვრება იცვლება. ადამიანი არ არის სრულყოფილი, ამიტომ ხშირად უხდება საზოგადოებრივი გზის შეცვლა. კონსერვატიზმის განვითარების ხანაშიც იყო ასეთი ცვლილებანი. თუკი კონსერვატიზმის საფუძველში — ქართული, ბრიტანული, ფრანგული კონსერვატიზმის საფუძველში — ყველა დიდი მოაზროვნე რელიგიას დებდა...

**— რაკი რელიგია ყველაზე მეტად ეხმარება ადამიანს შეინარჩუნოს თავისი სახე და თავისუფლება...**

— დიახ. რადგან ეს ასეა, აუცილებლად გასათვალისწინებელია რელიგიური მოწოდება, რომ ადამიანები უნდა იყვნენ ძმები და არ უნდა მტრობდნენ ერთმანეთს. აქ ინტერნაციონალური იდეა სერიოზულადაა ჩანერგილი. მაგრამ დგება დრო, როცა ასპარეზზე გამოდის ლიბერალიზმი მოწოდებებით თავისუფლების შესახებ, იმის შესახებ, რომ ადამიანები უნდა ცხოვრობდნენ ერთ დიდ, უნივერსალურ სახელმწიფოში. და აი, სწორედ მაშინ კონსერვატიზმმა მოუწოდა ყველას, არ დავიწყებოდათ, რომ მმართველობის, და საერთოდ, ქვეყანაზე არსებობის ფორმა განსხვავებულობაც არის. თუკი ინტერნაციონალიზმი მშვიდობიანი თანაარსებობაა, ერთიანი უნივერსალური სახელმწიფოს შექმნა უკვე ადამიანს სახეს აკარგვინებს, აკარგვინებს თვითმყოფადობას — იმას, რაც შენია, რითაც სწორედ ასეთი ხარ და რის გარეშეც ვერ იქნები თავისუფალი, მეტიც — ვერ იარსებებ.

კონსერვატიზმმა მიზნად დაისახა შებრძოლებოდა თუნდაც ისეთ ინტერნაციონალიზმს, როგორიც იყო ნაპოლეონის მცდელობა — მთელი ევროპა ერთიანი სახელმწიფო ყოფილიყო. ამ შემთხვევაში კონსერვატიზმმა არჩია მყარად

დამდგარიყო ნაციონალიზმის საფუძველზე და ერებისთვის მოენოდებინა, თავიანთი სახელმწიფოებრივი განსხვავებულობა შეენარჩუნებინათ. თუმცა ადამიანს სჩვევია რადიკალიზმი, და როცა ისმის რადიკალური მონოდება გერმანელი ან რომელიმე სხვა ერის გამორჩეულობის შესახებ, ასეთ დროს — განსაკუთრებით ფაშიზმისა და ნაციზმის ხანაში — ნაციონალიზმი უკიდურეს სახეს იღებს: ერთი რჩეული ერი კისრულობს პასუხისმგებლობას, რომ ყველაზე უკეთესია და შეუძლია მთელი მსოფლიოთ მართოს.

ამ დროს კონსერვატიზმი ისევ და ისევ შეახსენებს ადამიანებს, რომ მშვიდობიანად უნდა იცხოვრონ, პატივი უნდა სცენ ერთმანეთის ტერიტორიას, ისტორიას, ადათწესებს, ტრადიციებსა და კულტურას. კონსერვატიზმი, როგორც ყოველთვის, მქადაგებელია ზომიერებისა.

**— ამაზე დიდი ლიბერალიზმი — საუკეთესო გაგებით — რაღა უნდა იყოს?**

— განმარტებას თუ გავყვებით, შორს წავალთ. ლიბერალიზმსაც აქვს თავისი სახეები, მაგრამ ერთი რამ მაინც უნდა აღინიშნოს: ლიბერალიზმი ერთი უნივერსალური ფენომენია, თუნდაც იდეოლოგია. ყველანაირი ლიბერალიზმი ერთმანეთს ჰგავს. მას ბევრი კარგი რამაც აქვს, მაგრამ ის მაინც ძალიან სახიფათოა...

**— ალბათ სწორედ უნივერსალიზმის გამო...**

— დიახ. ლიბერალიზმსა და კონსერვატიზმს შორის არის საერთოც, მაგრამ განსხვავება სწორედ ისაა, რომ ყველა ქვეყნის კონსერვატიზმი სხვადასხვანაირია. ედმუნდ ბერკი სხვა რამეს ამბობდა, ჟოზეფ დე მესტრი სხვანაირ კონსერვატიზმს ქადაგებდა, ქართული კონსერვატიზმის მამა, ალექსანდრე ორბელიანი, საქართველოს თვითმყოფადობის გადარჩენაზე ზრუნავდა, რუსული კონსერვატიზმის მამა, კონსტანტინე პობედონოსცევი, რუსული დერჟავის კიდევ უფრო გაძლიერებას ესწრაფოდა...

**— იქნებ ისიც გვითხრათ, ქართულ კონსერვატიზმში როგორ აისახება ის თეზა, რომ ნაციონალიზმი კონსერვატიზმის იარაღი ხდება?**

— როცა შენ გიქადაგებენ, რომ უნდა შეერწყა დიდ ერს, შენი ენა, კულტურა უნდა გამოცხადდეს სხვა კულტურის ნაწილად, ბუნებრივია, გიჩნდება პროტესტის გრძნობა. ბოლოსდაბოლოს, ჩვენ, მეც და თქვენც, გვასწავლიდნენ სსრკ-ს ისტორიის სახელმძღვანელოთი, სადაც საქართველოს ისტორიას უბრალოდ ცალკე თავი ეთმობოდა...

**— მგონი ყველა ერის თვითმყოფადობისათვის აუცილებელია კონსერვატიზმი. ის დამცავი ბერკეტია — ასე უფრო საიმედოდაა დაცული შენი ენაც, კულტურაც, ტრადიციაც... და თუ აქ დავბრუნდებით, ვფიქრობ, ეს სიკეთის მეტს არაფერს მოგვიტანს. ამის მაგალითია დიდი ბრიტანეთი. იქ ხომ დღესაც მყარადაა ფეხმოკიდებული კონსერვატიზმი...**

— იმდენად მყარად, რომ 1215 წელს მიღებულ კონსტიტუციურ დოკუმენტში, „თავისუფლების დიდი ქარტიის" სახელით რომ არის ცნობილი და ჯონ უმიწაწყლომ, რიჩარდ ლომგულის ძმამ მოაწერა ხელი, არის რამდენიმე მუხლი, რომლებიც დღესაც მოქმედია ინგლისურ კონსტიტუციაში. მათ შორის ერთი მუდმივად მახსოვს: იქ წერია, რომ ადამიანის დაპატიმრება არ შეიძლება მის გაუსამართლებლად.

## „ამერიკული კონსერვატიზმი"

**— თქვენს წიგნში არის ქვეთავი ამ სათაურით. ვიცი ადამიანები, გაოგნებულნი რომ დარჩნენ ამით — ამერიკა და კონსერვატიზმი?! — ამბობდნენ ისინი. მართლაც, თითქოს წარმოუდგენელია — ამერიკულ მმართველობას საზოგადოება მაინც კონსერვატიზმის ანტიპოდად მოიაზრებს. როგორც ჩანს, ეს იმდენად საჭირო, მასშტაბური და აუცილებელი დოქტრინაა, რომ თვით ამერიკაშიც კი გაშალა ფრთები.**

— ჩვენ გვგონია, რომ ვიცნობთ აშშ-ს. ეს ძალიან დიდი ქვეყანაა, ძალიან განსხვავებული, მრავალფეროვანი კულტურით, და თქვენ წარმოიდგინეთ, ისტორიით. ამერიკის ისტორია ძალიან პატარაა — 250, ჰა და ჰა 300 წლის. ასეთი მოსწრებული თქმა იყო გავრცელებული საქართველოში: „თქვენი ქვეყნის ისტორია ჩვენი კაკლის ხის ტოლიაო". მე რომ მეგონა, აშშ-ს ისტორიასა და ლიტერატურას ვიცნობდი, იქ ჩასულმა აღმოვაჩინე, რომ ბევრი რამ მკლებია.

ამერიკული კონსერვატიზმი კი ერთ-ერთი გამორჩეულია მსოფლიო კონსერვატიზმის ისტორიაში. ამერიკელი კონსერვატორები იყვნენ: ჯორჯ ვაშინგტონი, ჯონ ადამსი, ასევე უილიამ ფოლკნერი — ძალიან რომ გვიყვარს ამერიკელ მწერალთაგან. და აი, სწორედ ფოლკნერი წერდა: თუ დღეს გაიშლება კონფედერატების დროშა, სამხრეთელთა დროშა თავისუფლებისთვის, რატომაც არა, ჩემმა შვილმაც უნდა მიიღოს ამ ომში მონაწილეობაო.

უილიამ ფოლკნერი ის ადამიანია, რომელიც მიიჩნევდა, რომ ჩრდილოეთმა აშშ-ს სამხრეთი დაიპყრო და იქაური თვითმყოფადობა მოშალა. ამერიკული კონსერვატიზმია თუნდაც ამერიკული თვითმმართველობა. დიდი ფრანგი მოაზროვნე ალექსის დე ტოკვილი — ვინც შეისწავლა ამერიკული დემოკრატია და ამ თემაზე სახელმძღვანელო გამოსცა, რომლითაც მთელ მსოფლიოში ასწავლიან — თავის წიგნში ქვეთავს უძღვნის საკითხს: „რა აჩერებს დესპოტიზმს და ტირანიას ამერიკაში". თვითმმართველობაო, — ასეთია მისი პასუხი. არსებობს შტატების, ოლქების, ქალაქების თვითმმართველობა... და თითოეული ნამდვილია და რეალური.

ტოკვილმა, ისევე როგორც არისტოტელემ და პლატონმა, იცოდა, რომ ტირანიას ხშირად ამხობს დემოკრატიული გამოსვლები, მაგრამ დემოკრატია ძალიან იოლად გადადის ტირანიაში, თუკი მას ისევ და ისევ არ შევაკავებთ ისტორიით, ტრადიციით, გამოცდილებით, სახელმწიფოებრივი მმართველობის უკვე გამოცდილი ფორმებით...

**— მაგალითად, როგორიცაა მონარქი და კონსტიტუციური მონარქია ინგლისში...**

— რომელიც ყოველთვის შეუშლის ხელს დემოკრატიის გადაზრდას ტირანიაში. აშშ-ში კი ეს არის თვითმმართველობა და უზენაესი სასამართლო. ფრანგებს ცოტა პრობლემები კი აქვთ ამ მიმართულებით, მაგრამ იქ კიდევ სხვა შემაფერხებელი ფაქტორები არსებობს.

მაიკლ ოუკშოთი, დიდი ინგლისელი ფილოსოფოსი, ამბობს, რომ კონსერვატიზმი არ არის პოლიტიკური დოქტრინა, ეს არის განწყობა, ცხოვრების წესი, როცა შენ ცდი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლობ გადაარჩინო ის, რაც შენთვის ღირებული და ფასეულია, და ამით თვითმყოფადობა შეინარჩუნო. კონსერვატიზმი ხელს უშლის სინათლის სისწრაფით მფრინავ პროგრესს, რომელსაც ყველანი მივესალმებით, მაგრამ ამავე დროს გვავიწყდება, რომ ის ძალიან სახიფათოა და საფრთხეს უქმნის ჩვენს თვითმყოფადობას.

## „ეს ჩვენი მოხუცი პეტრე რაღა შუაშია?!."

**— ამ პროცესებში ჩვენ ჩვენი თვითმყოფადობა გვაღელვებს და ძალიან სასიამოვნოა, რომ წიგნში ქართულ კონსერვატიზმზეც არის მსჯელობა. ის ალექსანდრე ორბელიანთან იღებს სათავეს და მიმდევრებიც უჩნდება. წიგნში საუბარია იმ ადამიანებზეც, რომლებიც ამ გზას გაჰყვნენ, ცალკე ქვეთავებსაც უთმობთ და კარგად არის წარმოჩენილი მათი მოღვაწეობის ის ჭრილი, სადაც კონსერვატიზმი იჩენს თავს. ესენი იყვნენ: ილია ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი, იაკობ გოგებაშვილი, ალექსანდრე ყაზბეგი, ვაჟა-ფშაველა, ვასილ ბარნოვი, მიხაკო წერეთელი, ზურაბ ავალიშვილი, მიხეილ ჯავახიშვილი, გერონტი ქიქოძე, შალვა ამირეჯიბი, ქადუცა ჩოლოყაშვილი, კონსტანტინე გამსახურდია, პავლე ინგოროყვა, ლევან გოთუა, ოთარ ჩხეიძე, ზვიად გამსახურდია...**

— ეს წიგნი კომპარატივისტული ნაშრომია, კომპარატივისტული სახელმძღვანელო. აქ შედარებულია ქართული და დასავლური კონსერვატიზმი. დასავლური კონსერვატიზმი შეიქმნა როგორც რეაქცია — სამართლიანი რეაქცია — ფრანგულ რევოლუციაზე, რომელმაც ბევრნაირი უბედურება მოუტანა არა მხოლოდ საფრანგეთს, არამედ მთელ ევროპას. საქართველოში კი ასეთი რეაქცია გაჩნდა 1801 წელს, როდესაც რუსეთმა დაარღვია ჩვენს ქვეყანასთან დადებული ხელშეკრულებანი, გააუქმა მეფობა, გააუქმა სახელმწიფოებრიობა საქართველოში. ფაქტობრივად, შეიერთა საქართველო და მისი გარუსება დაიწყო. ეს იყო დანაშაული, რაზეც პროტესტი გამოთქვა ქართველმა ერმა და პირველი, ვინც ამის შესახებ დაიწყო წერა, ალექსანდრე ორბელიანი გახლდათ. აქ არ უნდა გამოგვრჩეს 1832 წლის შეთქმულების მონაწილენი, რომლებმაც საქმეში განახორციელეს ეს ყველაფერი...

**— თქვენ წიგნში ახსენებთ პლატონ იოსელიანსაც...**

— პლატონ იოსელიანი ამ შემთხვევაში შედარებულია ალექსანდრე ორბელიანთან. ორივე საქართველოს ისტორიაზე წერდა, მათთვის უახლოეს პერიოდზე ჩვენი ქვეყნის ისტორიისა, მაგრამ პლატონ იოსელიანი უფრო შემწყნარებელი გახლდათ რუსული პოლიტიკის მიმართ, ალექსანდრე ორბელიანი კი, როგორც იონა მეუნარგია ამბობდა, მეტისმეტად ესარჩლებოდა ეროვნულ ღირებულებებს. ისინი თითქოს ერთმანეთს ავსებენ, მაგრამ მათ შორის განსხვავებაც არის — შესაძლოა სწორედ პლატონ იოსელიანია პირველი ლიბერალური მეთოდოლოგიის შემომტანი ქართულ ისტორიოგრაფიაში, ალექსანდრე ორბელიანი კი — გამოსარჩლებითის. მოგეხსენებათ, მერე იაკობ გოგებაშვილი და ივანე ჯავახიშვილი დავობდნენ ამაზე...

**— თუმცა მოგვიანებით ივანე ჯავახიშვილიც იმავე გზას დაადგა, სადაც იაკობ გოგებაშვილი და ილია ჭავჭავაძე იდგნენ...**

— ილია მანამდე ლიბერალი იყო, მისი რევოლუციური მოწოდებანი ყველასთვის ცნობილია, მაგრამ შემდეგ იგი ქართულ კონსერვატიზმს უდგება სათავეში...

**— ჩვენ შეგვიძლია გავიხსენოთ მისი „ჩატეხილი ხიდის" თეორიაც...**

— მანამდეც — გავიხსენოთ ის მშვენიერი მოთხრობა „სარჩობელაზედ", რომელზეც თავის დროზე ოთარ ჩხეიძემ მიგვითითა. მართლაცდა ეს ჩვენი მოხუცი პეტრე რა შუაში უნდა იყოსო. რა შუაშია და... აქედან ირკვევა — მაზარიანი და გაბოროტებული ხალხი არიან სიკეთის მომტანნი? ან საერთოდ, რა უნდა მოხდეს, როგორ უნდა წარიმართოს ადამიანთა ყოფა. ილია პირველი იღებს ხმას სწორედ რევოლუციების წინააღმდეგ. გახსოვთ ალბათ, ორმა ადამიანმა არ მიიღო 1905 წლის რევოლუცია და ორივე წმინდანადაა შერაცხული. ესენი არიან: გაბრიელ ეპისკოპოსი და ილია ჭავჭავაძე. აკაკი წერეთელი და იაკობ გოგებაშვილი, ვაჟა-ფშაველაც კი, შეცდნენ და მიესალმნენ რევოლუციას. მყარად კონსერვატიზმის მიზნებზე სწორედ ილია დადგა და მას შემდეგ ვინც აგრძელებს ამ გზას, ყველანი კონსერვატორები არიან.

**— მათ შორის იყო ოთარ ჩხეიძეც... და რაკი თქვენ მისი ძმისშვილი ბრძანდებით, არ შემიძლია არ გკითხოთ: როგორ ჰქონდა მას გააზრებული ქართული სახელმწიფოებრიობის საფუძველი?**

— ოთარ ჩხეიძე თავის მოგონებებში წერდა, რომ სურდა მიეტოვებინა ყველაფერი და დაეწყო წერა საქართველოს სახელმწიფოს შესახებ. ამ ჩანაწერებსაც და მის შემოქმედებასაც ეტყობა, რომ შესწავლილი ჰქონდა სახელმწიფოს არსებობის ფილოსოფია და ისტორია. მან ძალიან კარგად იცოდა, რა ინსტიტუტია სახელმწიფო და რა ზეგავლენას ახდენს ის ადამიანებზე; რუსეთის იმპერიის მაგალითზე ხედავდა, როგორ შეიძლება ამოიჭამოს სახელმწიფომ საკუთარი თავი. დასავლურ პოლიტიკურ ტერმინოლოგიაში ამას სთეითიზმი ეწოდება — როცა ხელისუფლება და სახელმწიფო ყველაფერს თვითონ იღებს ხელში და ადამიანს აღარ რჩება სულის მოსათქმელი საშუალება. ის ხდება ატომი სახელმწიფოში — არა მისი ორგანული ნაწილი, არამედ რაღაც დაშლილი, უწესრიგოდ მოძრავი ელემენტი, იგივე სტალინის ტერმინოლოგიით რომ ვთქვათ, ჭანჭიკი სახელმწიფოში. ოთარ ჩხეიძე წერდა, რომ სახელმწიფო სჭირდება ქართველ ერს და სახელმწიფომ უნდა გადაგვარჩინოს, მაგრამ, ამავე დროს, სახელმწიფო უნდა შეაკავოს გონიერმა აზროვნებამ, რათა საკუთარი თავი არ დაღუპოს და ამოიჭამოს.

**— ბევრი საინტერესო თემაა ამ წიგნში, რომლებზეც ძალიან მინდოდა გვესაუბრა. აი, თუნდაც პარლამენტურ მონარქიაზე, არჩილ ჯორჯაძეზე, მაგრამ სამომავლოდ უნდა გადავდოთ...**

— იცით, ამ წიგნის ქართული ნაწილის შექმნაში უდიდესი წილი როსტომ ჩხეიძეს მიუძღვის და კარგი იქნება, თუ ამ საკითხებზე ის მოუთხრობს დაინტერესებულ საზოგადოებას.

ოლღა გაბესკირია

# ვიქტორი შინ და გარეთ

## ორიოდე სიტყვა წინასწარ

დედა პროფესიით ექიმი იყო, თუმცა რომანტიკული, სათუთი ბუნების ადამიანი გახლდათ და ახალგაზრდობიდან გატაცებული იყო ლიტერატურით, განსაკუთრებით პოეზია უყვარდა. სკოლის ასაკიდანვე გამოირჩეოდა ქართული ლიტერატურის ბრწყინვალე ცოდნით და ისეთი შესანიშნავი პედაგოგი, როგორიც ბაბო მჭედლიძე იყო, მას დიდ მომავალს უწინასწარმეტყველებდა ამ ასპარეზზე. მაგრამ, როგორც მოგახსენეთ, მან ექიმის პროფესიას მოჰკიდა ხელი, თუმცა ლიტერატურის სიყვარული სიცოცხლის ბოლომდე გაჰყვა. ალბათ ამანაც განაპირობა ის, რომ თავისი ცხოვრება სამუდამოდ დაუკავშირა ვიქტორ გაბესკირიას. მათ შორის დიდი ასაკობრივი სხვაობა და დიდი სიყვარული იყო. სამედიცინო ინსტიტუტის დამთავრებისთანავე იგი შიდა ქართლში, ზნაურის რაიონში გაანაწილეს სამუშაოდ და, როგორც თვითონვე იხსენებს, სრულიად ახალგაზრდას, ომის მძიმე წლებში თვრამეტი სოფელი ებარა, დიდი სიყვარულით სარგებლობდა მოსახლეობაში. მამაც იქ იყო. იქ შექმნა პიესა „გაზაფხულის დილა“ და, როგორც დედა იგონებს, ბევრი რამ სწორედ იქაური ყოფიდანაა აღებული. ბევრი პერსონაჟის პროტოტიპი იქაური მცხოვრებია. მიუხედავად დიდი საყოველთაო შეჭირვებისა, ეს იყო საინტერესო ხანა თავისი მძიმე ყოველდღიურობით, დიდი შრომით, მაგრამ ამავე დროს დამსახურებული პატივისცემით, ხალხის სიყვარულით, მათ შორის ყოფნითა და მოლხენით. მამას ხომ საქართველოს ყველა კუთხე უყვარდა.



რობერტ სტურუა ოლღა გაბესკირიას პორტრეტი

ომი დამთავრდა, თბილისში დაბრუნებისთანავე დაიწყო ნამდვილი ოჯახური ცხოვრება, გაჩნდნენ შვილები და დედას სამედიცინო კარიერაც დასრულდა. ამიერიდან იგი დედა იყო და, რაც მთავარია, მეუღლე ადამიანისა, რომელმაც ურთულესი ცხოვრება განვლო. ვიქტორ გაბესკირია იყო პოეტი, დრამატურგი, კრიტიკოსი, მთარგმნელი, საზოგადო მოღვაწე, დიდი პატრიოტი, შეუპოვარი და უკომპრომისო ადამიანი. ძნელია იმ ავადსახსენებელ დროს გეცხოვრა ისე, როგორც ვიქტორი ცხოვრობდა. მუდამ ჩრდილში მდგომს არასოდეს დაუთმია პოზიციები, არც ზნეობრივი პრინციპებისათვის უღალატია. მან თავისი პიესებით — „უფსკრულთან“, „გაზაფხულის დილა“, „გურიის მთები დაუთოვია“, „შრიალებენ ვერხვები“ — ჯერ კიდევ 50-იან წლებში ერთერთმა პირველმა გაილაშქრა უზნეობის, კორუფციის წინააღმდეგ. მამას ხშირად ესხმოდნენ თავს, როგორც დრამატურგს და მან საზოგადოებას თავი დაამახსოვრა ბრწყინვალე გამოსვლებით უნივერსიტეტსა თუ მწერალთა კავშირში, სადაც იგერიებდა თავდასხმებს მთავრობისა თუ „ჩინოსანი“ მწერლების მხრიდან. მაშინ, როდესაც მრავალნი კომუნიზმსა და „ნათელ მომავალს“ უმღერდნენ, ვიქტორ გაბესკირია ძველ საქართველოს შესტრფოდა, მის გმირულ წარსულს ეხმიანებოდა. ამ მძიმე წლებში მას მხნეობას მატებდა მისი მეგობრების: კონსტანტინე გამსახურდიას, გერონტი ქიქოძის, პავლე ინგოროყვას, პოლიკარპე კაკაბაძის, აკაკი გაწერელიას, დიმიტრი ბენაშვილის, კონსტანტინე ჭიჭინაძის, გიორგი ნატროშვილისა და სხვათა თანადგომა. ვიქტორ გაბესკირიას შემოქმედება შეიძლება მოგწონდეს ან არ მოგწონდეს, მაგრამ მე არ მეგულება ადამიანი, რომელიც მას იცნობდა ან უბრალოდ რაიმე სმენოდა მის შესახებ და მას, როგორც პიროვნებას, აუგად მოიხსენიებდა. პირიქით, მისი გარდაცვალების შემდეგ ხშირად ჩნდებოდნენ სრულიად უცნობი ადამიანები, რომლებიც მის სიკეთეზე გვიყვებოდნენ, ვინაიდან სიკეთეს, მოყვასის დახმარებას იგი, როგორც წესი, არ ახმაურებდა.

ასევე რთული და წინააღმდეგობებით აღსავსე იყო დედას ცხოვრება. იგი გახლდათ არა მხოლოდ იდეალური მეუღლე და მეგობარი, არამედ პირველი მკითხველი, შემფასებელი, გულშემატკივარი, ზოგჯერ კრიტიკოსი, ხშირად მის ნაწარმოებთა გადამწერი და დეკლამატორიც კი. მახსოვს, ქვიშხეთის მწერალთა სახლში როგორ კითხულობდა მამას ახალ პიესას საკმაოდ დიდი აუდიტორიის წინაშე, შესანიშნავი დიქციითა და მხატვრული ოსტატობით.

მამას შემდეგ დედამ 38 წელი იცოცხლა, რა თქმა უნდა, შვილების, შვილიშვილების გარემოცვაში, მაგრამ მაშინაც კი და შემდგომ, განსაკუთრებით 90-იან წლებში, არ უცხოვრია მხოლოდ პირადი, ხანდაზმული ქალბატონის, დედისა და ბებიის ცხოვრებით. იგი მძიმედ განიცდიდა ჩვენს თავს დატრიალებულ ტრაგედიას და შეძლებისდაგვარად უთანაგრძნობდა და ეხმარებოდა ყველა მათ, ვინც საქართველოს დამოუკიდებლობისათვის და სახელმწიფოებრიობის შენარჩუნებისათვის იბრძოდა.

საკმაოდ განათლებული და ნაკითხი იყო. დღენიადაგ ცხოვრების ორომტრიალში ჩაბმულს არც ჰქონდა დრო რაიმე დაეწერა, თუმცა ვიცოდით, რომ რაღაცას ინიშნავდა, ჩანაწერებს აკეთებდა, და ერთი-ორჯერ გიორგი ნატროშვილს და სხვა რამდენიმე მეგობარ ლიტერატორსაც წაუკითხა, მოუწონეს, გაუხარდა, თვითონვე გადაბეჭდა, გამოქვეყნებაც

უნდოდა, მერე დაიწყო უდიდესი კატაკლიზმები და მითხრა: „ნეტავ ჩემი მოგონებები ვის რაღაში სჭირდებაო“.

ეს მოგონებები აქა-იქ აჭრელებულია პატარ-პატარა მინაწერებით, რომლებიც მას გამოსაქვეყნებლად არ ჰქონდა გამიზნული, მაგრამ მე საინტერესოდ მომეჩვენა და თავს უფლება მივეცი ზოგი მათგანი გადმომეწერა, რადგან მგონია, ასე უფრო სრულად დაიხატება თვითონ დედას პორტრეტიც და ის გარემოც, რომელშიც ტრიალებდა. ერთგან იგი წერს: „ჩემს ნაწერებში ბოლომდე გაუხსნელი ამბებია, ბევრი დაუდევრად დაწერილი, ბევრიც დაუმთავრებელი, და ვინ იცის, რამდენი კიდევ რჩება საიდუმლოდ, იმიტომ, რომ ყველაფერს ვერ დაწერ. ერთი-ორ ადამიანს გავანდე ეს „რაღაც“ დაწერილი ფურცლები, წარმოიდგინეთ, გამაკვირვა და ხამახალისა მათმა რეაქციამ“.

იქვე, როცა რაიმეს იგონებს ან სურს მეუღლის აზრი სწორად გადმოსცეს, მინაწერიც აქვს გაკეთებული: „მაპატიოს უფალმა, ვიქტორზე რომ გიყვებით, თუ მისი სანუხარი კარგად, გასაგებ ენაზე ვერ გადმოვეცი“. ან კიდევ: „ეხლა, როდესაც არ ვმსახურობ, უფრო მეტად მენანება ჩემი სწავლა სამედიცინო ფაკულტეტზე, რამდენი განცდა მქონდა ყოველი გამოცდის წინ, განსაკუთრებით ძრწოლა მიტანს, როცა პათანატომიის გამოცდა მაგონდება პროფესორ ჟღენტთან. მაგრამ რას ვიზამ, დავშორდი ჩემს პროფესიას, ოჯახის მთელი სიმძიმე რომ დაგაწვება, ყველაფერი რომ ჩემი გასაკეთებელია (მადლობა ღმერთს, რომ ამის უნარიც მომცა დალოცვილმა), მოსვენება სადღა იქნება! დღენიადაგ ვიქნევ ნიჩბებს, რომ არ ჩავიძირო! (ხანდახან ხმლის ქნევაც მიწევს). როგორც დიდი ილია ამბობდა: „ერთი წუთით თუ მოხუჭე თვალი, ისე გაგთელავს ცხოვრება, როგორც დიდოელი ლეკი ნაბადსა“. ვაი, დედა! როგორ ვჩქარობ, რა მეშველება, ღმერთო, მართლა როდემდე მეყოფა შენს მიერ ბოძებული ძალა?! ჩემს საფლავზე ალბათ უნდა დაიწეროს: „სხვა საქმე თუკი ვერ შევძელ, უფალო, მაპატიევი!“

ან კიდევ: „ჩიტებს დავუყარე ჭადის და პურის ნამცეცები, ძალიან გემრიელად მიირთვეს და ნისკარტს ნაძვის ტოტებზე იწმენდნენ. უცებ ქარი ამოვარდა, ფოთლები თითქოს აცეკვდნენო... მამლის ყივილი გამიხარდა, ასე ამბობენ, დარის მომასწავებელიაო და თბილისში განსაკუთრებით სასიამოვნოა ამ ხმის მოსმენა. რაღაც სევდამ ამიტანა... რატომღაც ხშირად ვიმეორებ ვიქტორის ერთ-ერთი ლექსის სტრიქონს:

> ცხოვრება შემრჩა მე ბზის ტოტივით
> და გაყვითლებულს ვაგროვებ დღეებს...

„ეჰ, ჩემო ვიქტორ! შენი დრო ჯერ ჰორიზონტზედაც არ მოსჩანს. თითო ღერი ადამიანილაა შემორჩენილი ჩვენს ირგვლივ, ვისაც ახსოვხარ, თავადვე არ იზრუნე, სიცოცხლეშივე, სხვათა მსგავსად, რომ შენზე ეწერათ, აკი ამას უკრძალავდი კიდეც შენს მეგობრებს. ჩვენ კი აბა რა შეგვიძლია გავაკეთოთ შენს კეთილმოსაგონრად! გადის და გადის თარიღები და არავინ გარჯილა მათ აღსანიშნად... ეხლა ხომ 80 წლის გახდი, გაგიხსენა ვინმემ? უფრო თავიანთი თარიღებით არიან გატაცებულნი! რას იზამ?!“

ვიქტორს მისი მეგობრები ზოგჯერ ანუგეშებდნენ: „ნუ გეშინია, ვიქტორ დადგება შენი, „ვიქტორიანული“ ეპოქა. შენი ქვეყნის სიყვარულში შენ პირველი იქნებიო“. ამაზე ვიქტორი პასუხობდა: „არა, ისევ ის ავაზაკები დამასწრებენო!“

„დედაჩემის სახლში გვქონდა ძველებური კედლის საათი, კაკლის ხისა, „პაველ ბურეს“ ფირმის იყო, მინის ქვეშ მოთავსებულ ციფერბლატის შუაგულში ფრანგულად ეწერა „**A la rue Paris**“. ის საათი რაღაც ინტიმს ქმნიდა და თითქოს დროის უსასრულობაზე მიგვანიშნებდა. ახლა კი შავჩარჩოიანი საათი მაქვს, ცოტა ხნის წინ შევიძინე, მალე გაფუჭდა, სანამ მუშაობდა ისეთ ხმას გამოსცემდა, თითქოს თავში უროს გირტყამენო, თან სულ მაჩქარებდა, ასე მეგონა, სადღაც მაგვიანდებოდა, ის კი მახრჩობდა, დროს მიხაზავდა... ეს ისე, სხვათა შორის...“ „ემერსონს ვკითხულობ და ძალიან მომწონს „**Надейся только на себя, будь самым собой, не обезъянничай и не подражай никому**“. ამას წინათ გავიგე, რომ ოთარ ჩხეიძის შვილს, როსტომს უთარგმნია ემერსონი ქართულად. აქამდე რუსულად ვკითხულობდი. აუცილებლად წავიკითხავ“.

„როდესაც ცუდ გუნებაზე ვარ და სევდა შემომაწვება, ეს კი ძალიან ხშირად ხდება, „გამოვჩხრიკავ“ ხოლმე ისეთ საქმეს, რომელიც, ქართული ანდაზისა არ იყოს, „უსაქმურმა კაცმაო...“ და ამიტომ ის დღეც თავდება და... ღამდება და ასე ვემზადები იმ გრძელი მოგზაურობისათვის, რომელიც ყველა ჩვენგანის წილხვედრია“...

„მე თავად, წარმოიდგინეთ, მომწონს კიდეც ჩემი მოგონებები, მაგრამ მათ მზის შუქი, ალბათ, ვერასოდეს ეღირსებათ“.

დიდი ხანია მაწუხებდა დედას ეს ფრაზა და მინდოდა მისი ეს „წინასწარმეტყველება“ არ ასრულებულიყო. ამიტომაც გადავწყვიტე მისი მოგონებების მხოლოდ მცირე ნაწილი მაინც გამომექვეყნებინა, ვინაიდან მივიჩნიე, რომ ისინი არამარტო ვიქტორ გაბესკირიას პიროვნებას, არამედ სხვა საინტერესო და ღირსეულ ადამიანებსაც ეხებიან და იმ დროსაც გვიხატავენ, რომელშიც მათ უხდებოდათ ცხოვრება და მოღვაწეობა. გარდა ამისა, ვფიქრობ, დედას ბიოგრაფიაც საინტერესოა, როგორც ადამიანისა რომელსაც არაფერი აკლდა უზრუნველი ცხოვრებისათვის და რომელმაც დიდი თავდადების ფასად შეძლო ყოველივე პირადული დაეთმო და თავისი სიყვარულითა და ერთგულებით შეემსუბუქებინა და გაელამაზებინა ვიქტორ გაბესკირიას საინტერესო და ამავე დროს ურთულესი ცხოვრება, მხარში ამოდგომოდა მას უმძიმეს წუთებში. იგი ზოგიერთი სხვა კალმოსნის თანამეცხედრეთაგან განსხვავებით დღენიადაგ არ წუწუნებდა და არ იყო შეპყრობილი დალხენილი ცხოვრებისა და ამქვეყნიური ნეტარების ჟინით.

ისიც უნდა ითქვას, რომ როდესაც ჩემს მშობლებზე ვსაუბრობ, ნუ წარმოიდგენთ ისე, რომ მათი ცხოვრება მხოლოდ სიმძიმილით და წინააღმდეგობებით იყო აღსავსე. ამ რთულ ცხოვრებას მათი მაღალი სულიერების გამო გამორჩეული და საინტერესო ადამიანები ალამაზებდნენ. ის ხალხი, რომელთაც ხშირად ვხედავდით ჩვენთან და რომელთაც ახლო მეგობრობა და სიყვარული აკავშირებდა ჩვენს ოჯახთან, სახელოვანი მწერლები, რეჟისორები, მსახიობები იყვნენ და ამიტომ მათთან ურთიერთობისას ბევრი ნათელი, ხალისიანი და იუმორით აღსავსე დღე გვახსოვს. მამას არაჩვეულებრივი იუმორის გრძნობა ჰქონდა და ისეთი ოსტატობით ჰყვებოდა კურიოზებს თავისი მეგობრების შესახებ, ხალხი სიცილით იხოცებოდა. გიორგი ნატროშვილი, რომელიც აღფრთოვანებული იყო მამას იუმორით, სთხოვდა მონაყოლი ქაღალდზე გადაეტანა, რათა ეს ამბები მკითხველისთვისაც მისაწვდომი გამხდარიყო. სწორედ მისი დაჟინებული თხოვნის შედეგად დაწერა და გამოაქვეყნა მამამ ეს მოგონებანი უახლოეს მეგობრებზე — კონსტანტინე გამსახურდიასა და კოლაუ ნადირაძეზე. სამწუხაროდ, მისი ბევრი სხვა მოგონება დარჩა გამოუქვეყნებელი.

გთავაზობთ დედას ჩანაწერებს, რომლებიც სწორედ მამას მოგონებებთან დაკავშირებით შეიქმნა და წინასიტყვაობად იყო გამიზნული ამ მოთხრობებისათვის. ჩვენ არაფერი შეგვიცვლია ამ ჩანაწერებში. ვფიქრობთ, დაგაინტერესებთ მისი მონათხრობი. ამავე დროს გთხოვთ, მკაცრად ნუ განსჯით მას. თავდაპირველად ხომ სათაურიც ასეთი ჰქონდა; „რაც გამახსენდა...“ და ეპიგრაფად წამძღვარებოდა პოეტის სიტყვები: „ყველა ამბავი გაივლის მალე, და რაც გაივლის, ის ძვირფასია!“

ციცი გაბესკირია

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვიქტორ გაბესკირიას მოთხრობები, რომლებსაც მკითხველი ამ წიგნში გაეცნობა, ყველა დოკუმენტური ხასიათისაა და უბრალოდ გვიამბობს მის ურთიერთობაზე ახლო მეგობრებთან, მწერლებთან; იმავე დროს, ავტორი ნებით და უნებურად, გვიხატავს თავის ხასიათს, იმ დროის ვითარებაზე, მწერალთა ყოფაზე გვესაუბრება. ეს მოთხრობები თავის დროზე ვერ შევიტანეთ ვიქტორის თხზულებათა სამტომიან გამოცემაში.

დასანანია ასე უბრალოდ დავიწყებას მივცეთ ისინი, მითუმეტეს, რომ ლიტერატურული ცხოვრების ცალკეულ ეპიზოდებს ავტორი მსუბუქი და ხალისიანი იუმორით გადმოსცემს.


ვიქტორ გაბესკირია

საერთოდ, მწერალი მკითხველს მუდამ ცხოვრებაზე, ირგვლივ მყოფ ადამიანებზე მოუთხრობს, ხოლო საკუთარ თავსა და თავის მეგობრებზე, როგორც წესი, ჩვეულებრივ არაფერს, ან ძალიან ძუნწად წერს. მკითხველს კი ესეც აინტერესებს. ასე, მაგალითად, განა საინტერესო არ არის ამბავი, რომელიც მოხდა პალიასტომის ტყეში, ვიქტორი აქ რომ აღწერს — იგი ხომ ასე ნათლად წარმოგვიდგენს კონსტანტინე გამსახურდიას უსაზღვრო სიყვარულს ბუნებისა და ადამიანებისადმი, მისი სულის სინაზეს, როცა ნადირობის დროს შემოფეთებულ შველის დანახვაზე გრძნობამორევით შესძახებს — „გამიშვიხარ, ანგელოსო", და როგორ წუხს შემდეგ, როცა ვიღაც გულქვა მონადირე უმწეო შველს შეუბრალებლად დაახლის გულში ტყვიას.

ვიქტორი ყოველივე ამის მოწმე იყო და ამ ამბებს ეხება მისი ეს დოკუმეტური თუ მემუარული ჩანაწერებიც.

ეს ნაწარმოებები რომ მოვნახე და დასაბეჭდად გამზადებას შევუდექი, მაშინ გავიფიქრე: ზოგი რამ საინტერესო მეც მახსოვს ვიქტორისა და მისი მეგობრების, კერძოდ, პავლე ინგოროყვას, გერონტი ქიქოძის, პოლიკარპე კაკაბაძის, შალვა დადიანის და სხვათა გამონათქვამებიდან თუ ვიქტორთან შეხვედრებიდან. გადავწყვიტე ყველაფერი ეს მკითხველისათვის გამეზიარებინა. ამბები ძალზე ფრაგმენტულად მაქვს გადმოცემული და მკითხველს მოკრძალებით ვთხოვ, მკაცრი თვალით ნუ გადაიკითხავს ამ უპრეტენზიო ჩანაწერებს.

* * *

გაოფლიანებული, გატენილი პორთფელით ხელში, სწრაფად შემოიჭრა ჩვენს ბინაში პავლე ინგოროყვა და კარიდანვე შესძახა:

— გიხაროდენ! რაკეტა უკვე გასულია ორბიტაზე!

იმ ხანებში პავლე მეათე საუკუნის სასულიერო საგალობლების გაშიფვრაზე მუშაობდა და მისი ეს შეძახილი იმას მოასწავებდა, რომ პირველივე ჰიმნი ქალწული მარიამისადმი — „გიხაროდენ" წარმატებით ამოიხსნა; საერთოდ, პავლე რამეს რომ მიაღწევდა თავის დიდად ნაყოფიერ კვლევა-ძიებაში, აღტაცებას ასე ნახევრად ხუმრობით, ოდნავ პათეტიკური შეძახილით გამოხატავდა. პირდაპირ კი არ იტყოდა — ესა და ეს გამოვიკვლიეო, ესა და ეს ავხსენიო, არამედ აუცილებლად დროის შესაფერი მეტაფორა უნდა ეხმარა. ამიტომ ასე იტყოდა ხოლმე: „ატომი უკვე დაშლილია", ან — „რაკეტა უკვე გავიდა ზენიტზე", ან „ბომბი უკვე აფეთქდა" და სხვა ასეთი გამოთქმები. როგორც უკვე მოგახსენეთ, ეს იყო ხუმრობა, მაგრამ ისეთი ხუმრობა, რომელიც, წარმოთქმული მეგობართა ვიწრო წრეში, გამოხატავდა ამ დიდი მეცნიერის შინაგან სიამაყეს და სიხარულს იმის გამო, რომ უძილოდ გატარებულმა ღამეებმა უქმად არ ჩაიარეს.

ამასთან დაკავშირებით კიდევ ერთი რამ მახსენდება: ერთხელ, ვიქტორის ახალი ლექსების წიგნი რომ გამოვიდა, ჩვენთან სტუმრად იყვნენ პოლიკარპე კაკაბაძე, ლადო ზამბახიძე, დიმიტრი ბენაშვილი და პავლე ინგოროყვა. ვიქტორი ატრიალებდა ხელში ახალ წიგნს, რომელსაც ჯერ ისევ საღებავის სუნი დაჰკრავდა. დიმიტრიმაც და ლადომაც სურვილი გამოთქვეს — მაგ წიგნზე აუცილებლად დავწერთ ვრცელ სტატიებსო.

ვიქტორმა კატეგორიული უარი უთხრა ერთსაც და მეორესაც:

— თქვენ ჩემი მეგობრები ხართ და რას იტყვის ხალხი, ნუ მიზამთ მაგ საქმესო!

პოლიკარპემ მე ჩამილაპარაკა ისე, რომ ვიქტორს არ გაეგონა:

— გაგიჟებულა შენი ქმარი. მეგობარმა თუ არ დაგიწერა, აბა მტრის დაწერილი ეშმაკსაც წაუღიაო! — მერე დაიწყეს ლაპარაკი იმ თემაზე, სჭირდება თუ არა პოეტს რეკლამა. მაშინ პავლემ მრავალმნიშვნელოვნად და ყველას გასაგონად ჩაილაპარაკა რაღაც აფორიზმის მსგავსად:

— ერთი ჩვენი პოეტი ამტკიცებდა: რეკლამა თვით მაღალ ღმერთსაც კი სჭირდება. აბა მაშ, ზარებს რისთვის რეკავენო...

ყველამ გულიანად გაიცინა.

მაგრამ ჩვენ გადავცდით საუბრის საგანს. დავიწყეთ კი იმით, თუ როგორ გახარებული შემოვიდა პავლე ჩვენსას და თავისი პორთფელი მძიმედ მიასვენა სკამზე. ოთახში ვიყავით მე, ვიქტორი, და პროფესორი გიორგი ხახანაშვილი, ცნობილი მუსიკისმცოდნე, რომელიც პავლემ წინასწარ მოიწვია, რათა მას პავლეს მიერ გაშიფრული ნოტების მიხედვით ჩვენს როიალზე შეესრულებინა უძველესი ქართუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლი მუსიკის ღვთაებრივი ჰანგები. ხახანაშვილი სიამოვნებით დაეთანხმა, თუმცა ჩვენი როიალი საკმაოდ მოძველებული გახლდათ. ასე იყო თუ ისე, ჩვენ პირველები ვიყავით, ვინც ვისმენდით ათასეული წლის წინათ დაწერილ მუსიკას და თავი სიზმარში გვეგონა.

პავლესა და ვიქტორის განუწყვეტელი საუბრების თემა იმ ხანებში სწორედ ეს ძველი ქართული ჰიმნოგრაფია იყო. განუწყვეტლივ მესმოდა მათი საუბრისას მიქელ მოდრეკილისა და გრიგოლ ხანძთელის, რატი ორბელისა და ბასილი საბანმინდელის, იოანე ბოლნელისა და სტეფანე ჭყონდიდელის სახელები. ახლა დიდი სიხარულით და კმაყოფილების გრძნობით ვიხსენებ იმ დღეებს და ვფიქრობ — ჩვენს ღარიბულ ბინასაც და საცოდავად გაცრეცილ როიალსაც ხომ მიუძღვის რაღაც იოტისოდენა, ყოვლად მინიმალური წვლილი იმ საერთო ტრიუმფში, რაც თან მოჰყვა პავლეს ამ აღმოჩენას — იგი გავიდა უაღრესად ფართო ასპარეზზე, გახმაურდა მოსკოვის რადიოთი, ხოლო იუნესკომ მოაწყო ინგოროყვას აღმოჩენის ტრანსლაცია პარიზიდან, ჟურნალმა „კურიერ იუნესკომ" გამოაქვეყნა პავლეს სტატია, რომელმაც ღრმა ინტერესი გამოიწვია საფრანგეთსა და ინგლისში, იტალიასა და იაპონიაში, მთელ მსოფლიოში.

პავლე ჩვენი ახლო მეზობელი იყო, ერთ სახლში ვცხოვრობდით გოგებაშვილის ქუჩაზე და დღეში რამდენჯერმე ჩამოვიდოდა ხოლმე ჩვენთან. ახლაც თვალწინ მიდგას — ნაცრისფერი ბერეტი ეხურა თავზე, ზურგმიყრდნობით დაჯდებოდა ტახტზე და დახუჭავდა თვალებს. ჩვენ ფეხაკრეფით გავიდოდით მეორე ოთახში, ბავშვებსაც ვაწყნარებდი — არ იხმაუროთ, ბიძია პავლემ უნდა დაისვენოს-მეთქი. მერე ისევ რომ შევიდოდით ფეხაკრეფით ოთახში, ის მაშინვე გაახელდა თვალებს, თურმე არ ეძინა, ფიქრში იყო წასული.

ვიქტორი მას ისე უკითხავდა თავის ახალ ლექსებს, როგორც უზენაეს მსაჯულს; განსაკუთრებით მოეწონა პავლეს ვიქტორის „განდეგილი" და ლექსი ფრესკაზე, სადაც ტაძარია აღწერილი და ფრესკებზე გამოხატული წმინდანები გაოცებით გადახედავენ ერთიმეორეს, როცა ტაძარში ახალგაზრდა ლამაზი მლოცველი ქალიშვილი შემოვა.

აქ კიდევ ერთი ამბავი უნდა გავიხსენოთ, რომელიც ერთგვარად დამახასიათებელია ჩვენი მწერლების ყოველდღიური ყოფა-ცხოვრებისათვის. ომი ახალი დამთავრებული იყო, როცა საქართველოს ლიტფონდმა გოგებაშვილის ქუჩაზე ააშენა ის სახლი, რომელშიაც ჩვენ ახლა ვცხოვრობთ. შემდეგ თვითონ მწერლებმა გაანაწილეს ბინები და დარჩა მხოლოდ ერთი ბინა, რომელზეც ორ კაცსა ჰქონდა პრეტენზია — ვიქტორსა და მეორე მწერალს, რომელიც მარტოხელა იყო და ბინაც შედარებით პატარა, მაგრამ მაინც ჰქონდა. ბინების გამანაწილებელ კომისიაში შედიოდა მწერალი კონსტანტინე ლორთქიფანიძეც. მაშინ პავლე ინგოროყვა მივიდა კონსტანტინესთან და უთხრა:

— გინდა თუ არა, რომ პავლე ინგოროყვა შენი ყმა იყოს!

კონსტანტინე წამოდგა, მხრებში გაიშალა და უპასუხა:

— მინდა, როგორ არ მინდა. რა სჯობია მაგას, გამოვალ ყველგან და ვიტყვი, ბატონი პავლე ინგოროყვა ჩემი ყმა არის-მეთქი.

— აბა თუ მასეა, ერთი პირობა შემისრულე: იმ სადავო ბინის განხილვისას მხარი ვიქტორს დაუჭირე. ხომ იცი, პატარა ბავშვები ჰყავს!

აი ასე დადებითად გადაწყდა ჩვენი ბინის საკითხი.

* * *

გერონტი ქიქოძე ვიქტორის უაღრესად ახლო მეგობარი იყო. ჩვენ, ვახტანგ ჭელიძის, რევაზ მარგიანის, გიორგი მელიქიშვილის და სხვების ოჯახებთან ერთად, ქვიშხეთში ადრე გაზაფხულზევე, წინასწარ დავიქირავებდით ხოლმე ბინებს ე.წ. „ლაცაბიძეების უბანში". ჩავიდოდით ზაფხულში და ამიერიდან თითქმის ყველაფერი საერთო გვქონდა — ბაზარშიც ერთად დავდიოდით, თბილისიდან თუ სხვა კუთხიდან ჩამოსულ სტუმარს ვმასპინძლობდით.

გერონტი ქიქოძის სიძეს, გოგი მიქელაძეს საბარგო მანქანით დავყავდით ექსკურსიებზე: არ დარჩენილა ქართლში და, კერძოდ, ბორჯომის ხეობაში ტაძარი თუ ციხე-კოშკების ნანგრევი, რომ არ დაგვეთვალიერებინა. ამ ძეგლებიდან ყველაზე უფრო დაუვიწყარი იყო ქარელთან ახლო მდებარე ყინწვისის ტაძრის დათვალიერება.

როგორც კი მანქანიდან ჩამოვიდოდი, წინ გაგვიძღვებოდა ბ-ნი გერონტი თავისი გრძელი ჯოხით (სოლომონ თავაძის გამოთლილი იყო), სულ პირველი ავიდოდა ხოლმე მთაზე; გერონტიზე უკეთეს ექსკურსიამძღოლს სად მონახავდა ადამიანი — მისი დინჯი და ბრძნული სიტყვა თითქოს სულს უდგამდა ფერწერულ ფრესკებს, აცოცხლებდა მის ოსტატებს, და იმ ადამიანებსაც, რომელნიც ამ ფრესკებზე იყვნენ გამოხატულნი. ექსკურსიამძღოლებად — გერონტის თანაშემწეებად — ხშირად ირაკლი ციციშვილი და ვახტანგ ბერიძე იყვნენ. ქართული ხელოვნების ამ შესანიშნავი მცოდნეების საუბრის შემდეგ მე და თინა ქიქოძე გავშლიდით მინდორზე სუფრას, გვერდებზე შემოვუწყობდით ფართოფოთლებიან ბუერებს და იწყებოდა დიდებული ნადიმი, გერონტის შესანიშნავი თამადობით; როგორ ავწერო ეს ყველაფერი — ეს იყო რაღაც ზღაპარი, სამოთხე; ჩვენი ექსკურსია ყინწვისში, ალბეჭდილი აკვარელის ფერებში, აკი მეორე ზაფხულს ჩამოიტანა ირაკლი ციციშვილმა და აჩუქა ვიქტორს. სურათი თავის ხელით ჩამოკიდა კედელზე, ყიფიანისეულ სახლში.

ერთ ზაფხულს გადავწყვიტეთ ზურგი გვექცია ქვიშხეთისათვის და დასასვენებლად სოფელ ლიკანში წავსულიყავით. იმ ზაფხულს საშინელი სიცხე დაიჭირა, ყოველ შემთხვევაში, ასე გვეჩვენებოდა „ქვიშხეთელებს". ერთ დილას გადავწყვიტეთ წავსულიყავით ბაკურიანში. გავედით თუ არა ბორჯომის სადგურზე, რას ვხედავთ: ბატონი გერონტი გამოგვეცხადა, თეთრად გაქათქათებულ ხალათ-შარვალში გამოწყობილი. მაშინვე გამოეშურა ჩვენკენ, და ყველა გადაგვკოცნა. მერე ერთად წავედით წაღვერში, იქიდან ტიმოთესუბანში შევუხვიეთ, იქ მართლაც რომ ფანტასტიკური სანახაობა გადაიშალა ჩვენ თვალწინ. მთები ისე შემორტყმიან გარს ტაძარს, თითქოს ცოცხალი გუშაგები არიან და აქაურობას ყარაულობენო. თვითონ ტაძარი, მეთორმეტე საუკუნის ძეგლი დგას იმ მყუდრო ადგილას და ეჩვენება ადამიანს, ისიც მინაბულა მზის დაქანცულ სხივებზე. აქედან პირდაპირ ბაკურიანისკენ გავწიეთ. დავბრუნდით იმავე დღეს, მალე სულაც მივატოვეთ ლიკანი და ჩამოვედით ჩვენს საყვარელ ქვიშხეთში.

მწერალთა მეორე ამოჩემებული აგარაკი — კიკეთი გახლდათ. იქაც სულ ერთად ვიყავით, ჩვენი ოთახები გვერდი-გვერდ იყო. მახსოვს, გერონტის მეუღლე ქ-ნი ტასო როგორ ანებივრებდა ჩემს ბუტას და ეძახდა: „შალვა, შალვა! მოდი ჩემთან, შვილო, რატომ მიყვარხარ! იცი? — ეკითხებოდა ქ-ნი ტასო, — იმიტომ, რომ შენ ჩემი ძმის სახელი გქვია". ვიქტორს ძალიან უყვარდა შალვა ამირეჯი-

ბის ლექსები, ხშირად იმეორებდა: „შენს ძვირფას სახეს ალარ უნდა განმეორება, ვერავინ შეცვლის შენს სურათზე ფერებსა მკრთალებს, მარადისობის მიულია მას ელვარება, ვით სიჯისმონდო მალატესტას ნაკვეთ მედალებს". ქ-ნი ტასო იშვიათად მოჰყავდათ დიდუბის პანთეონში, ფეხი დაზიანებული ჰქონდა და ჯოხით დადიოდა, აი ასეთ მდგომარეობაში ვარდების თაიგულით ხელში მოვიდოდა ვიქტორის საფლავზე და ჩასძახოდა: „ვიქტორ! ეს ვარდები შენ გერონტიმ გამოგიგზავნა". ამას ამბობდა სრული რწმენით, დაჯერებით და სერიოზულობით.

წერილში გერონტი ქიქოძეზე ვიქტორმა ჩაურთო ერთი პატარა ლექსი. ამ ლექსში პოეტი კონსტანტინე ჭიჭინაძეც არის ნაგულისხმევი.

**იქ სად გროვდებით? ერთ ლამაზ ტბასთან?**
**იქ ყვავილებს კრეფთ თქვენ ყოველ დილით?**
**მე კვლავ ტრამვაის გაჩერებასთან**
**თქვენთან შეხვედრის მაქვს მოლოდინი.**

**როს წარმოვიდგენ არ ხართ — დაცხრება**
**ჩემი ფიქრები, ბედს დავჯერდები...**
**თქვენს აქ დარჩენილ მართალ ცხოვრებას**
**ვით წარმტაც მინდორს მივაჩერდები.**

მათ მიერ დაწყებული მეგობრობა დღემდე გრძელდება ჩვენს ოჯახებს შორის. აქვე მინდა მადლობის გრძნობით ალვნიშნო, რომ გერონტის სიძემ, გოგი მიქელაძემ და მისმა შვილმა ვახტანგმა იზრუნეს ვიქტორის საფლავზე.

ვიქტორს ჰქონდა რალაც თავისებური ასკეტური მორალის მსგავსი წესები, რომლებსაც სასტიკად იცავდა. ასე მაგალითად, მიკრძალავდა მიმეცა ვინმესთვის ძველი ტანსაცმელი, რომელიც ჩემს ბავშვებს ალარა სჭირდებოდათ. იგი მიმტკიცებდა, ეს არასწორი საქციელია, ვინაიდან არავის არ უნდა მისცე ის, რაც შენ თავად ალარ გინდა და, მაშასადამე, ალარ ვარგაო. არაფრად აგდებდა ჩემს სიტყვებს — „რა გინდა, ისინი მაინც კმაყოფილები არიან-მეთქი". მაინც ჯიუტად იცავდა თავის აზრს და ციტატებიც კი მოჰყავდა ბიბლიიდან. ასეთივე პრინციპული და პირუთვნელი იყო ლიტერატურული ნაწარმოების შეფასებისას. ერთხელ ჩვენთან მოვიდა ახალგაზრდა პოეტი, ლექსების წერით იყო გატაცებული; ის ფიზიკოსი იყო, ბოლო კურსზე სწავლობდა, სუსტ ლექსებსა წერდა. ვიქტორმა სასტიკად დაუწუნა და უთხრა — „არ დაანებო თავი სწავლას, ნუ დაილუპავ მომავალსო". მას ბევრი ნაცნობი დამდურებული ჰყავდა იმის გამო, რომ მათ, თუნდაც შემთხვევით, ცუდი სიტყვა დასცდათ ჩვენი ქვეყნის დიდებულ ადამიანებზე, ხოლო ვიქტორმა ეს არ აპატია.

ვიქტორს ერთი პატარა კარადა ჰქონდა სათავისოდ არჩეული და მასში მხოლოდ მისი ნაწერები, ამას გარდა, ბარათაშვილის დაფურცლული წიგნი და გალაკტიონის ლექსები ეწყო. ის წიგნები ახლაც შენახული მაქვს, ბარათაშვილის კრებულში ვიქტორის მინაწერებიც არის. ერთ ადგილას, იქ, სადაც ბარათაშვილის ლექსებისათვის დართული წერილის ავტორი წერს ასეთ ფრაზას: „თუ მაინცა და მაინც თავის ნამდვილ დანიშნულებას და ცხოვრებას შორის შეუსაბამობას ალმოაჩენდა და ამის გამო გულში ტკივილებს იგრძნობდა, იმდენი ძალა მაინც უნდა გამოეჩინა, რომ თავისი დანიშნულების ცხოვრების პირობების შექმნა შესძლებოდა". ამრიგად, ამ მინაწერის ავტორი ბარათაშვილს უსაყვედურებდა — ნუთუ ძალა არ გეყო ისე მოგეწყო ცხოვრება, როგორც შენ გსურდაო. ეს, რა თქმა უნდა, უსამართლო საყვედური იყო და ვიქტორი გამოესარჩლა ბარათაშვილს, ხოლო იმ მინაწერის საპასუხოდ მიუწერია: „შენ ასწავლი რა უნდა გაეკეთებინა?" ისე კი, უნდა ალვნიშნო, რომ, სამწუხაროდ, იმ მინაწერის ავტორი საკმაოდ ცნობილი მეცნიერი იყო. ვიქტორი ამასთან ერთად, იყო საოცრად მგრძნობიარე. ერთხელ ლიკანის სანატორიუმში, სადაც მისი ახლო ნაცნობი ისვენებდა, ვიქტორი მის სანახავად რომ მივიდა, მთავარმა ექიმმა ისიც გასინჯა და უთხრა — „თქვენ ძალიან ალგზნებული ხართ და ემოციებით გადატვირთულიო". დიახ, ეს მართლაც ასე იყო, წიგნის კითხვისას ლაპალუპით გადმოსდიოდა ცრემლები და ცდილობდა, ეს არავის შეემჩნია. სიკვდილის წინ, როცა ლოგინზე იყო მიჯაჭვული და ტელეფონით კითხულობდნენ — როგორ არისო იგი მკარნახობდა და მაიძულებდა მეთქვა, რომ კარგად იყო, და ეს იმ დროს, როცა გულის ორივე კედლის ჩაქცევა ჰქონდა.

ვიქტორის ბავშვობა და ყრმობა მთლიანად დაკავშირებული იყო ფოთთან. ის თბილისშიც იმ ადამიანებს დაუახლოვდა, რომლებიც ფოთის გიმნაზიიდან თუ საერთოდ ამ ქალაქიდან ახსოვდა. მამამისი იპატი თავის დროზე კარგი მონადირე იყო და ისინი ერთად დადიოდნენ პალიასტომის ტბის ნაპირებზე სანადიროდ. შემთხვევითი არ არის, რომ ეს მიდამოები ასეთი დიდი სიყვარულით აისახა ვიქტორის ლექსებში. მეორე ქალაქი, რომელიც ვიქტორს განსაკუთრებით უყვარდა, ბათუმი იყო, ვიქტორი ხშირად ჩადიოდა იქ თავისიანების მოსანახულებლად, ზოგჯერ დიდხანს რჩებოდა და იქაურ კულტურულ საქმიანობაში მონაწილეობდა. ბათუმში მან გამოსცა თავისი ჟურნალი „ისპირი". ეს ჟურნალი მას ალარ შერჩა და მხოლოდ შემდეგ გადმომცა ნიტა ტაბიძემ მამის — ტიციან ტაბიძის — არქივიდან. ვიქტორის ბათუმელი მეგობარი იყო ანტონ კელენჯერიძე და თბილისშიაც ძლიერ დაახლოებული იყო მასთან. სიჭაბუკის წლებში ისინი ერთად მუშაობდნენ სტამბაში კორექტორებად. ამას გარდა, მისი ბათუმელი მეგობრები იყვნენ შოთა ქურიძე, გიორგი სალუქვაძე, მურად ხინიკაძე, ილია რურუა და სხვები.

ვიქტორ გაბესკირიას პირველი ლექსი დაიბეჭდა 1917 წელს, ხოლო ლექსების პირველი წიგნი გამოვიდა 1929 წელს. ამ წიგნში უმთავრესად ზღვის თემა იყო წარმოდგენილი.

1942 წელს მე დავამთავრე სამედიცინო ინსტიტუტი და სამუშაოდ გამგზავნეს ოსეთში, სადაც სოფელ წნელისში დავბინავდი. მებარა თვრამეტი სოფელი. ჩემი იქ ყოფნისას ვიქტორმა დაწერა პოემა „ქეთევან წამებული", რომელიც მიუძღვნა ომში დალუპული ძმის — შალვას ხსოვნას. იქ ჩვენ დაგვიახლოვდა ერთი მოხუცებული პროვიზორი ექვთიმე სულაქველიძე, რომელსაც, წარმოიდგინეთ, თურმე რევოლუციამდე საკუთარი აფთიაქი ჰქონია პეტერბურგში; მას შენახული ჰქონდა იმდროინდელი ე.წ. სავიზიტო ბარათი, რუსული წარწერით — ეფიმ დავიდოვიჩ სულაკველიძე — სანკტ-პეტერბურგ! ძალზე ამაყობდა ამ სავიზიტო ბარათით და წამდაუწუმ აჩვენებდა ყველას. იმ ხანებში სოფელ ატოცის ეკლესიის დღეობა იყო და იქ წავედით. გავშალეთ სუფრა. ექვთიმე გზაში სულ კლასიკური ოპერებიდან არიებსა მღეროდა, ბოლოს ჯერი „ფაუსტზე" მიდგა და იმღერა მეფისტოფელის არია, ძალიან სასაცილო იყო, განსაკუთრებით მაშინ, როცა ბოლოში ხმას ვერ აუწევდა ხოლმე

და უნყდებოდა. ვიქტორმა იქ დაწერა „გაზაფხულის დილა“, ხოლო მოქმედ პირებად გამოიყვანა ისინი, ვის ბინაზეც ჩვენ ვცხოვრობდით.

1944 წელს სიმონ ჩიქოვანმა მოსკოვში გამართულ დიდ ლიტერატურულ საღამოებზე მონაწილეობის მისაღებად წაიყვანა ვიქტორიც. ვიქტორმა იქ გაიცნო სახელგანთქმული პოეტი ქალი ანა ახმატოვა, რომელსაც ექსპრომტად ლექსი მიუძღვნა. ეს ექსპრომტი დაკარგულია; თავის დროზე ჩვენს ლიტერატურულ საზოგადოებრიობაში დიდი პოპულარობით სარგებლობდა ექსპრომტები. ვიქტორ გაბესკირიაც ბევრ ექსპრომტს წერდა, როცა საქართველოს სხვადასხვა კუთხეში მოგზაურობდა, მაგრამ მისი ექსპრომტები იშვიათადღა თუ ვინმეს გაახსენდება.

ასე, მაგალითად, გიორგი ნატროშვილი ვიქტორის თხზულებათა მესამე ტომის ბოლოსიტყვაობაში წერს: „ვიქტორს უყვარდა საქართველოს რაიონებში მოგზაურობა, ხალხში ტრიალი და ხალისიანი ექსპრომტები სუფრაზე“. შემდეგ გიორგი იხსენებს კახეთში, სოფელ ანაგაში გამართულ ლიტერატურულ საღამოს, ვიქტორს იქ წაუკითხავს ლექსები „ვეფხისტყაოსნის გადარჩენა“ და „ცხრა ძმა ხერხეულიძე“. ბოლოს მას ექსპრომტად წარმოუთქვამს:

**ალაზნის ველი ისე ვინამე,**
**როგორც ცია და როგორც ტეხური,**
**მხიბლავს გომბორზე ნამგალა მთვარე**
**და ვენახებში სუფრა გლეხური.**

ვერ ვიტყვით, რომ ვიქტორს აკლდა ყურადღება ლიტერატურული კრიტიკის მხრიდან. მახსოვს, მაგალითად, მისი შემოქმედებითი საღამო, რომელიც 1941 წლის 27 იანვარს მოეწყო მწერალთა კავშირის კლუბში; მოხსენება წაიკითხა ვანო წულუკიძემ, მან აღნიშნა, რომ „გაბესკირიას მთელი ლირიკა ქართული პოეზიის მრავალხმოვან ანსამბლში გაისმის, როგორც ჩონგურსაყოლებული ნაზი მეგრული სიმღერა“. შემდეგ დამამახსოვრდა სიმონ ჩიქოვანის სიტყვა: „ვ. გაბესკირიას აქვს თავისი შინაგანი სამყარო, საგნებისა და მოვლენების თავისებური ხილვა, საკუთარი ფორმა დანახულის და განცდის გამოსახატად; ამ ღირსებით, რაც ყველა პოეტს როდი მოეპოვება, ვ. გაბესკირია იმკვიდრებს თავის მნიშვნელოვან ადგილს ქართველ მოწინავე პოეტების რიგებში. ვ. გაბესკირიას ლექსში ნაზი შტრიხებით მოხაზული აკვარელია, მისი ხმა მინორულ-მელოდიურია, მისი პოეტური ფრაზები, ნიუანსებით შეფრქვეული თქმების შემცველია. ვ. გაბესკირიას ლექსში პოეტის აზრი და გრძნობა მუდამ პოულობს შესატყვის გამოთქმას. კომპოზიციურად ვ. გაბესკირიას ლექსი მთლიანია, ე.ი. ერთს ტონალობაზეა აგებული. ვ. გაბესკირიას აქვს ჭეშმარიტი მხატვრისათვის საჭირო სიმშვიდე“.

ვრცელი წერილები მიუძღვნეს ვიქტორ გაბესკირიას შემოქმედებას ლადო ზამბახიძემ, დიმიტრი ბენაშვილმა, გიორგი ნატროშვილმა, ლავროსი კალანდაძემ; უმცროსი თაობის მწერალთა თვალშიც მას მუდამ სიყვარულით და პატივისცემით ეპყრობოდნენ. სიკვდილის შემდეგაც დაწერეს მასზე წერილები გიორგი ნიშნიანიძემ, მურმან ჯგუბურიამ, ტაგუ მებურიშვილმა, შალვა ამისულაშვილმა, ვლადიმერ ჯიბუტმა, გიორგი მარგველაშვილმა, ილია რურუამ, აკაკი ბაქრაძემ და სხვ.

ეკა ბუჯიაშვილი

# მისი სოფლის ეტიუდებიდან

საბოლოოდ სამ წიგნად მოიყარა თავი ამ ნოველებმა, ერთ ციკლად გაერთიანდა სათაურით: „ჩემი სოფლის ეტიუდები“.

მავთულხლართებში გამოჭედილიყო ქართული სოფელი, ქვეყანა აღარც განსხვავდებოდა საკონცენტრაციო ბანაკისგან... და ირღვეოდა, იმ სიმტკიცეს კარგავდა, ოდითგანვე საფუძველი რომ ყოფილა ეროვნულობისა, თვითმყოფადობისა, საუკუნეების მანძილზე რომ მოჰქონდა და ინახავდა ყველაფერს, რასაც ქართული ერქვა. ახლა კი... მორღვეულიყო, სახეცვლილიყო, თითქოს სურნელიც დაეკარგა, ფერიც, მადლიც... და ოთარ ჩხეიძესაც გლოვად ჩაეფიქრებინა ნოველების ეს ციკლი, გამოტირებად სოფლისა, მაგრამ მერე ისიც დაინახა, რომ გლოვა აღარ კმაროდა, მკაცრი შეძახილი სჭირდებოდა ამ ყველაფერს და მკაცრ სატირადაც გადაუქცევია თავისი სიტყვა თანადროული რეალობისა. ის მავთულხლართებიც, საკონცენტრაციო ბანაკის მსგავსი ქვეყანაცა და ფერნაცვალი, მადლდაკარგული სოფელიც ხელშესახებად იკითხებოდა ნოველათა ამ ციკლში, რომლისთვისაც არც დრამატიზმია უცხო და არც იუმორი.

აკი ეს ნოველაც ამ ნიშნით შერჩეულა — „შავი თუთა“, რომელსაც მსახიობი ზურაბ ცინცქილაძე ჟურნალ „ჩვენი მწერლობის“ სალონში კითხულობს და როსტომ ჩხეიძეც ამ შესავალი სიტყვის შემდეგ ნოველის მთავარ გმირზე — „ჩემი სავანის“ ერთ-ერთ კოლორიტულ პერსონაჟზე, შოთა ასანიძეზე რომ ისაუბრებს, რამდენიმე იუმორისტული შტრიხით ხელშესახებად გამოკვეთს მის პორტრეტს.

იყო ასეთი დროც — წლიური თემების მომზადება ყველა ლექტორს ევალებოდა.

ეს ძირითადად ფორმალური საქმე იყო.

ფორმალურივე იყო მათ შესახებ გამოქვეყნებული რეცენზიებიც, რომლებსაც ავტორები თვითონვე წერდნენ.

მერე ეს ყველაფერი განიხილებოდა, იგზავნებოდა სამინისტროში, სადაც მათ არავინ კითხულობდა, რადგან ყველა ერთ თარგზე მოჭრილიყო — ერთნაირად აქებდა და ადიდებდა ნაშრომის სიღრმეს, მეცნიერული დონესა თუ მიგნებებს.

შოთა ასანიძე, პროფესიით მათემატიკოსი და, უბრალოდ, პატიოსანი კაცი, ასეთ რამეს ვერა და ვერ წარმოიდგენდა. სპეციფიკურ საკითხებზე თემის დაწერის შემდეგ მოულოდნელად მისი ხელმძღვანელი რომ გარდაიცვალა, ხან ვის მიადგა რეცენზიის დაწერის თხოვნით და ხან ვის.

— ჩვენ ვერაო, — ხელებს ასავსავებდნენ, — ამ საკითხებს შენ უკეთ იცნობ და თავად დაწერე, ჩვენ კი ხელს მოგიწერთო.

— როგორაო?! — მხრებს იჩეჩდა პატიოსანი კაცი, — ეგ როგორაო?!

— როგორ და... ასე აკეთებს ყველაო, — ამხნევებდნენ და აგულიანებდნენ ისინი.

რაღა დარჩენოდა, ჩაუჯდა და ჩაუღრმავდა თავის ნაშრომს, კრიტიკული თვალით ჩაუღრმავდა და კიდეც აღმოაჩინა ლაფსუსები.

მოუწერეს ხელი რეცენზენტებმა — ისე, რომ არც წაუკითხავთ.

დამტკიცდა კათედრაზე;
მერე ინსტიტუტშიც;
მერე სამინისტროშიც გაიგზავნა.

და უეცრად, მაინცდამაინც იმ წელს, გადაწყდა გამოეყოთ კომისია და შეესწავლათ, რა ვითარება იყო წლიური თემების სფეროში. ნახეს და აღმოჩნდა, რომ ყველა ნაქებია, ერთადერთი შოთა ასანიძის ნაშრომი არ შეესაბამება საბჭოთა მეცნიერის მოწოდების სიმაღლეს.

და აგორდა საქმე.

მოსკოვამდე გაიწელა — ასეთი აღმაფრენის, პროგრესის, საბჭოთა მეცნიერების ასეთი განუხრელი ზრდის ჟამს საქართველოში, ქალაქ გორში, ერთ-ერთ ინსტიტუტში არსებობს ლექტორი, რომელიც ხელს უშლის ამ ყველაფერსო.

ამის გამო საყვედური გამოუცხადეს განათლების მინისტრს. მან თავის მხრივ — ლექტორს. თითოეულ სასწავლებელს დაევალა, განეხილათ ეს საგანგაშო შემთხვევა. ყველას დაეყარა თავზე ნაცარი. გორელი კაცი კი იყო, მაგრამ თბილისსაც უნდა ეგო პასუხი, ქუთაისსაც, ბათუმსაც, რადგან ქართველ მეცნიერს ეხებოდა საქმე.

— ეს რამ გაგაკეთებინაო?! — ეკითხებოდნენ გაოგნებულნი, — ასეთი რამეები საკუთარ თავზე რამ დაგაწერინაო?

— აბა რა მექნა, ჩემს თავზე ქებას ხომ ვერ დავწერდიო.

იქ კი — „ზემოთ“ — რეცენზენტებს მადლობას გადაუხდიდნენ პრინციპულობისა და პიროვნული შეფასებისათვის, ნაშრომის ავტორს და ინსტიტუტის ხელმძღვანელებს კი სასტიკ საყვედურს გამოუცხადებდნენ და ასე ჩაიფარცხებოდა ეს საქმე.


ზურაბ ცინცქილაძე

ატენში ჰქონდა სახლი შოთა ასანიძეს და გორიდან ხშირად ჩადიოდა ხოლმე.

ერთხელაც მიდის მანქანით, ხედავს გამაოგნებელ სურათს — ყანაში გარბის ქალი და კივის: მიშველეეეთ!.. უკან კაცი მისდევს, ხალხი კი დგას და პირდაღებული შეჰყურებს. ვერ გაიგო რა ხდება, რატომ შეჩერებოდნენ ეს ადამიანები უხმოდ ამ უმსგავსობას. გადახტა მანქანიდან: იქვე არაკაცებო, რას მისჩერებიხართო, — შეჰყვირა და გაეკიდა იმ კაცს, გაეკიდა და დაეწია, დაეწია და დაარტყა, დააგდო და ქალს ამშვიდებს: ნუ გეშინია, აქვარო... და უცებ... რეჟისორის ყვირილი ისმის:

— შეწყვიტეთ გადაღება! — და კადრში შევარდნილ კაცს საყვედურობს, — რა გინდოდა, რას გვერჩოდი, მეოცე დუბლია უკვე... ძლივს დაემგვანა ბუნებრივსო...

ბუნებრიობის გამო იყო სწორედ, ასეთი რამ რომ მოხდა.

ეზოში კი... თუთის ხე ედგა შოთა ასანიძეს.

იქვე სამხედრო ნაწილი იყო, რუსი ოფიცრები ცხოვრობდნენ ცოლ-შვილით. გადმოდიოდნენ ეს ბავშვები მის ბაღში, დახუნძლული იყო შავი თუთა პატარებით.

ღელავდა ბაღის პატრონი, არა, თუთა კი არ ენანებოდა, ეშინოდა — ან არ ჩამოვარდნენ, ან რამე არ მოიწიონ, არაფერი დაიშავონო.

და ერთხელაც:

— ასე არ გამოვაო, — ეუბნება ბავშვებს, — მობრძანდნენ აქ თქვენი დედები და იმათ მოგაქციონ ყურადღებაო.

თურმე ამ საუბარს ყურს უგდებს მისი სიდედრი.

— რაო, რაოოო... დედები მოვიდნენოოო... — არ დაუჯდა ჭკუაში, იფიქრა, აქ რაღაც სხვა მიზანი უნდა ჰქონდეს ჩემს სიძესო და... მოაჭრევინა ხე.

აი, ამ ამბავზე შემოუქსოვია ოთარ ჩხეიძეს მოთხრობის სიუჟეტი, განუზოგადებია, შემზარავი ენით აუმეტყველებია პერსონაჟები, უცხო სიტყვებითა და ნეოლოგიზმებით დახუნძლული ენით, ასე რომ ემგვანება პარლამენტურ ლექსიკონს და მძაფრი კომიკური ეფექტით გვიხატავს ტრაგიკულ რეალობას.

იყო... იყო ასეთი დროც.

* * *

— აი, ამის აღნიშვნა არც უნდა გვჭირდებოდეს, — ასე გააგრძელებს გამოსვლას ბატონი როსტომი, — ჩვეულებრივი მოვლენა უნდა იყოს ის, რომ მსახიობი წიგნსაც უნდა კითხულობდეს, ნახატებიც აინტერესებდეს, მუსიკასაც უსმენდეს... და აი, **ზურაბ ცინცქილაძე** ის ადამიანია, რომელიც ძალიან კარგად ერკვევა ლიტერატურაში, შიგნიდან იცნობს ამ სფეროს. აქამდე საზოგადოება მას იცნობდა მევლუდის როლით, ამავე სახელწოდების კინოფილმიდან. ახლა კი არჩილ წილოსანის გმირმა მოუტანა პოპულარობა სერიალით „გოგონა გარეუბნიდან“. ბევრი ჩვენგანისთვის ის ძვირფასია როგორც არაერთი რადიოსპექტაკლის გამხმოვანებელი, რეჟისორ ზურაბ კანდელაკის აღმოჩენა — ხმა, რომელსაც განსაკუთრებული ხიბლი აქვს და არაერთი სპექტაკლის წარმატების საწინდარია. ის, რომ რადიოსპექტაკლი დღესდღეობით ჟანრად ჩამოყალბდა და მოქალაქეობა მოიპოვა — ზურაბ კანდელაკის წყალობით — ერთ-ერთი საყრდენი მისთვის ზურაბ ცინცქილაძეც არის. თვითონ მსახიობმა კი:

— ვიფიქრე, ვისწავლი-მეთქი ტექსტს, მაგრამ... შენც არ მომიკვდე, ორი აბზაციც ვერ დავიზეპირეო, — იტყვის და წაგვიკითხავს ნოველას, რომელშიც მწერალი ჩვეული ორიგინალური თხრობით, ეპოქისთვის ნიშანდობლივი დრამატიზმითა და სარკაზმნარევი იუმორით კიდევ ერთხელ წამოწევს პრობლემას, რომელიც ეროვნულ სატკივრამდეა აზიდული.

— რთულია წაიკითხო ოთარ ჩხეიძის თხზულებანი, რადგან მისი სტილი, ინტონაცია სრულიად განსხვავებულია, — ასე დაიწყებს თავის გამოსვლას **ელისო კალანდარიშვილი**, — ემფატიკური „ა“, თითქოს დიალექტური გამოთქმები, და ამ დროს, აბსოლუტურად თანამედროვე გა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რემო, რომელთანაც მისი ენა ერთდროულად კონტრასტსაც ქმნის და ჰარმონიასაც. ამ აქცენტების ზუსტად გადმოტანა დიდ ოსტატობას მოითხოვს მსახიობისგან და ბატონმა ზურაბმა ეს დაადასტურა.

ჩვენ ვიცით ოთარ ჩხეიძის მსოფლხედვა, ამიტომ ამ ნოველას ერთ ჟანრს ვერ მივაკუთვნებთ. აქ ყველანაირი განწყობაა — ნოსტალგიაა იმისა, რაც დავკარგეთ და ბავშვებს შემოაქვთ თავიანთი მოთხუპნული სახეებით. აქ გაკიცხვაა თანამედროვე ნაკადისა, რომელიც ჭეშმარიტ ღირებულებებს დაპირისპირებია. ეს ყველაფერი კი ნოველაში „გვაქვს უთვალავი ფერითა".

— მე თუ მკითხავთ, კონკურსი უნდა გამოცხადდეს მსახიობის შესარჩევად, ოთარ ჩხეიძის მოთხრობების სწორად წამკითხველის, სწორი ინტონაციის მოსაძებნად, მერე კი ეს ყველაფერი დისკზე ჩაწერილი დაერთოს მის წიგნებსო, — ქალბატონ ელისოს შეეხმიანება **ზურაბ ცინცქილაძე.** მოგვიანებით კი ამ თემას **თემურ ნადარეიშვილიც მიუბრუნდება:**

— ამ ტექსტის სწავლა შეუძლებელია. პირადად მე ფოლკნერის თხზულებანი მახსენდება, მათსავით ესეც ცნობიერების ნაკადია, რომელიც უნდა წაიკითხო, გაიაზრო და იგრძნოო, — და ნაწარმოების ენას ჩაუღრმავდება, პერსონაჟთა მიერ უხვად მოხმობილ უცხო სიტყვებს, კონტექსტიდან ამოვარდნილ მეტყველებას.

ნოველის გმირები კი... ასეთ რამეებზეც საუბრობენ:

— ერთი პერსონაჟი ამბობს, თითქოს გოეთეს სიკვდილის წინ ეთქვას: მეტი სინათლეო, — იტყვის გოეთეს საზოგადოების წარმომადგენელი **ნინო ბაქანიძე,** — არის სხვა ვერსიაც — თითქოს მას ეთქვას: „მეტი არაფერი!" უბრალოდ, ჟღერადობით ეს ორი ფრაზა ძალიან ჰგავს ერთმანეთს.

— მეტი არაფერიო...

აი, დადგა ადამიანის აღსასრული, ის მიდის ამ წუთისოფლიდან, მაგრამ რჩება მისი შემოქმედება. ჩვენ მოვისმინეთ ოთარ ჩხეიძის ნოველა. სამწუხაროდ, მწერალი დღეს ჩვენ გვერდით არ არის, მაგრამ მისმა შემოქმედებამ კიდევ ერთხელ დაგვანახა სათქმელი, რომელიც მწერალს აწუხებდა. და ამ სათქმელში შესაღწევად, მსახიობის ოსტატობის გარდა, ძალიან დაგვეხმარა ბატონი როსტომის შესავალი სიტყვა — ნიმუში იმისა, როგორ უნდა შევიდეს მკითხველი ამა თუ იმ ლიტერატურულ ნაწარმოებში.

— მე კი თქვენი — მამა-შვილი ჩხეიძეების უჩინარი თაყვანისმცემელი ვარ, — ეს მთარგმნელმა **ნინო თარხან-მოურავმა** თქვა, — ჩემთვის ძალიან ახლობელი იყო ქართლის წიაღიდან წამოსული სიტყვები და მათი შერწყმა იმერეთთან.

როგორც ქართლელს, ხშირად მსაყვედურობენ, თქვენი კუთხის ადამიანებს იუმორი არ გაქვთო. ამის გამო ყოველთვის გული მწყდებოდა, იუმორის არქონა ხომ უნიჭობის ნიშანია.

და აი, ყველას, ვისაც ქართლელთა იუმორში ეჭვი ეპარება, ვურჩევ, წაიკითხოს ოთარ ჩხეიძის შემოქმედება და ნახოს, როგორ ელვარებს ეს ნიჭი ამ მხარეში.

**მარინე პირველაშვილი** კი არც ლიტერატორია, არც მსახიობი, პროფესიით ექიმია, მაგრამ მისთვის ხელოვნების ნებისმიერი ნაწარმოები არტთერაპიაა, რასაც თანამედროვე ტექნიკური საშუალებების გათვალისწინებით, შეიძლება სხვადასხვა ფორმა ჰქონდეს.

— არსებობენ ადამიანები, ვისთვისაც უფრო გასაგებია კინეტიკური ენა, რომელსაც თეატრი გვთავაზობს; ვიღაც გურმანი მკითხველია და ასე იგემოვნებს წიგნს; ზოგს სმენითი აღქმა უფრო განვითარებული აქვს და მისთვის აუდიოვერსია უფრო გასაგები იქნება.

ოთარ ჩხეიძე უდიდესი მასშტაბის მწერალია და ვერ მივცემ თავს უფლებას ვისაუბრო ერთი მოკრძალებული მკითხველის პოზიციიდან. უბრალოდ, მინდა ვთქვა, რომ რაც მეტი იქნება ასეთი შეხვედრები, რაც მეტი ფორმით იქნება ხელმისაწვდომი ასეთი მარგალიტები მკითხველისთვის, მით უფრო დიდი ბედნიერებაა.



# თოვლი მზის გულში

გინახავთ „მძინარე, კალამჩაბღაუჭებული გოგონას" შფოთიანი სახე ? ბევრი გვყავს ასეთი გოგონა? — ფიქრიანი, მუზებთან მოლაპარაკე, ხალასი, ნრფელი? იქნებ, ბევრი არც იყოს, მაგრამ მანანა ბეგიაშვილის ლიტერატურულ-შემოქმედებით სახელოსნოში თუ მოიძიებთ, უთუოდ იპოვით — არაერთს. ერთ-ერთი **ნინო ნაჭყებიაა.** ამას წინათ პირველი პუბლიკაციით წარსდგა მკითხველის წინაშე (2011, 5 ივნისი, გაზეთი „გალაკტიონი"). გადმოდგა პირველი ნაბიჯი და მაშინვე გაგვაოცა ორიგინალური აზროვნებით, საკუთარი ხმით, სათქმელითაც და გამოხატვის ფორმითაც. არა, ახალი ფორმა არ გამოუძებნია — ძველისძველი მინიატურებით გაგვანდო ფიქრი, გადაგვიშალა გული და იცით რა გვითხრა? რომ ყველას და ყველაფერს აქვს (უნდა ჰქონდეს) გული, რომ გულს და გულში დატეულ სითბოს შენახვა, მოფერება, ზრუნვა სჭირდება, ამიტომ მზე თავის გულს, რომ არ გაუდნეს, ცივად ინახავს. ნეტა იცის თუ არა ამ მინიატურის პატარა ავტორმა (ასაკით) რაიმე აგვისტოს ხვატში ჩაგდებული ყინულის ნატეხის შესახებ, თუმცა ისედაც, დამოუკიდებლადაც, მშვენიერი მხატვრული სახეა — მზის გულში თოვლი.

სიყვარულს ყველაფერი შეუძლია, სიყვარული ყველაფერს ამართლებს, უსიყვარულოდ ხომ მზეც არ სუფევს... და იცით, კიდევ რა გვითხრა ნინომ? სიყვარულის ძალით მთვარე მზესაც კი დააბნელებს, პატარა ბავშვის ცერა თითი კი მთვარეზე დიდიც კი აღმოჩნდება (თუ ცალ თვალს მოხუჭავ და ისე გახედავ).

ამ მინიატურებში ძალიან ფრთხილად, ფაქიზადაა დანახული ყოველდღიური, ჩვეულებრივი, ზოგჯერ მომაბეზრებელი ყოფა — მოხუცი ცოლ-ქმრის, დედა-შვილის, და-ძმის ურთიერთობა, ოჯახიდან წასული მამის დამოკიდებულება შვილთან... ერთი შტრიხით, ამბის გაელვებით, ხასიათებიც დახატულია, პორტრეტებიც შექმნილია. არეკლილია პერსონაჟის მთელი ცხოვრება. ახლა ნახეთ, რა ფერებითაა სავსე ნიჭიერი გოგონას წარმოსახვითი სამყარო? „წითელი, ყვითელი, ნარინჯისფერი, მოტკბო ალუბლისფერი, ზამთრის ცისფერი, მოკაშკაშე სიყვარულისფერი..."

თუ ადამიანმა ერთხელ მაინც იხილა სხვათათვის უხილავი, შეუცნობელი, უცნაური და უთქმელი, თუ ერთხელ მაინც შეიცნო თანაზიარ სულთან შეხვედრის სიხარული, ის კალამს ხელს ვერ გაუშვებს, უბრალოდ, მუზები არ დაანებებენ თავს.

რა სარგებლობა მოაქვს სიტყვას? საზოგადოდ, შემოქმედებას? შეუძლია ვინმეს მიახლოებით ამ კითხვაზე პასუხის გაცემა? ჰოდა, დარწმუნებული ვარ, ნინო ნაჭყებიას მინიატურების გაცნობისას მსგავს კითხვას არ დასვამთ და მხოლოდ შორიდან, ჩუმად ადევნებთ თვალს კალამჩაბღაუჭებული გოგონას მშფოთვარე სახეს.

**თამარ ყალიჩავა**

ეროვნული ბიბლიოთეკა



ნინო დარბაისელის პოეტურ ტექნიკას თვალშისაცემი თავისებურება ახასიათებს. რაც უფრო მარტივია ფორმა, მით უფრო რთულდება შინაარსი. „ბრმის აპოკრიფიც“ ამ წესით არის აგებული. ამბავი, როგორ აუხილა თვალი ბრმას იესოს სისხლმა, მარტივი ფორმაა, რთულია მისი განზოგადება, უფრო სწორად, გადმოცემა იმ იდეებისა, რასაც ეს განზოგადება წარმოშობს.

მონოლოგი, შეკითხვები, გამეორებები, ალიტერაციები, ტეხილი რიტმი და მსგავსი საშუალებანი ერთი მხარეა, მეორეა აზრი, რომელიც კონცენტრიკული წრეებივით იშლება გონებაში.

ორმაგობა პოეზიის ბუნებითი წესია.

შეიმას ჰინი თავის ერთ-ერთ ლექციაში, რომელიც უისტენ ოდენის პოეტურ განაზრებებს ეძღვნება, ასეთ რამეს წერს: „ერთი მხრივ, პოეზია შეგვიძლია განვიხილოთ როგორც მაგიური შელოცვა, როგორც აკუსტიკური კომპლექსი, რომელიც ჩვენს სხეულსა და გონებაზე მოქმედებს ბგერების მეშვეობით; მეორე მხრივ, პოეზია — ეს არის საშუალება მართალი და ბრძნული აზრების გადმოსაცემად, რომელიც ჩვენში ჰპოვებს ემოციურ გამოძახილს მასალის განსაკუთრებული წყობის მეშვეობით“.

ბგერისა და აზრის გამთლიანება, — ამ ორი შეუთავსებელი საწყისის შეთავსება არის ყველა პოეტის მიზანი, რომლის განხორციელების მცდელობა ზოგჯერ ცნობიერი პროცესია, ზოგჯერ არაცნობიერი. გააჩნია, ქმნადობის რომელ გზას ირჩევს ავტორი — რაციონალურს თუ ირაციონალურს.

ნინო დარბაისელი ცნობიერი პროცესის მონაწილეა.

**ნინო დარბაისელი**

## ბრმის აპოკრიფი

*თეიმურაზ დოიაშვილს*

ცივ ოფლად რატომ ინურები,
რა გაცახცახებს, მცირედ მრწმენო,
არ გესმის ჩემი?

ორიათასი წელიწადია...
იქნებ მეტი, იქნებ ნაკლები,
თვალახელილი ვეხეტები
და მაშინ,
როცა გულმოდგინედ ნამარხულევი,
ხსნილნაგემები მორწმუნენი
უფლის აღდგომას მოელიან,
წინ კი წითელი პარასკევია,
ჰო, აი ამ დროს,
არემარე ზეთისხილის
ან მარადმწვანე ბზის ტოტებით რომ გაივსება,
ისმის „ოსანა“,
ღამღამობით გეცხადები ჩამოძონძილი
ძილ-ღვიძილს გირევ,
გეუბნები:

— მე დაბადებით ბრმა ვიყავი.
არგნის კაკუნით
დაბა-დაბა მივყვებოდი
ერთ მბჟუტავ წერტილს,
სხვები რომ იხსნა,
ერთი შეხებით,
ერთი შეხედვით,
ერთი სიტყვით რომ გადაარჩინა,
მაგრამ როდესაც
ყველა თავის წილ სასწაულს ელის,
უკან მდგომს ვინმე წინ დაიყენებს?

იქ,
გოლგოთაზეც,
მოყაყანე ბრბოში ვერიე.
ვიდექი ბნელში,
ცას სწვდებოდა ხალხის ხორხოცი.
ზოგი ტიროდა,
ვიღაცას გული მისდიოდა,
ხოლო ვიღაცა ჩურჩულებდა
იმ ღრიანცელში.
უბრად ვიდექი,
მოწმედაც არ გამოვდგებოდი
და ოდეს ჟამმა მოაწია,
ვიღაცამ მძიმე მუჯლუგუნით წინ გამიგდო და
ხელში ჩამიდო რაღაც მძიმე,
თავის ტორებით - მარწუხებით
მაჯიანად ჩამბღუჯა და უცებ ვიგრძენი,
თავიდან როგორ შეფერხდა დარტყმა,
მერე თავზემოთ თითქოს ორმოში ჩავარდა ხელი.
მერე მარჯვენა მაჯა ჩამითბა
მერე ჩამთბარი ხელისგული თვალზე მოვისვი
და მე ვიხილე მაცხოვარი,
ვიხილე სისხლი,
იმის ფერდიდან გადმომჩქეფარე.
ძირს ეგდო შუბი
მეც ძირს ვეგდე თვალახელილი,
წერტილი გაქრა.
სიბნელეა მჭახე ნათელიც.

მოხეტიალე გრაალი ვარ,
პირველგრაალი
არავინ მეძებს, რადგან არავინ მომისაკლისა.
მაცხოვრის ნებით
ავაზაკსაც გაეხსნება სასუფეველი,
ჩემთვის კი,
ჩემთვის
არც სამოთხეა, არც ჯოჯოხეთი,
მე — შენი სიზმრის კარი მერგო,
გავიტკეპნე შენკენ სავალი.
ამ ერთხელ მაინც მიპასუხე,
წითელ პარასკევს!
მე ცოცხალი ვარ თუ მკვდარი ვარ,
მსხვერპლი თუ მკვლელი,
მადლი მერგო თუ განაჩენი?
ხმა,
ხმა გამეცი მცირედ მრწმენო,
შენ გელოდები,
მაცხოვრის სისხლით სამუდამოდ თვალახელილი.

იკა ქადაგიძე

# სწორდით, პოეტებო: პოეტი პოეტების წინააღმდეგ პოლიციას იძახებს!

*ისეთი მოკავშირის წყალობით, როგორიცაა სიმართლე, ერთხელაც არ დავმარცხებულვარ.*
**იაკობ გოგებაშვილი**

ბელადს მონების დეკორაცია ქმნის. ტიტულები და რეგალიები ამ მარადიული დეკორაციის რეკვიზიტის ნაწილია. ისტორიამ სახალხო ტრიბუნების: გაიუს და ტიბერიუს გრაკხუსების შემაძრწუნებელი აღსასრული შემოგვინახა. გამძვინვარებულმა ბრბომ სახელოვან რომაელ მოღვაწეებს სასიკვდილო განაჩენი არ აკმარა, დახოცილთა თავისქალები ოქროთი ამოავსო და სისხლის სუნით აღტკინებულ საზოგადოებას ძვირფას ნადავლად მიართვა.

ბრბო ესე (ე.წ. საზოგადოება) ნარჩევი პატრიციუსებისგან შედგებოდა. ისინი დიდი ზარზეიმითა და რიხით ატარებდნენ ტიტულებს, ამაყად იფერებდნენ წოდებებსა და რეგალიებს და საპატიო, მძიმეწონიანი თანამდებობებით უყოყმანოდ სრესდნენ ყველას, ვისაც განსხვავებული აზრის გამოთქმის სურვილი ნასძლევდა.

თანამედროვე ადამიანს ისტორიულ წყაროებში სამოგზაუროდ დრო, ეგებ სურვილიც აღარ რჩება და შესაბამისად, ზერელე დასკვნებით შემოფარგლულს, ბრმად სწამს, რომ ბრბო მხოლოდ შიმშილით დაოსებული, გაუნათლებელი მასისგან შედგება, რომელიც მხოლოდ კუჭის ამოსავსებად აღიძვრება და სხვა მოთხოვნების წამოსაყენებლად გონებრივი მონაცემები არ გააჩნია.

ბრბო, რომელსაც დღენიადაგ „პური და სანახაობა“ ენატრება.

ამ თემის განვრცობა შორს შეგვიტყუებს. ამიტომ ისღა დამრჩენია, ზოგადი წიაღსვლები უკან მოვიტოვო, ფილოსოფიურ განსჯას ლაგამი ამოვდო და ფაქტების კვალდაკვალ აღვადგინო სინამდვილე, რომელიც კიდევ ერთხელ (ათასმეერთედაც!) ამტკიცებს, რისი უნარი შესწევს „პატრიციუსებისგან“ შემდგარ კოჰორტებს, უხვი ჩინ-მედლებისა და რეგალიების მეშვეობით უკიდურესად გაჭირვებულ ქვეყანაში ხელგაშლილი რომ ცხოვრობს და უსახსრობით დამძიმებულ თანამოძმეებს ძალმომრეობით ახვევს თავზე იმპერატიულ ნებას: რჩეული კასტა ბელადის ხელშეუხებელ გარემოცვად აღიაროს.

ბელადომანიით დასნეულებულ ქვეყანაში სვეუბედურ ჟამთააღმწერელს უამრავი ბელადის (თუ ბელადუკას) გამოსავლენად ერთი სიცოცხლე არ ეყოფა. ჩირგვსა თუ გზატკეცილზე, სამზეოსა და ჩრდილშიც უზომო პატივმოყვარეობით დალაქავებულ ადამიანთა ჯოგები ძალაუფლების მისასაკუთრებლად ერთმანეთს განუწყვეტლივ ეომებიან, მავანი ამ დროს შაგრენის ტყავივით დაპატარავებულ საქართველოს დაურიდებლად სისხლს სწოვს და, აურაცხელი ბელადის უილაჯობით წათამამებული, უკლებლივ ყველაფერს გვართმევს, თუმცა ნასაგლეჯიც ბევრი აღარაფერია. და მაინც, სახელის მაძიებელი ბელადები თავიანთ დეკორაციებს დაუღალავად ქმნიან. გარემოცვას ტიტულებისა და რეგალიების დახმარებით აძლიერებენ, რათა ერთმანეთზე შავბნელი საქმეები შეუფერხებლად აკვარახჭინონ, სხვისი ნაშრომ-ნაღვაწი ურცხვად მიისაკუთრონ და იმავე გარემოცვის ძალისხმევით ათასი საზრუნავით შეჭირვებულ საზოგადოებას თავი მხსნელად მოაჩვენონ. მათი დევიზი: „საშუალება ამართლებს მიზანს“, სწორედაც უცვეთია.

2011 წლის 24 ივნისს სამების ახალგაზრდულ ცენტრში დისიდენტი პოეტისა და მწერლის — შალვა მჭედლიშვილის ხსოვნის საღამო გაიმართა. მოსაწვევი ბარათი დაინტერესებულ პირებს აცნობებდა, რომ ზემოთ აღნიშნულ ღონისძიებას აკადემია „ქალდეას“ პრეზიდენტი, პოეტი ვაჟა ეგრისელი (დოლბაია) ატარებდა. მკითხველმა მომიტევოს, მოსაწვევს ზერელედ გვერდს ვერ ავუვლი, ვინაიდან ღონისძიებაში მონაწილე ხელოვანთა გულისწყრომა და შიდა განხეთქილება სწორედ ამ „უწყინარი“ ბარათის იერარქიულმა შინაარსმა განაპირობა. მოსაწვევში გამწკრივებული ტიტულების კოლონას ღონისძიების ორგანიზატორი ამშვენებდა. „მეორე ადგილზე გასულ“ მწერალთა კავშირის თავმჯდომარეს, ქ-ნ მაყვალა გონაშვილს, ბ-ნი რევაზ მიშველაძე მოსდევდა. მისი ტიტულების შეკვეცამ ცხადყო, ძაღლის თავი სად იყო დამარხული.

მოსაწვევში ბ-ნი რევაზ მიშველაძის გასწვრივ ეწერა: საქართველოს მწერალთა კავშირის თავმჯდომარის მოადგილე. დანარჩენი რეგალიები თითქოს ცამ ჩაყლაპა ან მიწამ.

როგორც ჩანს, ტიტულების მოყვარულმა ვაჟა ეგრისელმა ბ-ნი რევაზ მიშველაძის რეგალიების სრული ჩამონათვალი (რუსთაველის პრემიის ლაურეატობა მაინც!) თავისი პერსონის წარმოსაჩენად წამგებიანად მიიჩნია.

იგივე ითქმის ბ-ნ როსტომ ჩხეიძეზე (მოსაწვევში დაცული სიის იერარქიას ვიცავ). მის გრაფაში მითითებული: „მწერალი, კრიტიკოსი“ მოწმობდა, რომ საღამოს ორგანიზატორი ტიტულოვან მეტოქეებს კი არა, გვერდში ღმერთსაც არ ამოიყენებდა. აქვე დავაზუსტებ, რომ ზემოთ ნახსენები მწერლები ბ-ნი შალვას ხსოვნისადმი მიძღვნილ ღონისძიებებს არც ერთხელ არ დასწრებიან. ბიბლიური თემატიკით გატაცებულმა პოეტმა თიანეთისა და ფშავ-ხევსურეთის მთავარეპისკოპოსს მეუფე თადეოზს (იორამაშვილს) მოსაწვევში რიგით მეოთხე ადგილი მიუჩინა, მხოლოდ საერო ხალხის შემდეგ დასდო ხსენების პატივი.

ფაქტია, მოსაწვევ ბარათში გადმოღვრილი სიბრძნე ყველამ ერთხმად შეიმეცნა: სახიფათო საჭიროების შემთხვევაში კონკურენტს „ზედმეტ“ ტიტულს „შეუმჩნევლად“ აართმევდნენ და საქმე თუ გამწვავდებოდა, „უზუსტობა“ უნებლიე ტექნიკურ ხარვეზად გასაღდებოდა.

ამით შემდავებელს პირში ბურთს ჩაჩრიდნენ და საპატიო სტუმარსაც ტექნიკურ მარცხზე ფარისევლურად მოუბოდიშებდნენ. საქართველოში ხომ გამყალბებლებს პროფესიონალიზმში ვერავინ შეედრება!

აკადემია „ქალდეას" მომხრეთა თუ მიმდევართა გვერდით, ცნობილი სახელის გასწვრივ, პოეტებიც ფიგურირებდნენ. მათ შორის თქვენი მონა-მორჩილიც ერია. არ ვიცი ბ-ნი დოლბაია რამ გაასხივოსნა, რომ ჩემს შემთხვევაში ზუსტი „წოდება" გამოემეტებინა. ინფორმაციაზე ხელი მეტად რომ მიუწვდებოდეს, გაარკვევდა, რომ „მცირე" ტიტულს მეც გამოვკარი ხელი, მაგრამ რადგან რეგალიებს წინ და უკან არ დავარბენინებ და თვალში არავის ვჩრი, ე.ი. საჭიროდ არ მიმაჩნია.


იკა ქადაგიძე

დიდი ვერაფერი სანახავია, როცა ჯერ ტიტულების კოლონა მოიზლაზნება, მის სიღრმეში ჩაკარგულ კაცს კი ცხვირის წვერიც არ მოუჩანს, თუმცა გემოვნებაზე არ დაობენო, ოდესღაც ვიღაცამ ულმერთოდ იცრუა. დაობენ რომელია! მაგრამ ამაზე ქვემოთ.

მოსაწვევში მოხვედრილ მონაწილეთა რიცხვში არმიის გენერლისა და გენერალ-ლეიტენანტის გვარ-სახელებსაც წავაწყდი. მაგრამ ყველაზე უცნაური დისკრიმინაციის მსხვერპლი ჩემთვის უცნობი ქალბატონი გამოდგა. მის გასწვრივ გრაფა ობლის გულივით ცარიელი იყო. ტიტულების შადრევანში მობანავე გვარ-სახელების ფონზე ეს უნებლიე თუ საგანგებო „სიცარიელე" ბრმასაც ეჭვს აღუძრავდა, რომ მრავალფეროვანი, პომპეზური სიის განაპირა ფლანგი სანახევროდაც არ იყო „დაფასებული". ბელადის დეკორაციის თვალშისაცემ ჭუჭრუტანას ხომ ეს ე.წ. ცარიელი გრაფა ააშკარავებდა.

ვიღაცამ ეგებ სადღეისო სულისკვეთებით გაჟღენთილი რეპლიკა მტყორცნოს: მოსაწვევში წერიხარ (რა პატივია!) და გამორჩენილებისა თუ ძალად გამოტოვებულების დარდი რატომ გკლავს, ყველამ თავის თავზე იზრუნოსო. ვისთვის როგორ, მაგრამ ჩემი მრწამსი სუპერთანამედროვე უნარ-ჩვევების შკალას ნამდვილად არ თანხვდება.

სიაში მოხვედრილი 52 ადამიანიდან სამი-ოთხი პიროვნების გარდა დანარჩენს დისიდენტი პოეტის ღვაწლსა და შემოქმედებაზე სიტყვა არასდროს არსად დაუსველებია. შალვა მჭედლიშვილის პოპულარიზაციის საქმეში მხარდაჭერას ვინ დაეძებს, მსხვილ-მსხვილი ინტრიგებიც ბლომად შეგვამთხვიეს და როცა ლიტერატურული ალიანსის საერთო ძალისხმევითა და პრინციპული პოზიციის წყალობით ყამირი გატყდა. არამკითხე მოამბეები უმალ პოეტის „თავგამოდებულ დამცველებად" გამოტყვრნენ. მათი უკვდავი დევიზი: „საჭირო ადგილზე დროული გამოჩენა" მანამდე „ჩამოწერილ, უიმედო" საქმეში არნახულ დივიდენდებს უქადდათ.

შესაბამისად, მოსაწვევში შალვა მჭედლიშვილის სახელის წარმოსაჩენად მებრძოლი მწერლებიდან, თქვენი მონა-მორჩილის გარდა, არავინ გაჭაჭანებულა. საქმის მოთავეს თანამოაზრეებს რომ შემოაცლი, გაცილებით იოლად გაუსწორდები. ესეც ძველი ჭეშმარიტებაა და ბარათის მესვეურის პოლიტიკაც ამ ფანდზე აიგო. ამიტომ ტიტულების ალლუმში ბანაობის პატივი წილად არ ხვდათ უახლესი ქართული მწერლობის სამაგალითო მკვლევარსა და პოეტებს. სამაგალითოს იმიტომ ვამბობ, რომ ნებისმიერ დროში ჯანსაღი საზოგადოება საერთო ჯამში მსუყე ტიტულზე მეტად პატიოსან და გამბედავ ხელოვანთა უპირატესობას აღიარებს. იმ შემოქმედთაგანაა დავალებული, ვინც, გამორჩეული ნიჭიერების პარალელურად, ეროვნულ საქმეს გულანთებული ემსახურება; ვინც სხვისი ღვაწლის მიტაცებას არ გეგმავს და თანამდებობების მოსაპოვებლად თვალები კი არა აქვს დაჭყეტილი, არამედ მადლიან სიტყვას მწერლობის ღირსების დაცვას უფარდებს.

თამარ შაიშმელაშვილი, ქეთი დოლიძე, ნუნუკა გურალია, გიგი ხორნაული, მარსიანი, სერგი ლომაძე, კახა ბაციკაძე და მიშა თუმანიშვილი მოსაწვევის მიღმა აღმოჩნდნენ.

როგორც ჩანს, „ქალდეას" პრეზიდენტს კოლეგების რეგალიები ეცოტავა და სიაში მათი ჩაწერა მიზანშეუწონლად ჩათვალა. რომ იტყვიან, ორი კურდღელი დაიჭირა — თანამოაზრეები ტექნიკურად შემომაცალა და ეჭვის საფუძველიც ოსტატურად გააქრო. ამ სადავიდარაბო ბარათის შედგენისას „ქალდეას" პრეზიდენტმა ლიტერატურულ სამყაროს გამოწვევა ესროლა: ჩემი ჩინმედლებით ქვეყანას მოვანგრევ და აბა, წინ დამიდექითო!

ამ მანევრმა გარკვეულწილად გაჭრა: სიაში გამორჩენილებიდან ზოგმა თავს უშველა, ზოგს პროტესტის ნიშნად ღონისძიებაზე დასწრება აზრადაც არ გაუვლია.

მოსაწვევის მიღების შემდეგ (ეს სვეუბედური ბარათი პოეტის ვაჟმა, ზაზა მჭედლიშვილმა მომიტანა) დისიდენტის მეუღლეს დავურეკე და ვთხოვე, ბარათში გამორჩენილ პოეტებს პირადად დაკავშირებოდა, რათა „ქალდეას" პრეზიდენტის ცდომილება ოჯახს გამოესწორებინა.

უსამართლობა იქნებოდა, ვიღაცის მრუდე პოლიტიკის გამო რეპრესირებული პოეტის ქომაგებს თავი შეურაცხყოფილად ეგრძნოთ., მათი ამაგი უყურადღებოდ და უმადურად ჩაკარგულიყო. მით უფრო, როცა აღნიშნული საღამოს ორგანიზება ოჯახის ინიციატივამ განაპირობა. მკითხველს შევახსენებ, რომ ეს ბ-ნი შალვა მჭედლიშვილის ხსოვნისად-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მი მიძღვნილი რიგით მესამე შეხვედრა გახლდათ. „მესამე და ხელმართალი“ — ქართული ანდაზა ლაღადებს. წინა ორ ღონისძიებაზე მწერლის ხსოვნის ხაზგასმული შეურაცხყოფისთვის (პირველად საღამო დათქვეს და მერე, 15 წუთში დაამთავრეთო, ბრძანეს. მეორედ — ხალხი დარბაზიდან გამოაძევეს) ჩემმა პროტესტმა არ დააყოვნა. ამის თაობაზე უკვე დაიწერა და გამეორებით თავს აღარავის შევაწყენ.

ერთს დავძენ: ყველა პოეტს თავისი ბედისწერა განკარგავს და როცა მრავალტანჯული შემოქმედის სული მწერალთა კავშირის მესვეურებმა გამიზნულად ჯვარს აცვეს, რადგან ქვეყნისთვის თავგანწირულ პოეტს ტიტულები არ უგროვებია და, შესაბამისად, მათ „ელიტაში“ ვერ „ჩაეწერა“, მოსაწვევში განფენილი „იერარქიული სიბრძნე“ სასიკეთოს არაფერს გვიქადდა. და მაინც, იმედი ყველაზე ბოლოს კვდება. რწმენა საერთო ვითარების გაუმჯობესებისა, როდესაც მავანი სხვის შეცდომებს გაითვალისწინებს და საღამოს გაძღოლის ხელოვნებას საკუთარი თავის წრეგადასულ რეკლამასთან არ გააიგივებს.

„ქალდეას“ პრეზიდენტი წინა ორ საღამოს ესწრებოდა და ჩემი პროტესტის თვითმხილველი გახდა. მის თვალწინ ითქვა ის, რაც წესით ყველა ჯანსაღ ადამიანს (მით უფრო ხელოვანს) სხვისი კარნახის გარეშე უნდა ესმოდეს. კერძოდ, ნებისმიერი პოეტის ხსოვნის აღსანიშნავად გამართულ ღონისძიებაში მონაწილე ხელოვანები თავიანთ გამოსვლებში ზოგჯერ იმ პიროვნების სახელსაც უნდა ახსენებდნენ, ვის პატივსაცემადაც „გაისარჯნენ“. წინასწარ შეთანხმებულ თარილს ქურდულად არ უნდა ცვლიდნენ, სიტყვას არ ტეხდნენ და დისიდენტი პოეტის ხსოვნის საღამოზე დაპატიჟებულ საზოგადოებას დარბაზიდან გაუფრთხილებლად არ უნდა აძევებდნენ, შიგადაშიგ მის ლექსებსაც უნდა კითხულობდნენ — ოდითგანვე ასეა დანესებული.

შალვა მჭედლიშვილის ხსოვნის საღამოებზე ეს წესი ორჯერვე დაირღვა და ამის შემსწრე თავად ბ-ნი ვაჟა ეგრისელიც გახლდათ. აქედან გამომდინარე, რიგით მესამე საღამო წინა შეცდომების გათვალისწინებით სხვაგვარად უნდა წარემართა. ძველი, გაცვეთილი სცენარით აღარ უნდა ეხელმძღვანელა კაცს, ვისაც ბელადობის პრეტენზია გააჩნია, ვინც ტიტულებს ადამიანებზე წინ აყენებს და ჰგონია, მის საქმეს მყვირალა რეგალია გადასწონის.

მაგრამ, როგორც ჩანს, ბელადომანიით შეპყრობილი ტიტულოვანი არსებებისგან საზოგადოება მსგავს „მოწყალებას“ ვერ ეღირსება.

წინა გამოცდილებით გამდიდრებულ ბ-ნ დოლბაიას დეკორაციის გაძლიერებაზე ეზრუნა, რადგან დარბაზის უმრავლესობას მისი ქვეშევრდომები შეადგენდნენ. კულუარულ ჭორებსა და ინტრიგებში გამობრძმედილი ადამიანები საღამოს ორგანიზატორს ზურგსუკან ერთხმად კილავდნენ, თუმცა ტრიბუნისკენ ჯიუტად ეჭირათ თვალი. თავიანთ ჯერს ღიმილით უცდიდნენ: ხუმრობა ხომ არ იყო, ქვეყნიერების ჯიბრზე კიდევ ერთხელ ძალუმად გაენავარდათ და საკუთარი „მე“-ს სტიქიური გამოჭენებით კაცობრიობა დაეჩრდილათ!

დემაგოგიის ხიბლი შავი ჭირივითაა. ხელმისაწვდომობის გამო გვერდს იოლად ვერ აუვლი, ყველა მხრიდან მედგრად გიტევს, ყველგან აღწევს და ყველა სარკმლიდან იღვრება.

როცა საქმე წინ არ იძვრის, დემაგოგიამ ამოუშენებელი სიცარიელე ოსტატურად უნდა დაფაროს, ერსა თუ ბერს თვალში ნაცარი შეაყაროს, პლებეიცა და პატრიციუსიც თანაბრად დაიმონოს. დემაგოგიით აღტყინებულ ადამიანებს გაუნელებელი ავადმყოფობა სჭირთ: ქვეყნისა და კაცობრიობის განვლილი ისტორიის თავისებური, „უნიკალური“, სინამდვილეში კი ტენდენციური ინტერპრეტაცია საჯაროდ ყველას თავზე მოახვიონ. ეს დემაგოგიის საგანია, მას ბელადომანიით დამღიერებულ ქვეყანაში არნახული გასავალი აქვს. ცხადია, საღამო ყბადაღებული დემაგოგის დირიჟორობით წარიმართა. „ქალდეას“ აქტივისტების დაუსრულებელ მონოლოგს „გარეშე“ პოეტებმა დიდხანს ვერ გაუძლეს. პოეტები: ერეკლე საღლიანი და კობა არაბული ადრე წავიდნენ. უცნობების გარდა დარბაზში ქ-ნი ციალა არდაშელია, რამაზ ბერაძე, ნოდარ ჯალაღონია, ბალათერ არაბული და ლაშა მასხულია შევიცანი.

— საღამოზე შენი ხათრით მოვედი. მეგონა, ღონისძიებას შენ უძღვებოდი. რაც თავი მახსოვს, ბ-ნი შალვას სახელის პოპულარიზატორი და დამცველი შენ ხარ. საერთო ვითარება არ მომწონს, ასე რომ აქ აღარაფერი მესაქმება! — ბ-ნმა კობა არაბულმა მომიბოდიშა და დარბაზი დატოვა.

უსასრულოდ გათამაშებულ ფარსს ბოლო არ უჩანდა. ისეთი შთაბეჭდილება იქმნებოდა, თითქოს ვიღაც მენაღეს პომპეზური სურათის დახატვა მოეგუნება, თუმც მალე დარწმუნდა, რომ შესასრულებლად ძალა არ ეყო და უამრავი მუშახელი დაიქირავა.

დიდი დრო არ არის გასული, ჟურნალში „ჩვენი მწერლობა“ ბ-ნი შალვა მჭედლიშვილისადმი მიძღვნილი ჩემი წერილი რომ გამოქვეყნდა. ამ ფაქტს კოლეგები მილოცავენ. სირცხვილი როდია, ზოგჯერ სხვისი სტატიებიც იკითხო, მაგრამ სჯობის, საღამოს მივუბრუნდე.

აბსურდული ლაყაფით გაბეზრებულ ხალხს მოსმენის უნარი დაუქვეითდა. „ქალდეას“ წევრთა ურეგლამენტო გამოსვლები გაჭიანურებულ მარაზმზე იყო გათვლილი.

ერთ-ერთმა ქალბატონმა მორცხვად წაიმღერა, შიგადაშიგ ტექსტი ეშლებოდა. მას ხობიდან ჩამოსული დელეგატი შეენაცვლა. ვიღაცამ მოზრდილი პოემა წარმოადგინა, დაახლოებით „ლეილმაჯნუნიანის“ სტილში გაწყობილი, თუმცა მალე თავისივე სიუჟეტში უგზოუკვლოდ გახლართულს ენა დაება. ბ-ნმა ეგრისელმა შეახსენა, დისიდენტ პოეტზეც ეთქვა რამე, მაგრამ თავისი თხზულებით გატაცებულ კაცს სახეზე დაეწერა, ვერ მიხვდა, რაზე მიუთითებდნენ. ვიღაც ქალბატონი აფხაზეთის ტკივილზე საუბრობდა. არმიის გენერალს არშემდგარი სახელმწიფოს ხვედრი უკლავდა გულს და დამსწრე საზოგადოებას მოუწოდებდა, ქვეყნის დასახსნელად „ქალდეას“ პრეზიდენტი აერჩია. კონტექსტიდან ამოგლეჯილი ფრაზები კრაზანებივით მკბენდნენ:

— გაუმარჯოს ვაჟა ეგრისელს და ჯემალ ჯიქიას, იცოცხლეთ, გმირებო!

— დროა, ქვეყანა აღვადგინოთ, წინ ეგრისელისთანა გმირი წაგვიძღვება!

— რუსთაველის თარგმნა უკვე მოძველებულია, ვაჟა ეგრისელის შემოქმედებაა პირველი, ვაშა, გაუმარჯოს!

უცებ მომეჩვენა, რომ ჩაძირულ ხომალდზე მოვხვდი. უსასრულოდ გაჭიმული ფარსი ყველაზე იმდენად დამადამბლავებლად მოქმედებდა, მივხვდი, საზოგადოება მარაზმს ნარკოტიკივით შეჩვეოდა.

საყოველთაო განუკითხაობითა და ხალხის გულგრილობით გულმოცემული ზიხარ, იცინი და ხალისობ. მსგავსი ღონისძიებისა თუ პარტიული კრების დამსწრეს სხვა არც არაფერი დაგრჩენია?! გარს საგიჟეთი გაკრავს, წრე თანდათან ვიწროვდება, წესით, სული უნდა შეგეხუთოს, მაგრამ ხელის გამოღება გესიკვდილება, მარაზმით დაბინდულ გონებაში საერთო აზრი მძლავრობს: მე რატომ? სხვამ გადაარჩინოს, სხვამ გააკეთოს, სხვამ იწვალოს, სხვამ იტვირთოს პასუხისმგებლობა. და ასე, დაუსრულებლად...

ზნეობა რაღა სახსენებელია, როცა ხსოვნის საღამოზე პარტიულ ჩარჩოში ჩაჭედილმა ჯამბაზმა უნდა იქირქილოს, ბელადმა იბელადოს, პანაშვიდზე გვარიანად მოულხინონ, ქორწილში ყველაზე ჯიშიანსა და საუკეთესოს სიცოცხლე მოუსწრაფონ, გაუთავებელ ტაშ-ფანდურში სისხლდაცლილი ქვეყანა ჩაახრჩონ, გულისამრევი პასუხი: დავიღალეთ! — შემოგაგებონ. დაუსრულებელი ფარსიც ამ „დაღლაზეა" გათვლილი. კიდევ, ქართული ხასიათის უმთავრეს, აღმოუფხვრელ თვისებაზე, რომელიც ღმერთსაც არ პატიობს, პირველს თუ არ დაუთმობ სიტყვას, პირველ კაცად თუ არ აღიარებ, პირველ ნომრად თუ არ დაასახელებ. ტაძარში იმყოფები, საყოველთაო მარაზმს ითმენ და ფიქრობ, ქრისტიანული მცნება ვის ახსენდება: „უკანასკნელი დადექ და პირველთაგანი გამოჩნდები"...

საღამოს ორგანიზატორის ჩანაფიქრის გამოცნობას ვლამობ; მაინტერესებს, რას მომიხერხებს. პირველი გეგმა უკვე ჩაეფუშა. კერძოდ, უსაგნო ლაყაფით დაოსებული ხალხის მსგავსად დაღლილობა არ მიპყრობს. აქედან გამომდინარე, დარბაზს სიტყვის უთქმელად არ დავტოვებ. თანაგუნდელები დაძაბულად მიმზერენ. აცნობიერებენ, რომ ტიტულოვანი აქტივისტების ალლუმზე გამოსვლა არ უწერიათ. გამომსვლელთა რიცხვს ვითვლი: 52 კაცის ნაცვლად მგონი 72-იც გაიწვიეს ტრიბუნასთან. მოსაწვევის სია ამოწურულია, თუმცა მე ამ სვეუბედურ ბარათში 24-ე ნომრად ვარ განთესილი. წესით, აქამდეც უნდა გამოვეცხადებინე. წესით...

ნამით ჩემი მზერა „ქალდეას" პრეზიდენტის თვალებს ეჯახება. ის ტრიბუნასთან მიდის და მედიდურად აცხადებს, რომ სია ამოწურულია. პროვოკაციაზე მიდის. სურს, საზოგადოებაში დაუპატიჟებელ სტუმრად წარმომაჩინოს, ადამიანად, ვინც ტრიბუნას თვითნებურად დაეპატრონება. თუმცა სადღაც აცნობიერებს, რომ თავისი ზრახვა ნაწილობრივ მაინც შენიღბოს. ამიტომ აქვე „წამოცდება", რომ მსურველს სიტყვის წარმოთქმის უფლება აქვს და მეც დროს აღარ ვკარგავ, ტრიბუნისკენ მივემართები. ბ-ნ ეგრისელს, ბუნებრივია, ჩემი გამოსვლა ცოცხალი თავით არ სურს და მორიგ აკრძალულ ილეთს მიხვედრებს. ყალბი თავშეკავებით მთხოვს, სახელი და გვარი დავასახელო. ესეც წინასწარ მოფიქრებული ფსიქოლოგიური დარტყმა! წინა ორ საღამოზე დანთებული პროტესტის მოთავე სხვაში იოლად არ აგერევა, მით უფრო, როცა ჯერ კიდევ 5-6 წლით ადრე დისიდენტი პოეტის თხოვნით მის ოფისში მომიხდა მისვლა. სტუმრობის მიუხედავად, სურვილი არ გამჩენია, მის აკადემიაში გავწევრიანებულიყავი. სხვათა შორის, ამის შესახებ ვინ აღარ მესაუბრა, მაგრამ შორს დავიჭირე. ჩემი ყაიდის პოეტი ბელადების სამსახურს ვერ იგუებს, მაგრამ ეს სხვა თემაა და ნუ გამოვეკიდებით.

ბ-ნ ეგრისელს მშვიდად მივუგე, ტრიბუნა დაეთმო და საზოგადოებას საკუთარ თავს თვითონვე წარვუდგენდი, გზიდან უკმაყოფილო ჩამომეცალა.

სათქმელი იგივე დარჩა, უბრალოდ დავამატე, რომ კომუნისტ მწვალებლებს მწერლები ჩაენაცვლნენ და რასაც საბჭოთა ჩინოვნიკებს უკიჟინებდნენ, მათი ხელობა ნებაყოფლობით გადაიბარეს; რომ რეპრესირებული პოეტის სახელით სპეკულაცია გაუტკბათ და მის ხსოვნას თვითრეკლამისთვის იყენებდნენ. დევნაა, როცა ხსოვნის საღამოზე პოეტის ერთ ლექსსაც არ წაიკითხავ და მისი სახელი ალებ-მიცემობის საგნად გაგიხდია. დევნაა, როცა წინათ დაშვებულ შეცდომებს ჯიუტად იმეორებ და, რასაც სხვას დანაშაულად უთვლი, უფლებას იტოვებ, სიკეთედ გაასაღო; ის, რომ დისიდენტი პოეტი თანამდებობებს ქედს არ უხრიდა, დარბაზში კი აკადემიკოსობისა და გენერლობის უპირატესობით თავს იწონებდნენ. აღვნიშნე, რომ შეხვედრაზე ოჯახის თხოვნით მოვედი და მსგავს თავყრილობებს ნებაყოფლობით არასდროს ვესწრები. სიტყვა დისიდენტი პოეტისადმი მიძღვნილი ლექსით დავასრულე.

სხვათა შორის, მარაზმიდან ამოყვინთულ დარბაზს აპლოდისმენტები არ დაუშურებია. — მართალია! — უკანა ფლანგიდან გაჟღერებული რეპლიკა რამდენჯერმე განმეორდა. ის იყო ადგილი დავიკავე, საკუთარი სცენარის ჩაფუშვით გაალმასებულმა ორგანიზატორმა მრისხანედ მიბრძანა, დარბაზი დამეტოვებინა. მშვიდად ავუხსენი, რომ ჩემს გადაწყვეტილებას მას არ შევუთანხმებდი. ბელადი პირცეცხლი კაცივით გააწჩხლდა და ხმას აუწია, კატეგორიულად ითხოვდა, დარბაზიდან გავსულიყავი და გაჰყვიროდა:

— ვაჟა ეგრისელს სიტყვას ვერავინ შეუბრუნებს! ვისაც ჩემი ჩატარებული საღამო არ მოსწონს, მიბრძანდეს, უკეთესი თვითონ ჩაატაროს! —

იმის გაგება არ უნდოდა, რომ ღონისძიებაზე ოჯახის მოწვევით ვიმყოფებოდი, რადაც უნდა დასჯდომოდა, ჩემთვის ჭკუა უნდა ესწავლებინა, ურჩობისთვის საჯაროდ დავესაჯე და საამისოდ ძალ-ღონეს არ იშურებდა. დარბაზი დუმდა.

ცნობისთვის, ბ-ნი შალვა მჭედლიშვილის საღამოებს 1997 წლიდან ვმართავდი. იგი ჩემი ლიტერატურული სალონის „დიაოხის" საპატიო თავმჯდომარე იყო. მის სიკვდილს არ დავლოდებივარ, მანამდე მივაგებდი პატივს, რადგან ამაზე მეტს იმსახურებდა.

ჩახუთულ ჰაერს მარათონი ვიგრილებდი. წამყვანის ღრიალის ფონზე ჩემი სიმშვიდე და თავდაჭერა კონტრასტს ქმნიდა. ეს გარემოება ბელადს უარესად აშმაგებდა და, რადგან ველარაფერს გახდა, წამოისროლა, რომ ჩემს გასაძევებლად პატრულს გამოიძახებდა. ალიანსის ერთ-ერთმა ლიდერმა სერგი ლომაძემ მისი უგვანო საქციელი ველარ მოითმინა და გააფთრებულ ეგრისელს შეუტია, პირში მიახალა, რომ უფლება არ ჰქონდა, პოეტისთვის, მითუმეტეს ქალისთვის, ასეთი რამ ეკადრებინა, რომ ის სადამსჯელო ორგანიზაციის წევრი არ იყო, ბრძანებები გაეცა და სიტყვა აეკრძალა. აყალყული დარბაზი ახმაურდა. „ქალდეას" აქტივისტები აიშალნენ. გაბედული შეტევით გაცოფებულმა ეგრისელმა სერგი ლომაძესაც კარისკენ მიუთითა. ვითარების განსამუხტად და პროტესტის ნიშ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნად მან დარბაზი დატოვა. ამასობაში ტრიბუნასთან ჩვენი თანაგუნდელი მიშა თუმანიშვილი მივიდა და ჩემი მხარდაჭერა იმდენად მკვეთრად გამოხატა, აქტივისტებმა მისი ხმა ჩაახშეს. გაუგონარი რამ ხდებოდა. გააფთრებული ადამიანები დაუცხრომლად ბობოქრობდნენ.

ვთხოვე, ახალგაზრდისთვის სიტყვის თქმა ეცლიათ, მაგრამ ბელადის მომხრეები უარესად ახმაურდნენ. ბ-ნი ეგრისელი კვლავ პატრულის გამოძახებით იმუქრებოდა, თითს ჩემკენ იშვერდა და გაჰყვიროდა, რომ ჩემ თავს დააჭერინებდა. საყოველთაო არეულობის მიუხედავად ალიანსის დანარჩენმა წევრებმა მაინც იმარჯვეს: მარსიანმა ტრიბუნიდან ბ-ნი შალვას ლექსიც კი წაიკითხა, კახა ბაციკაძემ კი ეგრისელს ურჩია, ვითარების გამწვავების ნაცვლად ლონისძიება გაეგრძელებინა. ამას „ქალდეას" აქტივისტთა წარმოუდგენელი აგრესია მოჰყვა. ის იყო ბიჭებთან მივედი, ათ-ათკაციანი ალყა შემოგვარტყეს, ჩასისხლიანებული თვალებიდან ცეცხლს ყრიდნენ. ასაკოვანი მამაკაცების მომუშტული ხელების დანახვაზე გოიას „კაპრიჩიოები" გამახსენდა. 17 წელია მწერლობაში ვმოღვაწეობ და, უნდა ვალიარო, ანგარიშსწორების მსგავს ფორმას არსად გადავყრივარ. ფიზიკური ანგარიშსწორების მეთოდებს დაუფლებული აქტივისტები ასაკობრივ უპირატესობას თავის სასარგებლოდ იყენებდნენ: იმ გარემოებით ურცხვად სარგებლობდნენ, რომ ახალგაზრდები მათზე ხელს არ აწევდნენ. სამაგიეროდ, თვითონ ყველა კომპლექსისგან უცბად გათავისუფლდნენ და საცემრად მოგვეტანნენ. ერთ-ერთი თანაგუნდელი რომ არ ამფარებოდა, ვილაც ასაკოვანმა ხელის კვრაც დამიპირა. ამის შემდეგ რა გასაკვირი იყო, მათთვის მეთქვა, რა თაობას განასახიერებდნენ.

ჩვენში ხომ ყველაფერი გაუკულმართებულია: ახალგაზრდაზე მეტად მოხუცი ბობოქრობს და გიტევს. ლექსის ნაცვლად მუშტზე უჭირავთ თვალი, ქალის სადღეგრძელოს სვამენ და იმ ქალის გასანადგურებლად ირაზმებიან, კომუნისტებს ქირდავენ და თვითონ მათი მეთოდებით ურცხვად სარგებლობენ, სამშობლოს ხსენებაზე ცრემლად იღვრებიან და ქურდულად მიწებს ყიდიან, რათა ფულის ჩაჯიბვასთან ერთად ტიტულები ჩამოირიგონ.

ყველგან ტოტალური სიყალბე მძვინვარებს! სწორედ ეს ტიტულოვანი, პატივსაცემი ასაკის ადამიანები ველურებივით გვიტევდნენ. მე ორმაგი კორდონის გარღვევა მომიხდა. ვილაც ქალი ისტერიულად მიკიოდა. ბედად, ჩემი მარათონი ჰაერს ვუგრილებდი და ისტერიკის პასუხად ღიმილის გარდა არაფერი გამიმეტებია. აღტყინებული ბრბოს შუაგულში მომწყვდეულებს პოეტი რამაზ ბერაძე შემოგვეშველა. მან ბ-ნ ეგრისელს მოუწოდა დაწყნარებულიყო და ბანდიტებივით არ მოგვქცეოდა. თქმა არ უნდა, ალყაში ისიც მოაქციეს. ყველას ვთხოვდი, სიმშვიდე შეენარჩუნებინა, ზედმეტად არავინ გატოკებულიყო. მადლობა ღმერთს, ალიანსელები თავდაჭერის თვალსაზრისითაც ჩვეულ სიმაღლეზე აღმოჩნდნენ. რის ვაი-ვაგლახით ადგილებს დავუბრუნდით. ტრიბუნასთან კომპოზიტორი შალვა დავითაშვილი მივიდა. ბ-ნმა ეგრისელმა მიზანში კვლავ მე ამომიღო, ჩემი ხევსურული მოსაცმელი და თავსამკაული ხელზე დაიხვია და წამომაძახა:

— შენ თავს დავაჭერინებ ამერიკული ქუდი რომ გახურავსო! — ტრადიციების მიმდევარ ბელადს, ამერიკული ოცნების ეშხით, ხევსურული თავსამკაული ნანატრ უცხოურ ქუდად მოელანდა, რუსული წესრიგის მოყვარეს ამერიკული ქუდი უკარგავდა მოსვენებას, ბელადობა, იცოცხლე, საქართველოში ნებავდა! აღრეული გემოვნების ანალიზი ცალკე თემაა...

მოკლედ, ბ-ნი შალვა დავითაშვილის დინჯ გამოსვლას ყური მივუგდეთ, რომ ბელადმა ოცნება აიხდინა: დარბაზში დაცვის პოლიციის 15 თანამშრომელი შემოვიდა და გახევებული ხალხის თვალწინ, ბელადის ინსტრუქციის თანახმად, თავზე წამოგვადგა. ეგრისელმა დაბნეულ პოლიციელს ჩემზე მიუთითა. დაბნეულს იმიტომ, რომ მათ თვალწინ ჩვეულებრივი სურათი გადაიშალა: დაწყნარებული დარბაზი გამომსვლელს უსმენდა, ჩვენ, ქვეყნის ამომგდები „პროვოკატორები", ჩვენთვის ვისხედით. ხალხი ხელახლა აირია.

— ეს რა ამბავია! ტაძარში პოლიციას რა უნდა, 37 წელია?! — რამაზ ბერაძე ხმამაღლა აყვირდა.

— სად გაგონილა, პოეტმა პოეტს პოლიცია თავზე დააყენოს! უპრეცედენტო ამბავია! ასეთი არაფერი გვინახავს! — ვნებათაღელვამ ხელახლა იფეთქა.

— რა გნებავთ, აქ თქვენი ადგილი არ არის! — საერთო მღელვარება შალვა დავითაშვილსაც გადაედო, — პოლიციას ვინ დაუძახა?

სახეგაბადრული ბელადი გამარჯვებული გენერალივით შემოგვყურებდა. ოდნავადაც არ ადარდებდა, დაცვის პოლიციის დანახვამ მისი მომხრეებიც რომ დააფრთხო, ვინ, ვინ და გენერლებმა დანამდვილებით იცოდნენ, რომ დაცვის პოლიციას ადამიანის დაჭერის უფლებამოსილება გააჩნია.

ტაძრიდან პოლიციის კორდონის თანხლებით გამოვედით.

სად იყო და სად არა, პარკებით დაზურგული პოეტის ვაჟიც გამოჩნდა.

— ქეიფი ჩაგვიშალეს! — გულდაწყვეტით აღნიშნა.

ვიგრძენი, ამ ფრაზამ ალიანსელ მამაკაცებზე როგორ იმოქმედა.

წინა დღით შემომჩივლა, რომ ბელადს მისთვის წინდაწინ სუფრის გაშლა მოუთხოვია. ვურჩიე, ღვინო ფურშეტამდე არ გამოეჩინა. ალბათ ინტუიციამ მიხსნა. წარმოიდგინეთ, ღვინით შეზარხოშებული „ქალდეას" აქტივისტები რა დღეს დაგვაყრიდნენ! ბართლომეს ღამე გარანტირებული გვექნებოდა!

ვილაც კაცი აღელვებული იმეორებდა:

— ტაძარში პოლიციას რა უნდა!

ახალგაზრდა გოგონამ მითხრა: ძალიან მამაცი ქალი ყოფილხართ! პროტესტის ნიშნად გიერთდებით!

აქტივისტების გარდა დანარჩენებიც ჩვენ გამოგვყვნენ. საღამო ჩაიშალა. ღონისძიების ამსახველი ფირიდან ის კადრი წაშალეს, როცა ტაძარში დაცვის პოლიცია შემოდის.

ბელადებს სიმართლესთან შეუთავსებლობა სჭირთ.

ჩვენში ტიტულოვან ბრბოს რომაელთა გულუბრყვილობა აცოფებს: იმდენი ოქრო ვინ მიაბნელათ, მოწინააღმდეგეთა თავის ქალების ამოსავსებად გაილონ, ტიტულის თანაფარდი ოქრო მხოლოდ საკუთარი გვამების გასაპატიოსნებლად ემეტებათ!

ნინო დეკანოიძე

# ფიქრი და მთების სიყვარული

ეს ჩანაწერი ძველი ჩვეულებისდარად მომზადდება; როცა სრულიად ახალგაზრდებს, პროფესიული დაოსტატების თუ საკუთარ თავთან გათამამების მიზნით, შეგვასახელებდნენ ხოლმე, გაზეთისათვის საინტერესო მასალები მოგვეძია. გვეფიქრა აუცილებელ თემებზე, და საერთოდ, ბევრი გვეფიქრა, რათა დეტალურად, თანაც ლაკონიურად ალგვენერა.



ეს იყო ვახტანგ ჭელიძისა და თამაზ ბიბილურის „ლიტერატურულ საქართველოში", გადაუჭარბებლად რომ შეიძლება ენოდოს 80-იანი წლების ელიტარული გაზეთი.

რახან მათივე ხელდასხმითაც იგულისხმება ჩემი ამჟამინდელი რედაქტორი, წინასწარშეუთანხმებლად ჩავინიშნე ეს საუბარი, გულმისასვლელი რომ უნდა იყოს მკითხველისთვისაც.

წარმოიდგინეთ პაპანაქება ზაფხულის ერთი მოთენთილი დღე. რედაქციაში სამუშაო თითქმის ამოწურულია და თვალი წასასვლელად გიჭირავს. ამ დროს, ზევიდან დაჰყურებ, კიბის დასაწყისში ოდნავ ოვალურად რომ არის საფეხურები დაგებული, ცოტათი მოუხერხებლად ამოდის მამაკაცი. ხელს ვერ ინაცვლებს, თეთრ ცელოფნებში მოზრდილი საზამთრო და ნესვი უწყვია. რატომღაც ვერ შებედავთ, ჩაეგებოთ და ტვირთი შეუმსუბუქოთ. გამოსავალს კი იოლად უკარნახებთ:

— დატოვეთ ბატონო, მანდ ხელს არავინ ახლებს.

— ბულალტერთან მიმაქვს, რედაქციაში — არამკითხე მოამბისათვის იყო მოჭრილი პასუხი. და ისლა დარჩენილა ვინაობა ჰკითხონ თადარიგის დასაჭერად.

ჯუმბერ ხანთაძეს ე.წ. ბულალტერიაში თავაზიან საყვედურსაც შეაგებებენ: მობილურს რომ არ პასუხობდა და შესაბამისად დაუგვიანდა ჰონორარიც. რომანტიკული იერშენარჩუნებული, წლებით დალალული, მაგრამ არადამძიმებული პიროვნება, უფროსი თაობის თბილისელ ინტელიგენტთა გენიალური სისადავით გამოირჩევა. საბაბი დაგვიანებისა გახლდათ საამურად მოსასმენი: მთაში ყოფილიყო მივლინებით, კერძოდ ზემო სვანეთში, პილიგრიმებისთვის ტურისტული ბილიკების გასაჭრელად. ცხენით უვლია ისეთ ადგილებში და იმ სიმაღლეზე, მობილური ხმას რომ ვერაფრით დაიჭერდა. რა თქმა უნდა ჩვენ ველარ შევველიეთ ასეთ სტუმარს; ხატრით, აღარც თვითონ გამოუდვია თავი აჩქარებულიყო. გამოეცნაურა ჩვენს ძვირფას კარლო ფაჩულიას და გადამდები ენთუზიაზმით ურჩია: — წამოდით და ჩაიხატეთ კოშკები, საკუთარი თვალით ნახეთ ეკლესიათა ფრესკები — შუა საუკუნეების ეს უნიკალური საგანძური გასაოცრადაა შემონახულიო.

ჯუმბერ ხანთაძეს სიყრმიდანვე სჩვევია საქართველოს მთა-ბარში ევლო. აკი მისი ამასწინდელი პუბლიკაციაც „ჩვენს მწერლობაში", ყმაწვილობისდროინდელი მოგონებებით რომ იყო გამთბარი, გარდასული დროის კოლორიტსაც აცოცხლებდა.

იქეთურ-აქეთურს ბუნებრივად მოჰყვა საუბარიც. პროფესიით მეტალურგს ხელი არ შეშლია, მწერლებს დაახლოებოდა. მითუმეტეს, გურამ ფანჯიკიძის თანაკურსელი და თანაუბნელი ყოფილა; აგრეთვე მეგობარი გურამ რჩეულიშვილის და გურამ თიკანაძისა, ედიშერ გიორგაძის, ლომერ და ერლომ ახვლედიანების, ლევან მალაზონიასი და გურამ გეგეშიძის...

მთისა და ალპინიზმის სიყვარული ისეთი ანდამატურია, ველარც დაეხსნებიო. სვანეთი ზეპირად იცის, მცოდნეა ამ კუთხის ტრადიციებისა და ამიტომაც რეგიონში ტურიზმის განვითარების ექსპერტადაა აღიარებული. უცხოელების მომეტებულ სწრაფვას, საქართველოს ბუნებით დატკბნენ, ურიგო საქმედ არ მიიჩნევს. ოღონდ ზომიერების დაცვის გარეშე, საფრთხეს ხედავს. ფიქრობს, რომ ევროპული დოქტრინა ტურიზმის შესახებ, ჩვენშიც მეტად ანგარიშგასაწევია; ამ დარგის აღორძინებას თანაბრად შეუძლია, როგორც დიდი სარგებლის, ისე ზიანის მოტანა. ტურიზმი, მართლაც დიდი ფულის მომტანი, თავისებური საწუნკარია და არ შეიძლება 5 მილიონიანი საქართველო უცხოელების მომვლელებად გადაიქცესო. თორემ ისეთ ქვეყნებს დავემსგავსებით, უგანდა და განა რომ არისო — გულშემატკივრულ ფიქრს გვიზიარებს.

შვეიცარიას რომ ვლამობთ შევედაროთ, მათი დამოკიდებულება ტურიზმისადმი დამაფიქრებელი და საყურადღებოა. მართალია ეს დარგი ჰყვავის, მაგრამ ქვეყნის პრიორიტეტად არასდროს დაუსახავთ. უდიდეს ძალისხმევით ილვწიან ტექნიკისა და ზუსტი მეცნიერების განვითარებისათვის. მათ მთებში შეფენილ სოფლებში, თუნდაც თითო-ოროლა მოსახლეზე, სახელმწიფოებრივი ზრუნვაა გამოცხადებულიო; ოღონდ იქიდან არ დაიძრან, ადგილის დედა არ მიატოვონ... წესრიგი და ზომიერი თავისუფლება არც სვანებს აწყენთ, ცხადია, გადასახადიც უნდა დაუწესოს სახელმწიფომ, მაგრამ არა წელში გამწყვეტი და კაბალური — ყველაფერზე რომ ხელს აალებინებს და წაახდენს ადამიანს. ვიდრე თანამედროვე უახლეს ამბებს გადასწვ-

დება, თუ რა ხდება მესტიაში, იმ პირველ უცხოელებზე მოგვიყვება, კვალი რომ დააჩინეს კავკასიონისა და სვანეთის შესწავლას. ზეპირად იცის ყოველი ევროპელი მოგზაურისა თუ ალპინისტის ბიოგრაფია, ჩვენი ქვეყნის საზღვრები რომ გადმოულახავთ. ორიოდე მათგანის სახელს, განსაკუთრებული მადლიერებით მოიხსენიებს.

1886 წელს კავკასიაში პირველად უმოგზაურია ლორდ დუგლას ფრეშფილდს, ინგლისის გეოგრაფიული საზოგადოების პრეზიდენტს. მისი ექსპედიცია მყინვარწვერზე ასულა. ჩრდილოკავკასიაშიც დაულაშქრავთ იალბუზი. ინგლისელ ლორდს ეს ორი მყინვარული მასივი 1800 კილომეტრიანი გამყინვარების ფართობად შეუფასებია. მოგვიანებით, როცა გლაციოლოგებმა უახლესი სათანადო აპარატურით იწყეს ამ მწვერვალთა კვლევა, დუგლას ფრეშფილდის ნაანგარიშევი, სიზუსტის გამო, ხელუხლებლად დაუტოვებიათ. მყინვარები რომ მოძრაობენ დღეს აღარავის უკვირსო (თუმცა ჩვენი გაოცებაც არ გამოჰპარვია!) თანაც ბეჯითად ინახავენ საიდუმლოს, იყონ ჩვენი წყლის აკუმულატორი, შეგვიქმნან კლიმატი, იზემოქმედონ სიცხლეზე. ამიტომ მყინვართა დაცვა მეტად სათუთ და საგანგაშო საქმედაა მიჩნეული მთელ მსოფლიოში.

1890 წლიდან მსოფლიო სახელის ცნობილ იტალიელ ფოტოგრაფს სელას სამჯერ უმოგზაურია კავკასიაში. მის მიერ სვანეთში გადაღებულ უნიკალურ ფოტოებს პირველად რეზო თაბუკაშვილმა მიაკვლია იტალიაში ყოფნისას. თავის დროზე ეს სასიამოვნო ამბავი გახმიანდა კიდეც.

ჯუმბერ ხანთაძეს 2001 წელს საშუალება მისცემია გაცნობოდა იტალიის ელჩს საქართველოში ბატონ პინანის. კეთილშობილური გვარის დიპლომატი, სესტრირიდან, განთქმულ სამთო-სათხილამურო კურორტიდან ყოფილა, შესაბამისად ალპინიზმისა და ტურიზმის მოტრფიალეც. საქართველოთი უზომოდ მოხიბლულს, 80 წელს გადაცილებული მოხუცი მამაც კი დაუინტერესებია და სვანეთის სანახავად ჩამოუყვანია.

ბატონი პინანის გავლენით, კეთილი ნებითა და თაოსნობით გადაწყვეტილა სელას ფოტოალბომის მომზადება საქართველოში, დაბეჭდვა იტალიაში. მისი სახელობის მუზეუმიდან, სადაც 30-40 სანტიმეტრის 450 ფირია დაცული. გადმოიგზავნა ასლები, არცთუ საუკეთესო ხარისხისა, მაგრამ განსაკუთრებულად მნიშვნელოვანი. ბატონ ჯუმბერს ერგო პატივად, აერჩია, დაელაგებინა სასურველი ნიმუშები საალბომოდ. ასე თავმოყრილი მასალა ისევ იტალიაში დააბრუნეს. იქ უკვე ასლებს ორიგინალები ჩაანაცვლეს და ძვირფასი გამოცემის ეგზემპლარები ოპერატიულად გულუხვ საჩუქრად გამოაგზავნეს საქართველოში, დასტურად მეგობრობისა. წარმატებული საქმით გახარებულ იტალიის ელჩს გადაუწყვეტია თვითონ გამგზავრებულიყო სვანეთში, რათა საკუთარი ხელით ჩამოერიგებინა მოსახლეობისათვის ორასიოდე ეგზემპლარი. მაგრამ კეთილისმყოფელ უცხოელთა ესკორტი გზად დააყაჩაღეს, წაართვეს ყველაფერი, ცხადია ეს უნიკალური გამოცემებიც. მხოლოდ მეორე დღესვე, სვანებისავე თავგამოდებით, დაუბრუნებიათ ყოველი დაკარგული უმნიშვნელო ნივთიც კი.

ამჟამად სრული წესრიგი სუფევს სვანეთში. მოგზაურთათვის საშიში და დამაბრკოლებელიც აღარაფერიაო, — დასძინა ჩვენმა სტუმარმა.

იტალიელი ფოტოგრაფის სელას პატივსაცემად კი მესტიაში ერთ-ერთ ქუჩას ეწოდა მისი სახელი. ამავე ქუჩაზე, ჩართოლანების უბანში, შვეიცარიისა და გერმანიის ფონდების ხელშეწყობით, 2003 წელს შეიძინეს ორსართულიანი კოშკი. საფუძვლიანი რესტავრაციით ძველი ფასადი აღუდგინეს და იქაურობა დაამშვენეს.

მესტიაში გაცხოველებული მუშაობაა, დღე და ღამეს ასწორებენ ინფრასტრუქტურის გასაუმჯობესებლად. და ამ ყველაფრის დაუნახაობა უმადურობაც იქნებოდა. თუმცა...

კიდევ უკეთესი უახლესი ამბავიც ასეთია: ჩეხეთის სახელმწიფოს დაფინანსებით ძალიან მალე სვანეთში მიმოფანტულ კულტურის უმდიდრეს და უძველეს ძეგლებს, კოშკებსა და ეკლესიებს ულამაზესი ბილიკებით მოინახულებენ და მოილოცავენ პილიგრიმი ტურისტები. მარშრუტი იქნება საინტერესოდ დატვირთული და მოსახერხებელიც, რადგან გზადაგზა დგას ბოძები ფირნიშებით, საცნობარო დაფები. მათი მეშვეობით გაადვილებულია გადაადგილება, ამა თუ იმ სოფლისკენ ასაქცევი, ხეობიდან ხეობაში გადასასვლელი, ყველაფერი მითითებულია. ერთ-ერთი მარშრუტი ასეთია: მესტიიდან მოგზაურნი გადავლენ მულახის თემის სოფლების ნაკრებში. ჟამუშში კი, სადაც ამჟამად 3-4 ოჯახი ცხოვრობს, დიდებული ეკლესიაა წმინდა გიორგის სახელობისა, 2700 მეტრის გადასასვლელით შესაძლებელია ადიშში ასვლა. იქაც ორი ოჯახია შემორჩენილი, არადა სელას ფოტოების მიხედვით XIX საუკუნის ბოლოს ყოფილა 16 კოშკი, ოთხილაა შემორჩენილი... გადახვალთ რა ადიშის წყალზე, მსოფლიოში არნახულ ზღაპრულ გარემოში აღმოჩნდებითო: თეთნულდიდან გამოჭრილი ადიშის თვალწარმტაცი მყინვარი უზარმაზარ ყინულის მასად, ძაბრივითაა ჩამოკიდული. მის ირგვლივ კი იშლება ხასხასა მწვანე კორდი, უნაზესი ყვავილებით მოჩითული. ნახავთ და ველარც დაივიწყებთ ბუნების ამ სასწაულსო... ადიშიდან ბილიკია ხალდესკენ. მრავალჭირნახულ ისტორიულ სოფელში 1875-76 წლებში, რუსებმა როცა აჯანყება ჩაახშეს, იქაურობა მიწასთან გასწორებული დატოვეს. ხალდედან იფრალშია გადასასვლელი, სადაც მთავარანგელოზის ეკლესიაა, XI საუკუნის კედლის მხატვრობით. ფრესკები შექმნილია მეფის მხატვრის, თევდორეს მიერ. მისივეა კვირიკესა და იფარის წმინდა გიორგის ეკლესიათა მოხატულობა (და აღარცაა გასაკვირველი ესმა ონიანის, ირაკლი ფარჯიანის, ვალერი მარგიანის, ლეო ხოჭელანის სახელები, ამ კუთხის სივრციდან ამოზრდილი). იფრალიდან სამანქანო გზით უშგულშიც შესაძლებელია ასვლა და მესტიაში დაბრუნებაც ადვილია. ტურისტებისთვის გზადაგზა, ბილიკ-ბილიკ მარტივად, მაგრამ კომფორტულად გამართული საოჯახო კერძო სასტუმროებია. მოგეხსენებათ, სვან დიასახლისებს ვერც უგემრიელესი კერძების მომზადებაში შეედრებიან და ვერც სისუფთავეში. მათ ოჯახებში სანიმუშო წესრიგია და ისე კრიალებს ყველაფერი, გაგინათდებათ გული. სულ ოთხმოციოდე კერძო სასტუმროა. გაჩნდა შესაძლებლობა, ამ კუთხის აყვავებისა, ბარში ჩასახლებულ განაყოფ ოჯახთა მამაპაპეულ კერებზე დაბრუნების. შეიძლება ახალგაზრდობა დაინტერესდეს. მშობლიურ გარემოში სვანებს თავისუფლება კანონიერად უნდა მიენიჭოთ სახელმწიფოებრივი ზრუნვითა და არა ცალკეულ მოხელეთა თვითნებური გადაწყვეტილებით. ამ გზითაა შესაძლებელი იმ ევროპულ ქვეყნებს თავალი გავუსწოროთ, ახლა რომ მხოლოდ თვალი გვიჭირავს.

სოფიო ჯაფარიძე

# სულის პური

## (ფიქრები ნინო სადღობელაშვილის რომანზე „ორსული")



„ბედნიერებაა წერდე ისე, რომ თანაუგრძნობდე, რომ გიყვარდეს და რომ გტკიოდეს კიდეც..." — ამ სიტყვებით ნინო სადღობელაშვილი სხვა მწერლის რჩეულობას აღნიშნავს და ენანება, რომ ასეთმა მწერლებმაც უკვე „ბედნიერთა კატეგორიაში გადაინაცვლეს".

ძნელია არ დაეთანხმო ნინოს, თუკი ამ კატეგორიის შემოქმედთა რიგებს თვითონაც ამშვენებს — მისი დიდი და ღრმა თვალებით გამონაშუქი სიყვარულით, ტკივილითა და თანაგრძნობით. ჩვენ, მკითხველები კი უბედნიერესთა რიგებში ვართ (ოღონდ მწერლებზე გაცილებით მეტნი), რადგან შეგვიძლია მათი სულის მოძრაობას, ტკივილ-სიყვარულის თანამონაცვლეობას, ჯიუტ ძიებასა და უწყვეტ ფიქრებს, სწორედ დიდი თანაგრძნობით მონვდილს, ვეზიაროთ, ვენდოთ და გავედევნოთ.

ცნობილი მოფიქრალი „ამბა ბესარიონი", რომელსაც ყოველივე დაეჯერება, მართალია, ამგვარად განსჯის: „ცხოვრება და ფიქრი ერთად ისეთივე უადგილო შეთანხმებაა, როგორც ცალ-ცალი ფეხსაცმელი, ისეთივე ბავშვური თამაში, როგორც ერთმანეთს ნააჩხუბო შენივ ხელები და ისევე შეუძლებელი, როგორც უკან შემოქცევა ღრმა უფსკრულზე გადახტომისას", მაგრამ მაინც მეფიქრება... რამდენი ხნის ბავშვურ თამაშს, ცალ-ცალი ფეხსაცმლით სიარულსა და უფსკრულებზე ხტომას მოიცავს ნინო სადღობელაშვილის რომანი „ორსული", რომელიც უკვე მრავალგზის მოვიახლოვე და ასე მგონია, მოვიხელთე კიდეც, იმდენად, რომ მასზე წერის სურვილმაც ამიტანა. თანაც, ეს ხომ მწერლის პირველი რომანია, მკითხველის გულებამდე ქარისთვის გატანებული პური, „რათა მრავალთა დღეთა შემდგომ, კვლავ მოიძიოს, ამ კარგვაზე და ამ პოვნაზეა ეს წიგნიო", — ასე გვეუბნება ავტორი.

მე კი უკვე ვიცი, რომ მოიძევს, მისთვის წარმოუდგენელ ადგილებშიც მოიმკის ასე უშურველად და წრფელად დათესილ გულის პურს, „ეს წიგნი ხომ მომკილ პურსაც გულისხმობს"...

აფაკლული ლანვი, მწიფე ცრემლები, გახშირებული სუნთქვა, გულის დაუოკებელი ფეთქვა — აი, ასეთი, თითქმის „ორსულობის" საწყისისთვის ნიშნეული „ანამნეზი" იქნება ახალგაზრდა მოაზროვნის მომკილი ჭირნახული. თუ არ გჯერათ, თვითონვე სცადეთ, წაიკითხეთ.

სხვათა შორის, საკუთარი გამოცდილებით ვიცი, წაკითხვითაც, სულ ცოტა, „ორ"-ჯერ მაინც უნდა წაიკითხოთ, ოღონდ არა იმიტომ, რომ რაიმე გაუგებარია, არა, საჭაშნიკოდ მხოლოდ... კარგი ღვინო მეორედ მოწრუპვასაც რომ ითხოვს, ისე... შესაძლოა, იმაში დასარწმუნებლადაც, თვალი ხომ არ გატყუებთ და, რაც წაიკითხეთ, მართლა 30 წლის ავტორის გულ-გონში გამოვლილია თუ არა?! მიზეზი მრავალია, მთავარია, ვის რა აალერებს წიგნისკენ მეორედ.

„მომკილ პურში" რაიმე იგავურად თუკი გეჩვენათ, ნურც ამას გაიკვირვებთ; ნინოს რომანში პასუხი ამაზეც არის: იგავების მართლად კითხვა მოგვეთხოვება საწუთროს მკვიდრთ...

სამყაროს შემოქმედმა ჭეშმარიტებისკენ სავალი ხომ იგავებად გაგვიცხადა, მთავარია, ვინ რას ჭვრეტს მათ მიღმა, ვინ რომელ გზას დაადგება და საით წატორტმანდება: „გზები ხომ იქაა, სადაც ამოირჩევ, წინასწარ არც ჩანან და არც უწყი..." რომანის ავტორი სწორედ ამ ვიწრო, ძნელად სავალ გზებს შესდგომია — იგავთა კითხვა შეუსწავლია...

სიტყვამ „შეუსწავლია" არ დაგაბრკოლოთ, მანამდე „უცდია" კიდეც: ალბათ, სადმე შეხვედრიხართ, ხელი ან თვალი მაინც შეგივლიათ ავტორის მოკრძალებისთვის ნიშნეული მცირე ზომის წიგნებისთვის — „ბამბაზიის სამოთხე", „შუაღამის იავნანა", სადაც ნინო სადღობელაშვილის გული და სული – მოთხრობები და ლექსები — ბინადრობენ. უზადო ნიჭიერებით მონვდილი სათქმელის მიღმა მწერლის შეურყვნელი სული მჭვირვალებს... ავტორი კი მისსავე სულს იმგვარი ფერადოვნებითა და სამეტყველო ხერხებით, გამაოგნებელი, მხოლოდ მისეული მეტაფორებითა და პოეტურობით ახმიანებს, სუნთქვაც კი გეკვრის. არ მიკვირს, მისი საყვარელი მწერალი რომ გურამ რჩეულიშვილია... ის უთუოდ მოიწონებდა ახალგაზრდა ქალის ძარღვიან ქართულს, დახვეწილ ფრაზებს, მოქნილ ლექსიკას, უჩვეულო დიალოგებს, სამყაროს ჭვრეტის ღვთით კურთხეულ უნარს... მოიწონებდა და სასიამოვნოდ გაკვირდებოდა კიდეც...

ასე ჟრუანტელიანი გაკვირვებითა და ამეგზურებული ბედნიერებით კითხულობ, უფრო მართებული იქნება თუ ვიტყვი — სახლდები ნინო სადღობელაშვილისეულ სივრცეში.

გურმანი მკითხველი მოხელთებულ წიგნში, პირველ ყოვლისა, დიდ, მწერლურ, სიყვარულიან სიმართლეს ეძებს. „ამ წიგნში არის დიდი სინამდვილე, ჩემი სინამდვილეო", ასე წრფელად გაუმხელს მკითხველს თავის გულისნადებს ერთ რადიოინტერვიუში რომანის ავტორი... მე კი ვიტყოდი – ამ წიგნში ყველას სინამდვილეა, ვისაც კი უფლის მოშიშებით, ქვეყნის ტკივილით, მეგობართა სასოებითა და უნაპირო სიყვარულით უცხოვრია.

ვინც ნინოს ფიქრებს გაედევნება ვერავინ „გადაურჩება" მის უჩვეულოდ აფერადებულ სამყაროში გადასახლებას, სადაც შესაძლოა ყველაფერი შენეულადაც კი გეჩვენოს, გეცნოს, გაგახსენდეს — წარსულიც, აწმყოც, იქნებ მომავლიდანაც ამოზიდო რაიმე, როგორც ლიბრიანი, მიბჟუტული თვალიდან. დაკვირვებული და დაბეჯითებული მკითხველი ამასაც მოახერხებს, თუკი კარგად ჩახედავს თვალებში რომანის მთავარ გმირს – ეკა გვიანიძეს. ამ თვალთა მზერას გადევნებულმა შესაძლოა მართლაც გააბიჯო ყოფითობის სამანს მიღმა, იქით, საითაც ჭეშმარიტებისკენ მავალი ვიწრო ბილიკები მიემართებიან. მაგრამ, ალბათ, „შორიდან მაინც უნდა ხედავდე მომავალს, სიკვდილს — ერთდროულად უნდა ხე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დავდეო"... ასე სწამს ავტორს. ამ გზებზე სხვაგვარად ვერ ივლი, ვერც შენსავე სულს უმეგზურებ და ვერც ყოველგვარი ტკივილისა და მსხვერპლშეწირვისთვის შეიმართები. ეს ხომ ცხოვრების ოღრო-ჩოღროებია და თუკი მათ დასალახად უცვლელი და უღალატო მეგობარი – სიყვარული არ აგიდევნებია, შენი მცდელობაც იმთავითვე ფუჭი გარჯაა, რადგან დღეს „სიკეთე იმ ჯამბაზს დამსგავსებია, სისულელეებს რომ სჩადის, ხალხს რომ აცინებს და ცალი თვალის ქუთუთოდან დაქაჩული ცრემლიც მისი ნილბის განუყრელი ნაწილი ჰგონიათ"... „ჩვენი საუკუნე უსიყვარულობის აკვანს მიუჯაჭვავს", ჩვენ კი თავდაჯერებულნი თავგამეტებით ყველგან სიყვარულს ვთამაშობთ, ოღონდ მთავარი გმირის – სიყვარულის გარეშე. იმ „მთვრალი მექორწილეებივით, რომლებიც ერთმანეთს უმტკიცებენ რომ პატარძალი ლამაზია და ეს ფიცი-მტკიცი მალე ჩხუბში გადაეზრდებათ. სასიკვდილო ჩხუბში. და პატარძალი კი მართლა ლამაზია, მაგრამ ვილას ახსოვს, ან ვისთვისღაა მნიშვნელოვანი მისი სილამაზე..." „ახლა ომებში შეყვარებულს ზურგზეჯვარგადაწერილს აღარ აცილებენ, ახლა ყველანი ერთ საერთო ომში არიან ქალიან-კაციანად..."

სწორედ ამ ომებმა დაამუნჯეს ერის მომავალი, ლოგინს მიაჯაჭვეს დიდი, შიშიანი თვალებით და გულთან სამშობლო დაუწყლულეს. ამ ტკივილით სნეულთ კი ამერიკაში, მოდერნიზებული აპარატურით ქირურგიულად ესაშველებიან და გულისგულიდანაც წარმატებით გლეჯენ სამშობლოს. ამ პირობითად „ქვეყანაში" „შემოქმედ პატიმართა რეაბილიტაციის ამერიკული მოდელიც" მოქმედებს და „არსობის პურსა და ცრემლის მარილს" ამგვარად მოაპოვებინებს მათ — დაუნდობელი მზრუნველობით.

უთუოდ ავტორისეული განცდაა რომანის ერთ-ერთი გმირის მისტიკისადმი უდიერებაც — „ბავშვობიდანვე მძულს მისტიკა, რადგან სულ მგონია, რომ ამაზე ყალბი არაფერია სამყაროში. სიყალბე კიდევ სიცრუეა...". შესაძლოა აქ მისტიკაც არაფერ შუაშია და ავტორის განგაში სიცრუითა და სიყალბით გაბერილი საჰაერო ბურთების ქვეყნის თავზე უსასრულო, გამაბეზრებელმა ლივლივმა განაპირობა?!

ნინო სადღობელაშვილის თაობამ თვალი გაუჩხვერ სიბნელეში, სიყალბესა და სიცრუეში გამოახილა, მაგრამ გამოახილაც ძალზე პირობითად, რადგან მყისვე ტყუილის ლიბრი გადააკრეს და მას მერე რიოში დღესასწაულებით შეაქცევენ. მართალია ამ სიბნელეშიც იხილვებოდა, ილანდებოდა მიმქრალი ნათელი, რომელსაც თავისუფლებას ეძახიან, მაგრამ ისიც განიძარცვა საზეიმო სამოსლისაგან, სამწუხაროდ, მასაც სიცრუე შეეპარა, „თავისუფლების სიცრუის სიბრძნე." ავტორი კი დარწმუნებულია: „ძალიან ბრძენი უნდა იყო, ტყუილი რომ კეთილად მოიხმარო." მაგრამ ირკვევა, რომ ამ ერთი „უთვისტომო" ფრაზით — „თავისუფლება," თურმე, უკვე წლების მანძილზე გვიცხოვრია, სიბრძნე კი მართლაც ვერსად მოგვიხელთებია.

ესეც ქვეყნისთვის ბოლო ორი ათწლეულის მანძილზე ნიშნეული ისტერიისა და ორომტრიალის შუაგულში მოქცეული თაობის განწირული ამონაყვირი: „სიბნელე ჩავყლაპე!.. სად გავაჩინო ეს ბავშვი? შიშში? სამხეცეში? რა მოვატყუო, წარსული?" ფიქრიას სხეულში ახალი ცხოვრების მომლოდინე ნაყოფი ჩაყურსულა, დედას კი მისი მოვლინებისა ეშინია. ვინ და საით უმეგზურებს ახალ სულს?! ვინ შეუდგამს უხილავ მხარს, რომ გაიზარდოს, ძალა მოიცეს და ირგვლივ მიმოიხედოს, ვინ დაამშვიდებს არსებული ყიამეთით დაფეთებულსა და უსასოქმნილს: „სიმშვიდე მტრედებმა აკენკეს და ქონგურიდან ქონგურზე გადააქვთ, ვერ მოიხელთებ..." „ქალაქი დიდი ხანია ამოტრიალებულ გულისჯიბეს ჰგავს... რამდენი წელია უკვე ასეა... ადამიანების ბედი ქუჩაში წყდება... გარეთაა ყველაფერი, ძველიც, ახალიც... ცოტა ზევიდან ქალაქი ასაწყობ სათამაშოს ჰგავს..."

ეს ის მდგომარეობაა, რომანში ძირითადი სიუჟეტის ფონს რომ წარმოადგენს მხოლოდ, მე კი სიტყვა რატომღაც მასზე გამიგრძელდა. მაგრამ უმთავრესი ის გახლავთ, რომ ამ ვითარებაშიც შეიძლება მაცოცხლებელი ძარღვის გამონახვა, მოჭიდება და მასზე სულისა და ხორცის მიკედლება. ასე ხდებოდა სამყაროში მარადიულად – ბრძოლის ველზე ხომ მხოლოდ სიკვდილი არ დადის ალესილი ცელით, იქ ხომეროსიც დაფარფატებს თავისი ყველაზე მაცოცხლებელი იარაღით და გულდაგულ ირჩევს ბედნიერ მსხვერპლს. შესაძლოა „ბედნიერი მსხვერპლი" და „მაცოცხლებელი იარაღი" იმგვარივე ოქსიმორონი იყოს, როგორც „შემოქმედი პატიმარი", მაგრამ ცხოვრება ხომ თამაშია და ის ხშირად ამგვარ სათამაშოებს თანადროულად, ერთ სიბრტყეზე განალაგებს ხოლმე. ჩვენ კი, მოთამაშენი იძულებულნი ვართ ამ შეუთავსებელი გასართობით ვიქციოთ თავი. მწერალი აკი გვანუგეშებს კიდეც: „მშვიდობა ხომ არც არსებობს!.. სანამ გვიყვარს, გვეოცნებება, ვის გაუგია მშვიდობა!.." ესეც კვლავ ბრძოლის ველი... მაგრამ ამჯერად ორი შემოქმედის სულის შესაყარი... დემიურგ-შემოქმედთა ძალუმი ჭიდილი კი უზენაესი კანონით, ნაყოფიერებით უნდა აღინიშნოს. მაგრამ, როგორც ქვეყანას აღთქმულ მიზნამდე, მათაც რაღაც აკლდებათ წერტილობამდე, არადა ლელვის ხე ხომ მარადიული ხატებაა. იქნებ „არ განიძარცვეს, რათა შემოსილიყვნენ?!" ბოლომდე არ დაწრიტეს, არ ამოიხაპეს სულიერი ძალები, არ აღმოაჩნდათ მსხვერპლშეწირვისთვის მარადიული მზაობა?!. „ყოველგვარი სიყვარული ხომ თავგანწირვაა..."

„სანახევრო ყველაფერი საშიშიაო", — გაგვიცხადებს საყოველთაო ზერელობის ჟამს რომანის ავტორი და ტოტალური შიშიანობისგან სახსნელად, მაშველ რგოლებად თავის ლექსებსა და მოთხრობებს ჩამოგვირიგებს, სული რომ მოვიოხოთ და სრულყოფილ სამყაროს მივაბჯინოთ, ერთმანეთში საკუთარი თავი ამოვიკითხოთ, უნაყოფობას სახადივით ვეკრძალოთ და ერთურთის ჯვარი ვიტვირთოთ, ვინძლო, „ერთად" ქცეულმა სულმა კვლავაც შეძლოს სამყაროს „დაორსულება..."

მარადიულად მსხმოიარე, სამყაროს ცენტრში აღმოცენებულ ცხოვრების ხედ მესახება ნინო სადღობელაშვილი მის სულში მისივე შემოქმედებით მზირალს. „შენ ხარ ჩემი ხე", — მისი ლექსის სიტყვებით ვეტყვი, — ამაყად ტანაყრილი, ცისაკენ აღერებული, რომელსაც სცვივა და სცვივა დატკბილული ნაყოფი დამძიმებული ტოტებიდან, ზოგი — ლექსად, ზოგი — მოთხრობად. თუ ქარი ამოვარდა, კარგად შეთვალულმა ნაყოფმა იქნებ მეზობლის ეზოსაც უწიოს, ან მასაც გადაშორდეს და უცნობ სანახებსაც მიაღწიოს, იქაც დათესოს „სულის პური", „ქარი ხომ მთელ სამყაროში დაიარება"...

ჩემთვის ნინო სადღობელაშვილი თავგანწირული შემოქმედია, მაცოცხლებელი სუნთქვისა და სურნელის მომტანი ჩვენს ფერმიხდილ სინამდვილეში. მისი ჭირნახული კი იმის უტყუარი მაუწყებელი, რომ არც მერმისს მოგვამშევს და უფლის ნაკურთხ მისი სულის ბეღელში ულევად იმრავლებს „სულის პური," „ნაზამთრალი ბელურებივით" მკითხველის უშურველად დამპურებელი.

ეს სტატია 2009 წელს თბილისში ჩატარებულ საერთაშორისო კონფერენციაზე წაკითხული მოხსენების ვრცელი ვარიანტია. მის გამოტანას ქართველი მკითხველის სამსჯავროზე ორი მიზეზი აქვს: წინამორბედი ლიტერატურული გამოცდილების სათანადოდ შეუფასებლობის ნეგატიური პრაქტიკის „მხილება"; აქედან გამომდინარე, იმ არსებითი სტიმულების მონიშვნა, რომლის სოციალურ და ეთიკურ-ესთეტიკურ წყაროს ზოგიერთი „ნეოკულტურისტი" მხოლოდ თანამედროვე მწერლობის გარღვევებში ხედავს.

ზაზა გოგია

# წარსულში არეკლილი აწმყო

კულტურა დროში დაგეგმილი სივრცეა და რაც უფრო მკვიდრია ეს მთლიანობა, მით უფრო მაღალია კულტურის გამძლეობაცა და ხარისხიც. კულტურის ინდექსი მოთხოვნებისა და მოთხოვნილებების ჯამური მაჩვენებლით იზომება ანუ — რა გვსურს და რა გვესაჭიროება? ეს მაჩვენებლები ენის წიაღში მჟღავნდება, მოწმდება და ენისვე ძალაუფლებას ემორჩილება, რამდენადაც „ენა თავადაა სამყაროს თვითგამოხატვის საშუალება, კაცობრიობის ენობრივი გამოცდილება — ჩვენს ყოფიერ წარმოდგენებზე აღმატებული, აბსოლუტური სიდიდეა, ამიტომ ის, რაც ჩვენი შემეცნებისა და განსჯის საგნად იქცევა, ენის საკაცობრიო ჰორიზონტითაა შემოსაზღვრული" (გადამერი 1988 : 580)



ენობრივი გამოცდილების გამჟღავნების საუკეთესო ასპარეზი სიტყვიერი ხელოვნებაა, სულერთია, კულტურის გაბატონებულ ფორმასთან მორიგების მექანიზმი ედება საფუძვლად თუ — განხეთქილებისა. თუმცა კრიზისულ ეპოქათა სახეს დაპირისპირების ლოგიკა უკეთ წარმოაჩენს, ვიდრე — უდრტვინველი თანახმიერებისა.

კულტურის ისტორიისათვის ცნობილია ე.წ. პირველადი სქემები, რომელთაც რაც უნდა ხორცი შეასხა, ჩონჩხი უცვლელი რჩება. მათ შორისაა მსოფლიოს ინტეგრაციული მოდელები, ზოგი მეტად, ზოგიც — ნაკლებად ძალადობრივი ხასიათის. ქართულმა კულტურამ საბჭოთა ტოტალიტარული იმპერიის ნგრევის შემდეგ ე.წ. ხავერდოვან იმპერიაში ამოყო თავი, რომელიც გლობალისტური წესრიგის სახელით უფროა ცნობილი. გლობალისტური მოდერნიზაციისადმი შეთანხმებული მიდგომა სამყაროში მიმდინარე პროცესებს დაბალანსებულ მთლიანობად გვიხატავს, რომლის გრაფიკული ფორმულა კოსმოსიდან დანახული დედამიწის ბურთია გაუქმებული საზღვრებით, პლანეტარული მართვის ცენტრითა და ეკონომიკით, საფონდო და სასაქონლო ბაზრით, სამართლებრივი და ინფორმატიკული სივრცით, უნიფიცირებული ენობრივი და რელიგიური ცნობიერებით.

ეს ერთპოლუსიანი სამყაროს პროამერიკული მოდელია. ფროიდი ჯერ კიდევ 1927 წელს „ერთი ილუზიის მომავალში" წერდა: „ზეციური მამისათვის გაწეული სამსახურის სანაცვლოდ ადამიანები მუდამ ფიქრობდნენ დამსახურებულ ჯილდოზე, უკიდურეს შემთხვევაში, ღვთის უსაყვარლეს შვილად, გამორჩეულ ერად აღიარებაზე. დროთა განმავლობაში ღვთისმოსავი ამერიკა წამოაყენებს მისი God's own Country, „საკუთრივ უფლის ქვეყნად" აღიარების მოთხოვნას" (ფროიდი 1990 : 108)

ეს წინასწარმეტყველება ჩვენი დროის ახალ თავსატეხად იქცა, ვინაიდან მსოფლიოს განვითარების სცენარში თითოეულ ქვეყანას თავისი გზა აქვს მონიშნული, რომლის ეროვნულ-სარწმუნოებრივი და კულტურული ტრადიციები ვერ ეწერება მძლავრი სახელმწიფოების ეთიკურ-ზნეობრივ და სამართლებრივ განაწესში. ჰუმბოლდტი ამბობდა, რომ „ინდივიდუალობა განსხვავებათა ერთობლიობაა" (ჰუმბოლდტი 1985 : 370). გამოდის, რომ განსხვავებათა მოსპობით ინდივიდუალობასაც ვსპობთ. პოზიციათა ურთიერთმორიგების ნიადაგი პრაგმატულ სფეროებს გარდა მწერლობაშიც უნდა ვეძიოთ, რომელიც ინდივიდუალური სულიერი ძალისხმევის ნაყოფია. ვიკო თვლიდა, რომ მათემატიკური ცოდნა პოეტური სიბრძნითაა შესავსები, ბერტრან რასელის აზრითაც, მეცნიერების „ცოდნა-ძალასთან" ერთად ხელოვნების „ცოდნა-სიყვარულსაც" უნდა დავეუფლოთ, რათა დროსა და სივრცეში ჭეშმარიტი ორიენტაციის უნარი არ დავკარგოთ. დაახლოებით ამასვე გვასწავლის გალაკტიონი: „ნუ მიატოვებ ლექსს უთვისტომოდ, დროის, ეპოქის და სივრცის გარეთ." ორ თვალსაზრისს გავიხსენებ, თუ როგორ შეიძლება სუბიექტური ცნობიერება ხელოვნებაში ისტორიული მეხსიერების გამტარადაც იქცეს და მესაფლავედაც.

პირველი აზრი პოლონელ მეცნიერსა და ინტელექტუალს იან პარანდოვსკის ეკუთვნის. იგი წერს, რომ „ადრეული პერიოდის ამერიკელ პოეტთა შემოქმედებაში ყურთასმენა მიაქვს ბულბულებისა და ტოროლების გალობას." ამ ფაქტს იგი შექსპირისა და სხვა ინგლისელ პოეტთა მიბაძვითა ხსნის, ვინაიდან ამ ფრინველებს ამერიკაში არასოდეს უცხოვრიათ და „დიდი დრო დასჭირდა ამერიკულ პოეზიას, მშობლიური შაშვების გალობისთვის რომ მიეპყრო სმენა და გულისყური" (პარანდოვსკი 1972 : 175)

მართალია, ყოფილ ევროპელებში უცხო გეოპოლიტიკურ გარემოში შეღწევისას თავდაპირველად წარსულის მემკვიდრეობითი ცნობიერება ამოტივტივდა, მაგრამ ახალ სივრცეზე გაბატონება საკმარისი მიზეზი აღმოჩნდა დროთა

ეროვნული ბიბლიოთეკა

კავშირების წყვეტისათვის. „სხეულთან დაბრუნების" აქტი ვერ შედგა. მეტიც — ერთ დროს ნიადაგს მოწყვეტილ კულტურათა ნაზავი თვითონვე იქცა გეზისა და ტონის მიმცემად დანარჩენი სამყაროსათვის. ოსტინ უორენი, რომელმაც დემოკრატია და პოეზია ჰუმანიზმის ნიშნით დაუწყვილა ერთმანეთს, წერს, რომ „ამერიკელს კონტინენტის ახალი მიწების ათვისების დროს დიდხანს ეგონა, რომ დასავლეთისაკენ მოძრაობით თავისუფლდებოდა ისტორიისაგან, რომელსაც წინსვლის დამაბრკოლებელ წარსულის ტვირთად მიიჩნევდა" (უორენი 1975 : 156). ამერიკელი მეცნიერი ამ დაავადებას „პროგრესულ რღვევას" უწოდებს, მის მატარებელს კი — "დამოკლებულ პიროვნებას." თუკი კულტურის სიცოცხლის ხე ფესვებიდან იზომება, ეს სახელი ზუსტად მიგვანიშნებს ფესვებს მოწყვეტილი სხეულის ნაკლზე.

წარსულის აბუჩად აგდების საფუძველი დროში განფენილი სივრცის ფიზიკური ძლევის შეგრძნებით გამოწვეული ამნეზიაა, რომელიც თითქოსდა ათავისუფლებს ადამიანს ანმყო წარსულს შეუწონასწოროს და მომავლის გეზი ისე განსაზღვროს. ეს მოზეიმე ქვეყნების საკუთარ კალაპოტზე მორგებული მორალია, გადარჩენაზე მზრუნავი ტრადიციული ერებისთვის კი — პოლიტიკური სუიციდის ტოლფასი. თავად ერიც, ნეოკულტურული განმარტებით, არის : პირველი — ერთობლივი დამოკიდებულება დანარჩენ კაცობრიობასთან, და მეორე — ზრუნვა საერთო მომავალზე, ანუ ფიგურირებს ანმყო, მომავალი, მაგრამ წარსული იგნორირებულია, შესაბამისად, გურამიშვილის დამამკვიდრებელ მოძღვრებას, „ყმაწვილი უნდა სწავლობდეს საცნობლად თავისადაო: ვინ არის, სიდამ მოსულა, სად არის, წავა სადაო?" ანდა ილიას მიერ მოხმობილ ლაიბნიცის სიტყვებს, „ანმყო შობილი წარსულისაგან არის მშობელი მომავალისა," საძირკველი ერღვევა. თუმცა ილიას სახელი ნამდაუწუმ პირზე გვაკერია.

მანქურთიზმი ჩინგიზ აითმატოვის რომანიდან („და დღე საუკუნეზე დიდხანს გრძელდება") გადმოტანილი ტერმინია, რომელიც დეჰუმანიზაციის, ზნეობრივი ცნობიერებისა და კულტურული მეხსიერების სრული ატროფიის ნაცვალსიტყვად იქცა. მანქურთის ჯიშის გამოყვანა ტექნოლოგიურადაც იოლია: ადამიანს სველ ტყავს გადაუჭერენ თავზე და მზეზე გასვამენ. გაშრობისას ტყავი იკუმშება და კაცს აუტანელ ტანჯვას აყენებს. ცოცხალი ვინც გადარჩება, წარსულის ხსოვნასთან ერთად ყველა ადამიანურ სათნოებას კარგავს და ახალი პატრონის ყურმოჭრილ მონად, მანქურთად იქცევა. მოკლედ რომ ვთქვათ, ხდება ტვინის ფუნქციური გადაგვარება.

დიდი და პატარა მანქურთები ჩვენც უხვად მოგვეპოვება ისტორიასა და მწერლობაში. დიდი მანქურთები არიან ალავერდი-ხან უნდილაძე — ირანში მეორე კაცი, ფარსის ბეგლარბეგი, შაჰ-აბასის სამხედრო-პოლიტიკური რეფორმის ორგანიზატორი, ქართველთა განმსახლებელი, თურქმანთა ჩამომსახლებელი და მისი ორი ვაჟი — დაუდ და იმამ-ყული-ხან უნდილაძეები. პატარა მანქურთები კი არიან მათი ლიტერატურული მოგვარეები გურამ გეგეშიძის რომანიდან „ხმა მღაღადებლისა," რომელთაც არც საკუთარი გვარის ისტორია იციან და ვერც პიროვნული ნიშნებით შეედრებიან ყურმოკრულ კერპებს. პლატონი „კანონებში" წერს, რომ ბოლომდე გაუხრწნელ სულში უკეთურებას შესაძლოა ლტოლვა გაუჩნდეს სიკეთისაკენ, როგორც დაავადებას გამოჯანმრთელებისაკენ. ძმებმა უნდილაძეებმა საკუთარი სისხლით ნაწილობრივ მაინც გამოისყიდეს ცოდვა ისტორიული სამშობლოს წინაშე; მათ ლიტერატურულ მემკვიდრეებს ეს აზრადაც არ მოუვათ, ვინაიდან წინაპართა ქიმერულ სახეებში მათ დიდება იზიდავთ და არა — ღირსება. გლახუნა უნდილაძეს წარსულის ხსოვნა აბსოლუტურად ატროფირებული აქვს. ერეკლეს სახელის ხსენებაზე იგი გაკვირვებული კითხულობს — „ვინაა შე კაცო ერეკლე?!" შთამომავლობითი „პროგრესი" სახეზეა — მისმა შვილიშვილმა ტიტიკომ წითელარმიელი მკვლელების ჯარი შეუსია მშობლიურ სოფელს. ისტორიულმა შედეგმაც არ დააყოვნა — ნგრევა და განადგურება მადლისაგან დაცლილ ქვეყანას განკითხვის ჟამად შემოუბრუნდა.

მანქურთია ოთარ ჭილაძის ცრუმაიორი — ქაიხოსრო მაკაბელიც. მისეული სამყაროს საზომი სხვისი მუნდირი და ღირსებაა, საბინადროც — სხვისი სამშობლო და ბიოგრაფიული გარემო. კულტურის ენის დინამიკა პიროვნების თვითგაგების სარკეში ყველაზე უკეთ ირეკლება. ჭილაძის გმირს კი თვითგაგების საფუძველი ციცერონის სიტყვით რომ ვთქვათ, „არსებობის ხსოვნა" (ვიტა მემორია) გაწყვეტილი აქვს. შესაბამისად, მისი წყლულები მთელი კულტურული სხეულის მომცველია.

ასიმეტრიული, მძიმე და ამორფული სხეულის მძევლად იქცა საბჭოთა ტოტალიტარული იმპერიაც, რომელმაც მისთვის რუდიმენტებად ქცეულ მცირე ერთა ისტორიული მეხსიერების განოვის მიზნით კულტურის მართვის ინტელექტუალური ცენტრის ფუნქცია შეითავსა. საბჭოთა მწერალთა პირველ ყრილობაზე გორკის მიერ იდეოლოგიური ბრძოლის სტრატეგიად „ძალის ჰუმანიზმის" გამოცხადებამ მწერლობას თავისუფლების ილუზიები საბოლოოდ გაუცამტვერა, კულტურის სასიცოცხლო ფუნქციათა უკიდურესმა სოციალიზაციამ ტოტალიტარული აზროვნების პიკს მიაღწია, რომლის ნორმატიული ნიშნები იყო: დახშული სივრცის უგზოობაში ჩაკეტილი ბერწი, პარაზიტი დრო, მბრძანებლური „დემოკრატია," სახელისუფლებო კლასის მიერ ინფორმაციათა მიჩქმალვის გზით მოქალაქეობრივი უმეცრების დანერგვა, სულიერი წონასწორობის დამარღვეველი ულმერთობის პროპაგანდა, ფორმალურად ზნეობრივი და ეთიკური კატეგორიების გაერთმნიშვნელიანება, რეალურად — სინდისის მოვალეობისაგან გათიშვა („პატრიოტული სინდისი", „კლასობრივი მორალი," „საბჭოთა პატრიოტიზმი"...). კულტურის ნეგატიური ნიშნები სამყაროს იდეალიზებულ სცენარში იყრიდა თავს, რომლისადმი ერთგულება ვალდებულებრივი ხასიათისა იყო.

ქმედება უკუქმედებას ბადებს. 60-იანი წლებიდან ქართულმა ხელოვნებამ არა მხოლოდ ზოგადი ფიქრი, სერიოზული ზრუნვა დაიწყო მომავალზე. ზრუნვა კი სინდისის ნებაყოფლობითი თანხმობაა ქმედებასთან. ამ პერიოდში მწერლობამ უმძიმესი დარტყმები მიაყენა რეჟიმს, რომლის ბოლო წლები დაჭრილი ურჩხულის უკუსვლის ინერციით აღინიშნებოდა. დარტყმები ზოგჯერ აშკარა, უფრო ხშირად კი რეპრესიული კონტროლის გამო ფარული (იმპლიციტური) ხასიათის იყო.

თუკი საბჭოთა იმპერიამ თვალუწვდენელი გეოგრაფიული სივრცის მეთვალყურეობის გასაიოლებლად მისი კულტურული დავიწროება და უნიფიცირებულ, ზოგადრუსულ არეალში მოქცევა განიზრახა, შერისხულმა ეროვ-

ნულმა მწერლობამ იგივე ილეთი ანუ სივრცის დავიწროება სათავისოდ გამოიყენა, რომელსაც მოქმედების გეოგრაფიაზე მეტად ინტროსპექციის სიღრმე აინტერესებდა. ამისათვის იგი ხელოვნებაში გავრცელებულ სქემებს მიადგა.

ბეკეტის პიესაში „თამაშის ფინალი" მოქმედების ადგილი სანაგვე ყუთებია, თომას მანის „ჯადოსნურ მთაში" ჭლექიანთა სანატორიუმი, მარკესსა და ჭილაძესთან ერთი პატარა სოფელი, ჩეხოვთან საავადმყოფოს პალატა, დოჩანაშვილთან საცურაო აუზი, გოდერძი ჩოხელთან გუდამაყარი, კოტე ჯანდიერთან ოჯახური ინტერიერი, აკა მორჩილაძესთან გამოგონილი სანტა ესპერანსა. კლასიცისტური სქემებისაგან განსხვავებით, სივრცის ასეთი დავიწროება არათუ ზღუდავს, უსასრულობამდე აფართოებს ადამიანური ყოფის შინაარსს. ამ ტიპის თხზულებათა ქრესტომათიულ მოდელად თომას მანის „ჯადოსნურ მთას" მიიჩნევენ. მოქმედების ადგილია დავოსის ტუბსანატორიუმი ანუ დაავადებული გარემო; ცენტრალური პერსონაჟი — ჰერმეტული აღსაზრდელი ჰანს კასტორფი (გააქტივებულია „ჰერმეტიზმის" სემანტიკაცა და ეტიმოლოგიაც: ერთი მხრივ, გმირის ბინიერებისაგან დაცულობის, უმწიკვლობის შინაარსი, მეორე მხრივ მითოსური ჰერმესის ერთ-ერთი ფუნქცია — სულების მეგზურობა). ახალგაზრდა გმირის სულის დაუფლებისათვის იბრძვიან პოლიტიკურ სიმბოლოებში გაყინული ფანტომები — ანტიჰუმანისტი ნაფტა და ფუყე ლიბერალი სეტემბრინი. ვის ხელშიც აღმოჩნდება კარტ-ბლანში (კასტორფის სული), იმ მიმართულებით წარიმართება ევროპის მომავალი. ორივე გმირის პანიდეურ-პედაგოგიური ენთუზიაზმი კრახით მთავრდება. მძლავრობს მესამე — ყოველგვარ პოლიტიკურ რიტორიკას მოკლებული ბუნებრივი ადამიანობის იდეა (მას ჰოლანდიელი ფეფერკორნი განასახიერებს), რადგან სწორედ ადამიანია ერთდროულად სოციუმის პროდუქტიცა და შემოქმედიც. შესაბამისად, იგია კულტურის სუბიექტი და არა — პოლიტიკური კლასი, პარტია ან საზოგადოება.

ოთარ ჩხეიძის „ბორიაყში" მოქმედების ადგილი შიდა ქართლის რამდენიმე სოფელია, „ჰერმეტული" გმირი – ნიკუშა ჩაჩანიძე, ქართული ეროვნული ყოფიერებისათვის ნიშანდობლივი ინტენციური მახვილებით. ახალგაზრდა გმირი თითქოს აცნობიერებს საკუთარი კულტურული მისიის, ეროვნული მუსიკალური საუნჯის შეგროვება-მოფრთხილების საშვილიშვილო მნიშვნელობას, მაგრამ „დაავადებულ გარემოში" სწორი ორიენტაციის უნარი არ შესწევს და სოციალურ ბურუსში ცხოვრობს. შეუთავსებლობის ხისტ კულტურებში ისტორია ხშირად მოტყუებულის პოზაში გვაყენებს. ამიტომაა, რომ გმირის კეთილშობილურმა მიზანმა საპირისპირო შედეგი მოგვცა და ღირსეული ადამიანები შეიწირა. ნიკუშა ჩაჩანიძის გზამკვლევი და მასწავლებელი გიორგი ყანჩაველიც თანამოძმეთა უნებლიე „ჯალათად" იქცა. ამას სოციალური ფსიქოლოგიის ენაზე სიკეთის ტრაგედია ჰქვია. კრიზისული კულტურის კიდევ ერთი მსხვერპლი ლეკო თათაშელია, რომლის „გმირული" შემართება არა იმდენად თვისტომზე, რამდენადაც საკუთარი „უკვდავების" კანონიზაციაზე ფიქრია. შესაბამისად, იგი 1924 წლის ჭეშმარიტი ეროვნული გმირის, ქაქუცა ჩოლოყაშვილის, კნინი, გროტესკული ასლია. ამ დროს კი ობიექტური რეალობის უტყუარი მცნობის, ელიზბარ ხეთერელის, კეთილგონიერება აქტიური ქმედების მიღმა, შეუმჩნეველი და შეუსმენელი რჩება.

დაახლოებით ასეთია „ინტენსიური დროის" ნიღაბქვეშ მიმალული ტრავმული ცნობიერების არსი, რომლის საბედისწერო კვალი კომუნისტური იმპერიის ნგრევის შემდეგაც აჩრდილივით დაგვყვება.

რაც შეეხება ტოტალიტარულ ეპოქაში ნონკონფორმისტული მწერლობის ენობრივ და ფორმისმიერ ძიებებს, ოთარ ჩხეიძის როლი ამ თვალსაზრისითაც განუზომელია. მის მიერ შექმნილი „ახალი ენა" დაუფარავი შეტევაა არა მხოლოდ ლიტერატურაში დაკანონებულ ენობრივ ნორმატივებზე, არამედ მთლიანად გაბატონებული რეჟიმის ვერბალურ ტაბუებზეც, რომელიც მოგვიანებით რამდენიმე მიმართულებით განიტოტა და ახალი აზროვნების წესის თვალსაჩინო ანარეკლად იქცა. დარწმუნებით შეიძლება ითქვას, რომ თანამედროვე ქართულ პროზაში ლიტერატურული ენის, როგორც კონცეფციის, პოზიტივისტური და მატერიალისტური ბალასტისაგან გათავისუფლების პროცესი უშუალოდ ოთარ ჩხეიძის სახელს უკავშირდება.

არქეტიპულ, ლინგვისტურ ან სხვა სტრუქტურათა სტანდარტულ სქემებში საერთო მომწესრიგებლის არსებობა მეტყველებს არა გამოხატვის ფორმათა ავტომატურ მიღებაზე ან სხვისი დახმარებით ჩვენი კულტურის ფორმის ძალადობრივ დაქვემდებარებაზე, არამედ ენობრივი ცნობიერების ევოლუციასა და განახლების სტრატეგიაზე, ნაცნობ სანიშნეებში ახალ მნიშვნელობათა ძიებაზე. ოთარ ჭილაძის „რკინის თეატრის" პირობითი სივრცული მოდელი შეუიარაღებელ თვალს თომას მანის რომანისაზე არანაკლებ განკერძოებულად შეიძლება მოეჩვენოს. თეატრი — ცხოვრება, სცენა — სამოქმედო სივრცე, რეჟისორი — სივრცის მაკონტროლებელი ისტორიული დრო, მთავარი პერსონაჟები და სტატისტები — ამ დროში მოქმედი და გაუქმებული ფასეულობები, მაყურებელი — მკითხველი. ეს უკანასკნელი თავისი შემადგენლობით ჭრელია და მწერლის ფუნქციაში არ შედის მისი გემოვნების მოთვინიერება. „მაყურებელმა" თავად უნდა გაარკვიოს სპექტაკლის ღირსება და ფსონი რომელ „მსახიობზე" დადოს. ჩვენი მატიანე ამ ალღოს „ჟამის დაჭრას" უწოდებს, რომელიც ხშირად გვღალატობს.

„რკინის თეატრის" მეორე სემანტიკური სიბრტყე გალიასთან, ბორკილებთან, საპყრობილესთან ასოცირდება. ამ დაწყევლილ წრიდან იღბლიანი გამოსავლის ძიება კი გმირთათვის ბედის ირონიად უკუიფინება. რკინის ჯებირების წარმოსახვითი გაფართოება რეალურად თვალუწვდენელ ტოტალიტარულ სივრცეზე გაგვიყვანს, რომელშიც დროის ისტორიულ-კალენდარული ათვლა წარმოებს. მივუახლოვდით ბახტინის მიერ ფორმულირებულ რაბლეზიანურ ქრონოტოპს, თუმცა ზოგჯერ განსხვავებული ინტენციური მახვილებით. ჭილაძისა და გეგეშიძის რამდენიმე რომანში მოქმედება ორი დროის გზაგასაყარზე იშლება, რომელთა შორის ზღვარი გალაკტიონმა ზუსტად გაავლო — „წინამურში რომ მოკლეს ილია, მაშინ ეპოქა გათავდა დიდი." ეს არის გროტესკულ-რეალური „მშობიარე დროის" სახესხვაობა „დაუსრულებელი მეტამორფოზის, სიკვდილისა და დაბადების, ზრდისა და ჩამოყალიბების სტადიაში... მისი განუყრელი თვისებაა ამბივალენტურობა, რომელშიც გარკვეული ფორმით წარმოდგენილია (ან მინიშნებული) სახეცვლილების ორივე პოლუსი — ძველიცა და ახალიც, მომაკვდავიცა და შობადიც, „საწყისიცა და სასრულიც." (ბახტინი 1986 : 316-317)

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაგალითად, კულტურის კვლავწარმოებისა და განახლების იმუნიტეტზეა საუბარი გოდერძი ჩოხელის ალეგორიულ გამონათქვამში „ადამიანთა სევდიდან": „მე მინახავს, როგორ ყვაოდენ იები მიწიდან ამოყრილი კაცის ძვლებში," რომელიც სიკვდილ-სიცოცხლის თანაყოფნის გამძაფრებულ, მაგრამ მაინც ბუნებრივ შეგრძნებას ბადებს. ოთარ ჭილაძის „ბინარული დეკონსტრუქცია" კი არღვევს ყოფიერების ეთიკისა და ესთეტიკის საზღვრებს. „რკინის თეატრიც" ეპოქის პათოლოგიური „ორსულობის," განხიბლვისა და სიკვდილ-სიცოცხლის განწვალების ტრაგიკული დრამაა, „როცა ღმერთს არაფერი აკავშირებს მისი იმედის ამარა დარჩენილ ადამიანთან... ხალხიც ორად იყო გაჭრილი. ერთი ხელით თუ მომაკვდავ საუკუნეს წამალს ასხამდა უკბილო პირში, მეორე ხელით მომავალს ურწევდა აკვანს. ძველზე გული წყდებოდა, რადგან შეჩვეოდა, ახლისა კი ეშინოდა, რადგან ახალი ბევრ რამეს გადააჩვევდა, ბევრ რამეზე აალებინებდა ხელს."

ლია სტურუა არსებობის მსგავ ფორმას „შეჩვეული ჭირის სიმყუდროვეს" უწოდებს, მისდამი უშფოთველ დამოკიდებულებას კი — „ლოკოკინების საზეიმო სვლას წვიმის შემდეგ."

რაბლესთან „ადამიანის, როგორც მიკროკოსმოსის" სოციალური, ანატომიური და ფიზიოლოგიური მიდრეკილებანი, ე.წ. „პანტაგრუელიზმი" გარეგნულად ცხოვრების უშვერ ფორმებში ვლინდება, მაგრამ გმირთა ქცევასა და ლტოლვას შორის უზარმაზარი ზღვარია. გარგანტუას მიზანია არა საკუთარი სხეულის უკვდავყოფა, არამედ შვილებისა და შვილიშვილების სახით სამარადჟამოდ დარჩენა „ამა ცოცხალთა შორის." რათა შვილმა მამა გააგრძელოს, შვილიშვილმა — შვილი კულტურის გაცილებით მაღალ საფეხურზე. გარგანტუა საუბრობს მისი ცხოვრების მანძილზე მომხდარ უზარმაზარ ძვრებზე: „მე მოწმე ვიყავი, თუ როგორ დაუბრუნდა ბრწყინვალება და ღირსება მეცნიერებას. ისეთი გარდაქმნები მოხდა, რომ მე, რომელსაც საკმაოდ მონიფულ ასაკში უგანათლებულეს ადამიანად მთვლიდნენ (და არცთუ უსაფუძვლოდ), დღეს მეეჭვება, დაწყებითი სკოლის პირველ კლასში მიმილონ" (ბახტინი 1986 : 238).

რაბლე და მისი პერსონაჟი ცხოვრების ჩვეულ წესს პროგრესის ნიშნით შეგნებულად ანგრევენ, რომელიც თავისუფლების საყოველთაო ხარისხში, კარნავალში გადააქვთ. კარნავალი კი ყოველგვარი პირობითობისა და ეტიკეტის ჯებირებს არღვევს. კარნავალს არ უცქერენ, „მასში ცხოვრობენ." იგი წარსულის უარმყოფელია, მაგრამ — მომავლის დამამკვიდრებელი. ბახტინი მას „გაბატონებული სიმართლის ზეიმს" უწოდებს.

ქართველ მწერალთა ოპოზიციურ, ანტიტოტალიტარულ მხატვრულ ტექსტებში მსოფლმხედველობრივი ვექტორი შებრუნებულია — კომიკური ფარსი ტრაგიკულით იცვლება, სადღესასწაულო განწყობა უპერსპექტივობით, გმირთა არჩევანიც ცუდსა და უარესს შორის კეთდება, სადაც კრიზისი არა მხოლოდ წარსულის, მომავლის კუთვნილებაცაა.

თუკი გარგანტუა ბედნიერი მომავლის პროექტს საკუთარი შთამომავლობის კეთილდღეობაში ხედავს, ოთარ ჭილაძის „მაიორს" ჟრუანტელსა გვრის შვილიშვილების გაზრდა, ვინაიდან მათ ზრდაში საკუთარ სიბერეს ჭვრეტს. სამაგიეროდ, სიგიჟემდე უყვარს შვილიშვილის დროში გაქვავებული უკვდავების სიმბოლოდ ქცეული თოჯინა. ამგვარი ზნეობრივი სივრცე გენეტიკური თვითმკვლელობის, კატაბაზისის — ჯოჯოხეთში ნებაყოფლობითი მიახლების — ტოლფასია.

ფრომი წერს: „ადამიანური არსებობის დისჰარმონია ცხოველური ყოფისაგან თავის დაღწევის მოთხოვნილებებს ბადებს. ეს მოთხოვნილებანი მასა და დანარჩენ სამყაროს შორის დარღვეული მთლიანობის აღდგენაში გამოიხატება. მთლიანობისა და წონასწორობის აღდგენას ადამიანი უწინარესად აზროვნებით, საკუთარ შეგნებაში სამყაროს ყოვლისმომცველი სურათის შექმნით ცდილობს, რათა პასუხი გასცეს კითხვას — სადაა და რა უნდა აკეთოს... მაგრამ გარდა ცნობიერისა, ადამიანი სხეულებრივი არსებაცაა, ამიტომ არსებობის დიქოტომია მისგან პასუხებს მოელის არა მხოლოდ აზროვნებაზე, ცხოვრებისეულ პროცესებზე, გრძნობებსა და მოქმედებებზე დაყრდნობითაც" (ფრომი 1990 : 159).

ფოიერბახი ამ თვისებას „გრძნობად გონიერებას" უწოდებს, ელიოტი კი — „მსოფლშეცნების გამთლიანებას" (uniti of sensibility). როცა აღნიშნულ ორ ელემენტს (რა გვინდა და რა გვესაჭიროება) შორის დარღვეულია სტრატეგიული დამოკიდებულების ლოგიკა, კულტურა სიმეტრიასა და მოქნილობას კარგავს, შესაბამისად, კალაპოტი ეჭრება ქვეყნის სისტემურ კრიზისს. აქედან გამომდინარე, ტრანზიციის, ძველიდან ახალზე ევოლუციური გადასვლის პროცესი უსაშველოდ იწელება და უწყვეტი წარუმატებლობის ხასიათს იღებს. ენა, როგორც კულტურის ყველაზე მგრძნობიარე ელემენტი და ინდიკატორი, ამ მოვლენებზე მტკივნეულად რეაგირებს, თავის წიაღში დაფლულ „კოდებს" ხსნის და დამატებით ფუნქციურ-სემანტიკურ დატვირთვებს იღებს (თუმცა სემანტიკა ზოგჯერ უკანა პლანზე გადადის. მაგალითად, ოთარ ჩხეიძესთან ენის წმინდა ფორმისმიერი მხარე მოუსყიდავი სოციალური არბიტრის ფუნქციას იძენს).

სიტყვა „ჟამი" ქართულში ორი არსებითი მნიშვნელობით ფუნქციონირებს, როგორც დრო და, როგორც სენი (შავი ჭირი). გეგეშიძის ამავე სახელწოდების მოთხრობაში იგი ორმაგი კოდის სემანტიკურ მნიშვნელობას იძენს. ესაა ჟამით შეპყრობილი ჟამი თავისი გაპარტახებით, უგზოობითა და ეკლესიათა დანგრეული გუმბათებით. ეკლესია და მისი შიდასივრცე ვერტიკალურ-ჰორიზონტალურ ვექტორთა გადაკვეთით მიღებული სამყაროს ჯვარსახეობრივი მიკრომოდელია ზეციური და მიწიური იერარქიული წყობით, ჩამოშლილი გუმბათი კი — თავს დამხობილი ზეცის, ღვთის რისხვის აპოკალიპტური ხატი. ჩამონგრეული გუმბათების ანალოგიურ გააზრებებს ვხვდებით „ხმა მღაღადებლისაში," ოთარ ჭილაძის „მარტის მამალში," ჯემალ ქარჩხაძის „ზებულონის სიკვდილში," ოთარ ჩხეიძის ტრაგედიაში „გიორგი."

ქართველთა უძველესი წარმოდგენითაც სამყარო ვერტიკალურ და ჰორიზონტალურ ნაწილებად იყოფა. ვერტიკალურებია: შუასკნელი — ამქვეყნიური, ზესკნელი — ზეციური და ქვესკნელი — მიწისქვეშა საუფლო; ჰორიზონტალურები — წინასკნელი და უკანასკნელი. მთელი ეს სამყარო გარემოცულია გაუვალი გარსით — გარესკნელით. ჰორიზონტალურ სამყაროებს მხოლოდ სივრცული განზომილება აქვთ, ვერტიკალურს — დროისმიერიც. ქვესკნელში მოგზაურობა არა მხოლოდ საიქიოში, წარსულში მოგზაურობაცაა. გოდერძი ჩოხელის გმირმაც სხეული კუთხეში მიაყუდა და სამოთხეში იმოგზაურა. შინ მხოლოდ ერთი წლის მერე დაბრუნდა (გავიხსენოთ ჰერაკლეს მოგზაურობა ჰადესში). სხეულის სულში ვერდატევის მეტაფიზიკა ამავე დროს დიდებისა და თავისუფლებისაკენ გახელებული ლტოლვის იპოსტასია — „მაგრამ მე გვამში სული ვერ-

ლა მომთავსებია, მითხზავს გვირგვინსა დიდებისას მე თვითონ ბედი" (ბარათაშვილი — „ნაპოლეონ"). თუმცა, როცა თავისუფლება განუსაზღვრელ ძალაუფლებაში გადადის, სხვათა თავისუფლებას უქმნის საფრთხეს — „ჟამი ჩემია და ჟამისა მე ვარ იმედი." ბონაპარტისტული ფსიქოზის კომიკურ ინტერპრეტაციას ვხედავთ ვერშემდგარი მფრინავისა და წყალქვეშა ნავის კაპიტნის ვაჟი გოგის სახეში, რომელიც გუდამაყრის დაპყრობაში ეძებს მოწოდების (მხედართმთავრობის) გამართლებას. უდროობის კიდევ ერთი მსხვერპლი — მებრძოლი ერის ღირსებააყრილი და დამცრობილი შვილი — პაროდიული დავითი და სააკაძე.

სიმბოლოები, პირსის მიხედვით, სოციალური კონვენციის ნიშნებია, თუმცა ეს ნიშნები განსხვავებულ სიგნალებსა და გამოწვევებზე განსხვავებულად რეაგირებენ. მაგალითად, ოპრიჩნინის სიმბოლო ცოცხი სისუფთავესთან ასოცირდება, კომუნისტების ნამგალი და ურო — შრომასთან, მაგრამ სხვაგვარად მოაზროვნეთა ნაგავსა და სარეველასთან გათანაბრებამ ეს უწყინარი საგნები მკვლელობის იდეოლოგიურ იარაღებად აქცია.

მხატვრული ენის აპერცეფტიულობა სიმბოლოთა მრავალმხრივი ნაკითხვის საშუალებას იძლევა. ოთარ ჭილაძის „მარტის მამალში" უკვე სათაურიდანვე ყურადღებას იპყრობს მამლის სიმბოლიკა: „ჩვეულებრივი მამლები კი არ არიან, არამედ ელიასი, განწირულნი, შეწირულნი, გათიადის წინათგრძნობა კი არ აყივლებთ, არამედ — სიკვდილისა — ა, ელია, ელია, შენთვის რა მიწყენია, ლაზარ მოადგა კარსა, აბრიალებს თვალსა. ლაზარე ოთხი დღის მკვდარი გააცოცხლა თურმე ღმერთმა."

მამლის უამრავ სიმბოლოთაგან უმეტესობა მზისა და ციური ცეცხლის მნიშვნელობას უკავშირდება. ამიტომაც იგი არა მხოლოდ მზის ამოსვლის, არამედ დაისის, მიმწუხრის ზოომორფული სიმბოლოცაა. მამალი მზის თანამგზავრია როგორც დღიურ, ისე — წლიურ ციკლებში. დღე-ღამის ციკლური მონაცვლეობის შესაბამისად მამალი მარადიული განახლების, მარადიული სიკვდილისა და აღდგომის სიმბოლოდ იქცა. ბუნების აღდგომა — ფერისცვალების სიმბოლიკას უკავშირდება ელიას სახეც, ქართულ წარმართულ პანთეონში ტაროსის ღვთაება, რომელსაც ლაზარედაც მოიხსენიებენ. მეხთა ბატონის კეთილგანწყობის მოსაპოვებლად მას მამალს სწირავდნენ, გვალვიანობისას წვიმას შესთხოვდნენ, ავდრიანობისას — მზეს. ზოგიერთი თქმულების თანახმად, ელია — ლაზარე უსინათლოა და ვერ ხედავს, სად დაჰკრავს მეხსა და სეტყვას, შესაბამისად, ბედისწერის ბრმა იარაღად იქცევა.

ბედისწერის საბოლოო გზა სიკვდილზე გადის და ყველა შიში სიკვდილის შიშის წინაშე მუხლს იდრეკს. სწორედ ეს გრძნობა აქვს დასაძლევი ოთარ ჭილაძის რომანის თხუთმეტი წლის გმირს. ამისთვის მან ჯოჯოხეთის ყველა კარიბჭე უნდა განვლოს და კაცობაში ღირსეულად შეაბიჯოს; დარწმუნდეს, რომ სიკვდილის უმძიმესი ფორმა არა ფიზიკური, არამედ სულიერი სიკვდილია, როგორც პირდაპირი გზა მონობისაკენ (ქრისტიანული ჯოჯოხეთიც ხომ ეშმაკისადმი მარადიული მონობაა).

როგორც ოთარ ჭილაძის "მარტის მამალში", არჩილ სულაკაურის "თეთრ ცხენშიც" საინტერესო მითოპოეტურ ფონსა ქმნის მამლის ემბლემატიკა. ძველ საბერძნეთში მამალი ასკლეპიოსის ფრინველი იყო, როგორც სიკვდილით სიცოცხლისაკენ მომაქცევარი. რომანშიც საბა მომაკვდავ დიდოს ახალდაკლული მამლის ჯერაც მფეთქავ, სისხლსავსე გულს ძაფზე გამობმულს გადააყლაპებს და ხორხზე მიკრულ წურბელას ამოაცლის; მამლის ფერებიც განსხვავებული სიმბოლური მნიშვნელობით ფუნქციონირებს, თეთრი — ზეციური, წითელი — ამქვეყნიერი, შავი კი — ქტონური ანუ მიწისქვეშეთის ფერია. შავი მამალი ეშმაკეული მესის განუყოფელი ელემენტიცაა. არჩილ სულაკაურთანაც წითელი მამლის შავად ფერისცვალება ოზოს მამიდისათვის სიკვდილის ძახილად იქცევა; აგნოსტიკოსებთან მამლის სახე ფრონეზისის, წინასწარჭვრეტის, ნათელმხილველობის სიმბოლოა. წინასწარმეტყველური აღმოჩნდება ანანოს სიტყვებიც, წარმოთქმული წითელი მამლის გაშავების შემდეგ: "დიდი ხნის სიცოცხლე აღარ მიწერია, დიდხანს აღარ ვიცოცხლებ!"

უმბერტო ეკოს გმირი აცხადებს, რომ „დაეჭვება რწმენის მტერია." ამიტომ სკეფსისის მძიმე კულტურებს ღირებულებრივი იერარქიების გაუქმება, ღვთისა და ერთმანეთისადმი მტრობა და უნდობლობაც თანა სდევს. ძალმომრეობის ინერციისაგან თავის დაღწევის ბუნებრივი მიდრეკილება ჩნდება. გაბატონებული კულტურის სისტემა კი ამას ებრძვის. ბრძოლის ხერხი მრავალია. მაგალითად, შუასაუკუნეების დასავლეთში ეკლესიამ ჯოჯოხეთს საკრალურობა ჩამოაცილა, რითაც ჯოჯოხეთის განცდა უფრო მიწიერი გაეხადა, საბჭოთა რეჟიმმა კი ურწმუნობის პროპაგანდით ჯოჯოხეთი რეალურად გადმოიტანა მიწაზე. ტარიელ ჭანტურიას ირონიას რომ დავესესხო, „ღმერთმა და ეშმაკმა მაისურები გაცვალეს." ამ დროს მართალი ხელოვანი კულტურის დაკვეთას ასრულებს, მტყუანი — ხელისუფლებისას. ბოსხმა ცოდვის თემაზე მუშაობა პირველცოდვით დაიწყო, გვიჩვენა, თუ როგორ ხდებოდა მისი აღმავალი გზით განვითარება. ოთარ ჭილაძის გმირები ევოლუციის ამ გრძელ გზას ერთ ან ორ თაობაში გადიან. ასე გარდაიქმნა ქაიხოსრო მაკაბელი ჩვეულებრივი მატყუარიდან ზნეობრივად ამოყირავებული სამყაროს სიმბოლოდ, რომლის დევიზია — „მე მეზიზღება მოყვასი ჩემი." გურამ გეგეშიძის გმირი გლახუნა უნდილაძეც რიგითი ნაძირალაა, მაგრამ შთამომავლობითი „ევოლუციის" შედეგად მისი შვილიშვილი სოფლის გამანადგურებლად იქცა. რომანის („ხმა მღაღადებლისა") შესავალში უკვე ფინალია გამხელილი: „ეკლესიის გუმბათზე ჯვარი მოეგლიჯათ და იქ სისხლისფრად ნაფერი, წითელი დროშა ფრიალებდა, ძლევამოსილი გამარჯვების მაცნე, მაუწყებელი ახალი ერის დადგომისა."

ამ სიტყვების ტრიუმფალურ ფასადს მიღმა ტირანია დგას. ისტორიები მეორდება. საფრთხე რეალურია.


ბახტინი 1986: **Бахтин М.М. Литературно-критическкие статьи «Художественная литература». Москва. 1986.**

გადამერი 1988: **Гадамер х.-г. Истина и метод «Прогресс». Москва 1988.**

პარანდოვსკი 1972: **Парандовский Ян. Алхимия слова. «Прогресс». Москва. 1972.**

უორენი 1975: **Warren. Democracy and Poetry. London. 1975.**

ფროიდი 1990: **Фрейд Зигмунд. Будущее одной иллюзии. сб: Сумерки богов. Издательство политической литературы. Москва.1990.**

ფრომი 1990: **Фром Э. Психоанализ и религия. сб: Сумерки Богов. Издательство политической литературы. Москва.1990.**

ჰუმბოლდტი 1990: **Гумбольдт В. Язык и философия культуры. «Прогресс». Москва. 1990.**

ანასტასია ლაკაძელი

# „დროზე მაშინ ითქმის, როცა გიკრძალავენ“

## (შეხვედრა ზუგდიდის სასწავლო უნივერსიტეტში)

2 ივნისს, ამაღლების დღესასწაულზე, უნივერსიტეტის საკონფერენციო დარბაზში მოლოდინის ფაციფუცი იყო.

დაგეგმილი შეხვედრა შედგა.

უნივერსიტეტს ეწვია მწერალი, ჟურნალ „ჩვენი მწერლობის“ რედაქტორი **როსტომ ჩხეიძე**. სტუმრად მობრძანდნენ: მწერალი **ელგუჯა თავბერიძე**, პოეტი **გიზო თავაძე**, ლიტერატორი **ლია კუხიანიძე**, ჟურნალ „ქართული მწერლობის“ რედაქტორი **ლევან ბრეგაძე**, გამომცემლობა „ინტელექტის“ წარმომადგენელი, მწერალი **ზვიად კვარაცხელია**.

შეხვედრას ესწრებოდნენ სტუდენტები, პროფესორ-მასწავლებლები, ქალაქის საზოგადოებრიობის წარმომადგენლები, ზუგდიდის სასწავლო უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელი **მამუკა ნიფურია** და რექტორის მოადგილე **თამაზ ცანავა**.

შეხვედრა ჩაფიქრებული იყო ორ ნაწილად: პირველი – როსტომ ჩხეიძის რამდენიმე ნაწარმოების („ბურჯი ეროვნებისა“, „წერილები იტრიის წისქვილიდან“, „ადათები ეშაფოტზე, ენა გილიოტინაზე“, „ხანი უნდობარი,“ „პატარა და ეკლიანი გზა“) შესახებ საუბარი, თავად როსტომ ჩხეიძის ლექცია 1832 წლის აჯანყების შესახებ და მეორე – გამომცემლობა „ინტელექტის“ მიერ **ოთარ ჩხეიძის** ჩანაწერების წიგნის – „დროდადრო“ – წარდგინება.

მადლიანი გარემო სუფევდა დარბაზში, სადაც გახმიანდა ოთარ ჩხეიძისეული ფრაზა: „ვისურვოთ ამაღლებამდის ამაღლება“ ჩვენი ერისა. ეს ფრაზა ამთლიანებდა დღესასწაულსა (ამაღლება) და შეხვედრის თემატიკის არსს.

„როსტომ ჩხეიძეს გაწეული ღვაწლის შედეგად წარდგენა არც სჭირდება, მაგრამ არც უთქმელობა ვარგა იმისა, რომ მას ზეცისგან ხელდასხმა და წუთისოფლისგან ფესვმაგარი მუხის, ოთარ ჩხეიძის ფიზიკურ-სულიერი მემკვიდრეობა დაებედა. მთელი მისი ცხოვრება ამ ჯილდოს ერთგულებაა: ბატონი როსტომის შემოქმედებითი გზის თვალის გადავლებაც ადასტურებს ამას, ქმნადობის ხვავრიელ-მადლიანი ნაყოფით: ათეულობით მონოგრაფიით, ბიოგრაფიული რომანებით, თარგმანებით, მეცნიერული გამოკვლევებითა და დაუღლელი რუდუნებით, ყოველგვარი სიჯანსაღის ერთგულებით“, – აღნიშნა შეხვედრის ორგანიზატორმა და წამყვანმა, ფილოლოგმა **ნესტან ფიფიამ** და რიგრიგობით გადასცა სიტყვა ჰუმანიტარული ფაკულტეტის ქართული ენისა და ლიტერატურის სპეციალობის მესამე კურსის სტუდენტებს.

**ესმა გაბისონია:** „ბურჯი ეროვნებისა“ ნათლად გვიჩვენებს, რომ იაკობ გოგებაშვილის სამოღვაწეო ასპარეზი ტყრობილებაში მყოფი საქართველოა, უკვე იმპერიის გავლენით რომ შემგუებლობა მოსძალებია. იაკობი კი მოძღვარია და ის არ ერიდება ვოსტორგოვსა თუ სხვა ჩინოვნიკებს: იცავს „დედაენას“ და ასხივოსნებს ყმაწვილთა სულებს. მუდმივად სიკვდილ-სიცოცხლის ზღვარს მზერამიჯაჭვული ბურჯი ეროვნებისა „მაინც საზოგადოებრივ მოვლენათა შუაგულში მოქცეულიყო და კალამსაც მოდუნება არ დატყობოდა: თუმცა იქამდე რამდენიმე მღელვარე წელი გვიძევს, წინამურის ტრაგედიითაც შეღებილი...“

სტოიციზმი იაკობ გოგებაშვილისა ლამისაა ხელშესახებად ახლობელი ხდება რომანის მიხედვით.

**ნათია ჩხაპელიამ** აღნიშნა, რომ „წერილები იტრიის წისქვილიდან“ მთელი სისავსით გადაუშლის მკითხველს ხილულ-უხილავ სივრცეს, პიროვნებასა და ეპოქას, რეალურ სამყაროსა და მხატვრულ-ისტორიული პერსონაჟის ფსიქოლოგიურ-სულიერ აღნაგობას.

ბიოგრაფიულ რომანს ეპიგრაფად წამძღვარებული ვაჟა-ფშაველას სიტყვები – „მხოლოდ მაშინ ვარ ბედნიერ, როცა ვარ შეწუხებული“, არჩილ ჯორჯაძის იმ გულის ხმა იყო, 41 წლის ასაკში რომ დაიფერფლა.

როსტომ ჩხეიძემ გააცოცხლა ამ გულის ფეთქვა, შთამომავლობას არჩილ ჯორჯაძის სამყარო დაუბრუნა მისი პოლიტიკურ-ლიტერატურული მოღვაწეობის შინაგანი კეთილშობილებით. სწორედ მას შეეძლო ეთქვა: „მე ერთგვარი კეთილგანწყობილების გრძნობები მაქვს ყველა ადამიანისადმი და ეს უკეთესია, ვიდრე მტრული დამოკიდებულება მსოფლიოსთან. უფრო ადვილი ხდება ცხოვრება და გულში მეტ სიხარულს ვგრძნობ, რაღაც საკვირველ „სიხარულ-სევდას“, რომელიც ცოტათი გულს გტკენს, მაგრამ ასე უფრო სრულად ცხოვრობ“. მძიმეა ეს სრული ცხოვრება; თქმისა და ქმნის ერთიანობას, „საქმით მეტყველი სულის“ ერთგულებას მოითხოვს, ეს კი რჩეულთა ხვედრია, ამიტომაც ასკვნის რომანის ავტორი: „პიროვნულ ბუნებას მაღლადმხედი გონებაც შეეშველებოდა. გულსა და გონებაში ერთდროულად გამოვლილიყო კაცობრიობის სიყვარული...

დაუღალავი შრომა სწყუროდა ადამიანისა და ერისათვის. თვითონ ხომ თავისი ფორმულა ჰქონდა სულიერი წონასწორობის შესანარჩუნებლად: „ნებისყოფა და მოქმედება, აი, რა წყვეტს ცხოვრების უმძიმეს პრობლემას, რა ანიჭებს სულს წონასწორობასა და სიმრთელეს“.

წარმოდგენილი ნაწარმოები ხატავს ნათელ სახეს ილია ჭავჭავაძის სულიერი მემკვიდრისა, – დაასკვნა მომხსენებელმა.

**სალომე პაჭკორიამ** ისაუბრა როსტომ ჩხეიძის დეტექტიურ ცდაზე: „ეკლიანი და პატარა გზა“.

1988 წელს ე. წ. არაფორმალების ჟურნალ „ილია ჭავჭავაძის საზოგადოების მოამბეში“ დაიბეჭდა ილიას მკვლელობის შესახებ მერაბ კოსტავას წერილი, რომელიც ინფუბოდა მისივე ლექსით: **„რისხვას უფლისას ვეღარ ავიცდენთ და რაც გარდაგვხდა, ჩვენზე ახია, რამეთუ დღესაც მამადავითზე დიდი ილიას მკვლელი მარხია“.**

ეს მაშინ, როცა ფილიპე მახარაძის საფლავი მთაწმინდაზე იყო, ახლა ეს საფლავი მთაწმინდაზე აღარაა, მაგრამ დარჩა ცოდვა და ტკივილი ერის სულიერი მოძღვრის მკვლელობის გამო. სწორედ ამ ტკივილსა და მკვლელობასთან დაკავშირებულ კითხვისნიშნებს მიეძღვნა აღნიშნული ნაწარმოები. მწერლის მიერ არჩეულია თხრობის მხატვრულ-დოკუმენტური სტილი და არსებითი ყურადღება ეთმობა ილიას ფენომენს, მის ღვთაებრივ მადლმოსილებას, ამეტყველებულია საქართველოს გულწრფელი ჭირისუფლები, ილიას მეგობრები, მკვლელობის მონაწილენი და ილიას მოწინააღმდეგე სულები.

ნაწარმოებში დასკვნითი ხასიათისაა ყარამან ფალავას სიტყვები: „არ შეარჩენდნენ... და არც შეარჩინეს... ქვეყნის ისტორიას კი შეეცვალა გეზი და საით გაირეკავენ ხალხს უწინამძღოლო ფარასავით, მხოლოდ კოშმარულ ფიქრებში თუ განსჭვრეტ“.

ასეთია ყველა ეპოქის რეალობა, როცა ერს ხელდასხმულ წინამძღოლს ართმევენ, მის ერთგულებას არ პატიობენ.

ილიელობის არ პატიების სინამდვილე არის მხატვრულ-დოკუმენტური ხერხით ასახული საქართველოს პირველი პრეზიდენტისადმი მიძღვნილ ნაწარმოებში „თუ საწუთრომან დამამხოს“.

**ნათია პაჭკორიამ** ყურადღება გაამახვილა იმაზე, რომ წიგნის სახელწოდება „ხანი უნდობარი“ გალაკტიონის ცნობილი მხატვრული სახის („ხანმა უნდობარმა, გზა, რომ შეელება, უხვად მოიტანა სისხლი და ცხედრები“) ალუზიაა, მწერალმა ამ ლიტერატურულ-რელიგიური ცდით შექმნა მხატვრულ-დოკუმენტური სივრცე, სადაც დახასიათებულია, თუ როგორ აისახა ეკლესისა და სასულიერო პირის სახე ქართულ ლიტერატურასა და კინემატოგრაფიაში.



ნესტან ფიფია

მონოგრაფიაში განხილულია წითელი იდეოლოგიის მიერ გაბიაბრუებულ სასულიერო პირთა სახეები და ღირსეულ მწერალთა გაბედული სიტყვა ნათლიერებისთვის ავბედით ჟამს.

საგულისხმოა, რომ ამ საკითხის დასმამდე დახასიათებულია ისტორიულ-პოლიტიკური ფონი, როცა ათეისტური ხელისუფლების „წყალობით“ რწმენა დაკნინებული, ღირებულებანი – შერყვნილი და გაუფასურებული იყო.

დასასრულს მომხსენებელმა მწერალს უსურვა ჯანის სიმრთელე, ღირსეული საქართველოს მოქალაქეობა, შემოქმედებითი წარმატებები, კურთხეული გზების სიუხვე.

**კესო გეჯუამ** ისაუბრა როსტომ ჩხეიძის წიგნზე „ადათები ეშაფოტზე, ენა გილიოტინაზე“. მან დაახასიათა წიგნის სტრუქტურა: სადაც აღწერილია ბრძოლა რუსიფიკატორული რეჟიმის წინააღმდეგ.

ავტორი სახელდადებულად წარმოგვიდგენს კონკრეტულ პიროვნებებს, რომლებიც წინ აღუდგნენ ბუნებრივ კანონზომიერების რღვევას – ერის თავისთავადობის, თვითმყოფადობის გათელვას. ამ ადამიანებს „ადათების რღვევა ერის რღვევად ესახებოდათ და მთელი არსებითა და ძალ-ღონით მიელტვოდნენ ზნე-ჩვეულებათა გადარჩენას, კბილებითა და ფრჩხილებით ებღაუჭებოდნენ როგორც უმთავრეს ნიშანს ჩვენი თვითმყოფადობისა და საყრდენს ეროვნული ენერგიის შესანარჩუნებლად“.

XX საუკუნეში ზვიად გამსახურდია დაურიდებლად მოახსენებდა ხელისუფლებას: „სამწუხაროდ, ცხადი ხდება, რომ ეს ე. წ. „მავნე ტრადიციებთან ბრძოლა“ ნიღაბია რელიგიასთან და ეროვნულ თვითმყოფადობასთან ბრძოლისა“ და ქართული მწერლობა „დამსგავსებოდა იმ დაყრუებულ ექიმს, რომელიც გულმოდგინედ კი სინჯავს ავადმყოფს, მაგრამ აღარაფერი გაეგება მისი ტკივილებისა“.

მოხსენების დასასრულს ითქვა: „ადათები ეშაფოტზე, ენა გილიოტინაზე“ არის ქმნილება, რომლის შემქმნელიც ისეთ სულიერ ექიმს მოგვაგონებს, დავით გურამიშვილი რომ ჭეშმარიტ მკურნალად მოიაზრებდა:

„მე ისეთსა აქიმს ვაქებ, ახურებდეს ფაზარ-ხუთოს,
არ თუ მასა უწამლობით პირში სული ამამხუთოს“.

**ნინო ჯონჯუამ** აუდიტორიას წარუდგინა როსტომ ჩხეიძის მიერ 1994 წელს დაწერილი წერილი „დღე შარავანდისა“, რომელიც მიეძღვნა 1978 წლის 14 აპრილს, წერილში ნათქვამია: „უჩვეულო იყო ეს ყველაფერი, ეს ეროვნული აზვირთება, ეს სახალხო ფსიქოზი, უჩვეულო და წრფელი, ამაღლებული შემზარავ რეალობაზე...

მეტად უთანასწორო შეჯახება ჩვენი ენის აელვარებით დასრულდება: დევნილი, დაწუნებული, თუმც მესიანისტური ჟამის მომლოდინე ენის.

ქართლის ცხოვრებაში კიდევ ერთი დიდი დღე გაჩნდა, 14 აპრილსაც სამუდამო შარავანდი დაედგა.

ეს დღე ნათლის სვეტად ჩამდგარა მანამდელ და მერმინდელ წკვარამში ულმობელი რუსიფიკატორული პოლიტიკისა“.

წერილი ისეთი სულიერ-ისტორიული დატვირთვისაა, ნებისმიერ ქართველს გააცნობიერებინებს 14 აპრილის არსს და მოსთხოვს მარად მის ერთგულებას, – დაასკვნა მომხსენებელმა.

სტუდენტების მიერ წარმოდგენილი მოხსენების შემდეგ სიტყვა წარმოთქვეს: ექიმმა **ავრორა შონიამ**, ფილოლოგებმა **გელა მამფორიამ** და **თამთა როგავამ**.

შეხვედრის პირველი ნაწილის შემდეგ დაგეგმილი დასვენება აუდიტორიამ არ ისურვა. დარბაზში ამაღლების დღესასწაულისა და მამა-შვილ ჩხეიძეების დრო-ჟამზე ამაღლებული სიტყვის მადლი მოქმედებდა.

მეორე ნაწილი გამომცემლობა „ინტელექტის“ წარმომადგენლის, მწერალ **ზვიად კვარაცხელიას** სიტყვით დაიწყო. მან კმაყოფილება გამოთქვა, რომ ასეთი მნიშვნელოვანი შეხვედრა უნივერსიტეტის კედლებში ეწყობა. საზოგადოებას გამომცემლობის სახელით წარუდგინა ოთარ ჩხეიძის ორი წიგნი: ნოველების კრებული „მინა“ და ჩანაწერების წიგნი – „დროდადრო“. „დიდი ხანია ოთარ ჩხეიძის ნოველები ცალკე წიგნად არ გამოსულა. ეს მინიატურული გამოცემა, გარდა თავისთავადი ღირებულებისა, სასაჩუქრე ფორმატისაც არის. რაც შეეხება „ჩანაწერების“ სერიას – 2010 წლიდან დავიწყეთ ეს პროექტი. ამ ხნის მანძილზე გამოიცა ოთარ ჭილაძის, ბაჩანა ბრეგვაძის, ტარიელ ჭანტურიას, ლევან ბრეგაძის და სხვათა ჩანაწერები. საოცრად საინტერესო და მრავალმხრივ მნიშვნელოვანი აღმოჩნდა ოთარ ჩხეიძის ჩანაწერები“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

„დროდადროს" შესახებ ისაუბრეს: **ლევან ბრეგაძემ, ზურაბ ცხონდიამ, ელგუჯა თავბერიძემ, გიზო თავაძემ, ლია კუხიანიძემ.**

**ლევან ბრეგაძე:** „ოთარ ჩხეიძის ჩანაწერების შესახებ მის სიცოცხლეში არავინ იცოდა, მისმა ვაჟმა როსტომმაც კი. ბატონი ოთარი ძალიან ნაყოფიერი მწერალი იყო, არ დარჩენილა ჟანრი, შედევრები რომ არ შეექმნა, თურმე თავისთვის დღიურსაც წერდა.

სიტყვა ყველაზე გამძლე მასალაა, არაჩვეულებრივად ინახავს წარსულს. სიტყვა სიცოცხლის გაგრძელებაა, უკვდავების ფორმაა, მას სუნიცა აქვს, გემოც და უცნაურობაც: დროზე გამძლეა, ამ თვალსაზრისითაც არის მნიშვნელოვანი დღიურის წერა. ოთარ ჩხეიძე წერისთვის იყო დაბადებული, წერით დაღლილი დღიურსაც წერდა თურმე! მისი ჩანაწერები ზღვა მასალაა, წიგნში ამ დღიურების ნახევარიც არ არის შესული.

ჩანაწერები მისმა ვაჟმა მწერლის გარდაცვალების შემდეგ აღმოაჩინა. საგულისხმოა, აქაც ის მთლიანობა დაგვიხვდა, რაც ახასიათებს ბატონ ოთარს: დასრულებული, სრულყოფილი სახე აღმოაჩნდა ჩანაწერებსაც. აქ ნათლად ჩანს, რომ მწერალი, ჩვეულებრივ, „ქალაქსა თბილისსა და სოფელს შორის მიმოიქცეოდა". ეს სოფელი არის ყელქცეული, ხშირად იქ ყოფნით გაერიდებოდა წვრილმან ინტრიგებს. იშვიათია ცენზურის მიერ ასე ნაწვალები მწერალი, რადგან ის არანაირად არ იყო საბჭოთა შემოქმედი, მას გაძლების მადლს მატებდა მოწინააღმდეგეებზე სულიერი აღმატებულობის განცდა".

**ლია კუხიანიძე:** „დღევანდელ დღეს გილოცავთ. იშვიათად ვარ სამეგრელოში, გადაუჭარბებლად ვიტყვი, აქ განსაკუთრებული განცდა მეუფლება. თქვენ სულიერ ღირებულებათა მეციხოვნეებად მეგულებით და დიდ პატივს გცემთ. ამაღლების დღესასწაულზე შემდგარი შეხვედრა ისეთი ღირსეული ადამიანების შემოქმედებას ეძღვნება, საქებარი სიტყვების გამო უხერხულობის განცდა არ დაგეუფლება, მათი ღვაწლი ამის უფლებას გვაძლევს. ბატონი როსტომი ისეთი ინტენსიობით წერს, ჩვენ წაკითხვას ვერ ვასწრებთ. მწერალი გეუბნება, რომ გვყავს იაკობ გოგებაშვილი, არჩილ ჯორჯაძე, ილია მართალი და ეს გვავალდებულებს მეტ პასუხისმგებლობას. მიხარია, რომ როსტომ ჩხეიძის ეპოქის მკვიდრი ვარ.

ოთარ ჩხეიძის შემოქმედებითი სამყაროს სიმართლე და სიმტკიცე აღმოსაჩენი არ არის, მაგრამ მისი ჩანაწერების წიგნი „დროდადრო" სიურპრიზი იყო ჩემთვის. ხშირად ხდება, შემოქმედი ვერ აღმოჩნდება სათანადო სულიერი სიმტკიცის, ისეთი, როგორც წარმოგედგინა; იმ გაორებულ ადამიანებზე უფრო ამაზრზენი და ტრაგიკული იყო ბოლშევიკური სინამდვილე, რომელიც ძალას აცლიდა სათანადო მადლის არმქონეთ. მწერალი ჩანაწერებში ჩვეული სიცხადით ასახავს მწერლობის მისიას, აწუხებს „მოთვინიერებული მწერლობის" უნაყოფობა: იქნებ მწერლობამ დაკარგა ძალა, ან იქნებ მკითხველს გაუხევდა ეროვნული ცნობიერებაო, – ამბობს იგი.

ოთარ ჩხეიძის შემოქმედებასთან მიახლებულ ადამიანებს ფესვისმიერი გრძნობა აკავშირებთ, რაც გაგვიმძაფრა და გაგვისათუთა შემოქმედმა".

**ელგუჯა თავბერიძე:** „ძალიან სასიამოვნო დღეა. საინტერესოა დღევანდელი შეხვედრის არსი – მართალ მწერლებზე, მოქალაქეობრივი ღირსებით გამორჩეულ შემოქმედებზე: ოთარ და როსტომ ჩხეიძეებზე საუბარი.

ოთარ ჩხეიძის „დროდადრო" უფრო მემუარები მგონია. არ არის გაბმული თხრობა, სტილი მემუარულია. ეს ჩანაწერები კიდევ ერთხელ გვიჩვენებს, თუ როგორ უბედურ საქართველოში ცხოვრობდა ოთარ ჩხეიძე, რასაც ყველაფერზე მეტი ფასი ჰქონდა მისთვის, იყო სიმართლე და ამ წიგნის თითოეული სტრიქონი ის სიმართლეა, რომელსაც შეგიძლია ენდო. ზოგჯერ დღიური ნამდვილი სახის ნიღბად იქმნება: ამ შემთხვევაში მწერლის ცხოვრების არსის გახმიანებაა. ამ ჟანრითაც ამხელს პარტოკრატიულ ხელოვნებას.

1984 წლის 28 ნოემბერს ჩაუნიშნავს: „ბორიაყიც გამოვიდა, როგორც რო იქნა გამოვიდა, ეშველა. გამოვიდა. რამდენი დრო გავიდა?! წლებით ეს არ გამოითვლება. სხვა სათვალავი უნდა: რამდენი რო გარდაიცვალა მოწინააღმდეგეთაგანა, რამდენი რო დაჩაჩანაკდა, რამდენს რო სიტყვა აღარ გასდის, რამდენი რო დადრკა ბოლოსდაბოლოს, ანთუ იგუდება სიბრაზით"...

გადაგვარებული ცნობიერების ადამიანთა ზეობით შეშფოთებული მწერალი წერს: „გეგონება თავდაყირა ჰკიდიან და ისე აზროვნებენო... ყველაფერში ასე ჰკიდიან და ასე აზროვნებენ; მხოლოდ ერთია ველიკორუსულ შოვინიზმში არიან ურყევნი, რომანოვების იმპერიაზე მძვინვარენი და საშინელნი... აი, კიდევ ერთი კარიკატურა რევოლუციისა, შემზარავი კარიკატურა"...

„დროდადრო" თავაუღებლად იკითხება, დღიურის სპეციფიკაა ასეთი: ჩათრევა იცის.

ოთარ ჩხეიძის „მაღლა მდგომობა", მაღალი ზნეობა და მაღალი მსახურება მისი ჩანაწერების ყოველ სტრიქონში იკითხება. მწერალი მთელი თავისი ცხოვრება ხელისუფლებისთვის იყო ზედმეტი, მაგრამ ქართველი ერისთვის – სისხლხორცეული".

**გიზო თავაძე:** „ოთარ ჩხეიძე გამორჩეული ადამიანი იყო, რვა ათეულ წელს გადაცილებული ისეთივე სიდარბაისლით თამადობდა, როგორც მისი რომანები იწერებოდა. ამ ასაკში ადამიანის ცნობიერების ზენიტს ადასტურებს მისი უკანასკნელი რომანი „ლაზერშოუ". ასე ხშირად არ ხდება. მის თაობაში, იმ ეპოქასა თუ რეჟიმში ასეთი მართალი ადამიანი არ მეგულება.

ხშირად არც ის ხდება, მამის კვალზე ასე ღირსეულად იაროს მემკვიდრემ. როსტომ ჩხეიძემ მემკვიდრეობით ბოძებული „ტალანტი" შემოქმედებითი მადლითა და განუმეორებელი ერთგულებით ახეირა: მას შეუძლია წეროს ბიოგრაფიული რომანები გენიოსზე, იყოს ჟურნალის რედაქტორი, ნიჭიერ ადამიანთა მხარდამჭერი, თანამდგომი, იყოს საქართველოს ყველა კუთხეში და ყველა ღირებულ წამოწყებას შეაგებოს მართალი სიტყვა".

**ზურაბ ცხონდია:** „ოთარ ჩხეიძე იყო მწერალი, რომელიც პირუთვნელი სიტყვით მწერლის ტრიბუნიდან ამხელდა სისასტიკეს ბოლშევიკური რეჟიმისა. ეს ტვირთი მას ებოძა უზენაესისაგან, ზიდა ღირსეულად და აღსანიშნავია, რომ ამ ტვირთმა მამიდან შვილის მხრებზე გადაინაცვლა.

დღეს როსტომ ჩხეიძე გოლიათურ ტვირთს ეზიდება და ამას მინდა თქვენ მიაქციოთ ყურადღება, ახალგაზრდებო! საოცარია, ყოველ წელიწადს, ან წელიწადში ორჯერ 500-700 გვერდიანი წიგნი დაწერო, ჩააქსოვო დიდი ნიჭი, კეთილშობილება, განუმტკიცო ერს სულიერება – ეს მხოლოდ ძლიერთა, უნიჭიერესთა ხვედრია. როცა მან დაწერა წიგნი პავლე ინგოროყვაზე, მოკრძალებით ვუთხარი: გიორგი მერჩულეს დონის ნაწარმოებია-მეთქი.

ფუნდამენტური ნაშრომია „აგვისტოს შვილები. მამაჩემი ოთარ ჩხეიძე", ეს არის მატიანე XX საუკუნის ქართული სინამდვილისა და მღელვარე სალიტერატურო ცხოვრებისა. მიკვირს: რა სულიერი ძალა აქვს ამ კაცს მომადლებული, დაუღალავი ქმნადობის. ბატონო როსტომ, თქვენ უდიდესი ჯილდო გაქვთ: სიყვარული მადლიერი მკითხველისა".

**დარეჯან ბუიძე:** „მქონდა ბედნიერება, ოთარ ჩხეიძის სტუდენტი ვყოფილვიყავი. მისგან საოცარი ნათლიერება გადმოდიოდა: ჭაღარა თმით, დაფიქრებული მზერით, მხრებში ოდნავ მოხრილი დადიოდა. მე მას ჩუმად დავყვებოდი ხოლმე, მსიამოვნებდა მისი ტემპით სიარული, მისი ნაბიჯების მიდევნება.

ქართული ლიტერატურა ვისწავლე ოთარ ჩხეიძისაგან. მისი წერილით გავიცანი გიორგი ლეონიძე, მიხეილ ჯავახიშვილი... სამწუხაროდ, გავრცელებული აზრია, რომ ოთარ ჩხეიძეს მძიმე სტილი აქვს: მას, უბრალოდ, ჭეშმარიტი მკითხველი სჭირდება. რაც მკითხველად მახსოვს თავი, ორად-ორი წიგნი წავიკითხე ერთი ამოსუნთქვით: ვიქტორ ჰიუგოს „პარიზის ღვთისმშობლის ტაძარი" და ოთარ ჩხეიძის „ჩემი სოფლის ეტიუდები".

ახალგაზრდებო, ვისაც ჯერაც არ წაგიკითხავთ ოთარ ჩხეიძის ნაწარმოებები, დრო არ დაკარგოთ — წაიკითხეთ, იკითხეთ! ბევრი ადამიანი ვიცი, მისი შემოქმედებით რომ გაიზარდა.

მნიშვნელოვანია დღევანდელი დღე, თქვენს ცხოვრებაში გამორჩეულ მოვლენად დარჩება იგი. როსტომ ჩხეიძესთან შეხვედრა საინტერესო სივრცეს გადაგიშლით და მეტი მონდომებით გახარჯვის სურვილსაც შთაგაგონებთ უთუოდ".

ჰუმანიტარული ფაკულტეტის დეკანმა, ქალბატონმა დარეჯან ბუიძემ თქვა, რომ შემდგომი თანამშრომლობა ბატონ როსტომ ჩხეიძესთან მნიშვნელოვანი იქნება ფაკულტეტის საქმიანობის წარმატებული წარმართვისთვის.

**ნესტან ფიფია:** „სიტყვასთან ურთიერთობას ბატონი ოთარის პროზით ვსწავლობდი, მის ნაწარმოებებში თვითეულ სიტყვას კი არა, წერტილსაც თავისი ფუნქცია აქვს; ის შეიძლება იქ დაგიხვდეს, სადაც არ მოელი, მაგრამ გეტყვის რა ხდება, როგორ და რატომ, უცნაური წერტილით მძიმედ სათქმელს უსვამს ხაზს, სხვა შემთხვევაში პოეტური სტილით მირაკრაკებს წყობილსიტყვაობა. განა პოეტური რიტმით არ გამოთქვა მწერალმა: „ვინ იყვნენ, რანი იყვნენ?.. მედროვენიო, გიპასუხებენ, დრონი. მედროვენი. უდროო. დროული. დროგასული. საადრიო. უდროუდროო. დროზე. დროზე მაშინ ითქმის, როცა გიკრძალავენ" („თეთრი დათვი"). ვთვლი, რომ ვინც ჯერ არ გაცნობია ოთარ ჩხეიძის მართალ სამყაროს, გურამ დოჩანაშვილის თქმისა არ იყოს, „მისალოცია" და წინ ელოდება ეს ბედნიერება. ვფიქრობ, დღევანდელი დღე კი როსტომ ჩხეიძესთან შეხვედრითა და ოთარ ჩხეიძის წიგნების წარდგინებით სახელდებული, ერთ-ერთ ძალზე საინტერესო ფურცლად დარჩება უნივერსიტეტის ისტორიაში".

**თამთა როგავამ** მადლობა გადაუხადა ბატონ როსტომ ჩხეიძეს დაუღლელი ღვაწლისა და იშვიათი ქველმოქმედებისთვის: ყოველ შეხვედრაზე უხვად გასცეს წიგნები საჩუქრად.

**გელა მამფორიამ** ხაზი გაუსვა როსტომ ჩხეიძის მადლიან ძალას, სადაც გამოჩნდება, გაამთლიანოს ჯანსაღი შემოქმედებითი მუხტი, რისი დადასტურებაც არის კრიტიკოსთა სოხუმური ფრთის (ნინო ვახანია, სალომე კაპანაძე, ნანა კუცია, მარინე ტურავა, უკვე თამარ ყალიჩავაც) საქმიანობა „ჩვენი მწერლობის" ლიტერატურულ სივრცეში. ბატონი როსტომი მიზანმიმართულად თავკაცობს ნიჭიერ კრიტიკოსთა წვრთნას და რასაც აკეთებს, განსაკუთრებული ხელდასხმით აკეთებს.

მან მადლობა გადაუხადა მწერალს შემდგარი შეხვედრისთვის და მსგავსი შინაარსიანი, ლამაზი დღეების სიმრავლე უსურვა აუდიტორიას.

შეხვედრის დასკვნითი ნაწილი დაეთმო **როსტომ ჩხეიძის** სიტყვას:

„მთელ საქართველოში მიწევს მიმოსვლა და შეხვედრა საზოგადოებასთან ხან ლექციით, ხან დიალოგით, ზუგდიდში პირველად არა ვარ; ეს ქალაქი დიდ შთაბეჭდილებას ახდენს თავის განსწავლულობითა და სახელმწიფოებრივი აზროვნებით.

მიხარია დღევანდელი შეხვედრა ზუგდიდის სასწავლო უნივერსიტეტში.

განათლება, განათლებულობა არსებითი საზრუნავი უნდა იყოს. ახალგაზრდობამ გული აიცრუა წიგნზე, ეჩვენებათ, რომ ტექნიკის არაჩვეულებრივმა წარმატებებმა შეცვალა განათლებულობის აუცილებლობა. დროა მივხვდეთ, რომ სხვისი გამოგონებების ხარჯზე ვერ ვიცხოვრებთ. მთავარია მეტი მყარი საყრდენი გვქონდეს განათლების განმტკიცებისათვის. მგონია, ერთ-ერთი ასეთი სასწავლებელია, სადაც ვიმყოფებით.

მე გახარებული ვარ, მაგრამ არა სუბიექტურად, იმიტომ რომ ჩემს შემოქმედებაზე ისაუბრეს; ეს არ არის მთავარი, არსებითია, ახალგაზრდებმა იციან, როგორ ქვეყანაში ცხოვრობენ, რა სჭირდება ამ ქვეყანას და რომ ხვალ და ზეგ მათი გადასაბარებელია იგი.

სტუდენტებს უკვე გაცნობიერებული უნდა ჰქონდეთ, რომ მშობლიურ ენაზე მთელი მსოფლიო ზრუნავს, დიდ ქვეყნებსაც აწუხებთ ენის დაკნინების სატკივარი. ჩვენთვისაც არსებითია, გადავარჩინოთ ენა-სულიერება, რომლის გარეშეც წარმოუდგენელია ეროვნული სახელმწიფოს არსებობა".

ოთარ ჩხეიძის ჩანაწერებთან დაკავშირებით ბატონმა როსტომმა აღნიშნა: არ უყვარდა, როცა მის ნაწერებში იხედებოდნენ. მისი ნების წინააღმდეგ ეს არც არასოდეს მიცდია, მაგრამ მამას გარდაცვალებიდან ორი თვის შემდეგ გავხსენით ჩანაწერები და ზღვა მასალა დაგვიხვდა. თვითონ წერს: „მემუარებისათვის მინდა მასალაო", ეს მასალა, რომელიც 1000 გვერდზე მეტია, თავისთავადი საზოგადოებრივ-ესთეტიკური ღირებულებისაა. როცა სრულად გამოქვეყნდება, გამთლიანდება ავტობიოგრაფიულ რომანად.

როსტომ ჩხეიძემ აღნიშნა, რომ ალექსანდრე ორბელიანის საზოგადოება 1995 წელს დაარსდა, როგორც კულტურულ-საგანმანათლებლო ორგანიზაცია, რომელმაც მიზნად დაისახა მოევლო სრულიად საქართველო. ორგანიზაციას და ფართო საზოგადოებას შორის ურთიერთობა უკვე ჩამოყალიბდა, მთავარია მისი გაღრმავება და განმტკიცება. დასძინა ისიც, რომ რაც თავის დროზე ამ კულტურულ-საგანმანათლებლო გაერთიანების მიზანი და კრედო გახლდათ, დღესდღეობით სახელმწიფოებრივ პოლიტიკად გადაიქცა.

მწერალმა ისაუბრა ალექსანდრე ორბელიანისა და ელიზბარ ერისთავის როლზე 1832 წლის შეთქმულებაში. მოკლე საუბრის შემდეგ სტუდენტებს შეჰპირდა, რომ მომდევნო სასწავლო წელს ჩამოვიდოდა ლექციის წასაკითხად მათ მიერ შერჩეულ თემაზე.

გიორგი სავანელმა 2005 წელს დაამთავრა შოთა რუსთაველის სახელობის თეატრალური უნივერსიტეტი. 2003 წლიდან (III კურსიდან) სხვადასხვა თეატრებში დადგა სპექტაკლები: ედუარდო დე ფილიპოს „ცილინდრი" თეატრალურ სარდაფში; შემდეგ ჭიათურის სახელმწიფო თეატრში — დავით კლდიაშვილის „ირინეს ბედნიერება"; ფოთის სახელმწიფო თეატრში — ანატოლ ფრანსის „მუნჯი ცოლი"; თავისუფალ თეატრში — ლეო ქიაჩელის „თავადის ქალი მაია"; თბილისის აზერბაიჯანულ თეატრში — გიორგი ერისთავის „უჩინმაჩინის ქუდი"; თბილისის მოზარდ მაყურებელთა თეატრში — ედუარდო დე ფილიპოს „ნეაპოლი — მილიონერთა ქალაქი", თეატრალური აკადემია — „რუსული ცოდვის ჟამი — წითლად იღრუბლებოდა ცა" (ანტონ ჩეხოვის „ხელის თხოვნისა" და „დათვის", რუსული ისტორიული ქრონიკების მიხედვით), „სულთა სამჭედლო ანუ სისხლი სისხლის წილ" (ლაშა თაბუკაშვილის „ათვინიერებენ მინოს" მიხედვით) ილიას უნივერსიტეტის თეატრში, მონაწილეობდა 25-წუთიანი სპექტაკლების ფესტივალში 2008 წელს.

# „მთავარია, ჩემი სათქმელი მეთქვა"...

*

### მარინე რევიშვილს ესაუბრება გიორგი სავანელი

**— ამ კონკურსზე წარადგინეთ პიესა, შექმნილი „კაცია ადამიანის" მიხედვით. რატომ მაინცდამაინც ეს ნაწარმოები?**

— დიახ, სწორედ ილიას ამ მოთხრობის მიხედვით შექმნილი პიესით წარვსდექით... მაგრამ პიესა მთლად არ მისდევს მოთხრობას. ეს არის მოთხრობის ჩემეული ინტერპრეტაცია, რომელშიც გამოყენებული გვაქვს როსტომ ჩხეიძის მეცნიერული ნაშრომები, მისი წიგნი „ნიკოლოზ ბარათაშვილიდან ლუარსაბ თათქარიძემდე", აგრეთვე შევიტანეთ მერაბ ელიოზიშვილის პიესიდან „სარკე" რამდენიმე ფრაგმენტი.

**— როსტომ ჩხეიძის სამეცნიერო ნაშრომი როგორ აისახა პიესაში?**

— როცა წავიკითხე ბატონი როსტომის წერილი „აპოლოგია ლუარსაბ თათქარიძისა" გაზეთ „ჩვენ მწერლობაში" და გავეცანი ძალზე საინტერესო დისკუსიას, რომელიც მის ამ წერილს მოჰყვა, სურვილი გამიჩნდა სხვა თვალით, ჩემებურად წამეკითხა „კაცია ადამიანი?!"...

კიდევ მისივე მეორე ნაშრომი: „ეკლიანი და პატარა გზა"... ეს ორი, ერთი შეხედვით პატარა წიგნი მთელ ეპოქას იტევს და ბევრი რამ სხვანაირად დავინახე და გავიაზრე.

**— უფრო კონკრეტულად, მაინც რა იყო შენთვის განსაკუთრებით საგულისხმო?**

— უპირველესად ის, რომ ლიტერატურული პერსონაჟი და საერთოდ კლასიკა არ არის გაქვავებული რეალობა. ჩვენ მიგვაჩვიეს ერთ პლანში და დადგენილი კუთხით „წაკითხვის", ბატონი როსტომი ამ ტენდენციას უპირისპირდება და თან უფრო ღრმად ხედავს, გმირის განსხვავებულ შტრიხებს წამოწევს, ფიქრისკენ გვიბიძგებს, თვითონ ვეთანხმები მის წერილში გამოთქმულ აზრს, რომ იმდენი საშინელება ხდებოდა იმ დროს, ლუარსაბი სხვებთან შედარებით ანგელოზი ჩანს, თუმცა, რა თქმა უნდა, ეს სულაც არ ნიშნავს, რომ ლუარსაბობა უარყოფითი მოვლენა არ არის.

ის გარემოებაც მნიშვნელოვნად მეჩვენება, მკვლევარი ლუარსაბის პროტოტიპად თვითონ ილიას რომ მიიჩნევს, ნოსტალგიის გამომხატველად პატრიარქალური საქართველოს ცხოვრების წესის შეცვლის გამო.

**— ასეთი არაორდინარული წაკითხვა ნაწარმოებისა ანუ აპოლოგია უარყოფითი გმირისა, მისაღებია შენთვის?**

— დიახ, რა თქმა უნდა. თუმცა თანაგანცდა პერსონაჟისადმი გადამეტებული არ უნდა იყოს და პირადად მე ჩემს პიესაში ის მოვლენები და ფაქტები წამოვწიე, თუ რა ზიანდება ლუარსაბის უმოქმედობით. პიროვნულად იგი არაფერს აშავებს, მაგრამ პასიურობა უკვე დანაშაულია და იმ ეპოქაში განსაკუთრებით, რომელშიც ილია ცხოვრობდა და რომელიც ასე ხელშესახებად ჩანს „პატარა და ეკლიან გზაში".

**— დისკუსიის დროს დაბეჭდილი სტატიებიდან რომელი იყო შენთვის მისაღები ან რომელს უფრო დაეთანხმე?**

— ყველა სტატია თავისებურად საინტერესო იყო, რადგან თვითეულში წამოწეული იყო ბატონი როსტომის რომელიმე თეზა (მაგ. „ლუარსაბ თათქარიძე — თვითონ ილია"? ნინო ვახანიასი, „ლუარსაბ თათქარიძე — ტრაგიკომიკური ნიღაბი" მაია ჯალიაშვილის, „ჩამკვდარი სული" მარიამ ნინიძის და ა.შ.), გარდა დისკუსიისა უამრავი საინტერესო რამ ამოვიკითხე... ერთ-ერთი წერილი, ქალბატონი ნაირა გელაშვილის ნააზრევი კი ყველაზე მეტად დაემთხვა ჩემს თვალთახედვას, ისიც ანტიგანწყობითაა ლუარსაბისადმი („მეექვსე წინათქმა").

**— მოდი, გადავშალოთ წიგნი და ნაირას წერილიდან ერთი ან ორი ამონარიდი მოვიყვანოთ.**

— კი ბატონო, აი, თუნდაც ეს:

„ახლა მთელი საქართველო ქცეულა ლუარსაბის საარაკოდ ბინძურ ეზოდ, ნაგავსაყრელად, ისეთივე უწმინდურ ალაგად, როგორიც ძველი და ახალი ჩინოვნიკების, პარლამენტარების, საქმოსანთა თუ „მოქალაქეთა" უმეტესობის გულია.

შესაბამისად: ვერა და ვერ დავეთანხმები ავტორს, თითქოს ლუარსაბი და დარეჯანი უშვილ-ძიროდ გადაგებულიყვნენ!

მათზე წვრილშვილ ცოლ-ქმარს საქართველოში კი არა, ლამის სხვაგანაც არ უცხოვრია! რადგან: ამ ქვეყნის მოსახლეობის უდიდესი უმრავლესობა მათი ღვიძლი შთამომავალია, ამ აფუებული ცოლ-ქმრის საფუარით გაფუებული ცომისგან მოზელილი და გამომცხვარი. ...ეს გახლავთ მოთხრობა „წუმპეზედ", „უწმინდურ გარემოზედ"...

**— მართლაც, „თათქარიძეობა" დღესაც ქართველობის სენია... ერთია, რომ მოგეწონა, მაგრამ საინტერესოა შენს პიესაში როგორი ტრანსფორმაცია განიცადა ამ პუბლიცისტურმა და მხატვრულმა მასალამ, ან სპექტაკლად როგორ წარმოგიდგენია?**

— „ლუარსაბ თათქარიძის აპოლოგია" ჩემეული ხედვის ჩამოყალიბებაში დამეხმარა, ხოლო რაც შეეხება „ეკლიანსა და პატარა გზას", ამ ნაწარმოებიდან შემოყვანილი მყავს პერსონაჟები და მოკლე, 25-წუთიან ვარიანტშიც დავტოვე რამდენიმე ეპიზოდი. მაგალითად ესტატე ციციშვილის მონაკვეთი, ზაქარია ჭიჭინაძის ცემის ამბავი... ლუარსაბი და დარეჯანი, რომელთაც არ იციან კითხვა, მსახურს აკითხებენ სტატიას

გაზეთში, სადაც ზაქარიას ცემის ეპიზოდია აღნიშნული, და ამბობენ: „კარგი უქნიათ, იმ არამზადა ილიას დასაცავად კაცი ხმას რომ ამოიღებს, მეტის ღირსია..." მარტია ლიქოკელის ამბავი ერთ-ერთი მოხუცი გლეხის დიალოგად არის შესული... ანუ პერსონაჟებად შევიყვანე და დიალოგებად გამოვიყენე.

**— როგორ შეიკრა პიესაში ყოველივე ეს, აი, თუნდაც მცირე ვერსიაში?**

— 25-წუთიან ვერსიაში ვიწყებთ იმ მომენტიდან, როცა უკვე გადავარდნილია ბატონყმობა და დარეჯანს და ლუარსაბს უწევთ ბრძოლა გადარჩენისათვის. ამის გამო ისინი აღარ არიან ისეთი ინდიფერენტულები, როგორც ილიას ჰყავს დახატული. ისინიც უკვე გამხეცებულები არიან დაუნდობელ რეალობაში... როცა იწყება წითელი ძალის მომძლავრება... გარკვეული ეპიზოდების შემდეგ ლუარსაბი თანამდებობასაც კი გამოჰკრავს ხელს და ის უკვე კაბინეტის ლუარსაბია, ოღონდ ახალ ანტურაჟშიც ცხოვრების სტილი ძველებური აქვს.

**— ყვარყვარეს ხომ არ ემსგავსება?**

— თათქარიძეობა ამ ეპოქაში ყვარყვარიზმმა ჩაანაცვლა... ყვარყვარიზმი ბოლშევიზმის თანამდევია. პოლიტიკური აქცენტები არის პიესაში, ვფიქრობ, ეს მომენტი ნაკლად ჩაუთვალეს სპექტაკლს. ჩემი სათქმელი ამ პიესით კი ის იყო, რომ არ შეიძლება თავის გადარჩენის მიზნით, საკუთარი კეთილდღეობისათვის ყველაფერი განირო. მინდოდა ყოფილიყო ძალადობის, ამორალობის, კონიუნქტურის მხილება.



გიორგი სავანელი

**— კონკურსზე კიდევ რას იტყვით?**

— ეს იყო სამეფო უბნის თეატრის პროექტი, ნიკა თავაძის იდეა, რომელიც კულტურის სამინისტროს დახმარებით განხორციელდა, ივნისის ბოლო კვირას. ერქვა არდი-ფესტი. ფესტივალის იდეა თავისთავად ძალიან კარგია, საშუალება ეძლევათ ახალგაზრდა რეჟისორებს, მსახიობებს იმისა, რომ რაღაც ახალი და საინტერესო გაკეთდეს, ეძლევათ შანსი საკუთარი შესაძლებლობების გამოვლენისა. 25-წუთიანი უნდა ყოფილიყო სპექტაკლი. არც მეტი, არც ნაკლები.

**— ძირითადად ახალგაზრდები მონაწილეობდნენ თუ უფროსი თაობის რეჟისორებიც?**

— პირველად ყველა თაობის რეჟისორები იყვნენ ჩართულნი, მაგრამ შემდეგ, როცა ფესტივალი დამთავრდა, აღინიშნა, რომ მომავალში უნდა მოხდეს დიფერენცირება დებიუტანტ რეჟისორებსა და იმ რეჟისორებს შორის, რომელთაც უკვე აქვთ შემოქმედებითი გამოცდილება. მომავალში, ალბათ, ორგანიზების მხრივაც დაიხვეწება და უფრო მეტი ყურადღება მიექცევა შემოქმედებით მხარეს.

**— ვინ იყვნენ ჟიურის წევრები?**

— თემურ ჩხეიძე, ლევან წულაძე, ლევან ხეთაგური, ლაშა ბულაძე, გოგი ძოძუაშვილი, გოგა პიპინაშვილი.

**— რა ხასიათის პიესები იყო წარმოდგენილი?**

— როგორც ვთქვი, დრო სპექტაკლების მხოლოდ 25 წუთი იყო. ამიტომ პიესები უმეტესად თანამედროვე თემატიკაზე იყო აგებული. ეს უფრო ადვილი დასადგმელია მოკლე დროში.

ჩვენთვის წამგებიანიც კი აღმოჩნდა, როცა ასეთი რთული თემა ავირჩიეთ პიესისათვის, რთული გამოდგა მისი მორგება „პროკრუსტეს სარეცელზე"... ბევრი რამ დაიკარგა ვრცელი ვერსიიდან.

პიესის სათქმელი თავიდანვე გარკვეულ ფორმას ითხოვს. მაგალითად „დათა თუთაშხია" აუცილებლად მრავალსერიანი უნდა იყოს, ხოლო „ქვევრი" — მოკლემეტრაჟიანი. ბატონმა თემურმა სწორედ ამას გაუსვა ხაზი, როცა თავისი აზრი გაგვიზიარა. მისგან ძალიან მნიშვნელოვანი, გასათვალისწინებელი შენიშვნები მივიღე პირადადაც.

ფესტივალი ოთხ დღეს გრძელდებოდა. 17 სპექტაკლიდან უნდა არჩეულიყო რვა. დადებითი, რაც ამ ფესტივალს ჰქონდა და აქვს, საზოგადოდ ისაა, რომ ექსტრემალურ სიტუაციაში გიწევს მუშაობა. და ეს ტემპი საით წაგიყვანს, წინასწარ არ იცი... მინდა ვისარგებლო შემთხვევით და დაგვიანებული მადლობა გადავუხადო სპექტაკლში დაკავებულ მსახიობებს მარჯანიშვილის თეატრიდან, რომლებიც ექსტრემალურ პირობებს არ შეუშინდნენ და მხარში ამომიდგნენ. ესენი გახლავთ: ბ-ნი გივი ჩიგუაშვილი და ნინო კობერიძე — ლუარსაბი და დარეჯანი. ბ-ნი რეზო თავართქილაძე — მოზარდმაყურებლისა და თუმანიშვილის თეატრის მსახიობი, თამაშობდა მღვდელს, წამყვანს, მოხუც მსახურს... ასევე იყვნენ ახალგაზრდა მსახიობები: ირაკლი კვანტალიანი, გეგა სალუქვაძე, მარიკა იუკურიძე და სხვ.

**— თუ გაქვს კიდევ სურვილი, რომ შენი პიესის ვრცელი ვერსია განხორციელდეს?**

— სურვილიც მაქვს და ყველანაირად ვეცდები, რადგან, კიდევ გავიმეორებ, ის, რაც ბატონი როსტომის წიგნებშია, ის, რაც ჩემს პიესაში გამოვიყენე, ძალიან ახლოს დგას და ეხმაურება დღევანდელობას, პრობლემებს, რომელსაც გრძნობს ყოველი მეტ-ნაკლებად მოაზროვნე ადამიანი. ესაა: ფსევდოპატრიოტიზმი, მედროვეობა, მხოლოდ საკუთარი კეთილდღეობისთვის ზრუნვა, კონფორმიზმი, ჭეშმარიტი ღირებულებების უგულებელყოფა...

**— ანუ კლასიკის ხელახალი გადაკითხვა ან გონივრული ინტერპრეტაცია ისევ დღევანდელობაზეა ორიენტირებული, ჩვენი რეალობის პრობლემებს უკავშირდება. იქნებ სჯობდა შენც მარტივი თემა აგერჩია. იქნებ შენი პიესა რეპერტუარშიც დამკვიდრებულიყო?**

— ფესტივალში გამარჯვება ჩემთვის თვითმიზანი არ ყოფილა. მონაწილეობამ კი კარგი გამოცდილება შემძინა, თუნდაც იმის ცოდნამ, ვის რა არ მოეწონა და რატომ. ჩემთვის მთავარია, ჩემი სათქმელი მეთქვა...



უოლტ უიტმენი
(1819-1892)

## კაპიტანო, ჩემო კაპიტანო

კაპიტანო, ჩემო კაპიტანო! ამ ლაშქრობით გემი ასცდა ხიფათს ყოველს,
მორჩა, გავიარეთ ყველა განსაცდელი, და ის, რაც გვენადა, ჯილდოდ ვპოვეთ.
პორტი ახლოსაა. ისმის, რეკენ ზარებს, მოჩანს, ხალხს ზეიმი რომ აქვს
და რომ მონიწებით შემოსცქერის ყველა ჩვენს უშიშარ, მამაც ხომალდს.

მაგრამ ჩემს გულს რამე გაახარებს ნეტავ,
აქ, გემბანზე, ჩემს კაპიტანს დაცემულს რომ ვხედავ!
მოუქარგავს მისი მკერდი სისხლის წითელ წვეთებს,
წევს უძრავად, გათოშილი: მოკლეს, გაიმეტეს.

კაპიტანო, ჩემო კაპიტანო! წამოდექი, შენთვის რეკენ ზარებს,
ხალხი შენთვის აფრიალებს დროშებს, ბუკი შენთვის ზეცას აზანზარებს.
შენ გიძღვნიან ყვავილების თაიგულებს და გირლანდებს ფერადბაფთებიანს,
შენთვის შეკრებილა ეს მილეთის ხალხი, იქ თვალანთებულნი დაგხვდებიან.

ჩემო კაპიტანო! ძირს დაცემულ მამას
მკლავს ამოგდებ თავქვეშ როგორც ღვიძლი შვილი!
თუმც ეს სიზმარია: ვინ ირწმუნებს ამას,
გემბანზე რომ წევხარ მკვდარი, გათოშილი?

კაპიტანი ჩემი ველარ მეტყვის პასუხს, დახშობია ბაგე მკრთალი, ფერწასული,
იქნებ ჩემი მკლავი სასასთუმლედ არც სურს, ანკი რას შეამჩნევს, აღარ უდგას სული.
ღუზა საიმედოდ ჩაუშვია ხომალდს ამ ლაშქრობით იგი ასცდა ხიფათს ყოველს,
უხარია ყველას, მას ზეიმი რომ აქვს, რაც გვენადა, ის რომ ვპოვეთ.

იზეიმეთ, იზეიმეთ, ნაპირებო, იგრიალეთ ასე,
თქვენც, ზარებო, აგუგუნეთ ხმები ამ ზეიმის დარი!
მე კი, მე კი აქ, გემბანზე, ვივლი მწუხარებით სავსე,
სადაც ჩემი კაპიტანი ასვენია გათოშილი, მკვდარი.

ინგლისურიდან თარგმნა
ლელა ებრალიძემ

## ემოციური შეხვედრიდან

### („ქართული ალბომის“ საგამოფენო ვერსია)

საექსპოზიციო დარბაზი ეროვნულ ბიბლიოთეკაში — სამახსოვრო შეხვედრებისათვის გამორჩეული ადგილი; სადაც ხალხმრავლობა უჩვეულო აღარაა და ამა თუ იმ ღონისძიებაზე, მოსაწვევის გარეშეც, კარი ყველასათვისაა ღია.

12 სექტემბერს სატელევიზიო პროექტის „ქართული ალბომის“ საგამოფენო ვერსია შესთავაზა დამთვალიერებელს საქართველოს საპატრიარქოს ტელევიზიამ „ერთსულოვნება“.

შევადგინოთ საკუთარი გენეალოგიური შტო, შევკრიბოთ ფოტოები და აღვადგინოთ წინაპართა სახეები, სახელები და ხსოვნა. „არსებობს სულთა კავშირი წასულებსა და აქ მყოფთა შორის“... რახან შემთხვევით არაფერი ხდება და არც ითქმის, მწყემსმთავარის ბრძნულ მიმართვას მრავალრიცხოვანი მრევლი სიყვარულით შეეგებება ხოლმე (ამის მომსწრენი ბევრჯერ გავმხდარვართ, საბედნიეროდ). „ერთსულოვნების“ ამ პროექტმა ცხადია, საზოგადოების სიმპათია და თანადგომა მოიხვეჭა.

დიდებული დარბაზი კიდევ უფრო დამშვენდა ქართველ გვარიშვილთა საოჯახო ალბომებით, ხელნაწერებით. საგამოფენო მაგიდებიდან და სტენდებიდან სათუთად ილვრებოდა საუნჯე — კოლორიტი გარდასული დროისა, ფოტოგრაფიის გარიჟრაჟიდან დღემდე რომ შემონახულა...

და შემოგანათებენ პორტრეტები ისეთი ღირსებით, სავსე პატიოსნებით, უმანკოებით, სურვილი გიჩნდება, თავი მოიწესრიგო, გამოცოცხლდე და მხარში გაიშალო.

და როგორც რიგითი დამთვალიერებელი თვალს რომ მიაყოლებთ სხვათათვის განკუთვნილ სამიჯნურო ბარათებსა თუ ლექსებს, ერთ დროს მღელვარედ და მთრთოლვარედ შედგენილს, ცნობისწადილთან ერთად, როგორც უნებური მოწმე ხვაშიადისა, უხერხულადაც აილანძებით... იქვე წიგნია გაშლილი, ზუსტად იმ ფურც-

უილიამ ბატლერ იეიტსი
(1865-1939)



## ირლანდიას

ათასწლეულთა მხვრელო,
ლომის და ვეფხის ნაშობო,
შენ, ჩემი გულის მკვლელო,
და ჩემი სისხლის გამშრობო,
სულ მუდამ ბედის მძებნელო,
შენ, ახალგაზრდა ბებერო,
მადლცხებულ აზრთა მცველო
და ავ ზრახვათა ჩამხშობო,
შენ, სატკივარო ძველო,
ჩემსავით ობოლო სამშობლოვ!
ვინც გემზაკვრება და გველობს,
ღმერთმა ყველანი გაშოროს!
ბევრისთვის ბრძოლის ველო,
ზოგისთვის ფულით ნაშოვნო,
ძველთაგან ღვინის მსმელო,
ძველთაგან დაღლილ-ნაშრომო,
გულმოწყალევ და ქველო,
ვინ მოთვლის, ვისთვის არ მშობლობ!
ხან ბრძენო, ხანაც ხელო,
შენ, ჩემი გულის მკვლელო,
და ჩემი სისხლის გამშრობო,
დარდის მინდვრების მხვნელო,
გულში შიში არ ამრჩობლო,
არც ცრუ იმედი ამრჩობლო,
ათასწლეულთა მხვრელო,
ლომის და ვეფხის ნაშობო,
სულ მუდამ ბედის მძებნელო,
შენ, ახალგაზრდა ბებერო,
მადლცხებულ აზრთა მცველო
და ავ ზრახვათა ჩამხშობო,
შენ, სიყვარულო ძველო,
ჩემსავით ეულო სამშობლოვ!..

## დავტირი მეგობარ პოეტს

სიკვდილს ყველანი მიჰყავს,
ვინც მიყვარდა და მიყვარს,
გაღმა სოფელში რიყავს...
რა ბედნიერი ვიყავ,
როს ერთად ვცლიდით სურას,
ერთად ვილებდით სურათს,
არცრას ვდარდობდით სულაც,
ფაფარს ვუწნავდით ქურანს.
სიკვდილი ჩანდა შორად,
ხანაც მიგვაჩნდა ჭორად,
მზე ენთო კანდელქორად,
ვეფარებოდით გორას...
საჩვენო ქროდა ქარი,
ლამაზს ეტრფოდა თვალი,
კაცურ გვიჭრიდა ხმალი,
არცვისი გვქონდა ვალი.
მაგრამ ვაი რომ სოფლად
ლანდი ყოფილა ყოფნა...
მტრისად გიმტყუნა თოფმა,
ჯაჭვიც დაგერღვა თოქმა,
არც გზა გამოდგა გრძელი,
შემოგეჭამა დღენი,
ვით ცხენს ბზიანი თოფრა.
მწარემ შეცვალა ტკბილი,
მომკვეთა სიბრძნის კბილი.
მაქცია საწყალ მწირად
და ის მარგუნა წილად,
რომ შენი საძვლის პირას
საკუთარ სიკვდილს ვტირი...

გადმოაქართულა
**გურამ გოგიაშვილმა**

ლებზე, სადაც ბალის ორი ყვავილი ჩაუბნევიათ. უკვე გახუნებულა, ფერშეცვლილა და გაუმხელელი სიყვარულით ჩაფერფლილა... და რა თქმა უნდა, ყველაფერი არის სასიამოვნო სახილველი. მონიტორზე ჩნდება ფრაგმენტები გადაცემათა ციკლიდან „ქართული ალბომები".

ექსპოზიცია „ერთსულოვნების" ეგიდით არც პირველია და არც ერთადერთი. მსგავსი გამოფენების დათვალიერება სხვა დროსაც გვრგებია. ოღონდ კიდევ ერთხელ გაცხადდა და გათვალსაჩინოვდა: ადამიანებს მუდმივად მოენატრებათ ის, რასაც გარდასულიდან ველარ დაიბრუნებენ — ნეტარი სიმშვიდე და დინჯი დრო. ალბათ ამიტომაც დარონინებდნენ დარბაზში გარდასული ეპოქის განწყობის შესაქმნელად „კოსტუმირებული პერსონაჟები". ბევრმა მოისურვილა მათთან ერთად ფოტოები გადაეღო. განსაკუთრებული მიპატიჟება ერგოთ ამ ფოტოსესიაზე **ანასტასია აბულაძესა** და **ანდრია ხუჯაძეს.** ეროვნულ სამოსმორგებული პაწია ქართველები მოილალნენ, თუმცა ბუნებრივად პოზირებდნენ უფროსების ხათრით. იქნებ ეს ფოტოები — უკვე შეჩერებული წამი — მომავლისათვისაა სავიზიტოდ...

ილვრებოდა ტკბილი ჰანგები პიანისტ **შორენა ბოლქვაძისა** და კონსერვატორიის პროფესორის **როდამ ჯანდიერის** საშემსრულებლო ხელოვნებით.

უნდა ითქვას ოფიციალურ ნაწილზეც, რომელიც, მესვეურთა სანაქებოდ, ლაკონიური გახლდათ და სათქმელს ზუსტად მორგებული.

ღონისძიებას წარმართავდნენ მსახიობები და ტელენამყვანები: **სოფიო კუჭავა** და **გიორგი მერებაშვილი.**

ექსპოზიციის შესახებ შთაბეჭდილებები გამოხატეს: დეკანოზმა **გიორგი ცხოვრებაძემ**, კინორეჟისორმა **ნანა მჭედლიძემ**, თეატრმცოდნე **მერაბ გეგიამ.** პროექტის ხელმძღვანელმა, ლიტერატორმა **ნინო ხოფერიამ** მადლობა გადაუხადა შეკრებილ საზოგადოებას ერთსულოვანი თანადგომისათვის.

**ნინო მარგველანი**

ეროვნული ბიბლიოთეკა



იოსიფ ბროდსკი

## სიყვარული

უკვე მეორედ ამ საღამოს დამიფრთხა ძილი
და ბოლთას ვცემდი, სარკმელს ადგა
სინათლის სვეტი
და ძილ-ბურანში ამოთქმული ფრაზის ნაწყვეტი
უარს ნიშნავდა, ისე როგორც მრავალწერტილი,
არა მოჰქონდა მღელვარება-ნუხილის მეტი.

მაშინ მესიზმრა, რომ იყავი ჩემგან ორსული,
გაყრილები ვართ, გასულია მრავალი წელი,
მე ჩემს ბრალს ვგრძნობდი, მაგრამ მაინც
მთრთოლვარე ხელით
აბურცულ მუცელს ვეხებოდი გახარებული,
სინამდვილეში ვერ მეპოვნა სახლში ჩამრთველი,
შარვალი. ისევ ბოლთას ვცემდი, შენზე ვფიქრობდი,
კარგად ვიცოდი, მოთმინებით მელოდებოდი,
ამ სიბნელეში დარჩენილი ამარა ბედის,
მე დაბრუნებულს ნასვლის გამო ბრალს მდებდი როდი.
იქ სიბნელეში სასრულს ჰპოვებს
თითქმის ყოველთვის,
რაც სინათლეში ვერ დასრულდა — საქმე ულევი.
იქ ჩვენ ვართ ერთად, ჯვარნერილი, ქმარი და ცოლი,
იქ ვართ ორზურგა ურჩხულები, სასნაულები,
ეს სიშიშვლე რომ გავამართლეთ
შვილების ყოლით.
შენ ისევ მოხვალ რომელიმე საღამოს ახალს.
დამიბრუნდები დაქანცული, წვიმაში, ქარში,
ლამაზ გოგონას, ან ბიჭუნას მე დავინახავ,
არც კი ერქმევათ სახელები ჩვენს შვილებს, — მაშინ
არ მივვარდები მე გამომრთველს სწრაფად და აღარც
ხელით გავიწევ უკვე მისკენ, არ მაქვს უფლება,
რომ შეგატოვოთ იმ სამყოფელს, აჩრდილთა სადგურს,
იმ დღეთა ზღუდეს არაფრისმთქმელს,
უტყვს და უსახურს
მასაც რომ კლავდა ცხადად ყოფნის სურვილი, ვნება,
და მეც ვერაფრით რომ ვერ შევძელ მასში შეღწევა.

* * *

და ისევ ბრძოლა.
სიზმარში თუ ნახავ სიმშვიდეს,
არ გამეფანტოს მე იმ სიზმრის ნაირფერები.
ჭაღარა ღამე.
ახლა დაღლილ მთვლემარე ჩიტებს
ლურჯი სიჩუმე ანანავებს და ეფერება.

კვლავ შეტევები.
თავს დამტყდარი დილიდან მეხად.
ტყვიები, მღერა
რომ დათმეს და იწყეს წივილი,
გვიკიჟინებდნენ —
უკვდავებაც არსებობს ქვეყნად.
... გადარჩენაზე ფიქრი გვდევდა ჩვენ
აჩრდილივით.

პატიებას გთხოვთ.
დავიხარჯეთ ბოლო წვეთამდე,
და ეს სამყაროც
ბრუსტვერს გავდა, როგორც ვიხსენებ.
გული გვერჩოდა,
ვფრუტუნებდით, ვშფოთავდით რამდენს,
როგორც სჩვევიათ
ტყვიის თქეშში მოხვედრილ ცხენებს.

...უთხარით იქ... რომ
გვინდა ძილი, სინყნარე, შვება.
გვაცალეთ,
ახლა მაინც ვნახოთ სიზმრები ჭრელი.
...რა შეიცვალა,
თუ დავუთმეთ სხვებს გამარჯვება?
რა შეიცვალა,
დაბრუნება თუ ვერ შევძელით?

## წერილები კედელს

გთხოვ, ჩემი ჩრდილი მიიბარე. ველარ აგიხსნი.
აღარ ნაშალო, მიიბარე. ახლა მჭირდება.
უკან ბუჩქებში ფაცი-ფუცი უკვე არ ისმის.
ნავალ. ჩემს შემდეგ შენ დაგტოვებ დაუფიქრებლად.
კარგად, კედელო. მე ნავედი. გასწვრივ რომ ყვავის
საავადმყოფოს, დავისიზმრებ იმ ბუჩქთა წყებას.
ვეცდები მუდამ შევინახო ხსოვნა ამ ღამის.
უკანმოსახედს დავიტოვებ. ნუ გამინყრები.

გთხოვ, მიიბარე. ნულარ ნაშლი ნატიფ ხელწერას.
შენთან არ მოვალ, რათა სიკვდილს შევხვდე
შენ გვერდით.
შენც რომ არ მომთხოვ დაბრუნებას, ვიცი და მჯერა.
მგზავრი მოგეყრდნო? გაულიმე, არ გინყენს ღმერთი.
შენ ამბობ — კაცი ბუშტია და სული ძაფია.
ეს მე არა ვარ, უცხო ბავშვი შენ ახლა გიცქერს.
ამბობ — ამაღლდი, სად ფოთოლი ხეებს აბია.
მშვიდად მიყურებ, რომ ვეცემი ამ მინას პირქვე.

თვალებს შემორჩათ უთანხმობა, ცრემლი, სიბნელე,
საავადმყოფოს საათს განა დაულევ წუთებს.
ბუქსირი მიდის. კიჩოზე აქვს სიცარიელე.
აგურის დილეგს ბადრი მთვარე ღამეებს უთევს.
ჩემს ფეხის ხმაურს ვუანდერძებ ამ კედელს როცა,
თავისუფლებას მარტოობას გადავულოცავ.
კედელს მივმართავ, მძიმედ ვსუნთქავ, მაინც გავყვირი:
ამ პატარა ბიჭს რომ ამოსდოს მჭიდროდ ალვირი.

არ მსურს სიკვდილი. ვერ გადვიტან სიკვდილს მე გონის.
ამ კუნაპეტის მეშინია. ბავშვს ნუ მაშინებ.
არ მსურს სიკვდილი, თანახმა ვარ, ბრიყვი გეგონო.
გონით დაფლობას ამ წყვდიადში გადამარჩინე.
არც სიყვარული, აღარც მე და აღარც სხვა ვინმე.
სიცოცხლე მინდა. სხვა ყოველი ღირსია ფურთხის.
სიცოცხლე მინდა, შევუდგები მხრებით სიცივეს.
თავს ვერ მოვიკლავ. სიცოცხლე მსურს და
სიკვდილს ვუფურთხი.

ჰოდა მიყვირე. ოსტატი ხარ ჩხუბის, ყვირილის.
ჰოდა მიყვირე. მყის დაფრთხება პატარა ისევ.
ჰოდა მიყვირე. თორემ მეც ხომ ვიცი ყვირილი.
ბავშვო! — მაშინვე შევუერთდები ცარიელ სივრცეს.
თუ ბალახი ვარ, დამჭირდება მე ძალა სანდო.
მიხარია, რომ ახლა ბნელში არ მტოვებს წამით
ჩემი აგენტი, ძლიერი ხმით, ლურჯ მოსასხამით,
ის არც სულია და არც ხორცი — ამ კედლის ლანდი.

იზოლატორი დარდის — ანუ წინ სვლა, წინ სწრაფვა.
ჩემი ხალხი კი — სიყვარულის ზედამხედველი.
მგონი, არც დარდობ, ნებისმიერს მყისვე აკაფავ.
მგონი, ვიპოვნე უკვე თქვენი მომრიგებელი.
შენს კედელს სწვდება ჩემი ჩრდილი, შენი კი — დილეგს.
მგონი, მოცოცავს მილზე მკრთალი ნათელი დილის.
მგონი, ილევა უკვე ღამე, იწყება დილა.
გთხოვ, მიიბარე ჩემი ჩრდილი.

## ელეგია

*მ. ბ.-ს*

ისევ მაყრუოლებს დღემდე შენი ხმის გაგონება.
ბუნებრივია. ვინაიდან  სიმები სახმო
ვერ დაწყვილდება შიშველ კუნთთან, ხუჭუჭა თმებთან,
ხელებში ტვირთთან, და ასაკში აღარც კი ნაღვლობ
საყვარელ ნივთის დაკარგვას. და ჰაერთან შეხლა
შენს უსხეულოდ აღებულ ხმას ველარ შელახავს,
და, ვაგლახ, ორი ქირისაგან ბეცი გონება
ირჩევს უმეტესს: ერთხელ თქმულის გამეორებას.
მისგან ფხიზელ თავს რეტი ესხმის ძალიან დიდხანს
ფირფიტასავით ტრიალით და სიტყვების ლესვით,
თითი თითს უშლის - შეხორცებულ ხვეულებიდან
რომ ამოაგდო სამუდამოდ ნატეხი ნემსის —
თითქოს აძლევდე სალამს საცდურს ისეთი ფორმით —
როცა სიტყვები, როცა ტექსტი არ გაქვს საკმარი,
თუმცა მუსიკა ჭარბადაა, ბევრი უზომოდ.

იცი, რამდენი საგანია ერთურთთან მყარად
ისე შეკრულნი — რომ ბუნებას, რომელიც არის
ნამდვილი დედა და მშობელი და ა.შ. კიდევ
შეიძლებოდა გადაედგა ნაბიჯი მყარი,
რომ ერთმანეთთან შერწყმულიყო — ბუზი, შაქარი;
ფოქსტროტის ხმა და ქოლგა კაბის ფრიალა კიდე;
სულაც მე და შენ - ავეყვანეთ ჩვენ მიჩურინის
მიღწევების და შრომის რანგში. ეს უკვე ახლა
ქარიყლაპია ფერით მოჰგავს კონსერვის ქილას,
და მომარჯვებულ ვერცხლის ჩანგალს.
ბუნება, ვაგლახ,
აშორიშორებს საგნებს, უმალ აპატარავებს;
ცხოველთა ზომა გაიხსენე შენ უწინდელი.
და ჩვენ კი მხოლოდ ნაწილი ვართ იმ დიდის, მთელის,
რომლისაგანაც ტელეფონის ზონარის მსგავსად
გამოდის ძაფი, ჩვენკენ ნელა მოიკლაკნება,
დინოზავრისგან ხერხემალს რომ დატოვებს მხოლოდ.
ორი დღის შემდეგ შეძლებ შენ ამ ნომრის აკრეფას,
მანამდე ვერა. და ამ ზონრის მეორე ბოლოს
კვლავ ინვალიდი უპოვარი გეპასუხება,
რომ დაუკარგავს ძმა, ხელ-ფეხი, სულის ნასახი —
ევოლუცია. ჩემთვის კი ამ ნომრის აკრეფა
ნიშნავს - ამოვძვრე წყლიდან ხმელზე და იქ დავსახლდე.

* * *

მხოლოდ წრფის ბოლოს იხილვება უკეთ წერტილი.
ქუთუთომ - სივრცე, ლაყუჩებმა შთანთქეს ჰაერი.
„უფალოს" გარდა ყველა სიტყვა ხმამაღლა თქმული
აბრაკადაბრას წააგავს და მოაქვს ხმაური.
მუდმივი კლება, ბზრიალათი თუნდაც დაიწყოს,
აისახება მხოლოდ მასზე, რაც ჩანს ზემოდან.
ობობას ქსელით დაბლანდული ოთახი ვიწრო,
რა გასაოცრად მიემსგავსა ახლა ჩემოდანს.
შემდეგ გზა წყდება, ვერსად წახვალ. თუ მაინც წახველ,
ოქროპირისგან ოქროტუჩას გარჩევა დაგღლის.
დუმილს ნიკნიკში მალვიძარა იმგვარად ახვევს,
თითქოს ათ წუთში იხუვლებს და ფეთქდება სახლი.

* * *

სვლა და სიჩუმე შენს საათში ცხოვრობენ ერთად.
წინ-წინ მიდიან, უკვე წრეებს აღარ უვლიან.
კედლის საათში – კატაც ცხოვრობს თაგუნას გვერდით;
ცხოვრობენ ძმურად და სხვაგვარად არც შეუძლიათ.
ხან ირევიან, უწევთ თრთოლა, ტანჯვა, ღვრა ოფლის.
თუმცა ეს ჯაფა, დიდი შრომა, წვალება, ოხვრა
შეუმჩნეველი რჩება მაინც ხმაურში სოფლის,
სადაც ფიქრისთვის დროს არ ტოვებს წუთსაც
ხარ-ძროხა.
იქ გონებაში ინმინდება ყველა საათი,
ნელ-ნელა ქრება ყველაფერი ურიგო, ავი.
ზამთარში უფრო – როცა ერთად ღამეებს ათევს
თბილ სათივეში თავმოყრილი მთელი საკლავი.

რუსულიდან თარგმნა
**ნათია ორმოცაძემ**

ეროვნული ბიბლიოთეკა

რიუნოსკე აკუტაგავა

# მაგიის სასწაულები

შემოდგომის წვიმიანი ამინდი იდგა. რიქშამ ომორის გარეუბნის ბორცვებზე ზევით-ქვევით სირბილის შემდეგ, ბამბუკის ხეებით გარშემორტყმულ ევროპული ტიპის პატარა სახლის წინ გადმომსვა.

ვიწრო სადარბაზოს კედლებზე ნაცრისფერი საღებავი დამსკდარიყო და ძონძებივით ეკიდა, თეთრი ფაიფურის დაფას კი ამშვენებდა წარწერა: "ინდოელი მატირამ მისრა".

მატირამ მისრაზე ახლა შეიძლება ბევრმა თქვენგანმა იცის. წარმოშობით კალკუტელი, პატრიოტი მისრა-კუნი (ტანიძაკი ზუნიტოროს ნოველის "ჰასან-ხანი" გამოგონილი მთავარი გმირი, და ასევე ამ ნოველის გამოგონილი პერსონაჟი, ფილოსოფოსი და მაგი ჰასან-ხანი) ინდოეთის დამოუკიდებლობისთვის იბრძოდა. ამავე დროს მაგიის ხელოვნების უდიდესი ოსტატიც იყო, რომელიც ცნობილი ბრაჰმანის ჰასან-ხანის ხელმძღვანელობით შეისწავლა.

მისრა-კუნი ერთი თვის წინათ ჩემმა მეგობარმა გამაცნო. მასთან სხვადასხვა პოლიტიკურ საკითხებზე ვმსჯელობდი და ვკამათობდი, მაგრამ მისი საოცარი მაგიური ცდები ჯერ არ მენახა. სწორედ მაგიის სასწაულის ნახვის სურვილის გამო გავუგზავნე წერილი და რიქშამაც ამ მიზეზით მომიყვანა მისრა-კუნის სახლთან.

კოკისპირული წვიმა მოდიოდა. წარწერიანი დაფა ქუჩის სუსტი განათების ქვეშ ვიპოვე და ზარის ღილაკს თითი დავაჭირე. კარი მაშინვე გამიღო მისრა-კუნის მომსახურე დაბალი ტანის მოხუცმა იაპონელმა ქალმა.

— ბატონი მისრა შინ ბრძანდება?

— რასაკვირველის, რასაკვირველია, მობრძანდით! დიდი ხანია რაც გელით.

და მოხუცი ამ სიტყვებით მისრა-კუნის ოთახისკენ გამიძღვა.

— საღამო მშვიდობისა! ძალიან თავაზიანობაა, ასეთ წვიმაში რომ მეწვიეთ.

ულვაშიანი, დიდთვალა და მუქკანიანი მისრა-კუნი მომესალმა და მაგიდაზე მდგარ ნავთის ლამპას ფითილი დაუწია.

— წვიმა რა სალაპარაკოა! თქვენი ხელოვნების საოცრებათა სანახავად ნებისმიერ ამინდში მოვიდოდი.

სკამზე დავეშვი და სუსტად განათებული პირქუში ოთახი მოვათვალიერე.

სილარიბე ევროპულ სტილში. ყველაფერი ძველი და გადაცრეცილ-გადაქექილი. ოთახის შუაში დიდი მაგიდა, კედელთან წიგნების კარადა, ფანჯარასთან პატარა მაგიდა... და კიდევ ორი სკამი ჩვენთვის. სულ ეს იყო.

ოთახში მოხუცი მსახური შემოვიდა და თითო ჭიქა მწვანე ჩაი შემოიტანა.

მისრა-კუნმა სიგარების კოლოფი გახსნა და ერთი შემომთავაზა. ზედმეტი გაპრანჭვის გარეშე ავიღე, მოვუკიდე და ვკითხე:



— თქვენზე დაქვემდებარებულ სულს ალბათ, ჯინი ჰქვია. მაგიის საოცრებას რომ ვიხილავ, მისი დახმარებით შესრულდება?

მისრა-კუნმაც მოუკიდა სიგარას და ეშმაკური ღიმილით გამოუშვა ბოლი.

— რამდენიმე ასწლეულის წინათ სჯეროდათ ჯინების. ასე ვთქვათ, "ათას ერთი ღამის ეპოქაში". მაგია, რომელიც მე ჰასან-ხანთან შევისწავლე, ჯადოსნობა არ არის. რომ მოინდომოთ, თქვენც შეძლებთ ამას. მეცნიერულად რომ ვთქვათ, ეს მხოლოდ ჰიპნოზია. შეხედეთ!. საკმარისია ხელით ასე გააკეთოთ...

მისრა-კუნმა ხელი ასწია და ჩემ თვალწინ სამკუთხედისმაგვარი მოხაზა, შემდეგ მაგიდის ყვავილებიან გადასაფარებლის ბოლოდან წითელი ყვავილი მოწყვიტა. გაოცებულმა სკამი უფრო ახლოს მივწიე და ყურადღებით დავათვალიერე ყვავილი. ის მართლა სუფრის ნახატის ნაწილი იყო, მაგრამ როცა ეს ყვავილი ჩემს ცხვირთან მოიტანა, მუშკის მძაფრი სურნელი შევიგრძენი.

გაოცების შეძახილი აღმომხდა. მისრა-კუნი იღიმებოდა და ვითომ შემთხვევით ყვავილი მაგიდაზე დაუვარდა. დაგდება და ყვავილი ქსოვილის ნახჭს შეერწყა. აქედან ყვავილის მოწყვეტა? ეს ხომ შეუძლებელია.

— რას იტყვით? მართლა წარმოუდგენელია, არა? ახლა ამ ლამპას შეხედეთ.

ამ სიტყვებით მისრა-კუნმა მაგიდაზე მდგომ ლამპას ოდნავ შეუცვალა ადგილი. და იმავე წამს გაუგებარი მიზეზით ლამპა დაბზრიალდა, თან ტრიალის ღერძი ლამპის მინა იყო. თავიდან შევშინდი, ხანძარი არ გაჩნდეს-მეთქი. მისრა-კუნი კი მშვიდად სვამდა ჩაის. შიში ნელ-ნელა გაქრა და თვალს ვერ ვწყვეტდი ლამპის სულ უფრო და უფრო ჩქარ ტრიალს.

ეს მართლაც ულამაზესი და დაუჯერებელი სანახაობა იყო. ლამპის აბაჟურმა ტრიალისას ნიავი წარმოქმნა, მაგრამ ცეცხლის ალი არც შერხეულა!

ლამპამ ისეთი სისწრაფით დაიწყო ბზრიალი, გეგონებოდა ერთ ადგილზე დგასო. წამიც და მივხვდი: ის, როგორც ადრე, უძრავად იდგა მაგიდაზე. ლამპის მინა არც კი გადახრილა.

— გაოცებულ ხართ? ეს ხომ ბავშვური ფოკუსებია! მაგრამ თუ ისურვებთ, კიდევ რაღაცას გაჩვენებთ.

მისრა-კუნი მოტრიალდა და წიგნების კარადას შეხედა. შემდეგ მისკენ ხელი გაიშვირა და თითით თითქოს ვიღაც მოიხმო. უცებ წიგნები ამოძრავდნენ და ერთიმეორეს მიყოლებით გადმოფრინდნენ მაგიდაზე. მოულოდნელობისგან გავშეშდი. წიგნები მაგიდის თავზე წრიულად მოძრაობდნენ და შემდეგ ერთმანეთის მიყოლებით პირამიდასავით დალაგდნენ. მერე კი ზუსტი თანმიმდევრობით მაგიდიდან კარადისკენ გადაფრინდნენ.

ყველაზე საინტერესო აი, რა იყო! ერთ-ერთი წიგნი უცებ ისე გადაიშალა, თითქოს ფრთები გამოიბაო, და ჭერისკენ აფრინდა. რამდენიმე ხანი მაგიდის თავზე წრიულად მოძრაობდა, შემდეგ კი გვერდების შრიალით, მუხლებზე დამეცა. "რაშია საქმე?" — გავიფიქრე და წიგნის ყდას დავხედე. ეს ახალი ფრანგული რომანი გახლდათ, რომელიც ერთი კვირის წინათ მისრა-კუნს ვათხოვე.

— ნება მომეცით, დაგიბრუნოთ ეს წიგნი, — მითხრა ღიმილით მისრა-კუნმა. თითქოს ძილისგან გამოვფხიზლდიო, მაგრამ ხმის ამოღება არ შემეძლო. უცებ მისრა-კუნის სიტყვები გამახსენდა: "რომ მოინდომოთ, თქვენც შეძლებთ ამას".

— დიახ, თქვენს შესახებ ბევრი საოცრება გამიგია, მაგრამ თქვენმა ხელოვნებამ მოლოდინს გადააჭარბა. მითხარით, რომ ამ ხელოვნების შესწავლას მეც შევძლებ. ალბათ, იხუმრეთ, არა?

— დამერწმუნეთ, რომ არა! ნებისმიერს შეუძლია მაგიის შესწავლა. მაგრამ...

გამჭოლი მზერა მესროლა და სერიოზულ ტონზე გადავიდა.

— მაგრამ არა ანგარებით შეპყრობილ ადამიანს! თუ ჰასანხანის ხელოვნების შესწავლა გინდათ, თქვენში უნდა დაძლიოთ ანგარება. შეძლებთ კი?



მხატვარი ნინო ხურცილავა

— იმედი მაქვს, რომ შევძლებ, - ვუპასუხე. მაგრამ რალაც ყოყმანი ვიგრძენი და სწრაფად დავამატე: მთავარია დათანხმდეთ და ჩემი მოძღვარი გახდეთ!

მისრა-კუნმა ეჭვით შემომხედა, მაგრამ შემდეგ სულგრძელად დამყაბულდა.

— კარგი, გასწავლით. მეცნიერება კი არის მარტივი, მაგრამ მის შესწავლას დრო სჭირდება. დღეს ღამე ჩემთან გაათიეთ.

— თქვენი უზომოდ მადლიერი ვარ!

სიხარულით აღტკინებული, რომ მაგიის ხელოვნებას შევისწავლიდი, მისრა-კუნს სამადლობელო სიტყვებს ვეუბნებოდი. მაგრამ, თითქოს არ ესმისო, მშვიდად ადგა სკამიდან და დაიძახა:

— ბებია! ბებია! სტუმარი ღამე ჩვენთან რჩება. გაუმზადე საწოლი.

გული საშინლად მიცემდა. მისრა-კუნის მომლიმარ და კეთილ სახეს დაჟინებით შევხედე.

მას შემდეგ, რაც მისრა-კუნთან მაგიის შესწავლა დავიწყე, ერთი თვე გავიდა. ზუსტად იმნაირ წვიმიან საღამოს, გინზას ქუჩაზე ერთ-ერთ კლუბის მოგუზგუზე ბუხართან რამდენიმე მეგობარს მსუბუქი საუბრით გაგვყავდა დრო.

რაც უნდა იყოს, ეს ტოკიოს ცენტრში ხდებოდა და უამრავ მანქანებსა და სახურავებზე დაცემული თავსხმა წვიმის ხმაური ისეთ ნაღვლიან განწყობას არ ქმნიდა, როგორც მიყრუებულ ომარის გარეუბანში.

თან კლუბის ოთახიც მხიარულად გამოიყურებოდა: მკვეთრი ელექტროგანათება, დიდი ტყავის სავარძლები, კრიალა პარკეტი - ყოველივე ეს მისრა-კუნის მოჟამულ ოთახს არ ჰგავდა, სადაც შეიძლება მოჩვენებასაც გადაჰყროდი...

სიგარის კვამლში გახვეულები დოლსა და ნადირობაზე ვსაუბრობდით. ერთ-ერთი ნაცნობი მომიბრუნდა და მითხრა:

— ამბობენ, მაგიით ხართ გატაცებული. ხომ არ გვიჩვენებდით რამეს?

— რატომაც არა. შეიძლება, - ისეთი თავდაჯერებული ტონით ვუთხარი, თითქოს უკვე დიდი მაგი ვიყავი.

— რაც გინდათ, ის გვიჩვენეთ, მაგრამ ეს სასწაული უნდა იყოს, ისეთი, ჩვეულებრივი ფოკუსების გამკეთებელი რომ ვერ შეძლებს.

ყველა აჰყვა მის წინადადებას.

ნელა ავდექი სკამიდან.

— ყურადღებით უყურეთ. მაგიის ხელოვნებას დიდი ფილოსოფია არ სჭირდება.

ამ სიტყვებით პერანგის მანჟეტები გადავიკეცე და ბუხრიდან გავარვარებული ნაკვერჩხლები ავიღე. მაგრამ ამ უბრალო მოქმედებამ საშინლად შეაშინა მაყურებლები. უნებურად ყველამ უკან დაიხია.

მე კი მშვიდად ვუჩვენებდი, როგორ ვარვარებდნენ ჩემს ხელისგულებზე ნაკვერჩხლები, შემდეგ კი პარკეტზე დავყარე.

და უცებ, იატაკზე თითქოს წვიმის დიდი წვეთები დაეცაო... ჩემი ხელებიდან დაცვენილი ცეცხლოვანი ნაკვერჩხლები მბზინავ ოქროს მონეტებად იქცნენ და ოქროს წვიმასავით ეცემოდნენ ძირს.

ჩემი მეგობრებს თავი სიზმარში ეგონათ. აპლოდისმენტებიც კი დაავიწყდათ.

— აი, თქვენ, ყველაზე მარტივი რამ!

და გამარჯვებული ღიმილით მშვიდად ჩავეშვი სავარძელში.

— ნუთუ ეს მართლა ოქროს ფულია? - ხუთი წუთის შემდეგ იკითხა ნანახით გაოგნებულმა ერთ-ერთმა მეგობარმა.

— ნამდვილია! თუ არ გჯერათ, ხელი მოკიდეთ და შეამოწმეთ.

— რას ამბობ! ხელი ხომ დამეწვება?

მაგრამ ერთმა გაბედა, მონეტა იატაკიდან აიღო და წამოიძახა:

—მართლა ოქროა! ოფიციანტ, ჩქარა მოიტანე ცოცხი და აქანდაზი და ეს ფული აგავე.

ოფიციანტმა, როგორც უბრძანეს, მოაგროვა აქანდაზ-

ზე ოქრო და მაგიდაზე დაყარა. მეგობრები მაგიდას გარს შემოერტყნენ.

— შეხედე, ორასი ათას იენამდე იქნება!

— არა, რას ამბობ, მეტია.

— ვერაფერს იტყვი, საოცარი ჯადოსნობა გისწავლიათ. ერთ წამში ნაკვერჩხლები ოქროდ აქციეთ!

— ასე თუ გააგრძელეთ, ერთ კვირაში ივასაკი და მიცუივით (იაპონელი მსხვილი კაპიტალისტები) არქიმილიონერი გახდებით.

ყველა აღფრთოვანებული იყო ჩემი ხელოვნებით, მე კი სავარძელში ჩაწოლილი სიგარას ვაბოლებდი.

— რას ამბობთ, ჩემი ხელოვნება ერთხელ მაინც რომ გამოვიყენო ანგარების მიზნით, ყველაფერი გათავდება. აი, ეს ოქროს ფულებიც... თუ უკვე დაკმაყოფილდით მისი ცქერით, უკან, ბუხარში დავაბრუნებ.

ამის გაგონებაზე მეგობრებმა ერთხმად გამოთქვეს პროტესტი.

— ამხელა სიმდიდრის ისევ ნაკვერჩხლებად ქცევა ხომ უდიდესი სისულელეა! - იმეორებდნენ ისინი.

მაგრამ მე ჯიუტად ვიდექი ჩემს სიტყვაზე: როგორც მისრა-კუნს დავპირდი, ოქროს აუცილებლად ბუხარში გადავუძახებ. უცებ ერთმა ნაცნობმა, რომელიც ყველაზე ცბიერად იყო ცნობილი, იქედნურად ჩაიცინა და მითხრა:

— თქვენ გინდათ ოქროს ისევ ნაკვერჩხლებად გადაქცევა. ჩვენ კი არ გვინდა. ასე კამათი არ დამთავრდება. აი, რა მოვიფიქრე: ვითამაშოთ ბანქო! ეს ოქრო ჩამოდით. თუ მოიგებთ, რაც გინდა, ის ჰქენით, თუნდაც ნაკვერჩხლებად აქციეთ. მაგრამ ჩვენ თუ მოვიგეთ, ოქრო ჩვენ დაგვრჩება. და კამათსაც ბოლო მოეღება!

უარყოფის ნიშნად თავი გავაქნიე. ასე ადვილი არ იყო ჩემი დაყოლიება. ჩემმა ნაცნობმა უფრო ღვარძლიანად ჩაიცინა, და ხან მე და ხან ოქროს გროვას ცბიერად დაუწყო ყურება.

— თქვენ უარს იმიტომ ამბობთ ბანქოს თამაშზე, რომ ოქრო ჩვენ არ დაგვრჩეს. და კიდევ ირწმუნებით, რომ, სასწაულის კეთების გამო ანგარება დაძლიეთ! თქვენი კეთილშობილება ეჭვის ქვეშ არ დგება?

— დამიჯერეთ, ოქროს ისევ ნაკვერჩხლებად იმიტომ კი არ ვაქცევ, რომ მენანება მოგცეთ...

გაუთავებლად მიმეორებდნენ თავიანთ არგუმენტებს და, როგორც იტყვიან, კუთხეში მიმიმწყვდიეს. მათ მოთხოვნას დავთანხმდი და ჩამოვედი ოქრო. ყველას საოცრად გაუხარდა. სადღაც ბანქოც იშოვნეს და სათამაშო მაგიდას გარს შემოევლნენ.

— აბა, მიდი! ჩქარა!

თავიდან დუნედ, უხალისოდ ვთამაშობდი. ჩვეულებრივ, თამაშისას ბედი არ მწყალობს.

მაგრამ ამ საღამოს ფანტასტიკურად მიმართლებდა. თამაშმა თანდათან ამიყოლია. ათი წუთი არ იყო გასული, ყველაფერი დავივიწყე და აზარტულად ვმოქმედებდი.

პარტნიორებმა ეს ორთაბრძოლა ოქროს ხელში ჩაგდების მიზნით მოაწყვეს. მაგრამ ნაგებასთან ერთად ჩემს წინააღმდეგ სასოწარკვეთილი თამაში გააჩაღეს.

მათი მცდელობა ამაო იყო! არცერთხელ არ წამიგია. პირიქით! მთელი ოქრო მოვიგე. მაშინ იმ არასასიამოვნო მეგობარმა, რომელმაც თამაშში ჩამითრია, ბანქოს ქაღალდები არია და იყვირა:

— აი, ამოიღეთ ერთი ბანქოს ქაღალდი! მთელ ჩემს ქონებას ჩამოვდივარ — მიწებს, სახლს, ცხენებს, მანქანას, ყველაფერს. ბოლომდე! თქვენ კი თქვენი ოქრო და მოგება ჩამოდით. აიღეთ ბანქო.

იმ წამში ჩემში სიხარბემ გაიღვიძა. ახლა, ჩემდა საუბედუროდ, თუ წავაგებ, ჩემი ოქროს გროვა უნდა მივცე და თან, მოგებაც დავამატო? მაგრამ, თუ მოვიგე, ჩემი ნაცნობის მთელი ქონება ჩემს ხელთ გადმოვა! ასეთ დროს თუ არ გამოიყენებ, ისე ღირდა კი მაგიის შესწავლა!

ამის გაფიქრებაზე თავს ველარ მოვერიე, თითქოს დავთანხმდიო და ფარულად ჩემი მაგიური ძალა გამოვიხმე:

— კარგი! პირველად თქვენ აიღეთ ბანქო.

— ცხრიანი.

— მეფე! — გამარჯვებულმა წამოვიძახე და გაფითრებულ პარტნიორს ვანახე.

მაგრამ სასწაული მოხდა! იმ წამში ბანქოს მეფე თითქოს გაცოცხლდა, გვირგვინით დამშვენებული თავი ასწია და ბანქოს ქაღალდიდან წელს ზემოთ გადმოიხარა. მახვილიანი ხელი შემართა და საზარლად გაიღიმა.

— ბებია! ბებია! სტუმარი შინ ბრუნდება. აღარ მოუმზადო საწოლი, — გაისმა კარგად ნაცნობი ხმა.

არ ვიცი რატომ, მაგრამ წვიმის ხმა თითქოს მიჩუმდა.

უცბად მოვედი გონს. გარშემო მიმოვიხედე. ისევ მისრა-კუნის წინ ვიჯექი, ის კი ბანქოს მეფესავით მიღიმოდა.

ჩემს თითებში მოქცეული სიგარიდან ფერფლიც არ ჩამომვარდნია, მე კი მეგონა მთელი თვე გავიდა.სინამდვილეში ზმანება ვიხილე, რომელიც ორი-სამი წუთი გაგრძელდა. მაგრამ ეს მცირე დრო საკმარისი აღმოჩნდა, რომ ორივეს გაგვეცნობიერებინა, მე ის კაცი არ ვარ, ვინც ჰასან-ხანის მაგიას უნდა ეზიაროს.

შევცბი და სირცხვილისგან თავი დავხარე.

— ვიდრე ჩემთან ხელოვნების მაგიას შეისწავლით, საკუთარ თავში ანგარება უნდა დაამარცხოთ. მაგრამ ამ ერთადერთი ცდუნების დაძლევაც ვერ შეძელით, — რბილად, მაგრამ დანანებით მითხრა მისრა-კუნმა და იდაყვებით წითელი ყვავილებით მოხატულ მაგიდის გადასაფარებელს დაეყრდნო.

თარგმნა
**ნუცა თოფჩიშვილმა**

სამშაბათს, 18 ოქტომბერს
ჟურნალ „ჩვენი მწერლობის“
დარბაზში გაიმართება
განხილვა

**პაატა და როსტომ ჩხეიძეების**
წიგნისა

**„კონსერვატიზმის ისტორია პიტერ ვიერეკის თარგზე“**

მომხსენებელი
**ნინო ვახანია**

დასაწყისი 14 საათზე
ჩუბინაშვილის 41

# „ნეტარ არიან მორწმუნენი“




ბევრ სასულიერო პირს ვიცნობ, ზოგიერთთან ახლო ურთიერთობაც მაქვს, მაგრამ მეუფე თადეოზის თავმდაბლობა და უბრალოება მუდამ მაოცებს... რომ დაუჩოქო და ემთხვიო, თვითონაც დაგიჩოქებს და გემთხვევა, გამარჯობას და მოკითხვას ხომ ვერ დაასწრებ... ბერი გაბრიელი (რომელსაც პირადად იცნობდა მეუფე თადეოზი) ამბობს: „ქრისტე ღმერთი სიბრძნით და სიმდაბლით იცნესო...“ დღეს ბრძენად და ჭკვიანად ბევრს (ლამის უმრავლესობას) მოაქვს თავი. სიმდაბლე კი 21-ე საუკუნის ადამიანის მოდგმის ისეთი დეფიციტი გამხდარა, რომ ჩემგან დანყებული გარემოს ამპარტავნული კაშკაში სულის თვალის მომჭრელია და გონების დამაბნელებელი. არადა იოანე ოქროპირი ბრძანებს: „სიმდაბლე თავი არს ყოვლისა კეთილისაი“,

მოციქულის სიტყვებია: „მოუკლებლად ილოცვიდეთ“, რაც გონების მიერ აღსრულებულ ლოცვას გულისხმობს, რადგან მხოლოდ გონებას შეუძლია მუდამჟამ ღვთისკენ იყოს მიპყრობილი და განუწყვეტლივ ილოცოს. ჩემი აზრით, პოეტი თავისი ლექსებითაც ლოცულობს უფლის წინაშე ერისთვის, მამულისთვის, სიყვარულის განსავრცობად და ბოროტისაგან დასახსნელად. ასე იყო ათადან და ბაბადან დანყებული, ლექსებით ლოცულობს ვგონებ მეუფე თადეოზი, რომლისთვისაც „სიყვარული ჩუმი ნვალება საბედისნერო.“ და „მოედნება სიჩუმე ციდან “: **„მე ჩემი პაპის პაპის პაპების პაპის პაპები მგონია მთები“...**

და თითქოს ვხედავ კავკასიონის მთებიდან მომავალ ვაჟა-ფშაველას — თანამედროვე, პოეტთა დიდ პაპის პაპას, რომლი პაპის პაპაც თავის დროზე დავით გურამიშვილი იყო („შენ ჩემო ნინამორბედო, უძვირფასესო პაპაო“) დავით გურამიშვილი ლეკებმა მოიტაცეს, დიდი ვაჟაც (როგორც მეუფე თადეოზი ბრძანებს „რაინდის სიმღერები ჩარგლური“) მეფის ცარიზმსა და რუსულ კოლონიურ უღელს ეომებოდა გასულ საუკუნეში, მეუფე თადეოზის (მირიან იორამაშვილის) მშობლიურ ქართლის სოფლის მახლობლად (ფლავაში) ისევ რუსები დათარეშობენ... მაგრამ ღმერთთან მოუბარი პოეტის იმედის ტაძრის ზარები გუგუნებენ:

**სვეტიცხოველს ააგებს**
**კურთხეული მარჯვენა,**
**სიხარულის ყვავილი**
**ისევ დაიმარჯნება...**

ბევრ პოეტს მუხლმოყრით და მდაბლად თავმოდრეკით აღუვლენია უფლის სადიდებელი ლექსად. ტრადიციას არც მეუფე თადეოზი ღალატობს და ჩემი აზრით ძალზედ ორიგინალური და ტკბილხმოვანებით გამორჩეული ლოცვალექსია: **„მამაო ჩვენო, ცათა შინა მყოფო სუფევით, ნყაროვ ცხოვრების, სიყვარულის, თავისუფლების...“ რამეთუ მისთვის „ცა არის ლურჯი და იდუმალი, ვით მოკამკამე ტბა ნმინდანების“**... ანდა როგორი სათუთია მშობლის ხატება ლექსში „დედა“: **„სხივტკბილი მზეა, რომელიც ასე ათბობს სამყაროს“.**

კითხულობ მეუფე თადეოზის ლექსებს და გრძნობ, როგორ უყვარს ფშავ-ხევსურეთის მიტროპოლიტს თავისი სამნყსო, რამდენი მიძღვნილი შესანიშნავი სტრიქონებისა ლექს-ლოცვით მოფერება მრევლზე: ახლობლებზეც და შორებლებზეც. არადა როგორ სჭირდება დღევანდელ საქართველოს გულანთებული სასულიერო პირნი. გასული საუკუნის დასანყისში (1905წ) მღვდელი ილარიონ ჯაში თავის ნერილში „რა მიზეზებისა გამო დაშორდნენ ერთმანეთს მღვდელი და ერი?“ აღნიშნავს, „რომ მღვდელსა და ერს შორის, განსაკუთრებით მღვდელსა და ინტელგენციის შორის განცალკევებამ მიაღნია უკიდურეს საზღვრამდის, ეს ყველაფერი ცხადია, ამას აღიარებს თვით სამღვდელოება. ანინდელი მნყემსი არ გრძნობს თავს „სამნყსოსთან“ ერთად, უკანასკნელიც არ სცნობს მნყემსს თავის ხელმძღვანელად, სულიერ მამად, უყურებს მას, როგორც ცხოვრების ახალ მიმართულების მტერს და შორს გაურბის.“

აღსანიშნავია, რომ ამ დროს საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალია გაუქმებულია რუსეთის „დამსახურებით“ „ცხოვრების ახალი მიმართულება“ კი — მარქსიზმია, თავისი პარტიულ-პოლიტიკურ-სატანური განშტოებებით... უჭირდა მაშინდელი საქართველოს ერსაც და ბერსაც...

დღესაც ასეა — მეორდება თითქოს ჟამი. ერი ისევ ელოდება ლაზარეს აღდგინებას და ლოცვასავით მესმის შორიდან მეუფე თადეოზის ლექსის „ლაზარე“ სტრიქონები:

**ნასული ბევრი მინახავს**
**მობრუნებული—არავინ,**
**ბევრჯერ მსმენია ეს სიტყვა —**
**სიცოცხლის ზაფრით მზარავი.**
**დაბნელებულა გონება,**
**მოსძალებია ნკვარამი...**
**...**
**მაგრამ სხვა იყო ყველაზე**
**მკვდრეთით აღდგომა ლაზარის —**
**სიცოცხლემ ფრთები გაშალა**
**სიკვდილს დაეცა თავზარი.**

და გნამს, რომ საქართველო გადარჩება, რადგან არ გამქრალა ქართული სიტყვის ღვთიური მადლი, რადგან ზეციური საქართველო დაჰნათის და პატრონობს ჩვენს ქვეყანას, ბუმბერაზ ნინაპართა ნმინდა სულები შველიან ისევ ივერიელებს:

**მრავალი გვყავდა ზემძლავრი**
**სიტყვით და საქმით ტიტანი,**

ეროვნული ბიბლიოთეკა

**მამულის საკურთხეველზე**
**სიცოცხლის შუქად მიმტანი.**

არადა როგორ სჭირდება საქართველოს დღეს ასეთი ტიტანები, ერისთვის თავშენირული მამულიშვილებ, თუმცა ვაჟა-ფშაველას ერთი ლექსისა არ იყოს, „იუბილეთა" და „იუბილართა" რიგია, ისმის ქება-დიდების ფარისევლური დოლის ყიჟინა დარბაზებში თუ შემდეგ სუფრებზე, მაგრამ ქართველყლაპია მტერი იცინის, იცინის, კვდება სიცილით...

ისეთი გმირები კი სამწუხაროდ არ ჩანან, როგორზეც პოეტი ამბობს:

**სისხლით და ხორცით ქართველნი**
**მირონცხებულნი ძე კაცის,**
**იყვნენ არნივის მართვენი**
**და გახდნენ კაცნი, მზე კაცნი.**

სამწუხაროდ, დღევანდელი რეალობა „მზე კაცნის" — ამ ულამაზესი პოეტური (და არა მარტო პოეტური) ხატ-სახის დეფიციტია საქართველოში.

ისე რა საოცარი მონინებაა (მხოლოდ მეუფის შეუძლია) უფლისადმი ლექსში „იკორთა", სადაც „ლოცვა გაისმის დიდი ნინაპრის". პოეტი ამბობს: „ცად აღნევნილო უფლის ტაძარო" და ასე მგონია მეუფე თადეოზის ლექსები ცად აღნევნილი უფლის ტაძრებია, საყდრებია, სალოცავებია „ჩუქურთმოვანი სიმყუდროვით" გამორჩეულები.

ვაჟა-ფშაველა განსაკუთრებით უყვარს მეუფეს. ხშირად შემინიშნავს მისი სახელის ხსენებაზე პირჯვარს გადაინერს ხოლმე და ჩაიბუტბუტებს „ნმინდა ვაჟაო"...

ვაჟა-ფშაველაზე ბევრს დაუნერია, ბევრიც დაინერება მისი უდიდესი შემოქმედების ბუმბერაზ იდუმალებაზე, ქართული ფერებით დახატულ მსოფლიო ყოფაზე, ძველი და ახალი აღთქმის მცნებათა პოეტურ სინთეზზე. უნებლიეთ მახსენდება ოსიპ მანდელშტამის სიტყვები: „ქართულ ხელოვნებას ამშვენებს ევროპული ღირებულების მქონე... მოვლენა -ესაა ვაჟა-ფშაველა... ეს იყო სიტყვის ნამდვილი ქარაშოტი, რომელმაც საქართველოს გადაუარა... მისი პოემების ეპიკური სიდიადე თითქმის შუასაუკუნებრივია, ხოლო ხატოვნება — სტიქიური..." და ვგრძნობ თითქოს ვაჟას მშობლიური ჩარგალიც შუა საუკუნეებში ჩარჩენილა, „მინის ელჩებად დამდგარან მთები", „მზით ავსებულა ყველა კუნჭული" და **„აქ დაიბადა შაირის დევი, აქ გადურნიეს აკვანი ვაჟას"...** *(„ვაჟას ჩარგალში")*

ქართული სჯული ერის დაუნერელი კონსტიტუციაა, რომელზეც ჟამთა სიავე და პოლიტიკური კლიმატთა ცვლილება არ (ან ვერ) მოქმედებს თუ ერი ცოცხალია. ებრაელებისათვის რჯული და ეროვნულობა ერთი და იგივეა. იბერიული კულტურის სული ევროპულ და აზიურ კულტურთა თვისობრიობის თავისებურ სინთეზს ნარმოადგენს. აქ მუდამ რეკდა ზარები: ქრისტიანობა ქართველობაა! ქრისტიანობის უარმყოფელი ქართველობის უარმყოფელია! ღვთიური ქართული სული ჭეშმარიტ მამულიშვილებმა გამოატარეს საუკუნეთა ომებსა და ქარცეცხლში. მამულიშვილები „მცირედნი არიან," როგორც უფლის რჩეულნი, ხშირად მარტონიც. მათზე ბრძანებს პოეტი ლექსში „მამულიშვილებს", რომელიც 1982 ნლით თარიღდება და ნიშანდობლივია:

**რად არის კაცი სამამულო**
**ბრძოლაში მარტო?**
**ან მოლოდინი გამარჯვების**
**როდემდე გასტანს?**

ეს კითხვა ყველას გვანუხებს (ანუხებდათ) საქართველოში და იქვე პასუხობს მეუფე თადეოზი;

**ხმა იდუმალი ჩამჩურჩულებს**
**ნურაფერს დარდობ,**
**ღმერთია მასთან.**

„ხმა იდუმალი" ხომ ნიკოლოზ ბარათაშვილის გულსაც ჩასჩურჩულებდა და „ესე ჩუმი ნაღველით ავსებდა"... რადგან სკამთაყვანისმცემლები მუდამ ბლომად იყვნენ. ამიტომაც გლოვისფერი დაჰკრავს მეუფის სტრიქონებს: მტერმომრავლებულ ქართველებს რომ ეუბნება: „მაგრამ ცალ-ცალკე ნვეთნი ვართ და მათ სიმცირეს ვსტირი მე."

ცალკე აღსანიშნავია მეუფე თადეოზის მიძღვნილი ლექსები (დავით აღმაშენებელს, ქეთევან ნამებულს, ჰამლეტ გონაშვილს, ამირან მოსიაშვილს, ოთარ ჩხეიძეს, ნიკოლოზ ბარათაშვილს, მუხრან მაჭავარიანს, მამა გიორგი ოდიშვილს, გაბრიელ ბერს, გიორგი სააკაძეს, შალვა კარმელს, ალექსანდრე ტაბატაძეს, რუსთაველს...), რომლებიც ხატსახეებითაა სავსე და მონინებისა და მოფერების თავისებური ოდებია. მაგრამ მიძღვნილი ლექსებიდან მაინც გამოვყოფდი სხვადასხვა დროს სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქისადმი, უნმინდესისა და უნეტარესისადმი მიძღვნლ ლექსებს. ივერიელთა პატრიარქის მძიმე ჯვარის ტარება არასდროს ყოფილა ადვილი, არცერთ ეპოქაში, მაგრამ დღევანდელი დრო, როცა მტერმა სახე იცვალა, სრულყო თავისი ბოროტი ხელოვნება დაპყრობისა, გადაგვარებისა, ნაბილნვისა და რაც მთავარია, როცა მტერი ალყას ისე გარტყამს, რომ არ ჩანს (თითქოს უჩინ-მაჩინის ქუდი ახურავსო), როცა ბალასტიკურ და ატომური რაკეტებზე უფრო მძლავრი იარაღით „ფულომანიით" გიტევს, დამერნმუნეთ, ერის სულიერი მამის სიბრძნესა და ღვთისმოსაობის სიდიადეს გადამნყვეტი მნიშვნელობა აქვს. „ნუთისოფლის ღელვათაგან არ იმღვრევი ღვთისაგან მშვიდო..." რა საოცარი სიყვარულითა და პოეტური სიზუსტით დახატა ამ ორიოდ სტრიქონით ჩვენი პატრიარქის როგორც გარეგნული, ისე სულიერი სამყარო მეუფე თადეოზმა. და მაინც, 1978 ნელს 25 დეკემბერს ილია II-ის აღსაყდრების დღეს ექსპრომტად დანერილმა ალალმა სტრიქონებმა გაიბრნყინა უფრო სხვანაირად და მერე „თერგის ნაპირას აჩხოტის მინდორზე" ხილვად იქცა:

**თუ საქართველო ნმინდა ჯვარია,—**
**ნატრობ სამოთხის კართან იყოსო...**
**შენი სიცოცხლე ერს უხარია,**
**მრავალჟამიერ კათალიკოსო!**

მეც და ყველა ჭეშმარიტი ქართველი ვუერთდებით ამ მრავალჟამიერს და მეუფე თადეოზის ლექსის სტრიქონები ქადაგებასავით მესმის:

**ნეტარ არიან მორნმუნენი, ნეტარ არიან**
**რადგან სიკვდილიც ვერ აშინებთ, რაც მთავარია...**

ჭეშმარიტად! ამინ!

მოკრძალებით
**ვაჟა ოთარაშვილი**

## დარდობს, დაეძებს გაბურებს

წინათგრძნობა თითქოს აფრთხილებდა და ჩააფიქრებდა პოეტს: „ჩემი ყვავილი რად მოიცელა? გზათა დამლალეს მავალთა ცერად? არა! მოქუხდი, მოქუხდი, ზენავ, წარმტყვევნე შენა, მიმეც ნიალვარს!" მაგრამ სულ სხვა ნირის ნიალვარი ემუქრებოდა. ჯერ დუმილმა დაისადგურა კალამქვეშ, მერე კი დაკანონებულ სტერეოტიპთა ნიალვარს ვერც ანა კალანდაძის წრფელი პოეზიის ჯებირმა გაუძლო. გასული საუკუნის ორმოცდაათიანი წლების დამდეგით დათარიღებულ ლექსებში აქა-იქ ჩნდება პოეტის მიერ დროებისათვის გადახდილი მცირე ბეგარა — როგორც სარეველა ბალახი ალალანებულ ყანაში.

თურმე თავის რჩეულთაც ბოლომდე არ ანებივრებს ბედი.

თუკი ლექსების ქრონოლოგიას დავაკვირდებით, საფიქრებელია, რომ ანა კალანდაძის პოეზიის კვლავ წელში გასამართავად, სხვა ფაქტორებთან ერთად, თავისი კეთილისმყოფელი როლი ითამაშა ფშავ-ხევსურული ლექსების ციკლმა, რომელიც იქცა ტრამპლინად მისი შემოქმედების ახალ ეტაპზე გასასვლელად.

ჩვენი ნარსულის დაძაბულ წუთებში, ბარს რომ გაუჭირდებოდა, მთა მყისვე უწვდიდა დახმარების ხელს. „ჩვენაც ხომ თქვენი ძმანი ვართ, სისხლით, ხორცით და რჯულითა, მტერმა დაგვჩაგრა, გვიშველეთ, გაუტეხელნო გულითა", — ასე მიმართავდა ყიზილბაშთაგან შეჭირვებული კახეთი მთას, რომელსაც არ დაუყოვნებია ვაჟკაცური პასუხი ბარის ვედრებაზე. და დროდადრო ჩამოდიოდნენ ბარში მთიელები, მღელვარე არაგვივით უერთდებოდნენ ქვეყნის მთავარ მდინარებას და, არცთუ იშვიათად, წყვეტდნენ ბრძოლის ბედს. შესაძლოა, ადამიანსაც გასჭირვებოდა ბარში და ისევ მთა ევლინებოდა მხსნელად: „ცხოვრება ჭირიანია, ჭირით არ ერთით, ორითა, შენაც მოგაცხობს ბევრს რასმე, არ აგაშმოროს შმორითა, ჩვენ დაგვიძახე მკურნალად, წამალს მოგაწვდით შორითა", — ასე ამხნევებდა მთა თავის კალთაში გაზრდილ დევკაცს.

ერთია ვაჟა-ფშაველას წაკითხვა და სულ სხვაა ხილვა იმ სამყაროსი, სადაც იბადებოდნენ და კვდებოდნენ მისი გმირები. იქაურ მკვიდრთა იერსა და სიტყვა-პასუხში, მათ თავზე დატრიალებული ამბების მოსმენისას, მოგელანდება კიდეც ალუდა ქეთელაური და ზვიადაური.

გარდუვალი იყო შეხვედრა ცისარტყელასავით მოვლენილი ქართველი პოეტისა მთასთან. უნდა ასულიყო იქ, სადაც დარწეულა ქართული ხალხური პოეზიის აკვანი; სადაც ვეფხვისგან მოკლული მოყმის დედა მოყმისგან მოკლული ვეფხვის დედასთან აპირებს სტუმრობას სამძიმრის სათქმელად; სადაც სულეთში ნასულ ბალღს სამზეოში დარჩენილი დედის ცრემლები გადაულებელ წვიმად მისდის და აღარ უშრება სამოსი; სადაც სიკვდილს ათქმევინებენ გულნატკენ მონოლოგს: „მეც ვიცი, არვის უნდიორ, — ვინ მეგებების გზაზედა? მანამდი სოფელჩი მიოლ, ტირიან ჩემსა თავზედა. დავჯდები, მეც ავტირდები, როგორც რო ქალნი ძმაზედა". პოეტი უნდა ასულიყო იქ, სადაც, გურამ რჩეულიშვილისა არ იყოს, პოეზია გაწუკითხავად ბატონობს პროზაზე.

ანა კალანდაძის ფშავ-ხევსურული ლექსების ციკლში ჯერ სხეული გამოჩნდება მთისა: თანამედროვე პოეტის თვალით დანახული პეიზაჟები; არაგვი, წყაროს წყალზე რომ ეჭვიანობს და ფშაველ ქალს ემუდარება, ჩემ ნაპირს ჩამოჯდებოდე და დამამშვიდებდეო; იუმორით შეფერილი ლტოლვა პაწია მდინარისა ვარდკაჭაჭასადმი (წუთითაც არ შეინიშნება ვაჟასეული ბუნების სურათების გადამღერება). პეიზაჟებს ერწყმის ლირიკული ნიაღსვლები და შეცბუნებული ქალაქელი ქალის გულახდილი ზმანება: „რო ავყოლოდი გულისთქმას, ჭკუას არ დავიხმარებდი, შენთან დავლევდი ჩემს დღეებს, შენს გულში გავიხარებდი... ზურგს საფქვავს წამოვიგდებდი, გზას წისქვილისკენ გავლევდი... ბატარაც რამე გწყენოდა, სულს ხოხობივით დავლევდი".

მთის სიყვარული ძალუმად იპყრობს პოეტის გულს. იმდენად მომხიბლავი ეჩვენება იქაურობა, რომ ამტკიცებს: „მე მაინც მჯერა, წყლის დასალევად სულები ისევ შუაფხოს მოვლენ!", თუმცა სამოთხეში ძველისძველი რწმენის თანახმად, უამრავი წყაროა და ათასნაირი ყვავილებით მორთული ბიბინებს მდელო; მაღალი, თოვლიანი მთებიც აღმართულან ანუ აქაურობის ზუსტი ასლია, მაგრამ პოეტი მაინც გვარწმუნებს, სულეთში გადასულ შუაფხოელებს მშობლიური სოფლის წყალი მოენატრებათო.

აღნიშნული ციკლის მთელ რიგ ლექსებს დოკუმენტურობის ბეჭედი აზის, თითქოსდა მოგზაურობის გალექსილ დღიურს ვკითხულობდეთ. ფშავ-ხევსურეთში ნამყოფთათვის ნაცნობი ბილიკები... ნაცნობი ტოპონიმები... ნაცნობი პერსონაჟები. „წელთგზაზე ფრთხილად აბიჯებს ცხენი, აღარ მიიწევს ჯიუტად თავქვე". წელთგზა არხოტის უღელტეხილის ყველაზე სახიფათო მონაკვეთს ჰქვია, ეშმას სავალ გზად რომ ეჩვენებათ სტუმრებს. ვცნობთ არხოტიდან ბარისახოსკენ არხეინად მიმავალ ქორძოს და სოფელ ჭიმლაში მარტოდმარტო შთენილ ხირჩლას.

ანა კალანდაძეს თავისი ერთი ლექსისთვის ეპიგრაფად წაუმძღვარებია ხევსურული გადმოცემა, რომ ჭიმლაში მცხოვრებ ვინმე გაბურს მკის დროს ეშმა დაუჭერია და მოუშინაურებია, მაგრამ კარგა ხნის შემდეგ ეშმა მაინც გაპარულა. ახლა რაღა ხდება ჭიმლაში, სადღა არიან ჭიმლელებიო? „ჭიმლის კლდეს ეშმა ბინადრობს, ტირის, დაეძებს გაბურებს". ოდესღაც ყოფილა სოფელი ჭიმლა, პოეტის თვალწინ კი მხოლოდ ნასახლარებია და ერთადერთი ჭიმლელი — ხირჩლა.

ძალზე ეფექტურად გამოიყურება ლექსის ჩანაფიქრი — გვიჩვენოს ხევსურეთის სოფლების დაცარიელება-გაპარტახება, თვით ეშმაც რომ შეუწუხებია: „ჭიმლის კლდეებში იზამთრებს, ტირის, ქვა-ლოდებს აგორებს, წასულა, ხალხი აყრილა, — ვერცრას ვერავინ აგონებს!"

ანა კალანდაძე ორიგინალური რაკურსით აშუქებს ჩვენი მთის სატკივარს. ეშმა დაპატრონებია იქაურობას, მაგრამ ამით სულაც არ გახლავთ კმაყოფილი, მასაც კი უჭირს მარტოობა და ენატრება ადამიანი: „დარდობს, დაეძებს გაბურებს".

დემოგრაფიული პრობლემა უზადოდ ამეტყველებულა მაღალი პოეზიის ენაზე.

და კიდევ შთამბეჭდავი სურათები ხევსურეთისა: შატილში, მიწურის კედელზე წაუწერიათ, პოეზიასო დიდება! ახიელში ლუდით შემთვრალი თორღვა ამაყად მოახსენებს პოეტს: „ისე მიცვნია შენი ყოველი ლექსი, როგორც კალმახი ვიცი ასაის წყალჩი!"

ბუნებრივი უშუალობით არის აღბეჭდილი მთიელი კაცის იმედგაცრუება, გამოწვეული სახელგანთქმული სტუმრის, ქართული პოეზიის დედოფლად შერაცხული ქალის შესახედაობით: „თვალ-მარგალიტით მორთულ მეგონე, ქალო, თავზე ნათელი გადაგდიოდა ზენა... შავ ქალ ყოფილხარ, გვირგვინ გრქმევია არცა!"

მაგრამ ყოველივე ზემოთქმული უფრო სხეულია მთისა, ვიდრე სული, რომელიც საცაა უნდა გამოჩნდეს და ის წიგნებში როდი ამოუკითხავს პოეტს, საკუთარი შთაბეჭდილებებით განუცდია და გაუაზრებია.

## ასე იყოფდნენ აღმოსავლეთს

ერთ მშვენიერ დღეს, ჯერ კიდევ XV საუკუნეში, რომის პაპმა აილო და საგანგებო ბრძანებულება გამოსცა, რომლის თანახმადაც პორტუგალიის სრულ და შეუვალ საკუთრებად ცხადდებოდა ყველა ხმელი და ყველა კუნძული, აღმოჩენილ რომ იქნებოდა კეთილი იმედის კონცხს იქით. შემდგომში აღსაყდრებული პაპებიც უყოყმანოდ ამტკიცებდნენ ამ ბრძანებულებას (ლათინურად „ბულა" ეწოდება), რომელიც კალმის ერთი მოსმით, კარნახით უზენაესისა, თითქმის უცნობ აღმოსავლურ სამყაროს, თავისი მილიონობით მკვიდრითურთ, პატარა პორტუგალიის წილხვედრ ტერიტორიად აკანონებდა.

მაგრამ, სულ მოკლე ხანში, პორტუგალიას უპირისპირდება და მეტოქეობას უწევს ესპანეთ. რომის მორიგ პაპს არაფრად ეჭაშნიკება ამ ორი, მისთვის ყველაზე ახლობელი ქვეყნის დაპირისპირება. მათი ხელმწიფენი ხომ არასოდეს აღმდგარან მისი სულიერი ავტორიტეტის წინააღმდეგ. ისინი ხომ თავდადებით ებრძოდნენ მავრებს და განდევნეს ეს ურჯულონი ევროპიდან. ისინი ხომ ცეცხლითა და მახვილით წარბშეუხრელად, ანგარიშს უსწორებენ თავიანთ მიწა-წყალზე გაჩენილ ყოველგვარ ცდომილებას და მკრეხელობას.

რომის პაპი ვერ დაუშვებდა ამ ორი, სამაგალითო ქრისტიანობით შთაგონებული ქვეყნის შეჯახებას. ამიტომაც ბრძნულად გადაწყდა (ალბათ, ისევ უზენაესის კარნახით), რომ უკვე აღმოჩენილი თუ ჯერაც აღმოუჩენელი ქვეყნები თანაბრად გაიყონ პორტუგალიამ და ესპანეთმა, თანაბრად დაეპატრონონ ამ უცნობ ხალხებსა და ქვეყნებს, ზღვებსა და ხმელეთს, კუნძულებსა და ნახევარკუნძულებს. გამოჩენილი ავსტრიელი მწერლის შტეფან ცვაიგის ხატოვანი გამოთქმით, რომის პაპი ხელს სტაცებს დედამიწას და, 1493 წელს გამოცემული ბულით, ვაშლივით შუაზე კვეთს. გაყოფის ხაზი იწყება ვერდეს კონცხის კუნძულებიდან. რაც მდებარეობს დასავლეთით, წილად ერგება ესპანეთს, რაც მდებარეობს აღმოსავლეთით — უნდა ჩაყლაპოს პორტუგალიამ.

და აი, XV საუკუნის დამლევს, ადმირალმა ვასკო და გამამ, ევროპელთაგან პირველმა, შემოუარა აფრიკის კონტინენტს. 1498 წლის 20 მაისს პორტუგალიელმა ზღვაოსნებმა მიაღწიეს ინდოეთს.

ვასკო და გამას მიერ ინდოეთში მისასვლელი საზღვაო გზის გაკვალვამ დაასრულა პროცესი, რომლის შედეგადაც ატლანტიკის სანაპიროს მიენიჭა უპირატესი მნიშვნელობა ევროპის სახელმწიფოთა ვაჭრობის განვითარებასა და ეკონომიკურ გაძლიერებაში. მანამდე აღმოსავლეთთან ვაჭრობა მოგებას აძლევდა იტალიის ქალაქებს, უმთავრესად — ვენეციას. ავსებდა მათ საგანძურს, ხელს უწყობდა კულტურისა და განათლების წინსვლას. როგორც კი ვასკო და გამა დაბრუნდა პორტუგალიაში იქ მყოფი იტალიელი ელჩები და ჯაშუშები სასოწარკვეთილ წერილებს გზავნიან სამშობლოში, სადაც მყისვე მიხვდნენ სერიოზულ საფრთხეს, რომელიც ემუქრებოდა იტალიის კეთილდღეობას. ერთი ვენეციელი თავის დღიურში აღნიშნავდა: „როცა ვასკო და გამას მშვიდობით დაბრუნების ამბავი შეიტყვეს ვენეციაში, ყველას თავზარი დაეცა. ამას მიიჩნევდნენ ყველაზე უარეს ცნობად, რაც კი შეიძლება მიელოთ".

ეს ახალი ამბავი ნიშნავდა იმას, რომ სიმდიდრის ნაკადი იტალიის ქალაქებიდან უკუიქცა ატლანტის ოკეანის სანაპიროებისკენ და ევროპული ცივილიზაციის ცენტრები, ხმელთაშუა ზღვის სავაჭრო ცენტრთან ერთად, დასავლეთის მიმართულებით გადაინაცვლებდა. ვენეციელთა ვაჭრობამ გამანადგურებელი დარტყმა იგემა. ვასკო და გამას მიერ ინდოეთს მიმავალი საზღვაო გზის აღმოჩენამ დასაბამი მისცა ვენეციის დაკნინებას.

ამასთან ერთად, პორტუგალიელთა გამოჩენამ ინდოეთში საგრძნობლად შეამცირა ოსმალთა შემოსავალი სანელებლებით ვაჭრობიდან. აღმოსავლეთში ევროპელთა დამკვიდრება ხელს შეუწყობდა იმ მუსლიმანური სახელმწიფოს დასუსტებას, რომელიც სახიფათო მომავალს უქადდა დასავლეთ ევროპას. ამიტომაც იყო, რომ შეშფოთებული სულთანი ოსმალეთისა იმუქრებოდა, თუკი პორტუგალიელთა ექსპანსია არ შეწყდება, დაუყოვნებლივ გავცემ ბრძანებას, რომ იერუსალიმში და სინაის მთაზე ქრისტიანული სიწმინდენი დანგრეულ იქნესო. ოსმალეთის სულთანმა რომის პაპსაც კი მიმართა თხოვნით, ზეგავლენა მოეხდინა პორტუგალიელებზე და ჭკუაზე მოეყვანა ისინი.

## ქრონიკა

19 სექტემბერს საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკაში ჩატარდა ფონდის **„ღია საზოგადოება — საქართველო"** მხარდაჭერილი პროექტის **„დემოკრატიული ღირებულებები ქართულ ფოლკლორსა და ლიტერატურაში"** შედეგების შემაჯამებელი ღონისძიება.

პროექტი ხორციელდებოდა **თსუ-ს შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის** ბაზაზე, ამავე ინსტიტუტის მეცნიერ-თანამშრომლების მიერ **მაია ნინიძის** ხელმძღვანელობით და მიზნად ისახავდა ქართულ მწერლობასა და ხალხურ სიტყვიერებაში არსებული დემოკრატიული ღირებულებების (რელიგიური და ეთნიკური შემწყნარებლობა, სოციალური და გენდერული თანასწორობა, აზროვნებისა და სიტყვის თავისუფლება და სხვ.) წარმოჩენას.

ხანგრძლივი კვლევის შედეგად პროექტის ავტორებმა მოამზადეს ანთოლოგია, რომელიც მოიცავს: ილია ჭავჭავაძის, აკაკი წერეთლის, ვაჟა-ფშაველას, იაკობ გოგებაშვილის, ნიკო ნიკოლაძის, მიხეილ ჯავახიშვილისა და სხვა ქართველი კლასიკოსი მწერლების ტექსტებს ქალთა ემანსიპაციაზე, სოციალურად დაუცველთა უფლებებზე, სეკულარიზაციაზე, ინდივიდის უზენაესობაზე, არჩევანის თავისუფლებასა და სხვა აქტუალურ პრობლემებზე. ანთოლოგია მნიშვნელოვანი მონაპოვარია მათთვის, ვინც დაინტერესებულია, დემოკრატიული ღირებულებანი ქართული კულტურის კონტექსტში გაიაზროს.

დამსწრე საზოგადოებას ანთოლოგია წარუდგინა პროექტის ხელმძღვანელმა, შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის დირექტორმა **ირმა რატიანმა.**

ღონისძიებაზევე მოხდა ლიტერატურის ინსტიტუტის მიერ ქართული ენისა და ლიტერატურის პედაგოგებისათვის გამოცხადებული კონკურსის 4 გამარჯვებული პედაგოგის დაჯილდოება. აღნიშნული კონკურსის ფარგლებში, პედაგოგებმა მოამზადეს სასწავლო პროექტები, რომელთა საშუალებითაც მოხდა ქართული ლიტერატურის სწავლება თანამედროვე სამოქალაქო საზოგადოების ფასეულობათა კონტექსტში და ხელი შეეწყო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში თანამედროვე სამოქალაქო საზოგადოების ფასეულობათა პოპულარიზაციას.

პროექტისა და წიგნის პრეზენტაციას დაესწრნენ განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს წარმომადგენლები, ექსპერტები განათლების საკითხებში, უფლებათა დამცველები, არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები და მწერლები.

წიგნი ინახება ფონდის „ღია საზოგადოება-საქართველო" ბიბლიოთეკაში.

# მიხაკო წერეთელი რომ არა...

როსტომ ჩხეიძის ბიოგრაფიული რომანი „მგზავრი თიბათვის მზეში“ არის მონოგრაფია მიხაკო წერეთელზე – მეცნიერზე, მოაზროვნესა და პოლიტიკურ მოღვაწეზე, ასევე დოკუმენტური, ზედმიწევნითი გამოკვლევა მისი ნარკვევებისა თუ ნააზრევისა.
რომანში არაერთი საგულისხმო რეალური სინამდვილის ამსახველი პასაჟის წაკითხვა შეგვიძლია: მიხაკო წერეთლის ღვაწლი საქართველოს დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაში, მისი თაოსნობით ქართული განშტოების დამკვიდრება ანარქისტულ მოძრაობაში ვარლამ ჩერქეზიშვილთან ერთად, დიპლომატიური ურთიერთობის დამყარება გერმანიის მთავრობასთან, მისი ორატორული ხელოვნება, პედაგოგიური უნარი, ზეპარტიული ორგანიზაციის „თეთრი გიორგის“ ჩამოყალიბება მისი თაოსნობით, კვლევა უძველესი ენებისა, კულტურებისა და მთარგმნელობითი მოღვაწეობა.
მწერალი გადმოსცემს მიხაკო წერეთლის მოსაზრებებს ერზე, ანარქიზმზე და იქვე ზუსტად აანალიზებს პოლიტიკური მოღვაწის შეხედულებებს და საინტერესო დასკვნებსაც გვთავაზობს. იგი ცხადად გვევლინება არა მხოლოდ როგორც მწერალი, არამედ მეცნიერიც. ეს კარგად ვლინდება ნაწარმოების თითოეული გვერდის კითხვისას.
„მგზავრი თიბათვის მზეში“ ვრცლად მოგვითხრობს ქართველი მეცნიერის მონოგრაფიაზე „ერი და კაცობრიობა“, სადაც წარმოდგენილია მიხაკო წერეთლის თეორია ერის შესახებ, გზა პოლიტიკური იდეალის მიღწევისა. მწერალი ძალდაუტანებლად, დაწვრილებით განიხილავს ხსენებულ გამოკვლევას და საყურადღებო შეფასებასაც გამოთქვამს:
„მიხაკო წერეთლის ეს თხზულება ორიგინალური აზროვნების ნაყოფია, სრულიად დამოუკიდებელი ქმნილება, რომელსაც გადასდევს ანარქისტული ელფერი, მაგრამ შინაგანი აღნაგობით მძაფრი პოლიტიკური პამფლეტია, ეროვნული მრწამსით აღბეჭდილი, ილია ჭავჭავაძის „აი ისტორიის“ და არჩილ ჯორჯაძის „XIX საუკუნის ქართული ისტორიის მასალების“ რკალში რომ ტრიალებს“.
ნაწარმოებში მწერალი სრულყოფილად წარმოსახავს მიხაკო წერეთლის პორტრეტს, როგორც პოლიტიკური მოღვაწისას, აღწერს მის დაუღალავ, მუხლჩაუხრელ საქმიანობას საქართველოს სახელმწიფოებრიობის აღდგენისათვის ბრძოლაში. თვალნათლივ იკვეთება, მიხაკო წერეთელი რომ არა, და მასთან ერთად გიორგი მაჩაბელი, კაცმა არ იცის, თუ გამოცხადდებოდა საქართველოს დამოუკიდებლობა.
როსტომ ჩხეიძე მოგონებებზე, სხვადასხვა დოკუმენტურ თუ საარქივო მასალაზე დაყრდნობით სრული მეცნიერული სანდოობით აცოცხლებს იმ პერიოდის ჩვენი ქვეყნის ყოფას, თავისუფლების დაკარგვასა და შემდეგდროინდელ პოლიტიკურ ცხოვრებას.
როგორც ცნობილია, მიხაკო წერეთელი ემიგრაციაში ხელმეორე ყოფნის დროსაც განაგრძობდა ზრუნვას საქართველოს დამოუკიდებლობისათვის. ამის დასტურია თუნდაც პარიზში ზეპარტიული ორგანიზაციის – „თეთრი გიორგი“ – და ამავე სახელწოდების ჟურნალის დაარსება მისი იდეოლოგიით. რომანში დეტალურადაა გადმოცემული ყველა ის მოვლენა თუ ფაქტი, რაც „თეთრი გიორგის“ საქმიანობას უკავშირდება.
ბიოგრაფიული რომანის ავტორს უხვად აქვს მოტანილი ამ საზოგადო მოღვაწისა და მისი ლექტორის, ივანე ჯავახიშვილის ერთმანეთთან მიწერილ ბარათთა ფრაგმენტები. მათი გაცნობის მეშვეობით კარგად ჩანს ამ ორი პიროვნების თბილი ურთიერთდამოკიდებულება, ასევე, ჩვენი ქვეყნის იმდროინდელი საზოგადოების გულგრილი განწყობა მწერლობის, ისტორიული წარსულის მიმართ, რასაც მტკივნეულად განიცდიდა ეს ორი პიროვნება.
ნაწარმოებიდან ცხადი ხდება სახელოვანი მეცნიერის დიდი მორალური მხარდაჭერა, რაც მან გაუწია მიხაკო წერეთელს თუნდაც გერმანიაში, ჰაიდელბერგის უნივერსიტეტში სწავლისას, სადაც ასირიოლოგიას ეუფლებოდა. ევროპაში წასულ სტუდენტს სწორედ ისტორიკოსმა უშუამდგომლა დავით სარაჯიშვილთან სტიპენდიის დანიშვნის თაობაზე.




როსტომ ჩხეიძე შესანიშნავად ხატავს იმხანად მიხაკო წერეთლის სულიერ მდგომარეობას და წარმოაჩენს ივანე ჯავახიშვილის წვლილს თავისი სტუდენტის კვლევით საქმიანობაში:
„ივანე ჯავახიშვილი რომ არა, გადაქანცვა და გამოფიტვა გასაქანს არ მისცემდა და მეცნიერებისაკენ ლტოლვას იქვე ჩაუკლავდა. ახლა კი, რაოდენაც უნდა იპყრობდეს სასოწარკვეთა, ისეთი მაგალითი ჰყავს თვალწინ, რომ მისი არსებობა არ დაანებებს ხელის ჩაქნევას, მითუმეტეს ივანე ჯავახიშვილი მეგობრად და მფარველად მოვლენია“.
„მგზავრი თიბათვის მზეში“ ამომწურავად ვეცნობით მასალებს საზოგადო მოღვაწის გულმოდგინე მუშაობაზე ჩვენი მოდგმის ისტორიული ფესვებისა და მის სხვა ენებთან კავშირზე, გილგამეშის ეპოსზე, „ვეფხისტყაოსანთან“ ამ ეპოსის მიმართებაზე.
ბიოგრაფიულ რომანში ავტორი ნათლად წარმოაჩენს მიხაკო წერეთლის გულისტკივილს რუსულ და ევროპულ ენებზე ქართველ მკვლევართა წიგნების, ნაშრომების, კრიტიკული წერილების ნაკლებობასთან დაკავშირებით. მისი დიდი სურვილი იყო, ჩვენი მწერლობა და მეცნიერება შესაფერისადაც დამკვიდრებულიყო დასავლეთში.
აღსანიშნავია, რომ მწერალი მიხაკო წერეთლის არა მხოლოდ პოლიტიკურ მოღვაწის და მეცნიერის სილუეტს წარმოსახავს, არამედ ჩვეულებრივი ადამიანისაც, მის ყოფით ცხოვრებისეულ ეპიზოდებსაც ცოცხლად, შესანიშნავად აღწერს. ამაზე მეტყველებს შემდეგი პასაჟიც. იგი განიცდიდა სამშობლოდან გადახვეწილი ქაქუცა ჩოლოყაშვილის მძიმე სულიერ და ფიზიკურ მდგომარეობას, ის პესიმიზმში ჩავარდნილ ქართველ მებრძოლს მუდამ ამხნევებდა, იმედს ულვივებდა მასთან მიწერილ ბარათებში. იმხანად თვითონაც ემიგრაციაში წასული გაუსაძლის პირობებში იმყოფებოდა, მაგრამ ქაქუცას ბედი ძალიან აღელვებდა, რადგანაც საქართველოს სახელმწიფოებრიობის აღდგენის იმედსა და ოცნებას მას უკავშირებდა. ეს ფაქტიც მის დიდბუნოვნებაზე, კეთილშობილებაზე მეტყველებს.
როსტომ ჩხეიძის ბიოგრაფიულ რომანში „მგზავრი თიბათვის მზეში“ კიდევ ბევრი საყურადღებო პასაჟის შესახებ შეიძლება საუბარი, მაგრამ ამჯერად აქ შევჩერდები და აღვნიშნავ, რომ მწერალმა გააცოცხლა მიხაკო წერეთლის ცხოვრება, მისი მეცნიერულ-პოლიტიკური მოღვაწეობა, ამასთანავე, სრულყოფილად, დიდი მწერლური ოსტატობით გადმოსცა ჩვენი ქვეყნის XX საუკუნის პირველი ნახევრის პოლიტიკური ვითარება. მან შთამბეჭდავად აღწერა სამშობლოდან გადახვეწილი არაერთი ქართველი მოღვაწის ცხოვრებისეული ეპიზოდი.
„მგზავრი თიბათვის მზეში“ კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ბიოგრაფიული რომანია ქართულ ლიტერატურაში.

ნინო ხიდიშელი



ანუკი მინდიაშვილი

მორცხვი ქალი

ISSN 1987-7730